მსოფლიო ეკონომიკის გეოგრაფია

სალექციო კურსი სამაგისტრო პროგრამისათვის „საზოგადოებრივი გეოგრაფია“ Paul Knox, John Agnew & Linda McCarthy „The Geography of the World Economy“, 5-th ED, 2008 მიხედვით

შემდგენელი და მთარგმნელი ასოცირებული პროფესორი თამარ დოლბაია,
II ნაწილის მე-5 და მე-6 თავების თარგმანი ეკუთვნის „პოლიტიკის მეცნიერების“ სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ ჯაბა უროტაძეს

I ნაწილი
ეკონომიკური მოდელები და მათი განმარტება

ამ წიგნის პირველ ნაწილში განხილული იქნება ჩვენი კვლევის საგნის კომპლექსურობა, მსოფლიოს ეკონომიკური ლანდშაფტის მოდელები და სხვადასხვა თეორიული მიდგომები, რომლებიც ხსნიან ამ მოდელების განვითარების კანონზომიერებებს. პირველ თავში ყურადღება გამახვილებულია გლობალური ეკონომიკის ორგანიზაციასა და სივრცობრივ ცვლილებებს შორის დამოკიდებულებაზე. მეორე თავში აღწერილია მსოფლიოს თანამედროვე ეკონომიკური ლანდშაფტების ძირითადი განზომილებები. ჩვენი მიზანია გამოვყოთ ძირითადი მოდელები და მათი გამონაკლისი შემთხვევები, რომლებიც წარმოშობენ რიგ შეკითხვებს ეკონომიკურ გეოგრაფიაში არსებული პროცესებისა და თეორიების შესახებ. მაგალითად: როგორ შეიძლება განვითარების პროცესის კონცეფტუალიზაცია?, რა პროცესები იწვევენ სივრცით უთანასწორობას?, რატომ არის ეკონომიკური კეთილდღეობა ასე არათანაბრად განაწილებული? - აღნიშნული საკითხები განხილულია მესამე თავში, სადაც ჩვენ გამოვყოფთ ვრცელ თეორიულ სტრუქტურას, რომლითაც შეგვეძლება მსოფლიო ეკონომიკისა და მისი სივრცითი კომპონენტების ურთიერთდამოკიდებულების გაგება.

თავი 1. ცვალებადი მსოფლიო ეკონომიკა

მსოფლიო ეკონომიკაში ურთიერთდამოკიდებულების სწრაფი ზრდა ნიშნავს რომ ქვეყნების, რეგიონების და ქალაქების ეკონომიკური და სოციალური კეთილდღეობა სულ უფრო მეტადაა დამოკიდებული გლობალური მასშტაბის კომპლექსურ ურთიერთქმედებებზე. სხვადასხვა პროცესების ერთობლიობას, რომლებიც ხელს უწყობენ მსოფლიო ეკონომიკაში ურთიერთდამოკიდებულების ხარისხის ზრდას უწოდებენ „გლობალიზაციას“. მართალია, ადგილობრივი, რეგიონული და ეროვნული მასშტაბების პროცესების მნიშვნელობა კვლავაც დიდია, მაგრამ ქვეყანაში, ან რეგიონში მიმდინარე მოვლენებს დიდწილად განსაზღვრავს მათი როლი გლობალური წარმოების, ვაჭრობისა და მოხმარების სისტემაში. მსოფლიოს მოსახლეობის უმეტესობა ამჟამად ცხოვრობს

სახელმწიფოებში, რომლებიც ინტეგრირებულნი არიან გლობალურ სასაქონლო და საფინანსო ბაზრებში, ან ამ მიმართულებით მიისწრაფიან.
რობერტ რაიშმა, აშშ-ის შრომის ყოფილმა მდივანმა შეაფასა ეკონომიკური გლობალიზაციის მნიშვნელობა:
„ჩვენ განვიცდით ტრანსფორმაციას, რომელიც გადააწყობს მომავალი საუკუნის პოლიტიკასა და ეკონომიკას. აღარ იქნება ეროვნული პროდუქტები, ან ტექნოლოგიები, არც ეროვნული კორპორაციები და მრეწველობები. აღარ იარსებებენ ეროვნული ეკონომიკები ... წარმოების თითქმის ყველა ფაქტორი – ფული, ტექნოლოგიები, ქარხნები და დანადგარები – შეუზღუდავად იმოძრავებს საზღვრებს მიღმა. ამერიკული ეკონომიკის იდეა უაზრობად იქცევა, ისევე როგორც ამერიკული კორპორაციის, კაპიტალის, პროდუქტების და ტექნოლოგიების იდეა“ Reich (1991: 3,8).

1.1 ეკონომიკური ორგანიზაცია და სივრცითი ცვლილებები

ეკონომიკური ორგანიზაციის იდეა ახლოს დგას წარმოების მოდელის კონცეფციასთან: როგორ ახდენენ საზოგადოებები წარმოების და სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების ორგანიზებას. კაცობრიობის ისტორიის მანძილზე არსებობდა წარმოების ხუთი მოდელი: 1) ნატურალური მეურნეობა, 2) მონათმფლობელობა, 3) ფეოდალიზმი, 4) კაპიტალიზმი და 5) სოციალიზმი.
წარმოების ერთი მოდელი მეორისგან განსხვავდება წარმოების სხვადასხვა ფაქტორს (მიწა, შრომა, კაპიტალი) შორის ურთიერთდამოკიდებულებით. წარმოების მონათმფლობელურ მოდელში, მონათმფლობელს შეეძლო მონის ყიდვა-გაყიდვა ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა საქონლისა. ფეოდალიზმის დროს, გლეხს საკუთრებაში ჰქონდა წარმოების საშუალებების ნაწილი, მაგრამ მიწა და საქონლის დადგენილი ნაწილი წარმოადგენდა ფეოდალის საკუთრებას და გლეხი კანონის ძალით მიჯაჭვული იყო მიწის გარკვეულ ნაკვეთზე. კაპიტალიზმის პირობებში მუშას არ ეკუთვნის წარმოების საშუალებები, მაგრამ შეუძლია თავისუფლად გაყიდოს თავისი შრომა. წარმოების სხვადასხვა მოდელები ასევე გამოირჩევიან განსხვავებული წარმოების ძალებით (ტექნოლოგიები, სატრანსპორტო საშუალებები) და სოციალური ფორმაციებით (სხვადასხვა სოციალური კლასების რაოდენობრივი პროპორცია).
წარმოების მოდელები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან სივრცითი ორგანიზაციის ფორმებით. მაგალითად, ფეოდალიზმის დროს არსებობდა დეცენტრალიზებული, თვითუზრუნველყოფილი სამფლობელოები, მცირე მოცულობის ვაჭრობით და შედეგად პატარა ზომის ბაზრებით. სავაჭრო კაპიტალიზმის დროს არსებობდა მაღალგანვითარებული სავაჭრო ქალაქების სისტემა და ახალი ტერიტორიების კოლონიზაციის ტენდენცია (ახალი რესურსებისა და ბაზრების მოსაპოვებლად). ინდუსტრიული კაპიტალიზმი კი მოითხოვს სივრცით რესტრუქტურიზაციას ენერგიის ახალი რესურსების მოსაპოვებლად, წარმოების ახალი ტექნოლოგიებისა და ახალი კორპორატიული ორგანიზაციის ფორმების განსავითარებლად.
წარმოების მოდელების „კლასიკური“ თანმიმდევრობა: ნატურალური მეურნეობა, მონათმფლობელობა, ფეოდალიზმი, სავაჭრო კაპიტალიზმი, ინდუსტრიული კაპიტალიზმი და განვითარებული (advanced) კაპიტალიზმი, სრულად გაიარა დასავლეთ ევროპის დიდმა ნაწილმა. კაპიტალიზმი თავდაპირველად ევროპაში

წარმოიშვა და შემდეგ გავრცელდა დანარჩენ მსოფლიოში. ჩრდილოეთ ამერიკაში კაპიტალიზმი შემოვიდა ნატურალური მეურნეობის არსებობის პირობებში. იაპონიაში ფეოდალიზმი სწრაფად შეცვალა სახელმწიფო ინდუსტრიულმა კაპიტალიზმმა. რუსეთში ჩანასახოვანი ინდუსტრიული კაპიტალიზმი ჩაანაცვლა სოციალიზმმა. ამ ვარიაციებმა წარმოშვეს მნიშვნელოვანი რეგიონული განსხვავებულობანი მსოფლიო ეკონომიკის შიგნით. წარმოების ყოველი ახალი მოდელის წარმოშობასთან ერთად ღრმავდება რეგიონული დიფერენციაცია. ამიტომ ცალკეული რეგიონული სასოფლო-სამეურნეო ლანდშაფტი წარმოადგენს მოდელის მხოლოდ ერთ-ერთ ნაირსახეობას და არა კონკრეტული წარმოების მოდელის იდეალურ გამოხატულებას. თითოეული ეკონომიკური ლანდშაფტი უნდა განხილულ იქნეს, როგორც ფართო ეკონომიკური ძალების ურთიერთქმედება ლოკალურ სოციალურ, კულტურულ, პოლიტიკურ და ეკოლოგიურ ფაქტორებთან.

კაპიტალიზმის ევოლუცია

განვითარებულ ქვეყნებში კაპიტალიზმის ევოლუციამ განსაკუთრებით დიდი გავლენა მოახდინა მსოფლიო ეკონომიკურ ლანდშაფტზე. ჩვენ ამჟამად კაპიტალიზმის მესამე ფაზის დასაწყისში ვიმყოფებით.

კონკურენტული (competitive) კაპიტალიზმი

კაპიტალიზმის პირველი ფაზა, რომელიც გრძელდებოდა 1700-იანი წლებიდან მე-19 საუკუნის ბოლომდე, დაიწყო ბრიტანეთში და გავრცელდა ჩრდილო-დასავლეთ ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის უმეტეს ნაწილზე. იგი ხასიათდებოდა თავისუფალი მეწარმეობით. ბაზრებზე ერთმანეთს კონკურენციას უწევდნენ პატარა ოჯახური ბიზნესები. ხელისუფლების მიერ დაწესებული შეზღუდვები და კონტროლი მცირე იყო. ეს სისტემა ძირითადად ეყრდნობოდა მანუფაქტურულ და მანქანურ წარმოებას (machinofacture - სამრეწველო წარმოება, რომელიც ძირითადად ეფუძნება მექანიზაციას და არა სამუშაო ძალას). ამ ფაზის ბოლოს აშშ იქცა წამყვან ინდუსტრიულ ეკონომიკად, გადაუსწრო რა ბრიტანეთს.

ინდუსტრიული ქვეყნების კეთილდღეობა გამყარდა იმპერიალიზმის მეშვეობით, რომელიც უზრუნველყოფდა მათ ნედლეულითა და საქონლის გასაღების ბაზრებით. თანდათანობით, წარმატებული საოჯახო საწარმოები გაფართოვდნენ და დაიწყეს ბაზარზე დომინირება. ბიზნესები უფრო ორგანიზებულნი გახდნენ, რადგან კომპანიები უკვე ემსახურებოდნენ ეროვნულ და არა ლოკალურ ბაზრებს. შრომის ბაზარიც ორგანიზებული გახდა, რადგან ხელფასის ნორმები იქნა დაწესებული. სახელმწიფოს ორგანიზებულობის ხარისხიც გაიზარდა, ვინაიდან ეკონომიკური ურთიერთობების რეგულირების საჭიროება სულ უფრო მატულობდა.

ორგანიზებული (organized) კაპიტალიზმი

1900-იან წლებში კაპიტალიზმი მეორე ფაზაში შევიდა. მე-20 საუკუნის დასაწყისში მომგებიანობა შრომის ახალ პროცესებსა და ურთიერთობებს ემყარებოდა. ამ პროცესების ერთობლიობას ფორდიზმი ეწოდა, ავტომობილების მწარმოებლის ჰენრი ფორდის საპატივსაცემოდ, რომელმაც პირველმა დანერგა

მასობრივი წარმოების, კონვეიერული წარმოებისა და სამეცნიერო მენეჯმენტის (ტეილორიზმი) პრინციპები, აგრეთვე ხარისხიანი საქონლის მასობრივი მოხმარება, მაღალი ხელფასები და აქტიური რეკლამირება.
ფორდიზმის წარმატება დაკავშირებული იყო საქმიანი ურთიერთობების ჩამოყალიბებასთან ბიზნეს ინტერესებსა და პროფკავშირებს შორის. ამ უკანასკნელთა სიძლიერე წარმოადგენდა „ორგანიზებულობის“ კიდევ ერთ ელემენტს. სახელმწიფოს როლი ასევე გაიზარდა თავისუფალი მეწარმეობის უკუეფექტების დარეგულირებასა და ორგანიზებულ ბიზნესსა და ორგანიზებულ სამუშაო ძალას შორის შუამავლობის გაწევაში. ბაზრის ჩავარდნამ, რომელმაც გამოიწვია 1929-1934 წლების დიდი დეპრესია, შეარყია რწმენა ეკონომიკური ლიბერალიზმის იდეაში. იგი შეიცვალა ეგალიტარული ლიბერალიზმით, რომელიც გულისხმობს სახელმწიფოს როლის ზრდას ეკონომიკური განვითარების მართვაში და თავისუფალი ბაზრის უკუეფექტების თავიდან აცილებაში. სახელმწიფოს როლი მნიშვნელოვნად გაფართოვდა მოსახლეობის დასაქმების, ეროვნული ეკონომიკის მართვის და სოციალური დაცვის პროგრამების განხორციელების კუთხით. ეკონომიკური პოლიტიკის ამ მიმართულებას ეწოდება კეინსიანიზმი.

განვითარებული (advanced), გლობალიზებული კაპიტალიზმი

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კაპიტალიზმმა თანდათანობით დაიწყო შესვლა მესამე ფაზაში (სურათი 1.), რომელსაც ახასიათებს ეკონომიკაში მომსახურების წილის ზრდა მრეწველობასთან შედარებით, მრეწველობაში დასაქმებულთა რაოდენობის (მაგრამ არა სამრეწველო წარმოების) შემცირება და ეკონომიკის გლობალიზაცია (სადაც ტრანსნაციონალურმა კორპორაციებმა გადალახეს მთავრობებისა და პროფკავშირების მიერ დაწესებული შეზღუდვები). ყველაფერმა ამან ხელი შეუწყო ბიზნესს, სამუშაო ძალასა და სახელმწიფოს შორის ორგანიზებული ურთიერთობების დესტაბილიზაციას (ამიტომ მესამე ფაზას ხშირად დეზორგანიზებულ კაპიტალიზმსაც უწოდებენ). 1990-იანი წლებისთვის საერთაშორისო ვაჭრობის ორი-მესამედი მოდიოდა მსოფლიოს უდიდეს ტრანსნაციონალურ კორპორაციებზე.
ფორდიზმი გახდა საკუთარი წარმატების მსხვერპლი, რადგან მოხდა მასობრივი წარმოების ბაზრების გაჯერება პროდუქციით. როდესაც გართულდა მოგების მიღება მასობრივი წარმოებიდან, ბევრი კომპანია გადაერთო სპეციალიზებული ბაზრების მომსახურებაზე. ამგვარი სპეციალიზაცია მოითხოვდა მოქნილ საწარმოო სისტემას. ეკონომიკის მთავარ მამოძრავებელ ძალად იქცა გლობალური ინფორმაციული ეკონომიკა, წარმოებისა და მენეჯმენტის ახალი მოდელი, რომლის დროსაც მწარმოებლურობა და კონკურენცია ემყარება ახალი ცოდნის შეძენას და სათანადო ინფორმაციის მოპოვებასა და დამუშავებას. ინფორმაციული ეკონომიკის ყველაზე მნიშვნელოვანი სექტორებია:

- მაღალტექნოლოგიური წარმოება
- დიზაინის მაღალი ინტენსივობის სამომხმარებლო საქონელი (მოდური ტანსაცმელი, გასართობი პროდუქცია)
- საფინანსო და ბიზნეს მომსახურება



Fig 1.2: Major features of economic change in the world's developed economies, 1790–present

სურათი №1 განვითარებული ქვეყნების ეკონომიკების ცვლილებათა ხასიათი 1790 წლიდან დღემდე

ტექნოლოგია და ეკონომიკური განვითარება

კაპიტალისტური ურთიერთობების ჩამოყალიბებას დიდად შეუწყო ხელი ახალი ტექნოლოგიების დანერგვამ. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ტექნოლოგიური სისტემების (ენერგიის წყაროების, სატრანსპორტო ტექნოლოგიების და მრეწველობის მოწინავე დარგების ერთობლიობა) განვითარებას. თითოეული სისტემა მოითხოვს განსხვავებული სახეობის რესურსებს, სამუშაო ძალას და სოციალურ-ინსტიტუციონალურ სტრუქტურას (ცხრილი 1.1). ახალი ტექნოლოგიების გამოჩენა დიდ კონკურენტულ უპირატესობას აძლევს იმ კომპანიებს, რომლებსაც იგი გააჩნიათ, თუმცა დროთა განმავლობაში ეს უპირატესობა შეიძლება ნაკლად გადაიქცეს, რადგან ამ ფირმებს გაუჭირდებათ ახალ ტექნოლოგიურ სისტემებთან ადაპტირება.

ცხრილი 1.1 ტექნოლოგიური სისტემები და მსოფლიო ეკონომიკის ევოლუცია

1. წყლის ძალაზე დაფუძნებული (1785 წლიდან, ინგლისში) ადრეული მექანიზაცია, დაფუძნებული წყლის ძალასა და ორთქლის ძრავებზე, აგრეთვე საფეიქრო მრეწველობისა და მეტალურგიის განვითარებაზე და სამდინარო სისტემების, არხებისა და გზების განვითარებაზე ნედლეულისა და

პროდუქციის გადასაზიდად
2. ორთქლის ტრანსპორტზე დაფუძნებული (1820 იანი წლები) ემყარება ქვანახშირზე მომუშავე ორთქლის ძრავებს, ფოლადის ნაწარმს, რკინიგზას, მსოფლიო გადაზიდვებსა და მექანიზაციას
3. ფოლადსა და ელექტროენერგიაზე დაფუძნებული (1870-იანი წლებიდან) შიდა წვის ძრავის, ნავთობის, პლასტმასის, ავტომობილების, თვითმფრინავების, რადიოსა და ტელეკომუნიკაციების განვითარება
4. ფორდიზმი (1915 წლიდან აშშ-ში) ატომური ენერგიის ექსპლუატირება, აგრეთვე გამძლე, მაღალი ხარისხის საქონლის წარმოების, კოსმონავტიკის, ელექტრონიკისა და ნავთობქიმიკატების განვითარება
5. მიკროელექტრონიკასა და ბიოტექნოლოგიებზე დაფუძნებული (1970-იანი წლების ბოლოდან) უახლესი (ჯერაც დაუსრულებელი) ტექნოლოგიური სისტემა, რომელიც ემყარება მიკროელექტრონიკას, ციფრულ ტელეკომუნიკაციებს, ბიოტექნოლოგიებს, რობოტოტექნოლოგიასა და საინფორმაციო სისტემებს.

თანამედროვე ეკონომიკისთვის ძალზე მნიშვნელოვანი, ცოდნაზე დაფუძნებული მრეწველობები ექვემდებარებიან მასშტაბის ეფექტის გაზრდას (increasing returns to scale), რადგან მასში ჩართულ ბიზნესებს სამი თვისება აერთიანებთ: 1) მაღალი ფიქსირებული ხარჯები, განსაკუთრებით კვლევასა და განვითარებაში და დაბალი ცვლადი ხარჯები. მაგალითად კომპიუტერული პროგრამის შექმნის ხარჯები იგივეა მიუხედავად იმისა თუ რამდენი ერთეული გაიყიდება. შედეგად, რაც უფრო დიდია გაყიდვების მოცულობა, მით მეტია მარჟა. 2) როდესაც კომპიუტერული პროგრამა ფართო გავრცელებას ჰპოვებს, იგი გახდება სტანდარტული (Windows XP, Adobe Acrobat) ყველა მომხმარებლისათვის, რაც ბაზრის ლიდერებს აძლევს კონკურენტულ უპირატესობას. 3) მომხმარებელთა ერთგულება არის გარანტი მომავალი გაყიდვებისა, როდესაც კომპიუტერული პროგრამა გაუმჯობესდება.

1. 2 შრომის ტერიტორიული დანაწილება

კაპიტალიზმის ევოლუციამ და მასთან დაკავშირებულმა გრძელმა ტალღებმა წარმოშვეს შრომის ტერიტორიული დანაწილება. შრომის დანაწილება ფირმების შიგნით და მათ შორის არ არის უცვლელი. იგი დამოკიდებულია იმ ისტორიულ-სტრუქტურულ კონტექსტზე, რომლის ფარგლებშიც უნდა საქმიანობდნენ ფირმები. ფორდისტულ პერიოდში ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა აშშ და ბრიტანეთი შრომის დანაწილება ხდებოდა ეროვნული ეკონომიკის შიგნით. წარმოების კუთხით, ქარხნები, ფირმები და მრეწველობა წარმოადგენდა ეროვნულ ფენომენს და ორგანიზებული იყო ეროვნული ბაზრების ირგვლივ. მართალია, ხშირი იყო შრომისა და ტექნოლოგიების იმპორტი, მაგრამ ისინი მკაცრად რეგულირდებოდნენ სახელმწიფოს მიერ.

მრეწველობის წამყვანი დარგების შრომის ტერიტორიული დანაწილება დაფუძნებული იყო რეგიონულ სპეციალიზაციაზე. ეროვნულ ეკონომიკებს ახასიათებდათ რეგიონული დიფერენციაცია. საქალაქო აგლომერაცია ეკონომიკური ორგანიზაციის ძირითადი ფორმა იყო მრეწველობის მრავალ

დარგში. მაგალითად, აშშ-ის ჩრდილო-აღმოსავლეთში არსებობდა არაერთი სპეციალიზებული სამრეწველო კლასტერი: ფოლადი პიტსბურგში, ავტომობილები დეტროიტში, ქიმიკატები ვილმინგტონში და ა.შ. ქალაქები და რეგიონები ასოცირებულნი იყვნენ კონკრეტულ პროდუქტთან.

გლობალიზაცია და შრომის ტერიტორიული დანაწილება

ნეო-ფორდისტული გლობალიზებული კაპიტალიზმის პირობებში, ამგვარი რეგიონული სპეციალიზაცია აღარ არის ფართოდ გავრცელებული. ამჟამად, შრომის ტერიტორიული დანაწილების სტრუქტურა გამომდინარეობს ცალკეული მრეწველობის დარგების ხასიათიდან და საჭიროებებიდან. რეგიონულ სპეციალიზაციასთან ერთად, არსებობს შრომის ტერიტორიული დანაწილების სხვა სახეებიც:

1. მენეჯმენტი და კვლევა ხორციელდება მეტროპოლიებში, კვალიფიციური მუშახელი გამოიყენება „ძველ“ სამრეწველო ცენტრებში, ხოლო არაკვალიფიციური მუშახელი – რეგიონულ პერიფერიებში, სადაც არის დაბალი ხელფასები და დეზორგანიზებული (არ არიან პროფკავშირებში გაერთიანებულნი) სამუშაო ძალა.
2. მენეჯმენტი და კვლევა ხორციელდება მეტროპოლიებში, არაკვალიფიციური მუშახელი გამოიყენება რეგიონულ პერიფერიებში.
3. მენეჯმენტი და კვლევა ხორციელდება და კვალიფიციური მუშახელი გამოიყენება განვითარებულ ინდუსტრიულ რეგიონებში, ხოლო არაკვალიფიციური მუშახელი – გლობალურ პერიფერიებში.
4. შრომის დანაწილება ხდება ინვესტიციების, ტექნოლოგიური ცვილებებისა და მზარდი დასაქმების მქონე რეგიონებსა და ნაკლებად კონკურენტული წარმოებისა და შემცირებული დასაქმების მქონე რეგიონებს შორის.

შრომის ახალი სივრცითი დანაწილება შესაძლებელი გახდა ახალი სატრანსპორტო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოჩენის შედეგად, რომელთა მეშვეობითაც ფირმებს შეუძლიათ წარმოების დეცენტრალიზაცია და ამავე დროს ცენტრალიზებული კონტროლის შენარჩუნება. ახლა არსებობს ინტენსიური ურთიერთქმედების შესაძლებლობა გეოგრაფიული სიახლოვის გარეშე. ფირმების სათაო ოფისები შეიძლება მდებარეობდნენ განვითარებულ ქვეყნებში, მაგრამ წარმოების საშუალებები განათავსონ ისეთ ადგილებში, სადაც კვალიფიციური, იაფი და დეზორგანიზებული სამუშაო ძალაა.

შრომის ახალ საერთაშორისო დანაწილებაში ინვესტიციები და წარმოება აღარ არის ორგანიზებული უმთავრესად ეროვნული ეკონომიკის ირგვლივ. წარმოების პროცესი, განსაკუთრებით ავტომობილების, ელექტრონიკისა და კომპიუტერული პროგრამების ინდუსტრიაში უკვე გლობალურ ხასიათს ატარებს. კომპონენტების, ან სპეციფიური სერვისების შეძენა ხდება სხვადასხვა ქვეყნის მრავალი მომწოდებლისგან, რის საფუძველზეც მზადდება პროდუქცია, ასევე რამდენიმე ქვეყანაში. სულ უფრო რთული ხდება პროდუქტის „ნაციონალობის“ დადგენა. მაგალითად, ამერიკული საავტომობილო კომპანიები საკუთარი სახელით ახდენენ იაპონიიდან მანქანების იმპორტს და იაპონური კომპანიები აწარმოებენ ავტომობილებს აშშ-ში (მაგ.: „ჰონდა“ ქალაქ მერისვილში). ბევრი ტრანსნაციონალური კორპორაციისთვის კაპიტალისა და შრომის ბაზრები და ოფისების ადგილმდებარეობა წარმოადგენს გლობალური სასაქონლი ჯაჭვის

ნაწილს. პატარა ფირმებსაც შეუძლიათ აწარმოონ გლობალური საქმიანობა, ასე რომ ახალი პირობებით არ სარგებლობენ მხოლოდ დიდი ტრანსნაციონალური კორპორაციები.
ეკონომიკის გლობალიზაციის ტემპი დაჩქარდა 1960-იანი წლებიდან. მაგალითად, 1961-დან 1976 წლამდე გერმანულ ფირმებში დასაქმებულთა რაოდენობა გერმანიის ფარგლებს გარეთ გაათმაგდა. ამავე პერიოდში გაორმაგდა საერთაშორისო ოპერაციების განმახორციელებელი ფირმების რაოდენობა. ამერიკული და ბრიტანული ფირმების საგარეო ოპერაციების ზრდის ტემპები კიდევ უფრო მაღალი იყო.
ეს ტენდენცია გააძლიერა სახელმწიფოს კონტროლს მიღმა არსებული კაპიტალის კოორდინირების საერთაშორისო ინსტრუმენტებმა (მაგ.: ევროდოლარების ცირკულაცია აშშ-ის საზღვრებს გარეთ) და ოფშორულმა ფინანსურმა ცენტრებმა, რომლებიც ემსახურებიან შრომის ახალ საერთაშორისო დანაწილებას. ბოლო ათწლეულებში მნიშვნელოვნად გაიზარდა გლობალური სავალუტო ბაზრის (FOREX) მოცულობა, რომელიც ახლა შეადგენს აშშ-ის მთლიანი შიდა პროდუქტის 10%-ს.
ეროვნული ეკონომიკები აღარ წარმოადგენენ მსოფლიო ეკონომიკის ერთადერთ „სამშენებლო ბლოკებს“. მრავალი სახეობის სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო საქონლისა და მომსახურების წარმოებამ და ბაზრებმა მიაღწიეს მსოფლიო მასშტაბებს. ამ ცვლილებებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს ეკონომიკური საქმიანობების სივრცით დანაწილებაზე, როგორც გლობალურად, ასევე ქვეყნების შიგნითაც. გლობალურად, მოხდა ახალი ინდუსტრიული ქვეყნების (ბრაზილია, ჰონ კონგი, მექსიკა, სინგაპური, სამხრეთ კორეა და ტაივანი და ა.შ.) ეკონომიკის საგრძნობი ზრდა. აგრეთვე, მოხდა სიმდიდრის ძლიერი პოლარიზაცია, მსოფლიო ბანკის (2000წ) მონაცემებით, 20 უმდიდრესი ქვეყნის შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე 37-ჯერ აღემატება 20 უღარიბესი ქვეყნის იმავე მაჩვენებელს და ეს სხვაობა გაორმაგდა ბოლო 40 წლის განმავლობაში. ცენტრალურ, ინდუსტრიულ ქვეყნებში შრომის ახალმა საერთაშორისო დანაწილებამ მოახდინა დასაქმების გადანაცვლება წარმოებიდან მომსახურების სექტორში და რეგიონული ეკონომიკების მასობრივი რესტრუქტურიზაცია. მაგალითად, ბრიტანეთში სამი რეგიონი გახდა მსხვერპლი „ტრადიციული“ მრეწველობის დაკარგვისა, ხოლო ახალმა დარგებმა ვერ შეძლეს მათი ჩანაცვლება: 1) მე-19 საუკუნის ინდუსტრიალიზაციის ცენტრები ინგლისის ჩრდილოეთში, სამხრეთ უელსსა და ცენტრალურ შოტლანდიაში. 2) ლონდონისა და სხვა მეტროპოლიების ცალკეული უბნები, ღარიბი მოსახლეობითა და არაკვალიფიციური სამუშაო ადგილებით, რომლებსაც ისინი იკავებდნენ. 3) 1950-იანი და 60-იანი წლების მრეწველობის მზარდი დარგების ცენტრები (ავტომობილები და ინჟინერია) მიდლენდში და ჩრდილო-დასავლეთ ინგლისში.
ჩვენ დავეყრდნობით პირველი თავის ამ ზოგად სტრუქტურას წიგნის დანარჩენ ნაწილში მსოფლიო ეკონომიკის გეოგრაფიის ანალიზის დროს. მეორე თავში განხილულია მსოფლიო ეკონომიკის ფარგლებში არსებული თანამედროვე ეკონომიკური ლანდშაფტი. მესამე თავში მოცემულია გლობალური ისტორიული მიმოხილვა, რომელიც წარმოადგენს კონტექსტს წიგნის დანარჩენი ნაწილისთვის. მეორე ნაწილში აღწერილია ცენტრალური ეკონომიკების –

ევროპა, აშშ, იაპონია – მასშტაბებისა და კომპლექსურობის ზრდისკენ მიმავალი გზები და მათი დღევანდელი მდგომარეობა.

თავი 2. მსოფლიო მოდელები და ტენდენციები

ამ თავში ჩვენ აღვწერთ თანამედროვე ეკონომიკური ლანდშაფტის ძირითად კანონზომიერებებს. სივრცე თავისთავად არ გულისხმობს ეკონომიკურ აქტივობებს და ეკონომიკური განვითარების სრულ ანალიზს, რომ არაფერი ვთქვათ რესურსების, მრეწველობის, საქონლის ნაკადების, მომსახურების და კაპიტალის მიმოხილვაზე. ამგვარი კატალოგის შექმნა არ არის ჩვენი მიზანი. ჩვენი მიზანია დომინანტი და განმეორებადი მოდელების იდენტიფიცირება და ასევე მათი ძირითადი გამონაკლისების განსაზღვრა და იმ პროცესების გამოვლენა, რომლებიც ხელს უწყობენ ამ მოდელების განვითარებას.
ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ფართოდ აღიარებულია, რომ ეკონომიკური გეოგრაფიის დომინანტი კომპონენტები გლობალური მასშტაბით გადანაწილებულია ცენტრსა და პერიფერიას შორის არსებული განსხვავებების თვალსაზრისით. მეიერმა და ბოლდუინმა (1957) სავარაუდოდ ყველაზე ადრე სცადეს ცენტრისა და პერიფერიის ამ სტრუქტურის კონცეპტუალური აღწერა გლობალური მასშტაბით. მათი აზრით სახელმწიფო დგას მსოფლიო ეკონომიკის ცენტრში, „თუ ის თამაშობს დომინანტ, აქტიურ როლს მსოფლიო ვაჭრობაში. როგორც წესი, ასეთი ქვეყანა არის მდიდარი, საბაზრო ეკონომიკის მქონე, ინდუსტრიული, ან ინდუსტრიულ-აგრარული ტიპის. მსოფლიო ვაჭრობა ტრიალებს მის გარშემო. ის არის მსხვილი ექსპორტიორი და იმპორტიორი და კაპიტალის საერთაშორისო ბრუნვა მიმდინარეობს ამ ქვეყნიდან სხვა ქვეყნებში.“ ხოლო პერიფერიულად ქვეყანა შეიძლება ჩაითვალოს, თუ ის მეორეხარისხოვან, პასიურ როლს თამაშობს მსოფლიო ვაჭრობაში. ამ ტიპის ქვეყნებში შეიძლება იყოს საბაზრო, ან ნატურალური მეურნეობის ტიპის ეკონომიკა. ამ ტიპის ქვეყნების ეკონომიკის საერთო თვისებაა დამოკიდებულება ცენტრზე, როგორც იმპორტის წყაროზე, ექსპორტის დანიშნულების ადგილზე და კაპიტალის მსესხებელზე.

2.1 გლობალური მოდელები და ტრენდები

1960-იანი წლებიდან აშკარა გახდა, რომ საერთაშორისო სოციოეკონომიკური უთანასწორობა თანდათან უფრო მკვეთრად გამოხატული ხდებოდა. გაჩნდა მრავალი კრიტიკული ნაშრომი, რომლებშიც აღნიშნული იყო, რომ განვითარებული ქვეყნების (აშშ, ევროპა, იაპონია) წარმატებულობა ეფუძნებოდა ყველაზე ნაკლებად განვითარებული ქვეყნების სიღატაკეს. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ ევროპის და ჩრდილოეთ ამერიკის განვითარება დამოკიდებული იყო ყველაზე ნაკლებად განვითარებული ქვეყნების პერმანენტულ განუვითარებლობაზე. არათანაბარი ვაჭრობის, სამუშაო ძალის ექსპლუატაციის და მოგების ამოღების საშუალებით განუვითარებელი ქვეყნები სულ უფრო მეტად ღარიბდებოდნენ.
იმანუელ ვალერშტაინის (Immanuel Walerstein) მსოფლიო-სისტემის თეორიის (1984) მიხედვით მსოფლიო ეკონომიკა არის განვითარებადი საბაზრო სისტემა, სადაც

ქვეყნების ეკონომიკური იერარქია – ცენტრი, ნახევრად-პერიფერია და პერიფერია - არის პროდუქტი ტალღოვანი ეკონომიკური რითმებისა, რომელიც განსაზღვრავს სისტემის დინამიკას. აღნიშნული ეკონომიკური ტალღების დინამიურობის გამო თითოეული კატეგორიის შემცველობა ექვემდებარება ცვლილებებს: ქვეყნებმა შეიძლება გადაინაცვლონ პერიფერიიდან ნახევრად-პერიფერიაში, ცენტრიდან პერიფერიაში და ა.შ. ტერმინები "ცენტრალური ქვეყნები" (core countries) ხასიათდებიან ეკონომიკური ურთიერთობებით, სადაც არის მაღალი ხელფასები, მოწინავე ტექნოლოგიები და დივერსიფიცირებული პროდუქცია, "პერიფერიულ ქვეყნებში" არის დაბალი ხელფასები, ჩამორჩენილი ტექნოლოგიები და პროდუქციის დივერსიფიკაციის დაბალი დონე. "ნახევრად-პერიფერია" კი შერეული მახასიათებლებით გამოირჩევა. მიიჩნევა, რომ პერიფერიულ ქვეყნებს ექსპლუატაციას უწევენ ნახევრად-პერიფერიული ქვეყნები, ხოლო ამ უკანასკნელთ, ანდა ორივეს, ექსპლუატაციას უწევენ ცენტრალური ქვეყნები.

2.1 სურათი: მსოფლიო – სისტემა: ცენტრი, ნახევრად-პერიფერია და პერიფერია



Fig 2.1: The world-system: core, semi-periphery and periphery

2.1 სურათში მოცემულია მსოფლიოს დაყოფა სამ კატეგორიად, რომელიც ეფუძნება ქვეყნების მთლიანი შიდა პროდუტის (მშპ) მოცულობას და ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს. მშპ არის ქვეყნის საზღვრებში წარმოებული მთლიანი საბოლოო საქონლისა და მომსახურების ღირებულება, რომელიც იწარმოება ქვეყნის მიერ მოცემულ წელს. იმისათვის, რომ მოხდეს მისი სტანდარტიზირება ქვეყნების სიდიდეებს შორის სხვაობის მიხედვით, სტატისტიკა იყოფა ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობაზე, ეს გვაძლევს ინდიკატორს – მშპ ერთ სულ

მოსახლეზე, რაც ეკონომიკური განვითარების დონის კარგ საზომს წარმოადგენს. (მთლიანი ეროვნული პროდუქტი მსგავსი საზომია, იგი შეიცავს საზღვარგარეთიდან მიღებულ შემოსავალსაც, მაგ.: შემოსავლები და დანახარჯები საზღვარგარეთ ჩადებული ინვესტიციებიდან). ქვეყნები რომლებსაც აქვთ მაღალი მშპ-ის საერთო მოცულობა და ერთ სულ მოსახლეზე მშპ, არიან პოლიტიკურად ძლიერი სახელმწიფოები, დიდი შიდა ბაზრით, მაღალი ხელფასებით, წარმოებაში კაპიტალის ინტენსივობის მაღალი დონით – ყოველივე ეს არის ცენტრალური ქვეყნის მახასიათებელი. ხოლო ქვეყნები, რომლებსაც აქვთ დაბალი მშპ-ის საერთო მოცულობა და ერთ სულ მოსახლეზე მშპ, არიან სუსტი სახელმწიფოები, ხასიათდებიან დაბალი ხელფასებითა და წარმოებაში სამუშაო ძალის მაღალი ინტენსივობით. ნახევრად-პერიფერიულ ქვეყნებს ზემოაღნიშნულ მახასიათებლებში საშუალო მაჩვენებლები აქვთ, ამ კატეგორიაში შედის რესურსის ექსპორტიორი ზოგიერთი ქვეყანა, მაგ.: საუდის არაბეთი და სამხრეთ აფრიკა, ცოტა ხნის წინ ინდუსტრიალიზებული ქვეყნები, როგორებიც არიან: მექსიკა, ბრაზილია, ჰონ კონგი და სინგაპური. ნახევრად-პერიფერიაში შედის ჩინეთი და ინდოეთი, შედარებით ღარიბი ევროპული ქვეყნები: საბერძნეთი და პორტუგალია, აღმოსავლეთ ევროპის პოსტ-სოციალისტური ქვეყნები და რუსეთი.

საერთაშორისო შედარებებისთვის მეპ-ს და მშპ-ს გამოყენება შეიძლება პრობლემატური გახდეს, რადგან ისინი ეფუძნებიან თითოეული ქვეყნის ფულის ერთეულს. ბოლო დროს შესაძლებელი გახდა ეროვნული ვალუტების შედარება მსყიდველობითი უნარის პარიტეტის **(მუპ)** საფუძველზე. **მუპ** აფასებს, თუ საქონლისა და მომსახურების საერთო საბაზრო კალათის რა რაოდენობის შეძენა შეუძლია თითოეულ ვალუტას ლოკალურად, მ.შ. საქონელი და მომსახურება, რომელიც საერთაშორისო ვაჭრობისთვის არ არის განკუთვნილი. მუპ-ზე დაფუძნებული ვალუტის ღირებულების გამოყენება ეკონომიკური განვითარების დონეების შესადარებლად, როგორც წესი გვაძლევს მშპ-ის უფრო დაბალ მაჩვენებელს მდიდარ ქვეყნებში და უფრო მაღალ მაჩვენებელს ღარიბ ქვეყნებში, ბაზარზე დაფუძნებულ გაცვლით კურსთან შედარებით. მიუხედავად მდიდარსა და ღარიბს შორის სხვაობის ამგვარი შემცირებისა, ეკონომიკური კეთილდღეობა საკმაოდ არათანაბრადაა გადანაწილებული ქვეყნებს შორის.

აღსანიშნავია, რომ სხვაობა მდიდარსა და ღარიბს შორის კი არ მცირდება, არამედ იზრდება. შევადაროთ ერთმანეთს ორი უდიდესი განვითარებადი ქვეყანა (LDC: ჩინეთი და ინდოეთი და ყველაზე დიდი განვითარებული ეკონომიკების მქონე ქვეყნები: აშშ, იაპონია და გერმანია (სურ.2.2). 1975 და 2005 წლების პერიოდში სხვაობა ჩინეთსა და იაპონიას შორის ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ში 50%-ით გაიზარდა (შეფასებულია მუდმივ 2000 დოლარში), ხოლო სხვაობა ჩინეთსა და აშშ-ს შორის დაახლოებით ორი-მესამედით გაიზარდა. ინდოეთი კიდევ უფრო მეტად ჩამორჩა იაპონიასა და აშშ-ს (სხვაობამ ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ში 80% შეადგინა).

სურათი2.2 მშპ (GDP) ერთ სულ მოსახლეზე, მუპ (PPP) მუდმივ 2000 დოლარში



ჩანართი: შიდსი და განვითარების საფრთხე სუბ-საჰარის აფრიკაში

შიდსის ვირუსის შედეგად აფრიკის ბევრი ქვეყნის ეკონომიკის დასუსტება კიდევ უფრო გაზრდის მსოფლიოში სხვაობას მდიდარსა და ღარიბს შორის. მიუხედავად იმისა, რომ სუბ-საჰარის რეგიონის მოსახლეობა შეადგენს მსოფლიოს მოსახლეობის 12%-ს, რეგიონში ცხოვრობს მსოფლიოში შიდსით ინფიცირებულთა 63% (2006). შიდსი ასუსტებს ქვეყნის ეკონომიკას, რაც გამოიხატება შემდეგში:

- პროდუქტიულობა მცირდება, რადგან შიდსით გამოწვეული სიკვდილიანობა ამცირებს გამოცდილი მუშახელის რაოდენობას
- ზარალდება საერთაშორისო კონკურენტუნარიანობა წარმოების მაღალი ხარჯების მიერ, პროფესიონალი მუშახელის ნაკლებობის გამო
- ახალი სამუშაო ადგილები ნაკლებად იქმნება შემცირებული საბიუჯეტო შემოსავლებისა და კერძო დანაზოგების გამო
- იზრდება დანახარჯები პრევენციისთვის და ჯანდაცვისთვის
- იზრდება წნეხი სოციალური დაცვის სისტემაზე, მ.შ. სიცოცხლის დაზღვევასა და საპენსიო ფონდებზე, რომლებიც კაპიტალის მნიშვნელოვანი წყაროებია სახელმწიფოსა და კერძო სექტორისთვის.

2.1 რას ნიშნავს ეკონომიკური განვითარება

ძირითადი საერთაშორისო ეკონომიკური განსხვავებულობანი, არა მარტო ასახავს განსხვავებებს კეთილდღეობის მიხედვით, არამედ ეკონომიკური ორგანიზაციის ფორმების, სხვადასხვა სახის სარესურსო ბაზის, დემოგრაფიული თვისებების, პოლიტიკური სისტემების და საერთაშორისო სპეციალიზაციისა და ვაჭრობის სისტემაში როლების მიხედვით. ამიტომ ეკონომიკური განვითარების

განმარტება და გაზომვა პრობლემატურია. როგორც ვნახავთ, უფრო მეტი საფუძველია განუვითარებლობის განხილვისა ვიდრე განვითარების, როცა საქმე ეხება ყველაზე ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებს, რადგან ტერმინი „განვითარება“ ნიშნავს გაუმჯობესებისკენ სვლას, როგორც შედარებითი ისე აბსოლუტური თვალსაზრისით.

ამჟამად ფართოდაა მიღებული აზრი, რომ „განვითარება“ უფრო ფართო ცნებას – სოციალურ კეთილდღეობას მოიცავს. ვიწრო გაგებით ეკონომიკური განმარტებები კი მართალია უფრო ზუსტია, მაგრამ სურათის მხოლოდ ნაწილს გვიხატავს. ისინი მოიცავენ ცვლილებებს რაოდენობაში, შემადგენლობაში, ზრდის დონეში, რესურსების განაწილებასა და მოხმარებაში, მაგრამ ისინი არ ასახავენ იმ ეფექტს, რომელიც მათ აქვთ ადამიანთა ცხოვრებაზე. ეს აშკარად ასახულია გაეროს ათასწლეულის განვითარების მიზნებში:

1. უკიდურესი შიმშილობისა და სიღარიბის აღმოფხვრა
2. უნივერსალური პირველადი განათლების მიღწევა
3. გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა და ქალების უფლებების დაცვა
4. ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება
5. დედების ჯანმრთელობის გაუმჯობესება
6. შიდსთან, მალარიასთან და სხვა დაავადებებთან ბრძოლა
7. გარემოს დაცვა
8. განვითარებისათვის გლობალური თანამშრომლობის გაზრდა

შემდგომში განვითარება განხილულ უნდა იქნეს არა მხოლოდ შემოსავლისა და მოხმარების, არამედ ადამიანთა ჯანმრთელობის დონის, განათლების, საცხოვრებელი პირობების, უსაფრთხოების, ადამიანის უფლებების დაცვის და ა.შ. თვალსაზრისით. ამ კუთხით, განვითარება ნორმატიული კონცეფციაა, ე.ი. იგი მოიცავს ღირებულებებს, მიზნებსა და სტანდარტებს, რაც შესაძლებელს ხდის კონკრეტული სიტუაცია სასურველს შევადაროთ. განვითარება სათანადოდ შეიძლება შეფასებულ იქნეს მხოლოდ საზოგადოებრივი საჭიროებებისა და ღირებულებების კონტექსტში, რომლებიც გააჩნიათ ცვლილებებისკენ მიმავალ საზოგადოებებს. თუმცა „განვითარება“ გულისხმობს ეკონომიკურ, სოციალურ, პოლიტიკურ და კულტურულ ტრანსფორმაციებს, ისინი უნდა იქნენ გაგებული არა როგორც თვითმიზანი, არამედ როგორც სოციალური კეთილდღეობისა და ცხოვრების დონის ზრდის საშუალებები.

გაეროს განვითარების პროგრამამ (UNDP) აღიარა რა ეროვნული შემოსავლების (მშპ და მეპ) საზომების ნაკლოვანებები, შეიმუშავა ადამიანის განვითარების ინდექსი (UNDP,1994). ეს ინდექსი აერთიანებს ქვეყნების მონაცემებს განვითარების სამ ძირითად კომპონენტში: 1. ფიზიკური კეთილდღეობა, რომელიც იზომება სიცოცხლის ხანგრძლივობით; 2. განათლება, რომელიც გამოითვლება ზრდასრული მოსახლეობის წერა-კითხვის ცოდნისა (ორი მესამედი წილით) და სკოლაში სწავლის საშუალო ხანგრძლივობის კომბინაციით (მესამედი წილით). 3. ცხოვრების დონე, გამოითვლება ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ის მიხედვით, მსყიდველობითი უნარის პარიტეტის (მუპ) გათვალისწინებით.

მისი მიზანი არის არა ადამიანთა განვითარების სრული სურათის ჩვენება, არამედ ისეთი საზომის შემოღება, რომელიც მხოლოდ შემოსავალს არ აფასებს.

ადამიანის განვითარების ინდექსი არის ადამიანთა კეთილდღეობის ცვლილებისა და სხვადასხვა რეგიონებში პროგრესის შეფასების ბარომეტრი.
ბოლო ათწლეულის მანძილზე ადამიანის განვითარების ინდექსი იზრდება ყველა განვითარებად რეგიონში სუბ-საჰარის აფრიკის გარდა (სურათი 2.3). საერთო პროგრესის მიუხედავად ბევრმა ქვეყანამ განიცადა უპრეცედენტო უკუსვლა. 18 ქვეყანაში, რომელთა მოსახლეობის საერთო რაოდენობა 460 მილიონს შეადგენს, ადამიანის განვითარების ინდექსი 2005 წელს უფრო დაბალი იყო ვიდრე 1990 წელს. სურათი 2.4 ასახავს განვითარების გლობალურ მოდელს აღნიშნული ინდექსის მიხედვით. ლათინური ამერიკისა და აღმოსავლეთ აზიის ბევრი ქვეყნის ინდექსი ახლოსაა ჩრდილო-დასავლეთ ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის განვითარებული ქვეყნების მაჩვენებლებთან, მაშინ როცა სამხრეთ აზიასა და სუბ-საჰარის აფრიკას განვითარების საკმაოდ დაბალი დონე ახასიათებთ.
ამ წიგნში ჩვენ შევეხებით, როგორც მიზნებს ისე საშუალებებს და ჩვენი კვლევის საგანს განვიხილავთ ფართო პერსპექტივიდან, რომელიც განიხილავს ეკონომიკურ გეოგრაფიას, როგორც საზოგადოებრივი გეოგრაფიის დინამიურ ბირთვს. თანამედროვე კონტექსტში ამას მივყავართ ჯერ იმ საერთაშორისო მოდელების კვლევისკენ, რომლებიც ასახავენ ტრანსფორმაციის საშუალებებს: ესენია: რესურსების, მოსახლეობის, წარმოების, ვაჭრობის, ინვესტიციების, დახმარებების და ვალების მსოფლიო მოდელები. შემდეგ ჩვენ შევაჯამებთ მიზნებს ანუ სუფთა შედეგებს სოციალურ ეკონომიკური განვითარების საერთო ტიპოლოგიის თვალსაზრისით.

სურათი 2.3 რეგიონული ცვლილებები ჰუმანური განვითარების ინდექსის მიხედვით



სურათი 2.4 ჰუმანური განვითარების ინდექსი



Fig 2.4: UNDP Human Development Index, 2004

2.2 რესურსებისა და მოსახლეობის საერთაშორისო მოდელები

ბუნებრივი რესურსების გადანაწილება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საერთაშორისო ეკონომიკური საქმიანობისა და განვითარების მოდელებზე. რესურსების ნაკლებობას შეიძლება ანაზღაურდეს საერთაშორისო ვაჭრობის მეშვეობით (უპირველესი მაგალითი ამისა არის იაპონია). მაგრამ ქვეყნების უმეტესობისთვის რესურსების ბაზა არის განვითარების მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი.

ძალიან დიდი პროპორცია მსოფლიოს არა-განახლებადი რესურებისა კონცენტრირებულია რუსეთში, აშშ-ში, კანადაში, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასა და ავსტრალიაში. მაგალითად, აშშ-ში არის მსოფლიოს ნახშირწყალბადის (ნავთობი, ბუნებრივი გაზი, ფიქალი და სხვა) რესურსების 44 %, სპილენძის 19%, ტყვიის 15%, მურა ნახშირის 38%. რუსეთს აქვს მურა ნახშირის 50%, მარგანეცის 38%, რკინის 30%, ნახშირწყალბადის 18% და დამუშავებისთვის გამოსადეგი მიწის 20%. ამგვარი კონცენტრაცია ნაწილობრივ არის მიზეზი პოლიტიკური არასტაბილურობისა ექს-კოლონიურ აფრიკაში აზიასა და ლათინურ ამერიკაში. ამგვარი არასტაბილურობა მნიშვნელოვნად აფერხებს რესურსების მოკვლევასა და ექსპლოატაციას, ამიტომ რესურსების განაწილების თანამედროვე შეფასებები ვერ დაადგენენ რესურსების ნამდვილ მოცულობას ბევრ ყველაზე ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში.

უნდა აღინიშნოს, რომ ცალკეული რესურსების მნიშვნელობა ხშირ შემთხვევებში დამოკიდებულია ტექნოლოგიების განვითარებაზე. ტექნოლოგიების ცვლილებებთან ერთად რესურსებზე მოთხოვნილებაც იცვლება, მაგალითად ქვანახშირიდან ნავთობზე, გაზსა და ელექტროენერგიაზე გადასვლა მეოცე საუკუნის დასაწყისში და ბუნებრივიდან სინთეტიურ ბოჭკოზე გადასვლა მასობრივი წარმოების ქსოვილებისთვის. ეს ასევე ნიშნავს იმას, რომ რეგიონები და ქვეყნები რომლებიც ძლიერ არიან დამოკიდებულნი ერთ კონკრეტულ რესურსზე, ტექნოლოგიური ცვლილებების შედეგები მათზე უფრო სერიოზულ

გავლენას ახდენს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი ქვეყნებისათვის როგორებიც არიან: ბოლივია, ჩილე, გვინეა, გაიანა, ლიბერია, მავრიტანია, სიერა ლეონე, სურინამი და ზამბია, რომელთა ეკონომიკები ძლიერაა დამოკიდებული არა-საწვავ მინერალებზე.

ეკონომიკური განვითარება და გარემო

ამასობაში, მსოფლიოს ზოგიერთი ბუნებრივი რესურსის ექსპლუატაციის ხარისხი ასევე სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს. ეკონომიკური განვითარების გარდაუვალი სუბპროდუქტები: ნაგავი, ჰაერისა და წყლის დაბინძურება, მავნე ნარჩენები და ა.შ., უზარმაზარ მოთხოვნებს აყენებენ ეკოსისტემების წინაშე, მათი გადამუშავებისა და შტანთქმის თვალსაზრისით. დიდი მასშტაბების კომერციულ სოფლის მეურნეობას სერიოზული წვლილი შეაქვს მარგინალური გარემოს გაუდაბნოებაში (მაგ.: საჰელის რეგიონი). მაგრამ ყველაზე დრამატული შედეგი მოაქვს კომერციულ მეტყევეობას და სუბტროპიკული ტყეების გაუაზრებელ გაჩეხვას. მსოფლიო რესურსების ინსტიტუტის შეფასებით გლობალური გაჩეხვის შედეგად ყოველ საათში იკარგება 183 კმ^2 ფართობის ტყეები რაც წელიწადში ნორვეგიის ოთხჯერ მეტი ფართობის ტოლია. ამ პროცესის შედეგი გარდა სატყეო რესურსების დაკარგვისა არის სხვა ეკონომიკური და ეკოლოგიური პრობლემები: ადგილობრივი მოსახლეობისთვის საარსებო წყაროს დაკარგვა, წყალსაცავებში შლამის მომატება, ჰიდროელექტროსადგურების დაზიანება და წყალდიდობების რაოდენობის ზრდა, რასაც შედეგად მოაქვს ქონებრივი ზიანი მოსახლეობისთვის. ტყის გაჩეხვის კიდევ ერთი შედეგი არის გენეტიკური მრავალფეროვნების მნიშვნელოვნად შემცირება. ტროპიკულ ტყეებში ბინადრობს მცენარის, მწერის და ცხოველის მილიონობით სახეობა. ზოგიერთ მათგანს ადამიანის კეთილდღეობისთვის შეუფასებელი მნიშვნელობა აქვს. აღმოაჩინეს, რომ მადაგასკარის გველის სუროსგან შესაძლებელია ორი ძლიერი მედიკამენტის დამზადება ლეიკემიისა და ჰოჯკინის დაავადების სამკურნალოდ.

ადამიანთა აქტივობას შეუძლია გავლენა მოახდინოს კლიმატზე ატმოსფეროს შემცველობის შეცვლის შედეგად. დიდ ხიფათს წარმოადგენს ის როლი, რომელსაც ადამიანის საქმიანობა თამაშობს გლობალური დათბობის გამოწვევაში, ანუ მსოფლიოში ტემპერატურის ზრდაში და კლიმატის ცვლილებაში, რომელიც გამოწვეულია ტყის გაჩეხვით და წიაღისეული საწვავის მოხმარების შედეგად ატმოსფეროში ნახშირორჟანგის და სხვა აირების დონის ზრდით. გლობალური დათბობა დაკავშირებულია სათბურის ეფექტთან: სითბოს შეკავება ატმოსფეროში ნახშირორჟანგისა და სხვა აირების მიერ, რასაც მოყვება ატმოსფეროსა და დედამიწის ზედაპირის დათბობა. ნახშირორჟანგი გამოიყოფა წიაღისეული საწვავის მოხმარების და ტყის გაჩეხვის შედეგად და მისი დონე ატმოსფეროში მნიშვნელოვნად გაიზარდა ბოლო 100 წლის განმავლობაში ადამიანთა აქტივობის გამო. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ნახშირორჟანგის დონის მომატებამ შეიძლება გამოიწვიოს გლობალური ტემპერატურის 3 გრადუსით ზრდა შემდეგი 50 წლის განმავლობაში და ნალექების რაოდენობის და განაწილების ცვლილებები რეგიონების მიხედვით.

გარდა გლობალური დათბობისა, ტროპიკული ტყეების განადგურებისა და ამის შედეგად ბიომრავალფეროვნების დაკარგვისა, მსოფლიო დგას სხვა

ეკოლოგიური საფრთხეების წინაშე: გარემოს დაბინძურება, საკვების წარმოებისათვის აუცილებელი ნიადაგისა და წყლის რესურსების დეგრადაცია, მჟავა წვიმები და სხვა. აღნიშნული საფრთხეები უფრო მწვავეა პერიფერიებში და ეს ტენდენცია ამძაფრებს კონტრასტს მდიდარ და ღარიბ ქვეყნებს შორის. გარემოს დაცვის პრობლემები მჭიდროდაა დაკავშირებული დემოგრაფიულ ცვლილებებთან, ეკონომიკურ განვითარებასთან და ადამიანთა კეთილდღეობასთან. ეკონომიკის, გარემოსა და სოციალური პრობლემების სივრცობრივი ურთიერთდამოკიდებულება ნიშნავს, რომ მსოფლიოს ზოგიერთი ნაწილი წარმოადგენს ეკოლოგიურ ბომბს. პერსპექტივა სამოქალაქო არეულობისა და მასობრივი მიგრაციებისა, რომლებიც გამოწვეული იქნება მოსახლეობის სწრაფი ზრდით, გაუდაბნოებით, ნიადაგის ეროზიით, ჰაერის დაბინძურებით, წყლის მარაგის გამოლევით, ეპიდემიებითა და სიღარიბით სავსებით რეალურია. ეს საკითხები საგანგაშოა არა მხოლოდ დაზარალებული რეგიონებისთვის, არამედ განვითარებული ქვეყნებისთვისაც, რომელთა უწყვეტი კეთილდღეობა დამოკიდებული იქნება გლობალიზაციის პროცესებზე, რომლებიც არ უნდა შეფერხდნენ ფართომასშტაბიანი ეკოლოგიური კატასტროფებით, უმართავი მასობრივი მიგრაციით, ან მსოფლიო სისტემის სტაბილურობის დარღვევით.

მდგრადი განვითარება

გლობალური დათბობის ზემოქმედებამ ეკონომიკასა და გარემოზე მნიშვნელოვნად გაზარდა მდგრადი განვითარების მნიშვნელობა, რომელიც გულისხმობს ეკონომიკის ისეთ განვითარებას რომელიც აწმყოს მოთხოვნილებებსა და მისწრაფებებს დააკმაყოფილებს ისე, რომ ამის საშუალება არ მოსპოს მომავალში. გარემოსა და განვითარების მსოფლიო კომისიამ, ნორვეგიის ყოფილ პრემიერ მინისტრ გრო ჰარლემ ბრუნდტლანდის თავმჯდომარეობით გამოაქვეყნა ანგარიში "ჩვენი საერთო მომავალი" (Brundtland report, 1987), რომელშიც ხაზი გაუსვა ეკონომიკური და ეკოლოგიური კრიზისების ინტენსიფიკაციასა და ურთიერთდამოკიდებულებას და მხარი დაუჭირა მდგრადი განვითარების პრინციპს. მდგრადი განვითარება ნიშნავს განახლებადი ბუნებრივი რესურსების იმგვარად გამოყენებას, რასაც შედეგად არ მოჰყვება მათი განადგურება ან დეგრადირება, მაგ.: მზისა და გეოთერმული ენერგიის, ასევე გადამუშავებული მასალის უფრო მეტად გამოყენება. ეს ნიშნავს ეკონომიკური სისტემის იმგვარად მართვას, რომ ფიზიკური და ადამიანური რესურსი ოპტიმალურად იქნეს გამოყენებული, განვითარების შედეგად მიღებული სიკეთე სამართლიანად იქნეს გადანაწილებული. ყველაზე რადიკალური ასპექტი მდგრადი განვითარებისა არის საყოველთაო გლობალიზაციიდან გადასვლა ლოკალიზაციისაკენ, როდესაც წარმოება, მოხმარება და გადაწყვეტილებების მიღება ადგილობრივ მოთხოვნილებებსა და პირობებზეა ორიენტირებული.

მდგრადი განვითარება ჯერჯერობით უტოპიაა. საყოველთაო დისკუსია მდგრად განვითარებასთან დაკავშირებით გაიმართა 90-იანი წლების დასაწყისში, კერძოდ "დედამიწის სამიტზე" (გაეროს კონფერენცია გარემოსა და განვითარებაზე) რიო დე ჟანეიროში 1992 წელს, რომელსაც დაესწრო 128 სახელმწიფოს მეთაური. ამ კონფერენციაზე მოყვანილ იქნა წარმატებული მდგრადი განვითარების

პროგრამის ბევრი მაგალითი ადგილობრივ დონეზე, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ტერასები პერუს ტიტიკაკას აუზში, რომლებსაც საუკუნეების განმავლობაში იყენებდნენ სოფლის მეურნეობაში ევროპულ კოლონიზაციამდე. ამ კონფერენციის შემდეგ ბევრმა დამკვირვებელმა ხაზი გაუსვა ინტერესთა ღრმა კონფლიქტს ცენტრალურ და პერიფერიულ ქვეყნებს შორის.

ბრუნდტლანდის ანგარიშმა აჩვენა, რომ ერთ-ერთი სერიოზული წინაღობა მდგრადი განვითარებისთვის არის ძლიერი დამოკიდებულება წიაღისეულ საწვავზე, როგორც ენერგიის ძირითად წყაროზე ეკონომიკური განვითარებისთვის. ეს არამარტო ხელს უწყობს საერთაშორისო უთანასწორობას, არამედ იწვევს ტრანსნაციონალურ პრობლემებს, როგორებიცაა: მჟავა წვიმა, გლობალური დათბობა, კლიმატური ცვლილებები, გაუდაბნოება და ადამიანის ჯანმრთელობისათვის საფრთხეები. ანგარიშში აღნიშნულია, რომ მდგრადი ალტერნატივა – განახლებადი ენერგეტიკული რესურსები, როგორიცაა მზის ენერგია, მოქცევის ტალღები, ქარი, გეოთერმული და ჰიდროელექტროენერგია – გულგრილ დამოკიდებულებას ხვდება ძლიერი კორპორაციების და მთავრობების ინტერესების გამო, რომლებიც წიაღისეული საწვავის რესურსებს აკონტროლებენ.

დემოგრაფიული ზრდა ყველაზე ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში ბრუნდტლანდის ანგარიშის მიხედვით არის მეორე უმნიშვნელოვანესი წინაღობა მდგრადი განვითარებისათვის, რომელიც შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსახლეობის რაოდენობა და ზრდა ჰარმონიაში მოვა ეკოსისტემის ცვალებად საწარმოო ძალასთან. დაახლოებით 800 მილიონ ადამიანს ჯერაც არ გააჩნია საკმარისი საკვები (გაერო, 2001). ურთიერთზემოქმედებათა სირთულე დემოგრაფიულ ცვლილებებსა და ეკონომიკურ განვითარებას, განათლებას, კულტურასა და რესურსებს შორის საკმაოდ ართულებს მდგრადი განვითარების მიღწევას. უმთავრესი წინაღობა მდგრადი განვითარებისთვის, ბრუნდტლანდის ანგარიშის მიხედვით არის ინსტიტუციური სტრუქტურების გაუმართაობა. მდგრადი განვითარება მოითხოვს, რომ ეკონომიკური, ფისკალური და ფინანსური გადაწყვეტილებები მთლიანად ინტეგრირებულ იქნენ გარემოს დაცვით და ეკოლოგიურ გადაწყვეტილებებთან. პრაქტიკაში, ცენტრალური და ადგილობრივი მთავრობების სტრუქტურები ყველგან იმგვარად არიან ჩამოყალიბებული, რომ ხელს არ უწყობენ გადაწყვეტილებების მიღების დაყოფას იმის მიხედვით თუ რა არის ეკონომიკურად რაციონალური და გარემოს დაცვისთვის სასურველი. საერთაშორისო ორგანიზაციებს არა აქვთ საკმარისი ძალაუფლება ინტეგრირებული და ჰარმონიზებული პოლიტიკის წარმოებისთვის. ღირებულებათა სისტემაში და პოლიტიკურ ნებაში რადიკალური და საყოველთაო ცვლილებების გარეშე მდგრადი განვითარების იდეის განხორციელება გართულდება.

სამი ძირითადი რესურსი: ენერგია, სასოფლო-სამეურნეო მიწა და წყალი

სამი ყველაზე მნიშვნელოვანი რესურსი მსოფლიო ეკონომიკური გეოგრაფიის თვალსაზრისით არის ენერგია, სასოფლო-სამეურნეო მიწა და წყალი. კომერციული ენერგიის ძირითადი წყარო არის ნავთობი, ბუნებრივი აირი და

ქვანახშირი, რომლებიც ძალზე არათანაბრად არიან განაწილებული მსოფლიოში. განვითარებული ეკონომიკების უმეტესობა მდიდარია ენერგიის წარმოების კუთხით, გამონაკლისს წარმოადგენს იაპონია და ევროპის ზოგიერთი ქვეყანა. განვითარებადი ქვეყნების უმეტესობას ღარიბი ენერგორესურსები გააჩნია. გამონაკლისებია ალჟირი, ეკვადორი, გაბონი, ინდონეზია, ლიბია, ნიგერია, ვენესუელა და სპარსეთის ყურის ქვეყნები. ამ უთანასწორობის გამო ენერგია მსოფლიო ვაჭრობის მნიშვნელოვანი კომპონენტი გახდა. ნავთობი ყველაზე მნიშვნელოვანი საქონელია მსოფლიო ვაჭრობაში და შეადგენს ვაჭრობის საერთო ღირებულების 12 პროცენტს 2005 წელს.

განვითარებად ქვეყნებს ენერგიის იმპორტი დიდ ტვირთად აწვება. მაგალითად სომხეთში, ეგვიპტეში, განაში, პარაგვაისა და ინდოეთში 2005 წელს ენერგიის იმპორტის ღირებულებამ შეადგინა ექსპორტირებული საქონლის ღირებულების მეოთხედი. განვითარებადი ქვეყნების მცირე ნაწილს შეუძლია ენერგიის მოხმარება იმ მოცულობით, რა მოცულობითაც მოიხმარენ განვითარებული ეკონომიკები, ამგვარად, ენერგიის მოხმარების მოდელი ასახავს მსოფლიო ეკონომიკის ცენტრსა და პერიფერიას შორის სხვაობას (ცხრილი 2.1.). 2005 წელს ენერგიის მოხმარება ჩრდილოეთ ამერიკაში იყო რვაჯერ დიდი ვიდრე სუბ-საჰარის აფრიკაში. მსოფლიო ბანკის გაანგარიშებით მაღალი შემოსავლების ქვეყნები, სადაც მსოფლიოს მოსახლეობის 15% ცხოვრობს იყენებენ საკუთარი კომერციული ენერგიის ნახევარს და დაბალი შემოსავლების ქვეყნებთან შედარებით ათჯერ მეტ ენერგიას ერთ სულ მოსახლეზე.

ცხრილი 2.1. ენერგიის მოხმარება და გამოშვება განვითარებული (DC) და განვითარებადი ქვეყნების (LDC) შედარება

higher than in Sub-Saharan Africa. The World Bank has calculated that high-income countries, with 15 per cent of the world's population, use half its commercial energy and 10 times as much per capita as low-income countries.

Table 2.1 Energy consumption and emissions: a comparison of selected DCs and LDCs

	Unit	Year	EU25	USA	China	India	World
Total area	Million km²		4.0	9.3	9.6	3.3	149.0
Population	Million	2006	461	298	1314	1095	6600
GDP	US$ billion	2005	13,927	12,439	2279	749	44,168
GDP/capita	US$/capita	2005	30,473	41,917	1411	678	6851
Economic growth	%/year	2004	2.4	4.4	9.5	6.5	4.8
Primary energy demand	Mio. T oil-eq	2004	1719	2332	1386	376	10,224
Primary energy demand per capita	GJ/capita and year	2004	158	333	44.7	14.8	67.2
Primary energy demand, coal	Mio. T oil-eq	2004	307	564	957	205	2778
Share of coal in primary energy demand	%	2004	17.9	24.2	69.0	54.5	27.2
Installed generation capacity	GW_{el}	2004	660	942	391	131	3736
Electricity produced	TWh/year	2004	2980	3979	2080	631	16,599
Growth in electricity use	%/year	2004	1.7	1.6	15.2	5.3	4.3
CO_2 emissions, total	Mio. t/year	2004	3789	5912	4707	1113	27,044
CO_2 emissions/capita	t/capita and year	2004	8.3	20.2	3.6	1.0	4.2
SO_2 emissions, total	Mio. t/year	2000	8.7	16.5	20.0	5.0	98.0
SO_2 emissions/capita	Kg/capita and year	2000	19.2	58.5	15.8	5.0	16.1

Source: Based on *Energie-Spiegel* No. 17 (2006: 2)

აღსანიშნავია, რომ ეს ციფრები არ ითვალისწინებს შეშას და სხვა ტრადიციულ საწვავს, რომელიც გამოიყენება საკვების მომზადებისთვის, გათბობისთვის, განათებისთვის და ზოგჯერ ინდუსტრიული საჭიროებისთვის. საერთო ჯამში

ენერგიის ასეთი ფორმები მსოფლიოს ენერგომოხმარების 20%-ს შეადგენს, აფრიკისა და აზიის ნაწილში კი 80%-ს. ეს გვიჩვენებს კიდევ ერთ კონტრასტს მდიდარ და ღარიბ ქვეყნებს შორის. მაშინ როცა სულ უფრო მეტი განვითარებული ქვეყანა სხვადასხვა გამოკვლევებსა და ექსპლუატაციაში ჩადებული დიდი რაოდენობის ინვესტიციების საშუალებით ხდება თვითუზრუნველყოფილი (**self sufficient)** ქვანახშირის, ნავთობის, ბუნებრივი აირის, ჰიდროელექტრო და ატომური ენერგიის სხვადასხვა დოზით გამოყენების მეშვეობით, 1,5 მილიარდი ადამიანისთვის შეშა არის ენერგიის ძირითადი წყარო. მოსალოდნელია, რომ უახლოეს მომავალშიც მრავალი ადამიანი მსოფლიოს მასშტაბით იქნება დამოკიდებული შეშაზე და მასზე მოთხოვნა მნიშვნელოვნად გაიზრდება მოსახლეობის ზრდასთან ერთად. ყველაზე სერიოზული პრობლემა არის მჭიდროდ დასახლებულ ადგილებში, მშრალ და ნახევრადმშრალ რეგიონებში და შედარებით გრილ მთიან ზონაში სადაც ტყის მასივების რეგენერაცია განსაკუთრებით დაბალია. დაახლოებით 100 მილიონ ადამიანს 22 ქვეყანაში (მათ შორის 16 აფრიკაში მდებარეობს) არ შეუძლია მინიმალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება მაშინაც კი, თუ დარჩენილ ტყესაც მთლიანად გაკაფავენ.

სასოფლო-სამეურნეო მიწის განაწილება არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს საერთაშორისო ეკონომიკურ დიფერენციაციაზე. როგორც ნაჩვენებია 2.5 სურათზე, მთელი მსოფლიოს მიწის ფართობის ნახევარზე მეტი გამოუსადეგარია ნაყოფიერი მიწათმოქმედებისთვის. ამ რუქაზე თეთრად არის გამოყოფილი რეგიონები სადაც ვეგეტაციური პერიოდი ძალზე მცირეა, ზედმეტად მშრალი ჰავაა, ან მაღალმთიანი ტერიტორიაა. ეს არ ნიშნავს, რომ ამ ტერიტორიებზე სოფლის მეურნეობა საერთოდ არ არსებობს, მაგრამ ამ მიწებზე იგი გაცილებით ნაკლებად ნაყოფიერია. სასოფლო-სამეურნეო მიწის განაწილება მსოფლიოში საკმაოდ არათანაბარია და კონცენტრირებულია ევროპაში, დასავლეთ და ცენტრალურ რუსეთში, ჩრდილოეთ ამერიკის დასავლეთში, ავსტრალიის სანაპიროზე, ლათინურ ამერიკაში, დასავლეთ აფრიკაში, ინდოეთში და აღმოსავლეთ ჩინეთში. მტკნარი წყლის მარაგის ნაკლებობა და მისი ართანაბარი განაწილება სერიოზულად აფერხებს სოფლის მეურნეობის განვითარებას. გაეროს განვითარების პროგრამის ადამიანის განვითარების 2006 წლის ანგარიში ხაზს უსვამს წყლის რესურსების გლობალურ კრიზისის დადგომის საფრთხეს. ჩრდილოეთ ნახევარსფეროს ზომიერი სარტყელი 2025 წლისთვის განიცდის მტკნარი წყლის მარაგის სერიოზულ პრობლემებს.

სურათი 2.6. მტკნარი წყლის მარაგზე ზემოქმედება



Fig 2.6: Stress on freshwater supplies, 1995 and 2025

უნდა გავითვალისწინოთ, რომ ყველა სასოფლო-სამეურნეო მიწა არ არის ერთი და იგივე ხარისხის. ამას მივყავართ სასოფლო-სამეურნეო მიწის გამტარუნარიანობის (carrying capacity) კონცეფციამდე: მოსახლეობის მაქსიმალური რაოდენობა, რომლის გამოკვებაც შესაძლებელია მინიმალური დღიური დიეტით, ნიადაგისა და კლიმატის გათვალისწინებით. უფრო კონკრეტულად, გამტარუნარიანობა განიმარტება, როგორც მოსახლეობის მაქსიმალური რაოდენობა, რომლის შენარჩუნებაც შესაძლებელია კონკრეტულ ტერიტორიაზე ხანგრძლივი პერიოდით, იმ რაოდენობის რესურსების გამოყენებით, რომ არ დაზარალდეს ამ ან სხვა ტერიტორიების პროდუქტიულობა. სხვა საინტერესო ცნება არის მოსახლეობის ეკოლოგიური კვალი, რომელიც აფასებს ადამიანის წნეხს გარემოზე განახლებადი რესურსების მოხმარებისა და გარემოს დაბინძურების შედეგად. ეკოლოგიური კვალი განსაზღვრავს, თუ რა სივრცე

სჭირდება მოსახლეობას ხელმისაწვდომ ფართობთან შედარებით. იგი იცვლება მოსახლეობის რაოდენობის, ერთ სულ მოსახლეზე საშუალო მოხმარების, და ტექნოლოგიების განვითარების პროპორციულად. ეკოლოგიური კვალის საზომი ერთეულია სივრცე, რომელიც გამოიხატება ერთი ჰექტარით პროდუქტიული მიწისა მსოფლიოს საშუალო პროდუქტიულობის მიხედვით. რადგან მიწა განსხვავდება პროდუქტიულობის მიხედვით, მაღალპროდუქტიული მიწის ჰექტარი გამოხატული იქნება მეტი სივრცის ერთეულით, ვიდრე იგივე რაოდენობის ნაკლებად პროდუქტიული მიწა. 2.7 სურათი ასახავს ეკოლოგიური კვალის ინტენსივობას მსოფლიოში 2001 წელს. ინტენსიურობა იზრდება მოსახლეობის სიმჭიდროვის, ერთ სულ მოსახლეზე რესურსების მოხმარების ზრდასთან და რესურსთა ეფექტიანობის კლებასთან ერთად. ველური ბუნების მსოფლიო ფონდმა დაასკვნა, რომ მსოფლიო მოსახლეობის ეკოლოგიური კვალი იზრდება 1970-იანი წლებიდან. 2000 წლისთვის ეს მაჩვენებელი იყო 30%-ით მეტი ვიდრე დედამიწის ბიოლოგიური პროდუქტიულობა გაუძლებდა. ეს კი ფიტავს დედამიწის ბუნებრივ კაპიტალს და ამ ვითარების შენარჩუნება შესაძლებელია მხოლოდ შეზღუდული დროის მანძილზე.

სურათი 2.7 რესურსების მოხმარება: ეკოლოგიური კვალი



სოფლის მეურნეობის მოდელი და საკვების საკითხი

მსოფლიოს სოფლის მეურნეობის მოდელი არის პროდუქტი განსხვავებული ინტერპრეტაციებისა გარემოს, სასურველი პროდუქციის და ბაზრის შესაძლებლობების (**marketable opportunities)** შესახებ. რომლებზეც თავის მხრივ გავლენას ახდენს გაბატონებული მიწისმფლობელობის სისტემა, ტექნოლოგიების განვითარების დონე და გლობალური ძალების პოლიტიკა. მოკლედ, ეს არის მსოფლიოს ეკონომიკური ისტორიის მემკვიდრეობა.

განვითარების დონის მიხედვით, ქვეყნების დამოკიდებულება სოფლის მეურნეობაზე დასაქმებისა და შემოსავლების თვალსაზრისით სხვადასხვაგვარია.

განვითარებად ქვეყნებში სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია სამუშაო ძალის 70-80% და მისი წილი მშპ-ში 35-45%-ს შეადგენს. განვითარებულ ეკონომიკებში კი სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია სამუშაო ძალის 7% და მშპ-ში მისი წილი არის მხოლოდ 3%.
ამ სპეციალიზაციის შედეგი არის სოფლის მეურნეობის პროდუქციაში ვაჭრობის დიდი მოცულობა. საკვები პროდუქციის ყველაზე დიდი ექსპორტიორები არიან არა განვითარებადი ქვეყნები, არამედ რამდენიმე განვითარებული სახელმწიფო: არგენტინა, ავსტრალია, კანადა, საფრანგეთი და აშშ. მათ აქვთ ძალზედ პროდუქტიული სოფლის მეურნეობის სექტორი, რომელიც სპეციალიზირებულია მარცვლეულის წარმოებაზე. ბოლო წლებში საკვების მსოფლიო ვაჭრობა სწრაფად იზრდება და ვაჭრობის მოდელმა მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. 1950-იან წლებამდე დომინანტი იყო მარცვლეული კულტურების ნაკადი დასავლეთ ევროპაში, ახლა მისი მნიშვნელობა საგრძნობლად შემცირდა. ძირითადი ნაკადის წყარო ამჟამად არის კანადა და აშშ, ხოლო დანიშნულების ადგილია რუსეთი, იაპონია და საშუალო-შემოსავლის მქონე განვითარებადი ქვეყნები. ბოლო 50 წლის მანძილზე სოფლის მეურნეობის პროდუქტთა წილი გლობალურ ექსპორტში შემცირდა 40% დან 10%-მდე.

სურათი: 2.8 სოფლის მეურნეობის პროდუქციის წილი მსოფლიო ექსპორტში 1950-2005წწ



მსოფლიოში საკვების მოხმარებაში უთანასწორობა არის ამ მოდელებისა და ნაკადების მნიშვნელოვანი შედეგი. მსოფლიოს მასშტაბით სულ მცირე 815 მილიონი ადამიანი შიმშილობს, მ.შ. 777 მილიონი ყველაზე ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში, 27 მილიონი ე.წ. გარდამავალ ქვეყნებში, რომლებიც მოიცავენ ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიას და 11 მილიონი განვითარებულ ქვეყნებში. ყველაზე ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში ბავშვთა სიკვდილიანობის ნახევარზე მეტი შემთხვევა დაკავშირებულია შიმშილთან (FAO 2001). ის ფაქტი, რომ მათი დიდი ნაწილი ცხოვრობს ექსპორტიორ (დადებითი სავაჭრო ბალანსის) ქვეყნებში, მსოფლიო ეკონომიკური სისტემის მნიშვნელოვანი ნაკლია.

ჩანართი: აგრობიზნესი და განვითარებული ქვეყნები

პირდაპირი კორპორატიული ჩართულობა სოფლის მეურნეობაში – აგრობიზნესი – არის შედეგი სპეციალიზაციისა და მასშტაბის ეკონომიის. რაც უფრო იზრდება სპეციალიზაცია, მით უფრო ნაკლებად ავტონომიურები და კარჩაკეტილები ხდებიან ფერმები, როგორც მწარმოებელი ერთეულები და ამით გზა ეხსნება საკვების წარმოების, გადამუშავებისა და დისტრიბუციის ინტეგრირებულ, კორპორატიულ სისტემას. სოფლის მეურნეობა სულ უფრო მეტადაა ჩართული საკვების წარმოების კომპლექსში, რომლის საზღვრები სცილდება მიწათმოქმედებას და მოიცავს აგრო-ქიმიური, საინჟინრო, გადამუშავებით, მარკეტინგისა და დისტრიბუციის ინდუსტრიებს.
პრაქტიკულად ყველა განვითარებულ ქვეყანაში სოფლის მეურნეობის და სასოფლო საზოგადოების მოწყობას განსაზღვრავენ ისეთი საკვების გადამამუშავებელი კონგლომერატები, როგორებიც არიან „Associated British Foods“ (ABF), „Nestle“ და სხვები. ყველაზე გავრცელებული ფორმა სოფლის მეურნეობაში კორპორატიული ჩართულობისა არის ფორვარდული კონტრაქტები ფიქსირებულ ფასში. ეს არა მარტო ასუსტებს ფერმერების დამოუკიდებლობას, არამედ ხელს უწყობს შემოსავლების გადატანას ფერმერებიდან და სოფლის თემებიდან გადამამუშავებელი მრეწველობისკენ. ფორვარდული კონტრაქტები ხელს უწყობენ საერთი სტრუქტურულ ცვლილებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ სოფლის მეურნეობაზე: „ისინი ხელს უწყობენ მცირე და დიდ ჰოლდინგებს და სპეციალიზაციის გაზრდას, იმისათვის რომ გაიზარდოს ინდივიდუალური საწარმოების ზომა მასშტაბის ეკონომიის შესაბამისად. ეს ტენდენცია შეამცირებს სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა რაოდენობასა და ფერმერთა მენეჯერულ როლს, შედეგად მათ მხოლოდ მეთვალყურის როლი დარჩებათ“. Metcalf (1969: 104)
სოფლის ლანდშაფტებმაც განიცადა ცვლილებები, სოფლის მეურნეობაზე ინდუსტრიალიზაციისა და ცენტრალიზაციის ზეგავლენის შედეგად. ჩრდილო-დასავლეთ ევროპაში სოფლის მეურნეობის მექანიზაციამ ცოცხალი ძალის საჭიროება მნიშვნელოვნად შეამცირა.

საერთაშორისო დემოგრაფიული მოდელი
მოსახლეობის გეოგრაფია და მოსახლეობის ცვლილების დინამიკა ახლო კავშირშია ეკონომიკური განვითარების მოდელთან. მოსახლეობის სიმჭიდროვე, შობადობა, სიკვდილიანობა და მიგრაცია ხშირ შემთხვევაში პირდაპირი გამოხატულებაა ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობისა. იმავდროულად ისინი შეიძლება იყვნენ ეკონომიკური ცვლილებებისა და კეთილდღეობის განმსაზღვრელები. ადამიანური რესურსები მნიშვნელოვანია ეკონომიკური განვითარებისათვის, თუმცა ზოგჯერ მათი გადაჭარბებული რაოდენობა შეიძლება განვითარების შემაფერხებელი იყოს.
მსოფლიოს მოსახლეობა სწრაფად იზრდება. გაეროს შეფასებით მსოფლიოში 7 მილიარდზე ოდნავ მეტი ადამიანი ცხოვრობს და სავარაუდოდ 2050 წლისთვის 9,3 მილიარდს მიაღწევს. ყველაზე ნაკლებად განვითარებული ქვეყნების მოსახლეობა ყოველწლიურად ორიდან სამ პროცენტამდე მატულობს და მოსალოდნელია, რომ გაიზარდოს 4,9-დან 8,2 მილიარდამდე. განვითარებული ქვეყნების მოსახლეობა ყოველწლიურად იზრდება საშუალოდ 0,5%-ით

(ზოგიერთი დასავლეთ ევროპული ქვეყნის მოსახლეობა სტაგნაციაშია შესული) და სავარაუდოდ მიაღწევს 1,2 მილიარდს.

დემოგრაფიული ტრანზიცია

ცენტრსა და პერიფერიას შორის კონტრასტი არის პროდუქტი შობადობისა და სიკვდილიანობის დონეებს შორის სხვაობისა, რაც თავის მხრივ დაკავშირებულია დემოგრაფიული ტრანზიციის ცნებასთან, რომელიც სამი



საფეხურისგან შედგება.

სურათი 2.9. დემოგრაფიული ტრანზიცია

პირველ საფეხურზე მოსახლეობას ახასიათებს მაღალი შობადობა და ასევე მაღალი, მერყევი სიკვდილიანობის დონე, ბუნებრივი მატება შეადგენს 1%-ს. მეორე საფეხურზე სიკვდილიანობა სწრაფად კლებულობს (გაუმჯობესებული კვების, საზოგაოებრივი ჯანმრთელობის და სამეცნიერო მედიცინის ხელმისაწვდომობის გამო). შობადობაც მცირდება, ოღონდ გაცილებით ნელი ტემპებით, რადგან საჭიროა გარკვეული დრო იმისათვის, რომ სოციალური და კულტურული ჩვევები, დაკავშირებული ოჯახის წევრთა რაოდენობასთან შესაბამისობაში მოვიდეს შეცვლილ გარემოებებთან. ამის შედეგი არის დემოგრაფიული აფეთქება. დასავლეთის ინდუსტრიული ქვეყნების უმეტესობამ ეს სტადია გაიარა მე-19 საუკუნეში. მესამე საფეხურზე სიკვდილიანობა სტაბილიზირდება დაბალ დონეზე, შობადობის დონეც დაბალია, მაგრამ მერყევი, ბუნებრივი მატება 1%-ს შეადგენს.
მოსალოდნელი არაა, რომ ყველა ქვეყანამ გაიაროს აღნიშნული დემოგრაფიული გზა, მაგრამ სასარგებლო იქნება იმის დადგენა თუ რა სტადიაში იმყოფება კონკრეტული ქვეყანა: კრიტიკულ მეორე სტადიასთან ახლოს, განიცდის დემოგრაფიულ აფეთქებას, თუ ასრულებს ზრდის სტადიას. გაერომ წარმოადგინა მეორე საფეხურის სამ ნაწილად დაყოფის ვარიანტი, ანუ მოსახლეობის ზრდის ხუთი სტადია (სურ. 2.9).

სურათი 2.10 დემოგრაფიული გადასვლის მსოფლიო რუკა



სურათი 2.10 გვიჩვენებს, თუ რომელი ქვეყანა, მოსახლეობის ზრდის რომელ საფეხურზე იმყოფება ამჟამად. განვითარებული ქვეყნები, აგრეთვე ახალი ინდუსტრიული სახელმწიფოების დიდი ნაწილი (მ.შ. ლათინური ამერიკის ისეთი ქვეყნები, როგორებიც არიან არგენტინა, ბრაზილია და ჩილე, აღმოსავლეთ აზიის ქვეყნები: ჰონკონგი, სინგაპური, სამხრეთ კორეა, ტაივანი და ტაილანდი) უკვე არიან საბოლოო მეხუთე, დაბალი ზრდის ტემპის საფეხურზე, ხოლო ლათინური ამერიკისა და აზიის სხვა ქვეყნები (მაგ. კოლუმბია, მექსიკა, პერუ, ვენესუელა, ინდოეთი, ინდონეზია და მალაიზია) იმყოფებიან ზრდის საფეხურის ბოლო ეტაპზე. აფრიკის დიდი ნაწილი არის დემოგრაფიული აფეთქების ფაზაში, ხოლო მისი დასავლეთი და ცენტრალური რეგიონები უახლოვდებიან ამ ფაზას. აფრიკული ქვეყნების მცირე ნაწილი (ანგოლა, ნიგერი და რუანდა) ჯერ მხოლოდ პირველ საფეხურზე არიან, მათ ახასიათებთ შედარებით მაღალი სიკვდილიანობის დონე, რაც აფერხებს ბუნებრივ მატებას. საგანგაშო ვითარებაა სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აფრიკის ქვეყნებში, განსაკუთრებით ბოტსვანასა და ზიმბაბვეში, რომლებმაც დემოგრაფიული აფეთქების საფეხურიდან გადაინაცვლეს დემოგრაფიული გადასვლის დასაწყისისაკენ 1990-იან წლებში, რადგან სიკვდილიანობის დონემ მნიშვნელოვნად მოიმატა იმის გამო, რომ მათი მოსახლეობის 20% შიდსით არის დაავადებული.

მიგრაცია

მოსახლეობი რაოდენობის ცვლილების სხვა, მნიშვნელოვანი ასპექტი არის მიგრაცია. საერთაშორისო შრომითი მიგრაცია მსოფლიო ეკონომიკური სისტემის მნიშვნელოვანი ნაწილია მე-19 საუკუნის ინდუსტრიული რევოლუციის შემდეგ. საერთაშორისო შრომითი მიგრანტების რაოდენობა აღწევს 25 მილიონს, მათ ახლავს დაახლოებით ამავე რაოდენობის თანმხლები, მათზე დამოკიდებული პირი. აქედან 14 მილიონი, მ.შ. 7-8 მილიონი არალეგალური იმიგრანტი მუშაობს აშშ-ში, სადაც იმიგრანტთა უმეტესობა მოდის მექსიკიდან. ჩრდილო-დასავლეთ

ევროპაში იმყოფება 5 მილიონი შრომითი მიგრანტი, მათი უმეტესობა არის ახლომდებარე ქვეყნებიდან, როგორებიცაა პორტუგალია, ესპანეთი და თურქეთი, ან ყოფილი კოლონიებიდან (ალჟირი, იამაიკა და სხვა). 1970-იანი წლების დასაწყისიდან მუშათა დიდი რაოდენობა მიიზიდეს სამხრეთ-დასავლეთ აზიის ნავთობით მდიდარმა ქვეყნებმა: დაახლოებით 4 მილიონი, აქედან ორი მესამედი ამავე რეგიონიდანაა, ხოლო დანარჩენი სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიიდან. სამხრეთ აფრიკაში იმყოფება 500 000 შრომითი მიგრანტი მეზობელი ქვეყნებიდან; ასევე შრომითი მიგრანტების მნიშვნელოვანი ნაკადებია განვითარებად ქვეყნებს შორის ლათინური ამერიკის ნაწილში და დასავლეთ აფრიკაში.

ასევე აღსანიშნავია მაღალკვალიფიციური კადრების დიდი ნაკადები ექიმები, ინჟინრები, მეცნიერები და სხვა, ანუ ე.წ. „ტვინების გადინება“. ამ ნაკადების მთავარი მიმღები არის აშშ, კანადა, ბრიტანეთი და ავსტრალია. მათი წარმოშობის ძირითადი წყაროებია ინდოეთი, პაკისტანი, ფილიპინები, შრი ლანკა და ბოლო პერიოდში ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნები და მისი სატელიტები. ხშირ შემთხვევაში „ტვინების გადინება“ არის შედეგი იმისა, რომ სტუდენტები და პროფესიონალები ირჩევენ არ დაბრუნდნენ სამშობლოში მას შემდეგ, რაც დაასრულებენ განათლების ან ტრეინინგის კურსებს განვითარებულ ქვეყნებში. ეს ნაკადები მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ადამიანთა რაოდენობით, რომლებიც ჩართულნი არიან პროცესში, არამედ იმ ეკონომიკური შედეგების გამო, რაც მოაქვს მაღალკვალიფიციური მუშახელის შეძენას ან დაკარგვას. განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა „ტვინების გადინებას“ ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან, რადგან მოულოდნელად შრომით ბაზარზე გამოჩნდნენ კვალიფიციური მეცნიერები სამხედრო ტექნოლოგიების, ბირთვული და ბიოლოგიური იარაღის დარგში. ამან კი საკითხი გეოპოლიტიკურ განზომილებაში გადაიყვანა და გაზარდა შიში ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების მეცნიერთა ყველაზე ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში გადინებისა. ამის საპასუხოდ აშშ-მ, იაპონიამ და ევროკავშირმა 1992 წელს რუსეთში დააარსეს სამეცნიერო ცენტრი ბირთვული „ტვინების გადინების“ შესაჩერებლად.

ამასობაში დემოგრაფიული ტრანზიცია სწრაფად ზრდის ყველაზე ნაკლებად განვითარებული ქვეყნების შრომით ბაზარს. როდესაც არ არის დაუსახლებელი ტერიტორიების ათვისების შესაძლებლობა, აღნიშნულ ქვეყნებში დემოგრაფიული ტრანზიციით გამოწვეული მოსახლეობის მატებას შედეგად მოაქვს სოფლიდან ქალაქში დიდი მიგრაციული ნაკადები. სოფლის ახალგაზრდა მოსახლეობა იძულებულია მიწის ნაკლებობის გამო გადასახლდეს ქალაქებში დასაქმების იმედით. განვითარებადი ქვეყნების ურბანიზაციის მასშტაბები კიდევ ერთი ფაქტორია ცენტრსა და პერიფერიას შორის სხვაობისა. გაეროს ადამიანთა განსახლების ცენტრის შეფასებით ქალაქის ბინადართა 1 მილიარდი ცხოვრობს არასათანადო, ანტისანიტარიულ პირობებში ყველაზე ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში.

ჩანართი: შრომით მიგრანტთა ფულადი გზავნილები

გლობალიზაციის მზარდი მნიშვნელობის მქონე ასპექტი არის ფინანსური ნაკადების დინება საერთაშორისო შრომითი მიგრანტებისგან მშობლიურ

ქვეყნებში. ეს ფულადი გზავნილები (**remittances)** განკუთვნილია განვითარებად ქვეყნებში მცხოვრები ოჯახის წევრებისათვის. როგორც ცალმხრივი ტრანსფერები, ისინი არ წარმოშობენ მომავალ ვალდებულებებს, როგორებიცაა ვალის მომსახურება ან სარგებლის დარიცხვა. მუშათა **remittances** აქვთ ტენდენცია რეციპიენტი ქვეყნის ეკონომიკასთან მიმართებაში ციკლის საწინააღმდეგოდ მოძრაობისა, რადგან შრომითი მიგრანტები ზრდიან მხარდაჭერას ოჯახების მიმართ ეკონომიკური აქტივობის დაბალი ციკლის დროს, რაც ეხმარება მათ უმუშევრობის ან სხვა კრიზისით განპირობებული მიზეზებით დაკარგული შემოსავლის შევსაბაში. ამ შემთხვევაში ფულადი გზავნილები ასრულებენ მასტაბილიზებელ როლს, უზრუნველყოფენ რა ეროვნული შემოსავლების ფლუქტუაციების გასწორებას ბიზნესის ციკლის სხვადასხვა ეტაპზე. ფულადი გზავნილების ოფიციალური რაოდენობა ყველაზე ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში მნიშვნელოვნად გაიზარდა 1980-იანი წლების ბოლოდან და შეადგენს 100 მილიარდ აშშ დოლარს. ეს დაახლოებით იმდენივეა, რამდენიც პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (FDI) ყველაზე ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში და გაცილებით უფრო დიდია ვიდრე ოფიციალური ეკონომიკური დახმარება განვითარებადი სახელმწიფოებისა ნაკლებად განვითარებული ქვეყნების მიმართ (სურათი 2.11). აშშ არის უდიდესი წყარო ფულადი გზავნილების, ძირითადი მიმღები ქვეყნები არიან დასავლეთ ნახევარსფეროს ყველაზე ნაკლებად განვითარებული ქვეყნები და განვითარებადი აზია (სამხრეთ, სამხრეთ-აღმოსავლეთ და დასავლეთ აზიის უმეტესი ნაწილი, იაპონიის, სამხრეთ კორეის, ჰონ კონგის, სინგაპურისა და ტაივანის გარდა). აღურიცხავი ფულადი გზავნილები სავარაუდოდ გაზრდის გზავნილების ღირებულებას 10-დან 20%-მდე. ოჯახის დახმარების გარდა შრომითი მიგრანტების ფულადი გზავნილები მიკრო კრედიტის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს, აფინანსებს რა მცირე ბიზნესებს მეგობრებისა და ოჯახის წევრებისთვის, ის აგრეთვე თავად შრომით მიგრანტებს აძლევს საშუალებას თვითდასაქმებისათვის დააგროვონ საკმარისი თანხები სამშობლოში დაბრუნებისას.

სურათი 2.11 მომუშავეთა ფულადი გზავნილები 1970-2003წწ



2.3 მრეწველობისა და ფინანსების საერთაშორისო მოდელები

სამრეწველო წარმოებისა და დასაქმების საერთაშორისო მოზაიკა საკმაოდ კომპლექსურია და გამოირჩევა კონკრეტულ საქმიანობებში მაღალი სპეციალიზაციით. ცენტრალური ეკონომიკები (core economies) შეადგენენ მსოფლიოს წარმოების დამატებითი ღირებულების **manufacturing value added (MVA)** 70%-ს. წარმოების წმინდა ღირებულების დონე იზრდება თანდათანობით, მოკრძალებული ტემპებით. აშშ რჩება წარმოებული საქონლის ყველაზე მნიშვნელოვან წყაროდ და მისმა წილმა 2005 წელს შეადგინა გლობალური წარმოების წმინდა ღირებულების 21%. მხოლოდ ხუთ ქვეყანაში: ჩინეთი,

საფრანგეთი, გერმანია, აშშ და იაპონია, თავმოყრილია მსოფლიო წარმოების 60%.

ცხრილი 2.2. მსოფლიო წარმოების მონაცემები

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია პროდუქტიულობა (ცხრილი 2.2). განვითარებული ქვეყნების მაღალი კაპიტალიზაციის მრეწველობებმა შეძლეს მუშათა მაღლი პროდუქტიულობის შენარჩუნება. ამ ქვეყნებში წარმოების წილი მშპ-ში მაღალი რჩება, მაშინაც როცა წარმოებაში დასაქმებული მუშახელის რაოდენობა თანდათანობით მცირდება.

განვითარებული ინდუსტრიული ეკონომიკის მქონე ქვეყნების დომინირების კუთხით შეინიშნება რამდენიმე მნიშვნელოვანი ტენდენცია. თუმცა აშშ-მ შეინარჩუნა ლიდერობა, როგორც მსოფლიოში საქონლის ძირითადმა მწარმოებელმა, მისი დომინირება მნიშვნელოვნად შემცირდა. მაგალითად მასზე მოდიოდა მსოფლიოში წარმოებულ პროდუქციის 40%, ხოლო 2000-იანი წლების დასაწყისში კი 25%. დიდმა ბრიტანეთმა დაკარგა უპირატესობა, როგორც შედარებითი, ისე აბსოლუტური თვალსაზრისით. მათგან განსხვავებით იაპონიამ მეხუთე ადგილიდან 1963 წელს 5,5% წილით, 1990-იანი წლების ბოლოს გადაინაცვლა მეორე ადგილზე 20% წილით რეცესიის მიუხედავად.

მეორე მნიშვნელოვანი მახასიათებელია ჩინეთში და აღმოსავლეთ აზიის ახალ ინდუსტრიულ ქვეყნებში წარმოებაში დასაქმებისა და პროდუქტიულობის ზრდა. ჩინეთში შეინიშნება წარმოების სწრაფი ზრდა, რომელმაც 1970-იან წლებში

Table 2.2 World manufacturing data

Rank	Country	Total manufacturing value added (MVA), 2003 (US$ bn)	Average annual growth in manufacturing 1970–80	1980–90	1995–2000	2000–2005	Share of world total MVA 2005	Manufacturing as share of GDP 1990	2004	Value added per worker in manufacturing (US$ per year) 1980–84	1995–99
1	USA	1463.3	2.6	3.1	4.4	1.8	21.1	19	15	47,276	81,353
2	Japan	811.8	3.9	4.8	1.2	2.6	19.0	27	21	34,456	92,582
3	Germany	410.6	2.4	1.8	1.2	1.0	7.5	28	23	34,945	79,616
4	China	410.0	7.9	10.7	9.2	10.4	8.0	33	36	3061	2885
5	UK	220.4	0.4	1.8	1.2	0.4	3.1	23	16	24,716	55,060
6	Italy	216.2	5.7	2.3	1.2	−1.0	2.9	25	20	24,580	50,760
7	France	192.3	3.5	0.8	3.4	1.0	4.2	21	14	26,751	61,019
8	South Korea	129.4	16.9	7.1	6.8	7.2	3.4	27	32	–	–
9	Canada	118.6	3.5	3.3	6.2	1.6	1.9	17	18	36,903	60,712
10	Mexico	110.7	7.0	1.5	7.6	1.0	1.1	21	18	17,448	25,931
11	Spain	108.4	2.5	2.1	4.4	2.4	1.9	–	19	18,936	47,016
12	Russian Fed.	91.7	–	–	0.8	9.0	1.8	–	30	–	–
13	Taiwan	76.0	12.2	8.4	5.6	4.8	1.4	–	27	12,829 (85)	74,202 (99)
14	India	72.7	4.6	7.4	4.4	6.6	1.3	17	15	2108	3118
15	Indonesia	59.5	14.5	12.6	1.4	5.8	1.0	21	26	3807	5139
18	Brazil	53.0	9.0	1.6	0.4	3.4	2.2	25	23	43,232	61,595
19	Australia	44.8	1.6	1.9	2.2	2.0	0.7	14	13	27,801	57,857
21	Thailand	42.7	10.5	9.5	1.8	7.4	1.0	27	32	11,072	19,946
26	Malaysia	29.1	12.0	8.9	6.0	5.6	0.6	24	31	8454	12,661
30	Singapore	22.9	9.7	6.6	7.2	5.0	0.5	–	23	16,442	40,674
54	Hong Kong	7.0	7.1	4.7	–	−6.9	0.2(98–99)	17	4	7886	19,533

Source: Based on World Bank (2001c: 60–63, Table 2.5; 194-7, Table 4.1; 198–201, Table 4.2; 202–205, Table 4.3); UNIDO (2002: *Reference Information* at http://www.unido.org/Regions.cmf?area5GLO)

საშუალოდ შეადგინა 8%, 1980-იან წლებში – 11% და 1990-იან წლებში – 14%. ოთხმა „აზიურმა ვეფხვმა“: ჰონკონგმა, სინგაპურმა, სამხრეთ კორეამ და ტაივანმა განიცადეს ძლიერი პროგრესი, როგორც ექსპორტიორმა ქვეყნებმა. წარმოების ზრდის განსკუთრებულად მაღალი დონე შეინიშნებოდა სამხრეთ კორეაში.

ეს ცვლილებები არის ეკონომიკის გლობალიზაციის ნაწილი, რაც წარმოადგენს ტრანსნაციონალური კორპორაციების სტრატეგიას, სწორედ მათი დამსახურებაა ეკონომიკის გლობალიზაცია. ტრანსნაციონალური კორპორაციების მნიშვნელობა მკაფიოდ გამოჩნდება, თუ მათ წლიურ ბრუნვას შევადარებთ ზოგიერთი ქვეყნის მთლიან ეროვნულ პროდუქტს. ამ კრიტერიუმის მიხედვით შემოსავალი 50 უდიდესი გლობალური ტრანსნაციონალური კორპორაციისა, როგორიცაა General Motors, Ford Motor Company, General Electric, Mitsubishi, Nestle, BP, Royal Dutch Shell, Siemens, Toyota Motor Company და სხვა, აღემატება პატარა ზომის ყველაზე ნაკლებად განვითარებული ქვეყნების შემოსავალს. ხოლო ყველაზე დიდი ტრანსნაციონალური კორპორაციების ზომა შეესაბამება ისეთი ქვეყნების ეკონომიკას, როგორებიც არიან: საბერძნეთი, ირლანდია, პორტუგალია და ახალი ზელანდია (ცხრილი 2.3).

ცხრილი: 2.3 მსოფლიოს უდიდესი ტრანსნაციონალური კორპორაციები

Table 2.3 World's top non-financial TNCs, 2004

Rank 2004	Corporation (home economy)	Industry	Foreign assets (US$m)	Total assets (US$m)	Total sales (US$m)	Total employees
1	General Electric (US)	Electrical & electronic components	448,901	750,507	152,866	307,000
2	Vodafone Group plc (UK)	Telecommunications	247,850	258,626	62,494	57,378
3	Ford Motor Company (US)	Motor vehicles	179,856	305,341	171,652	225,626
4	General Motors (US)	Motor vehicles	173,690	479,603	193,517	324,000
5	British Petroleum Company plc (UK)	Petroleum	154,513	193,213	285,059	102,900
6	ExxonMobil (US)	Petroleum	134,923	195,256	291,252	105,200
7	Royal Dutch/Shell Group (UK/NL)	Petroleum	129,939	192,811	265,190	114,000
8	Toyota Motor Corporation (JP)	Motor vehicles	122,967	233,721	171,467	265,753
9	Total (FR)	Petroleum	98,719	114,636	152,353	111,401
10	France Télécom (FR)	Telecommunications	85,669	131,204	58,554	206,524
11	Volkswagen AG (GE)	Motor vehicles	84,042	172,949	110,463	342,502
12	Sanofi-Aventis (FR)	Pharmaceuticals	82,612	104,548	18,678	96,439
13	Deutsche Telekom AG (GE)	Telecommunications	79,654	146,834	71,868	244,645
14	RWE Group (GE)	Electricity, gas and water	78,728	127,179	52,320	97,777
15	Suez (FR)	Electricity, gas and water	74,051	85,788	50,585	160,712
16	E.on (GE)	Electricity, gas and water	72,726	155,364	60,970	72,484
17	Hutchinson Whampoa (HK)	Diversified	67,638	84,162	23,037	180,000
18	Siemens AG (GE)	Electrical and electronic equipment	65,830	108,312	93,333	430,000
19	Nestlé SA (SZ)	Food and beverages	65,396	76,965	69,778	247,000
20	Electricite De France (FR)	Electricity, gas and water	65,365	200,093	55,775	156,152

Source: UNCTAD (2006: 280, Annex Table A.I.11)

აშშ-ს 500 უდიდეს კორპორაციაში დასაქმებულია იმავე რაოდენობის უცხოური სამუშაო ძალა, რამდენიც ადგილობრივი. იგივე სურათია იაპონიის უმძლავრეს კორპორაციებში.

უცხოური სამუშაო ძალის რიცხოვნობა შედარებით სწრაფად იზრდება ყველაზე ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებსა და განსაკუთრებით ახალ ინდუსტრიულ ქვეყნებში. ამჟამად, იაპონური რადიოების ორი მესამედი იწარმოება საზღვარგარეთ, ხოლო ტელევიზორების ნახევარი – სამხრეთ კორეასა და აღმოსავლეთ აზიის სხვა სახელმწიფოებში. ამის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია ახალი ინდუსტრიული ქვეყნების წინსვლა. სამხრეთ კორეიდან ექსპორტირებულ ელექტრონულ მოწყობილობათა 90% იწარმოება იაპონური კომპანიების ფილიალების მიერ.

ყველაზე ნაკლებად განვითარებული ქვეყნების მთავრობებმა იაფ მუშახელზე ტრანსნაციონალური კორპორაციების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად შექმნეს თავისუფალი სავაჭრო ზონები, სადაც ხელსაყრელი საინვესტიციო და სავაჭრო გარემო არის შექმნილი კომპონენტებზე საბაჟო გადასახადის გაუქმების, საწარმოო სივრცის და საწყობების გამოყოფის, გადასახადების 5 წლამდე ვადით გაუქმების და სავალუტო კონტროლის მოხსნის შედეგად. მაგალითად რესურსებით ღარიბ კუნძულ მავრიკეთის თავისუფალ სავაჭრო ზონაში 2000 წლისთვის მუშაობდა 500-ზე მეტი კომპანია, სადაც დასაქმებული იყო 90 000 მუშა. ამ ფირმათა დიდი ნაწილი იყო უცხოელების ან უცხოელებთან ერთობლივ საკუთრებაში, დაახლოებით 250 ფირმა ჩართული იყო ტექსტილისა და ტანსაცმლის წარმოებაში. თავისუფალი სავაჭრო ზონებში ასევე მზადდება ფეხსაცმლები, საათები, სათამაშოები, ასევე უფრო მაღალი ღირებულების მქონე პროდუქტები: პროგრამული უზრუნველყოფა, ელექტრონიკა, ფარმაცევტული ნაწარმი და საგამომცემლო საქმიანობა. 2000 წელს ამ ფირმებიდან ექსპორტმა გადააჭარბა 1,2 მილიარდ აშშ დოლარს, რამაც ქვეყნის ექსპორტის ღირებულების 75% შეადგინა.

მსოფლიოს მასშტაბით, მთავრობებმა უპასუხეს ტრანსნაციონალური კორპორაციების მიერ ხელშეწყობილ გლობალიზაციურ პროცესებს იმით, რომ მოახდინეს მათი ჩართულობის ინტენსიფიკაცია ისეთ სამთავრობათაშორისო გაერთიანებებში, როგორებიც არიან ევროკავშირი, სამხრეთ-დასავლეთ აზიის სახელმწიფოთა ასოციაცია და ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება.

ცხრილი: 2.4 მსოფლიოს უდიდესი ფინანსური ტრანსნაციონალური კორპორაციები

Table 2.4 World's largest financial TNCs, 2004

Rank 2004	Corporation	Home economy	Total assets (US$m)	Total employees	Number of affiliates Total	Foreign
1	GE Capital Services	United States	566,708	76,300	1425	1085
2	Citigroup	United States	1,484,101	294,000	612	347
3	UBS	Switzerland	1,732,121	67,424	426	363
4	Allianz Group	Germany	1,302,894	162,180	778	569
5	BNP Paribas	France	1,230,071	94,892	622	403
6	Gruppo Assicurazioni Generali	Italy	372,996	58,354	368	323
7	Zurich Financial Services	Switzerland	346,083	53,246	356	345
8	Unicredito	Italy	359,903	68,571	1044	998
9	HSBC Bank	United Kingdom	1,274,557	243,333	1076	658
10	Société Générale	France	816,735	93,359	430	253
11	Deutsche Bank	Germany	836,368	65,417	698	493
12	AXA Group	France	642,988	76,339	481	387
13	Crédit Suisse	Switzerland	953,967	60,532	334	280
14	ABN AMRO	Netherlands	825,388	99,271	851	432
15	Grupo Santander	Spain	774,462	126,488	455	311
16	Bayerishe HVB Group	Germany	629,981	57,806	935	572
17	Crédit Agricole	France	1,107,272	62,000	382	172
18	Merrill Lynch	United States	648,059	50,600	227	167
19	AIG Group	United States	798,660	92,000	368	147
20	ING Group	Netherlands	1,177,335	113,000	856	403

Source: UNCTAD (2006: 287, Annex Table A.I.14)

საერთაშორისო ვაჭრობის მოდელი

საერთაშორისო ვაჭრობის ფუნდამენტური სტრუქტურა ეფუძნება რამდენიმე სავაჭრო ბლოკს, მსოფლიო ვაჭრობა უმეტესად წარმოებს ამ ბლოკებში. ამ ბლოკების წევრობა არის შედეგი მანძილის, კოლონიური ურთიერთობების მემკვიდრეობისა და გეოპოლიტიკური ალიანსების. 1950-90 წლებში ოთხი ძირითადი სავაჭრო ბლოკი დომინირებდა მსოფლიოში:

1. დასავლეთ ევროპა, რამდენიმე ყოფილ კოლონიასთან ერთად აფრიკაში, სამხრეთ აზიასა და ავსტრალაზიაში.
2. ჩრდილოეთ ამერიკა, ლათინური ამერიკის ზოგიერთ ქვეყანასთან ერთად.
3. ყოფილი საბჭოთა მსოფლიო იმპერიის ქვეყნები.

4. იაპონია, აღმოსავლეთ აზიის სხვა სახელმწიფოებთან და ნავთობის ექსპორტიორ ქვეყნებთან (საუდის არაბეთი და ბაჰრეინი) ერთად.

აღსანიშნავია, რომ ქვეყნების მნიშვნელოვანი ნაწილი დღემდე ინარჩუნებს ავტარკიას მსოფლიო ეკონომიკისგან. მათ არ შეაქვთ დიდი წვლილი იმპორტისა და ექსპორტის ნაკადებში, რომლებიც წარმოადგენენ ვაჭრობის გეოგრაფიის შემადგენელ ნაწილებს. უმეტესწილად ისინი არიან პატარა ზომის ყველაზე ნაკლებად განვითარებულ ქვეყნები (მაგ. ბურუნდი, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა, გამბია, გვინეა-ბისაუ და სამოა).
ვაჭრობის გეოგრაფია სწრაფად იცვლება შემდეგი ფაქტორების ზეგავლენით:

1. ინოვაციები ტრანსპორტის, კომუნიკაციებისა და წარმოების ტექნოლოგიაში. ამ ინოვაციებმა შეამცირა მანძილის ფაქტორის მნიშვნელობა, რომელიც ტრადიციული სავაჭრო ბლოკების საფუძველს წარმოადგენდა.
2. ცვლილებები გლობალურ პოლიტიკაში. ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება გახლდათ საბჭოთა კავშირის დაშლა. სხვა ცვლილებათაგან აღსანიშნავია ევროპის ეკონომიკური და პოლიტიკური ინტეგრაცია, ჩინეთის სულ უფრო მზარდი მონაწილეობა მსოფლიო ეკონომიკაში და აშშ-ს იზოლაციონიზმისგან გადახვევა.
3. საწარმოო პროცესის მზარდი ინტერნაციონალიზაცია და მოქნილობა. ეკონომიკის გლობალიზაციამ წარმოშვა მასალების, კომპონენტების, ინფორმაციისა და მზა პროდუქციის ახალი ნაკადები. ტრანსნაციონალურ კორპორაციებზე მოდის მსოფლიო ვაჭრობის ორი მესამედი და მთლიანი ვაჭრობის მესამედი (ტრანსნაციონალური კორპორაციების ვაჭრობის ნახევარი) ხორციელდება ტრანსნაციონალური კორპორაციების შიდა ბაზრებზე.

1990 წლიდან, საბჭოთა მსოფლიო იმპერიის სავაჭრო ბლოკის დაშლის შემდეგ საერთაშორისო ვაჭრობის სტრუქტურა გახდა ტრიპოლარული: ჩრდილოეთ ამერიკა, ევროკავშირი და იაპონია, აზიის ახალ ინდუსტრიულ ქვეყნებთან ერთად. ტრიპოლარული სტრუქტურა ეფუძნება მსოფლიო ეკონომიკის ცენტრალური რეგიონების (core regions) ქვეყნებს. ბოლო 20 წლის განმავლობაში მსოფლიო ვაჭრობის მოცულობა ორჯერ უფრო სწრაფად გაიზარდა, ვიდრე მსოფლიოს რეალური მშპ (შესაბამისად 6%-ით და 3%-ით), რამაც გააღრმავა ეკონომიკური ინტეგრაცია და გლობალური ურთიერთდამოკიდებულება. განვითარებადმა ქვეყნებმა მიაღწიეს ვაჭრობის ყველაზე სწრაფი გაფართოების ტემპებს და უფრო მნიშვნელოვანი მოთამაშეები გახდნენ მსოფლიო ვაჭრობაში. ამ ქვეყნებზე მოდის მსოფლიო ვაჭრობის მესამედი, ხოლო 1970-იან წლებში მათი წილი შეადგენდა მხოლოდ მეოთხედს. ამჟამად მათი ექსპორტის 40% განკუთვნილია სხვა განვითარებადი ქვეყნებისთვის. განვითარებადმა ქვეყნებმა შეიტანეს მნიშვნელოვანი წვლილი იმაში, რომ მსოფლიო ვაჭრობაში წარმოების (**manufactures)** წილი გაიზარდა.

სურათი: 2.12 მსოფლიო ვაჭრობა და განვითარებადი ქვეყნები

A Share of developing countries' exports destined to other developing countries



B Product composition of world merchandise exports



C Manufactures' share in total exports



მას შემდეგ, რაც განვითარდა წარმოების გლობალური სისტემა, წარმოებული საქონლის ექსპორტი და იმპორტი დიდი მოცულობით ხორციელდება მსოფლიოს უმეტეს ნაწილში. უკვე აღარ ხდება ისე, რომ ძირითადად განვითარებული ქვეყნები ახორციელებენ ექსპორტს და განვითარებადი ქვეყნები იმპორტს. აფრიკული სახელმწიფოების დიდი ნაწილი თითქმის არ მონაწილეობს წარმოების მსოფლიო ბაზარზე.

ვაჭრობის რეორგანიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია ვაჭრობაში ძლიერი დამოკიდებულება ყველაზე ნაკლებად განვითარებული ქვეყნებისა გეოგრაფიულად და გეოპოლიტიკურად ახლო მყოფ განვითარებულ სახელმწიფოებზე. მაგალითად, აშშ არის ცენტრალური ამერიკის ქვეყნების უმეტესობისთვის ექსპორტის მთავარი დანიშნულების ადგილი და იმპორტის ძირითადი წყარო. იგივე დამოკიდებულებაა საფრანგეთსა და მის ყოფილ კოლონიებს (ალჟირი, კამბოჯა, კოტ დივუარი და სხვა) შორის. განვითარებული ქვეყნების ძირითადი სავაჭრო პარტნიორები კი არიან სხვა განვითარებული სახელმწიფოები.

ამგვარი ვითარების ერთ-ერთი მთავარი შედეგი არის ის, რომ ამ სავაჭრო ურთიერთობების პერიფერიული პარტნიორები ძლიერ არიან დამოკიდებულნი განვითარებული ქვეყნების მოთხოვნაზე და ეკონომიკურ კლიმატზე. ამ საკითხმა გამოხმაურება ჰპოვა „თავისუფალი ვაჭრობის“ მოძრაობაში. დამოკიდებულების მეორე ასპექტი არის ქვეყნის საექსპორტო ბაზის დივერსიფიკაციის ხარისხი, რომლის საზომი მოცემულია 2.13 სურათში: ეს არის ექსპორტში საქონლის კონცენტრაციის ინდექსი (commodity concentration of exports). ქვეყნებს, რომლებსაც დაბალი ინდექსი აქვთ დივერსიფიცირებული საექსპორტო ბაზა გააჩნიათ, ასეთი ქვეყნებია: არგენტინა, ბრაზილია, ჩინეთი, ინდოეთი და სამხრეთ კორეა, ისევე, როგორც განვითარებული ქვეყნების უმეტესობა. რადიკალურად განსხვავებული ვითარებაა ყველაზე ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში (შემდგომში **LDC**), სადაც საწარმოო სექტორი სუსტადაა განვითარებული. მათი ექსპორტი მოიცავს ერთ ან ორ სასოფლო-სამეურნეო, ანდა მინერალურ რესურსებს: ანგოლა, ჩადი, დომინიკის რესპუბლიკა, ირანი, ერაყი, ლიბია, ნიგერია და სხვა.

სურათი 2.13 საექსპორტო საქონლის კონცენტრაციის ინდექსი 2003-2004წწ



Fig 2.13: Index of commodity concentration of exports, 2003–2004

ჩანართი: თავისუფალი ვაჭრობიდან სამართლიან ვაჭრობამდე

განვითარებული ქვეყნები, როგორებიც არიან აშშ და ევროკავშირის სახელმწიფოები მილიარდობით დოლარის სასოფლო-სამეურნეო სუბსიდიებს ურიცხავენ საკუთარ ფერმერებს, მაშინ როცა ზღუდავენ თავის ბაზარზე LDC-ების ღარიბი ფერმერების ხელმისაწვდომობას. ოქსფამმა შეიმუშავა ამ ორმაგი სტანდარტების ინდექსი და გამოიყენა განვითარებული (DC) ქვეყნების სავაჭრო პოლიტიკის 10 საზომი, მათ შორის საშუალო ტარიფი, ტარიფის ოდენობა სასოფლო-სამეურნეო იმპორტზე და LDC ქვეყნებიდან იმპორტის შეზღუდვები. ამ ინდექსის მაჩვენებლების მიხედვით სიის სათავეში მოექცნენ აშშ და ევროკავშირის ქვეყნები, რომლებიც ყველაზე მეტად მოუწოდებენ თავისუფალი ვაჭრობისკენ, მაგრამ ზღუდავენ LDC-ების ხელმისაწვდომობას მათ ბაზრებზე. ამას დაემატა ბოლო რამდენიმე ათწლეულში მსოფლიო ფასების დაცემა ისეთ პირველად პროდუქტებზე, როგორებიცაა ტროპიკული სასმელები და საკვები პროდუქტები, რომლებიც წარმოადგენენ LDC-ების ფერმერების შემოსავლის წყაროს. სჯეროდათ რა, რომ მხოლოდ დახმარება ვერ მოაგვარებდა LDC-ებში სიღარიბის პრობლემას, ოქსფამმა და სხვა ორგანიზაციებმა შეიმუშავეს თავისუფალი ვაჭრობის მოდელი. მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის ალტერნატიული სავაჭრო კავშირების გაბმის მიზნით მაიკლ ბარატ ბრაუნმა დააარსა ორგანიზაციები: მესამე მსოფლიოს საინფორმაციო ქსელი (Third World Information Network) და Twin Trading Ltd. მდგრადი განვითარების და არათანაბარი გაცვლის იდეების გავლენით ბარატ ბრაუნმა თავის წიგნში „თავისუფალი ვაჭრობა“ ბევრი LDC-ის გაუარესებულ სავაჭრო პოზიციას მათ საექსპორტო საქონელსა და ნედლეულზე ფასების დაცემის გამო იმპორტირებული საქონლის ფასებთან შედარებით.

თავისუფალი ვაჭრობის მოდელი აღიარებს, რომ ბევრი მცირე ზომის მწარმოებელი სავაჭრო გარიგების დადებისას არახელსაყრელ პოზიციაშია სასაქონლო ჯაჭვის დასაწყისში. ეს მოდელი ცდილობს განვითარებული ქვეყნების მომხმარებლები პირდაპირ დააკავშიროს LDC-ების მწარმოებლებთან სხვადასხვა საშუალებით, მათ შორის გრძელვადიანი სავაჭრო კონტრაქტებით,

რომლებიც ფერმერებს სთავაზობენ ფასების სტაბილურობას. “Fairtrade Labelling Organizations International” –მა (FLO), რომელიც არის 17 ეროვნული ლეიბლის ჯგუფის (National Labelling Group) ქოლგა ორგანიზაცია, რომელიც აწესებს სტანდარტებს „ფეარტრეიდის“ (Fairtrade), ანუ თავისუფალი ვაჭრობის მარკისათვის და ახდენს იმ კოოპერატივების სერთიფიცირებას, რომლებიც ამ სტანდარტებს აკმაყოფილებენ. ის საქონელი, რომელიც „ფეარტრეიდის“ მარკას ატარებს იყიდება გარანტირებულ მინიმალურ ფასად, რომელიც შეიცავს სოციალურ პრემიას, რომელსაც მომხმარებელი უხდის დემოკრატიულად ორგანიზებულ კოოპერატივს ინფრასტრუქტურაში (საკვების გადამუშავების საშუალებები, სკოლები და საავადმყოფოები) ინვესტირებისათვის კოოპერატივის წევრთათვის. „ფეარტრეიდის“ საქონელი შეესაბამება ეკოლოგიურ სტანდარტებს და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციებს.

„ფეარტრეიდის“ მარკა მოიცავს სხვადასხვა პროდუქციას, მათ შორის: ყავა, ჩაი, კაკაო, ბანანი და თაფლი. პირველი „ფეარტრეიდის“ ყავა იმპორტირებულ იქნა ნიდერლანდებში 1973 წელს გვატემალას მცირე საფერმო კოოპერატივიდან. 2003 წელს აშშ-მა გადაასწრო ნიდერლანდებს „ფეარტრეიდის“ ყავის იმპორტში. ამჟამად 230-ზე მეტი ყავის კოოპერატივი, რომლებშიც გაწევრიანებულია 700 000-ზე მეტი ფერმერი ლათინური ამერიკის, აზიისა და აფრიკის 12-ზე მეტი ქვეყნიდან სერტიფიცირებულია FLO-ს მიერ. „ფეარტრეიდის“ საქონლის ყოველწლიური გაყიდვები ორნიშნა რიცხვით იზრდება და ახლა მათი ღირებულება ერთ მილიარდ აშშ დოლარს აჭარბებს. თუმცა ამ პროდუქტების წილი შეადგენს 0,5-დან 5%-ს ყველა გაყიდვებისა თავიანთი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით ევროპაში, აშშ-სა და კანადაში.

გევინ ფრიდელმა ჩამოაყალიბა რამდენიმე მოსაზრება თავისუფალი ვაჭრობის ქსელის შესახებ. დეკომოდიფიკაცია, შეიცავს ეთიკური ვაჭრობის შესახებ ცნებებს და წარმოაჩენს თავისუფალ ვაჭრობას, როგორც გამოწვევას საქონლის კომოდიფიკაციისთვის გლობალური კაპიტალიზმის პირობებში. ჯეფ პოკე ეთიკური ვაჭრობის მოძრაობას განიხილავს, როგორც რეინკარნაციას ტრადიციული მარქსისტული კონცეფციისა, რომელიც გულისხმობს საქონლის „დეფეტიშიზაციას“, რათა გამოაშკარავდეს წარმოების არათანაბარი სოციალური ურთიერთობები. მიუხედავად იმისა, რომ ეს მიდგომა კონკურენციას უწევს გლობალური კაპიტალიზმის ძირითად პრინციპებს - კონკურენციას, აკუმულაციას და მოგების მაქსიმიზაციას - მას გლობალური სავაჭრო სისტემის შეცვლის შეზღუდული პოტენციალი გააჩნია, რადგან ის მთლიანად დამოკიდებულია განვითარებული ქვეყნების მომხმარებელთათვის გლობალური სავაჭრო სისტემის უთანასწორობის გამომჟღავნებაზე.

ყველაზე მეტად თავისუფალი ვაჭრობის გავლენას ასახავს უფრო ზომიერი მიდგომა, რომლის მიხედვითაც ღარიბი ფერმერების დახმარება უნდა მოხდეს არსებული გლობალური საბაზრო სისტემის პირობებში არასამთავრობო ორგანიზაციების მეშვეობით. ღარიბ ფერმერთა ხელშეწყობის ამ მიდგომამ გარკვეული შედეგი უკვე გამოიღო, თუმცა საფრთხეს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ფერმერებს უფრო ხშირად მოუხდებათ საქმის დაჭერა დიდ ტრანსნაციონალურ კორპორაციებთან იმისათვის, რომ თავიანთი პროდუქცია უფრო ფართოდ იყოს წარმოდგენილი განვითარებული ქვეყნების

მომხმარებლისთვის და აგრეთვე პრობლემაა იმ კომპონენტის ნაკლებობა, რომელიც სიღარიბის სტრუქტურულ მიზეზს დაუპირისპირდებოდა.

საერთაშორისო საფინანსო და ბიზნეს მომსახურება (business services)

მსოფლიოს წარმოებისა და ვაჭრობის სივრცობრივ ორგანიზაციას კარგად ასახავს საერთაშორისო საფინანსო და ბიზნესის მომსახურება. ჩვენ კიდევ ერთხელ ვხვდებით ტრიპოლარულ სტრუქტურას: 21-ე საუკუნის დასაწყისში აშშ-ზე, ევროკავშირსა და იაპონიაზე მოდიოდა გლობალური უცხოური პირდაპირი ინვესტიციების შემოდინების სამი-მეოთხედი და გადინების 85%. განვითარებულ ქვეყნებს შორის უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ნაკადების პროპორციამ განიცადა ცვლილებები ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში.

1970-იანი წლების დასაწყისამდე აშშ-ის ტრანსნაციონალურ კორპორაციებზე მოდიოდა უცხოური პირდაპირი ინვესტიციების გადინების ორი მესამედი და აქედან სამი-მეოთხედი მიმართული იყო კანადისა და ყველაზე განვითარებული დასავლეთ ევროპის ქვეყნებისკენ. 1990-იანი წლებისთვის აშშ-ის ტრანსნაციონალური კორპორაციების წილი შემცირდა და შეადგინა 50%, ხოლო კანდის, იაპონიისა და გერმანიის უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მოცულობა მკვეთრად გაიზარდა. ამასობაში გამოჩნდა უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ახალი, მნიშვნელოვანი წყარო: ახალი ინდუსტრიული ქვეყნების ტრანსნაციონალური კორპორაციები. ჰიუნდაი, სამხრეთ კორეის გემთმშენებელი, საავტომობილო და ლოჯისტიკური ფირმა უფრო დიდია ვიდრე მიშლენი; მალაიზიური ნავთობმომპოვებელი და მწარმოებელი კონგლომერატი – "პეტრონასი" არის "ანჰაუზერ-ბუშსა" და "ისტმან-კოდაკზე" უფრო მსხვილი.

ინვესტიციების წყაროებში ცვლილებებთან ერთად, მოხდა მათი დანიშნულების ადგილების მიხედვით პროპორციული ცვლილებები. განვითარებული ქვეყნები კვლავაც იზიდავენ მათ დიდ ნაწილს, მაგრამ ეკონომიკის გლობალიზაციის შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა კაპიტალდაბანდებები ახალ ინდუსტრიულ სახელმწიფოებში. LDC-ებში ინვესტიციების სამი მეოთხედი შემოდის შვიდი ახალი ინდუსტრიული ქვეყნიდან: არგენტინა, ბრაზილია, ჩინეთი (ჰონ კონგის ჩათვლით), მალაიზია, მექსიკა, სინგაპური და სამხრეთ კორეა.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ საწყის პერიოდში საერთაშორისო ფინანსების მოდელი ფუნქციონირებდა "ბრეტონ-ვუდსის" 1944 წლის შეთანხმების შესაბამისად. ამ სისტემაში დომინირებდა აშშ, ფიქსირებული გაცვლითი კურსით და აშშ დოლარით, როგორც კონვერტირებადი გაცვლის არეალით (medium of currency) და ფიქსირებული ურთიერთკავშირით ოქროს ფასთან. მაგრამ როცა აშშ-ის პოზიციები მსოფლიო ვაჭრობასა და წარმოებაში გაუარესდა, სისტემა ზეწოლის ქვეშ მოექცა. „შედეგად "ბრეტონ-ვუდსის" სისტემა დაიმსხვრა. 1960-იანი წლების ბოლოსკენ ფიქსირებული გაცვლითი კურსები გაქრა და ნებისმიერი ეროვნული ვალუტა გახდა კონვერტირებადი ყველა სხვა ვალუტაში. გაცვლითი კურსები მერყეობდა და შედეგად ნებისმიერი ადგილობრივი ვალუტა გახდა (medium), რომლის ყიდვა-გაყიდვა იყო შესაძლებელი და ასევე მოგების მიღება" (**Thrift,** 1989: 34).

ამასობაში, ევროდოლარების (აშშ დოლარები, რომლებიც აშშ-ის საზღვრებს გარეთ მდებარე ბანკებში ინახებოდა) დიდი მასა იქნა დაგროვებული, რომლებიც მიმოქცევაში გაშვებულ იქნა 1971 წლიდან, როცა აშშ-ის მთავრობამ დაიწყო

თავისი საბიუჯეტო დეფიციტის დაფინანსება საკუთარი ვალუტით და გაავსო მსოფლიო ბაზარი დოლარებით, რითაც მსოფლიო ინფლაცია გამოიწვია. ორი წლის შემდეგ 1973 წელს ევროდოლარის ბაზარი კვლავ გაიბერა, როცა ნავთობის მწარმოებელმა ქვეყნებმა სწრაფად დააგროვეს აშშ დოლარების დიდი რეზერვები ნავთობის ექსპორტიორ ქვეყანათა ორგანიზაციის (ოპეკი) მიერ ემბარგოს შემოღების შედეგად ნავთობზე ფასების გაოთხმაგების პირობებში. ვალუტების მერყეობისა და ევროდოლარების დიდი ბაზრის შექმნის შედეგი გახდა საერთაშორისო ფინანსების ახალი, უფრო დახვეწილი სისტემის შექმნა. შედეგად, ინვესტირების ახალ მოდელს მოჰყვა ძირითადი ბიზნესის სერვისების: საფონდო ბირჟების, ფიუჩერსული ბაზრების, ბანკების სარეკლამო სააგენტოების და ბიზნეს სასტუმროების ექსპანსია და ინტერნაციონალიზაცია. რადგან განვითარებული ქვეყნების კონკურენტუნარიანობა ინდუსტრიულ წარმოებაში შემცირდა, მათი დამოკიდებულება აღნიშნულ სერვისებზე გაიზარდა იმისათვის, რომ შეიძინონ უცხოური ვალუტა და დააბალანსონ ნაციონალური ანგარიშები (national accounts). საერთაშორისო ფინანსების ამ სისტემამ წარმოშვა გიგანტური ფინანსური კონგლომერატები როგორებიცაა “Citigroup”, “UBS”, “HSBC” და “Deutsche Bank”. რომლებიც დომინირებენ მსოფლიო საფინანსო სისტემაში (ცხრილი 2.4). საბანკო სფეროს ინტერნაციონალიზაციამ ხელი შეუწყო “ელექტრონულ კოლონიალიზმს”, რის გამოც დიდი ევროპული და ამერიკული ბანკები დიდწილად აკონტროლებენ მსოფლიო ეკონომიკას.

საფინანსო და ბიზნესის მომსახურების ინტერნაციონალიზაციის ძირითადი მიზეზი არის უდიდესი ზრდა ვაჭრობაში, წარმოების ინტერნაციონალიზაცია და ტრანსნაციონალური კორპორაციების როლის ზრდა. რამდენადაც ტექნოლოგიურმა პროგრესმა ხელი შეუწყო მსოფლიო ვაჭრობის განვითარებას, წარმოების ინტერნაციონალიზაციას და ტრანსნაციონალური კორპორაციების გაჩენას, იმდენად ტელეკომუნიკაციებსა და მონაცემთა დამუშავებაში წინსვლამ, განავითარა საერთაშორისო საფინანსო და ბიზნესის მომსახურება. სატელიტურმა საკომუნიკაციო სისტემებმა და ინტერნეტმა შესაძლებელი გახადა ფირმების მიერ საფინანსო და ბიზნესის მომსახურების მართვა დღეში 24 საათის განმავლობაში, მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

გლობალური ფინანსური ქსელის ზრდამ მსოფლიო ეკონომიკას ახალი განზომილება შესძინა. ბარნეტისა და კავანოს (1994: 17) სიტყვებით: „დღეში 24 საათის განმავლობაში, ტრილიონობით დოლარის ნაკადები მოძრაობს მსოფლიოს სავალუტო ბაზრებზე, რადგან მონაცემები წამის უმცირეს მონაკვეთებში ვრცელდება. ამ თანხის არაუმეტეს 10% არის დაკავშირებული საქონლისა და მომსახურების ვაჭრობასთან. ვალუტით საერთაშორისო ვაჭრობა საკმაოდ მომგებიანი თამაში გახდა“ (ცხრილი 2.4).

საერთაშორისო ვაჭრობა და სავალო მახე

მსოფლიო ეკონომიკის სტრუქტურულმა უთანასწორობამ გამოიწვია საგარეო ვალის ქრონიკული პრობლემა. LDC-ების მიერ წარმოებულ პირველადი მოხმარების საქონელთან (primary commodities) მიმართებით მოთხოვნისა და ფასის ელასტიურობა დაბალია. ამგვარ პროდუქციაზე მოთხოვნა მათი ძირითად გასაღების ბაზრებზე (განვითარებული ქვეყნები) დაბალი ტემპებით იზრდება, მიუხედავად ამ ბაზრების შემოსავლების სწრაფი მატებისა. ამ პროდუქციის

ღირებულების საგრძნობი შემცირება მხოლოდ მცირედით გაზრდის მათზე მოთხოვნას. ამის საპირისპიროდ, მოთხოვნისა და ფასის ელასტიურობა მაღალია წარმოებულ საქონელზე და მაღალი კლასის (high-order) სერვისებზე (რაც განვითარებული ეკონომიკების სპეციალიზაციას წარმოადგენს). შედეგად, ვაჭრობის პირობები მოქმედებენ პირველადი მოხმარების საქონლის მწარმოებელთა საწინააღმდეგოდ. არა აქვს მნიშვნელობა როგორი ეფექტიანები იქნებიან პირველადი მოხმარების საქონლის მწარმოებლები, ან რამდენად გამდიდრდებიან მომხმარებლები, სავაჭრო ბალანსი მაინც მათ საწინაღმდეგოდ გადაიხრება.

ამის საპირისპირო სტრატეგია შეიძლება იყოს შრომის დანაწილების საერთაშორისო ბაზარზე როლის შეცვლა, პირველადი მოხმარების საქონელზე სპეციალიზების მაგივრად დივერსიფიცირებულ საწარმოო ბაზაზე გადასვლა. ეს სტრატეგია ცნობილია, როგორც იმპორტის ჩანაცვლება. ამ სტრატეგიის განხორციელება საკმაოდ რთულია, რადგან დივერსიფიცირებული საწარმოო ბაზის შექმნა დიდძალი საწყისი კაპიტალის არსებობას მოითხოვს, რისი დაგროვებაც ამ ტიპის ქვეყნებისთვის საკმაოდ რთულია. ერთადერთი ალტერნატივა არის კაპიტალის მოზიდვა სესხების აღების გზით. თუ კაპიტალი ინვესტირებულ იქნება ეკონომიკური განვითარების პროექტებში, რომლებიც არ მოიტანენ სათანადო შემოსავალს, ახალი ვალების აღება გახდება საჭირო, თავდაპირველი ვალის მომსახურების ანდა განვითარების ახალი პროექტების დაფინანსებისთვის. სინდრომს, რომლის დროსაც არსებობს ვალების აღების მუდმივი საჭიროება განვითარების დასაფინანსებლად ეწოდება სავალო მახე.

გრძელვადიანი სესხების მომსახურება დიდ ტვირთად იქცა ზოგი ქვეყნისთვის (სურათი 2.14). ისეთ სახელმწიფოებში როგორებიცაა ბელიზი, ბრაზილია, ბურუნდი, ეკვადორი, გამბია და პაკისტანი, საქონლისა და მომსახურების ექსპორტით მიღებული ყოველი 100 დოლარიდან (2003-04) 30-ზე მეტი უნდა წასულიყო გრძელვადიანი სესხის მომსახურებაში. ყველაზე უარესი ვითარება იყო ბურუნდიში, სადაც ვალის მომსახურება საექსპორტო შემოსავლის ორ-მესამედს შეადგენდა. ვალის პრობლემა გაღრმავდა საერთაშორისო კაპიტალის ბრუნვის მოდელის გამო, რომლის სტიმულირება მოხდა სავალუტო ბაზარზე არსებული პირობების ცვლილების შედეგად და არა ვაჭრობის გეოგრაფიის გამო. სავაჭრო დისბალანსის და დიდი ოდენობის ვალების გამო გაზრდილი გადასახადებისგან თავიდან არიდების მიზნით LDC-ების ქვეყნების მთავრობების ადგილობრივ კრედიტორებს თანხები საზღვარგარეთ გააქვთ, ამის შედეგია კაპიტალის გადინება. საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფასებით, 1995 წელს კაპიტალის გადინებამ ყველაზე დიდი ვალების მქონე ქვეყნებში შეადგინა საგარეო ვალის ნახევარი.

არსებობს სხვა პრობლემაც. 1970-იან წლებში მსოფლიო მონეტარული რეზერვები თორმეტჯერ გაიზარდა ოპეკის ნავთობდოლარებისა და ”ბრეტონ-ვუდსის” სისტემის ნგრევის თანმდევი ინფლაციის შედეგად. საერთაშორისო საბანკო სისტემაში დაგროვდა ნავთობკომპანიების მიერ განთავსებული დიდი ოდენობის კაპიტალი. განვითარებული ქვეყნების ბანკებს გაუჩნდათ LDC-ების მთავრობებისათვის სესხების მიცემის სურვილი, რომლებიც კაპიტალის ძლიერ ნაკლებობას განიცდიდნენ. შედეგად ვალის დაფარვისთვის საჭირო თანხების მოზიდვა აღემატებოდა მათ შესაძლებლობებს.

1981 წლისთვის LDC-ების ვალი შეადგენდა 739 მილიარდ აშშ დოლარს. როცა რეიგანომიკის და მონეტარიზმის პირობებში საპროცენტო განაკვეთები გაიზარდა, დაიწყო სავალო კრიზისი. 1982 წელს მექსიკა დაიმუქრა საკუთარ ვალებზე დეფოლტის გამოცხადებით, ამას კი შეიძლებოდა მოყოლოდა ჯაჭვური რეაქცია, რაც საფრთხეს შეუქმნიდა საერთაშორისო ფინანსურ სტაბილურობას. განვითარებული ქვეყნების კრედიტორებმა გაიაზრეს, რომ მათ ინტერესებში შედიოდა არა მარტო საერთაშორისო ფინანსური სტაბილურობა, არამედ განვითარებად ქვეყნებში ჯანსაღი ბაზრის არსებობა და მექსიკას ვალების რესტრუქტურიზაციის ნება დართეს. ამ მოვლენათა სურათი შემდგომშიც რამდენჯერმე განმეორდა.

სურათი 2.14 ვალის პრობლემა: ვალის მომსახურება, საქონლისა და მომსახურების ექსპორტის ღირებულების პროცენტული გამოხატულებით



Fig 2.14: The debt problem: total debt service as a percentage of the value of exports of goods and services, 2003–2004

საერთაშორისო დახმარების მოდელი

ვალის საკითხს ლოგიკურად მივყავართ დახმარების თემასთან. ფართო მასშტაბებით დახმარების მოძრაობა დაიწყო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მარშალის გეგმით, რომელსაც აფინანსებდა აშშ, ომისგან გაჩანაგებული თავისი ევროპელი მოკავშირეების დასახმარებლად, რომელთა ეკონომიკური სისუსტე კომუნიზმის გავრცელების საშიშროებას ამძაფრებდა. 1950-იან და 1960-იან წლებში, როდესაც სულ უფრო მეტი LDC იძენდა დამოუკიდებლობას, დახმარება გახდა სასარებლო იარაღი დასავლეთსა და საბჭოთა ბლოკს შორის ცივი ომის პერიოდში მსოფლიოს მასშტაბით გავლენის მოსაპოვებლად. 1960-იანი წლების ბოლოდან დონორების სიაში შევიდნენ უფრო პატარა ქვეყნები (მაგალითად: ავსტრია, დანია და შვედეთი), რომელთათვის დახმარების გაცემის მოტივაცია უფრო ფილანტროპიულია, ვიდრე პოლიტიკური. დახმარების გეოგრაფიული

მასშტაბები ფართო იყო ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციების მოღვაწეობის შედეგად, როგორებიცაა საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი. დახმარების გეოგრაფიას ჯერაც ძლიერი პოლიტიკური ელფერი აქვს. ზოგიერთი ქვეყნის მიერ გაცემული დახმარება გამოხატავს მის ლოკალურ პოლიტიკურ მისწრაფებებს და კოლონიურ კავშირებს. დახმარებები დიდი ბრიტანეთიდან და საფრანგეთიდან მიემართება ყოფილ აფრიკულ კოლონიებში, იაპონიიდან წამოსული დახმარება ძირითადად აზიის ქვეყნებს ხმარდება, ხოლო ოპეკის ქვეყნები ძირითადად ეხმარებიან არაბულ ქვეყნებს. ცივი ომის დასასრულმა და ზოგიერთ განვითარებულ ქვეყანაში საგადამხდელო ბალანსის (balance of payments) სირთულეებმა გამოიწვია დახმარების შემცირება LDC-ებისთვის. ამიტომ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (ეთგო) წევრი ქვეყნების მიერ გაწეული ოფიციალური დახმარება განვითარების მიზნით, 1965 წელს შეადგენდა მათი მეპ-ის 0,5%-ს, ხოლო 2006 წელს დაეცა 0,3% მდე. ყველაზე უფრო მკვეთრად განვითარების დახმარებები შეამცირა აშშ-მ, მეპ-ის წილის 0,58% დან 0,17%მდე. იაპონიის მიერ გაწეული დახმარებების რაოდენობა არასდროს აღემატებოდა მეპ-ის 0,3%-ს. ზოგიერთმა ქვეყანამ, განსაკუთრებით დანიამ, შვედეთმა, ნორვეგიამ და ნიდერლანდებმა გაზარდეს დახმარებების რაოდენობა და გადააცილეს გაეროს მიერ დასახული მეპ-ის 0,7%-ს. ამ მასშტაბებით გაწეული დახმარება არ შეიძლება ჩაითვალოს განვითარების მასტიმულირებელ და ცენტრისა და პერიფერიის უთანასწორობის შემამცირებელ ძალად.

2.4 საერთაშორისო უთანასწორობის განმარტება

1960-იანი წლებიდან აშკარა გახდა, რომ საერთაშორისო სოციოეკონომიკური უთანასწორობა თანდათან უფრო მკვეთრად გამოხატული ხდებოდა. გაჩნდა მრავალი კრიტიკული ნაშრომი, რომლებშიც აღნიშნული იყო, რომ განვითარებული ქვეყნების (აშშ, ევროპა, იაპონია) წარმატებულობა ეფუძნებოდა LDC-ების სიღატაკეს. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ ევროპის და ჩრდილოეთ ამერიკის განვითარება დამოკიდებული იყო LDC-ების პერმანენტულ განუვითარებლობაზე. არათანაბარი ვაჭრობის, სამუშაო ძალის ექსპლუატაციის და მოგების ამოღების საშუალებით განუვითარებელი ქვეყნები სულ უფრო მეტად ღარიბდებოდნენ.

ანდრე გუნდერ ფრანკი თავის ნაშრომებში უარყოფს აზრს, რომ ჩამორჩენილობა წარმოადგენს თავდაპირველ მდგომარეობას, ეს მდგომარეობა შექმნილია ვაჭრობის მსოფლიო სისტემაში ინტეგრაციის შედეგად, რომელიც მე-16 საუკუნეში აღმოცენდა მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის სახით. სიღარიბე არ არის გეოგრაფიული იზოლაციის ან დასავლური ტექნოლოგიების, კაპიტალისა და ღირებულებების შეზღუდული გავრცელების მიზეზი. სიღარიბე გამომდინარეობს მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის შიგნით სივრცითი ურთიერთობების ბუნებიდან.

ფრენკმა (1967: 146-7) დაახასიათა მსოფლიო მეტროპოლისი (აშშ) და მისი ეროვნული (აშშ-ს სამხრეთი შტატები) და უცხოური (მაგ.: სან პაულუ) სატელიტები და მათი ლიდერები. რადგან სან პაულუ თავის მხრივ წარმოადგენს ეროვნულ მეტროპოლისს, ფრენკმა ამ სისტემაში შეიყვანა სან პაულუს

სატელიტები, პროვინციული მეტროპოლისები: რესიფე და ბელუ-ორიზონტი და ასევე მათი რეგიონული და ადგილობრივი სატელიტები. საერთო ჯამში ფრენკმა შეადგინა მეტროპოლიებისა და სატელიტების მთელი ჯაჭვი მსოფლიო მეტროპოლიიდან სოფლამდე.
მსოფლიო ეკონომიკის არათანაბარი სტრუქტურა სათავეს იღებს მე-16 საუკუნიდან, როდესაც ევროპელებმა პირველად დაიწყეს მსოფლიოს რესურსების ათვისება დიდი მასშტაბებით. თუმცა მეტროპოლიის საკუთარ სატელიტზე მონოპოლიური ძალაუფლების ფორმა შეიცვალა (მე-19 საუკუნეში ინდუსტრიული კაპიტალიზმის განვითარებასთან და ყოფილი კოლონიების მიერ პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვებასთან ერთად), ეს სისტემა (სიმდიდრის გადანაცვლება სატელიტებიდან მეტროპოლიისკენ) განაგრძობს ზრდის სტიმულირებას ერთგან, სხვათა ხარჯზე.
ფრენკის მიდგომას შეიძლება ვუწოდოთ "დამოკიდებულების თეორია", რომელიც წარმოადგენს საკმაოდ გავლენიან მიდგომას განვითარებისა და განუვითარებლობის მსოფლიო მოდელის ასახსნელად. მის თანახმად განვითარება და განუვითარებლობა ერთი და იმავე პროცესის საპირისპირო მხარეებს წარმოადგენენ. განვითარება ერთ ადგილას მოითხოვს განუვითარებლობას სხვაგან. დამოუკიდებელი განვითარება შეუძლებელია. ბოლო კვლევებმა უფრო მეტი აქცენტი გააკეთეს საგარეო დამოკიდებულების მიერ შექმნილი პოლიტიკური და სოციალური სტრუქტურის ბუნებაზე და იმაზე, თუ საგარეო დამოკიდებულების პირდაპირ გავლენასთან ურთიერთმიმართებით როგორ ახდენენ ისინი რეალური განვითარების შეზღუდვას (სლეიტერი, 1992). აშკარაა, რომ განვითარებისა და განუვითარებლობის კონცეფცია ეფუძნება მეტროპოლიასა და სატელიტებს შორის მუდმივი სივრცობრივი უთანასწორობის იდეას. თუმცა მსოფლიო ეკონომიკის ლოგიკა და მოთხოვნები რეკონსტრუქციის მუდმივ სტადიაშია. აშშ-ის აღზევება სატელიტიდან მეტროპოლიამდე, საბჭოთა კავშირის გაძლიერება და დანგრევა, ახალი ინდუსტრიული ქვეყნების გამოჩენა და ტრანსნაციონალური კორპორაციების მნიშვნელობის ზრდა, ყველაფერი ეს ეწინააღმდეგება მუდმივი სივრცობრივი უთანასწორობის აზრს.

დასკვნა

საერთაშორისო ეკონომიკური დიფერენციაციის ძირითადი ასპექტების მოკლე მიმოხილვამ წარმოაჩინა ცენტრის და პერიფერიის მოდელის დომინირება. აგრეთვე აღსანიშნავია შემდეგი:

- ნახევრად პერიფერიული ქვეყნების არსებობა, საშუალო ცხოვრების დონით. ამ ჯგუფში შედიან სხვადასხვა ტიპის სახელმწიფოები: რესურსის ექსპორტიორები, ახალი ინდუსტრიული ქვეყნები, ასევე ჩინეთი, ინდოეთი, ევროპის შედარებით ღარიბი სახელმწიფოები, როგორებიც არიან საბერძნეთი და პორტუგალია, აღმოსავლეთ ევროპის ყოფილი სოციალისტური ქვეყნები და რუსეთი.
- ეკონომიკური განვითარების მოდელების ცვლილებების სიჩქარე და ინტენსივობა, დაკავშირებული ტრანსნაციონალური კორპორაციების გავლენის შედეგად ეკონომიკის გლობალიზაციას.
- პერიფერიული ქვეყნების დამოკიდებულების ხარისხი, განპირობებული უთანასწორობით რესურსებში, სავაჭრო ურთიერთობებში, ფინანსური

რესურსებისადმი ხელმისაწვდომობაში და ეკონომიკური საქმიანობის კონტროლში

თავი 3. მსოფლიო ეკონომიკის გეოგრაფიული დინამიკა

ერთი თვალსაზრისით 1960-იანი წლებიდან სათავეს იღებს ახალი, უფრო ურთიერთდამოკიდებული მსოფლიო ეკონომიკა. კერძოდ, დასავლეთ ევროპისა და აშშ-ის ბევრმა ფირმამ დაიწყო საკუთარი საქმიანობების რეორგანიზება და მოგების გაზრდა ზოგი საქმიანობის ქვეკონტრაქტირებით და საწარმოო მოწყობილობების ინტერნაციონალიზაციით. მაგრამ მეორე თვალსაზრისით, უკვე არსებობდა მსოფლიო ეკონომიკა, რომელშიც მიმდინარეობდა გლობალიზაციის პროცესები. მე-16 საუკუნიდან დაწყებული, მე-19 და მე-20 საუკუნეებში ყველაზე დიდი ექსპანსიით და ინტენსიფიკაციით, მსოფლიო ეკონომიკა აღმოცენდა უფრო ლოკალიზებული ეკონომიკური სისტემებიდან. რადგან იგი სულ უფრო ინტეგრირებული ხდება, მოიცავს სულ უფრო ფართო გეოგრაფიულ სივრცესა და ეკონომიკურ საქმიანობებს (რესურსების მოპოვება, კაპიტალის ინვესტირება, ნაწარმით ვაჭრობა, მომსახურებები და ა.შ.), მან განიცადა გადანაცვლებები ოპერაციების მეთოდებში და მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონის მნიშვნელობაში (სურათი 3.1). ფართო ისტორიული კონტექსტის თვალსაზრისით, 1960-იანი წლების ბოლოს მომხდარი ცვლილებები წარმოადგენენ ამ ევოლუციური პროცესების მანიფესტაციას.

ამ თავის მიზანია ა) თანამედროვე ეკონომიკის ისტორიული განვითარების აღწერა; ბ) მაკროეკონომიკური ქმედებებისა და სახელმწიფო რეგულირების გეოგრაფიული ეფექტების აღნიშვნა გ) მსოფლიო ეკონომიკის მიმდინარე გეოგრაფიული რეორგანიზაციის ძირითადი მიზეზებისა და შედეგების იდენტიფიცირება. ჩვენი მიზანია ეკონომიკური ლანდშაფტის სტრუქტურის, ასევე მსოფლიო ეკონომიკური გეოგრაფიის ტენდენციების ისტორიული კონტექსტის მონახაზის გაკეთება და ეკონომიკური გეოგრაფიის მნიშვნელოვანი თეორიული მიმართულების: გეოპოლიტიკური ეკონომიკის (სახელმწიფოების გავლენა მსოფლიო ეკონომიკის ფუნქციონირებასა და ეკონომიკური საქმიანობის გეოგრაფიაზე) მიმოხილვა.

სურათი 3.1 სიმდიდრის განაწილება მსოფლიო ეკონომიკაში



3.1 მსოფლიო ეკონომიკის ისტორია

გამოვყოფთ მსოფლიო ეკონომიკის ექვსი ძირითად მახასიათებელს:

1. **ერთიანი მსოფლიო ბაზარი**

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკა წარმოადგენს ერთიან მსოფლიო ბაზარს. ამ ბაზრის შიგნით მწარმოებლები ცდილობენ გაყიდონ თავიანთი ნაწარმი მაქსიმალურად მისაღებ ფასებში. პროდუქტის ფასი არ არის ფიქსირებული, იგი არის მწარმოებელთა შორის ბაზრის წილისთვის კონკურენციის შედეგი. ფასის დამდგენი ბაზრების ჩამოყალიბებას მრავალი წელი დასჭირდა და დაიწყო მე-18 საუკუნის ბოლოდან, როცა შრომა გახდა ვაჭრობის საგანი (სახელფასო შრომა). სწორედ დროის ამ მონაკვეთიდან იწყება მნიშვნელოვანი ხარისხობრივი ცვლილებები მსოფლიო ეკონომიკის არსში. ევროპულმა ინდუსტრიალიზაციამ შექმნა მსოფლიო ვაჭრობის ძლიერი ინტენსიფიკაცია და ნედლეულისა და წარმოებული საქონლის კომპლექსური ბაზრები. ევროპის გარეთ ინვესტიციები და ვაჭრობა უფრო მნიშვნელოვანი გახდა ევროპის განვითარებისათვის 1700-იანი წლებიდან.

2. **სახელმწიფო სისტემა**

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკა ყოველთვის იყოფოდა სახელმწიფოებს შორის. ეს დაყოფა იზრდებოდა თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის გეოგრაფიულ ექსპანსიასთან ერთად. ქვეყნებს შეუძლიათ დაიცვან და წაახალისონ ადგილობრივი წარმოება ტარიფების, სავაჭრო კვოტებისა (უცხოური საქონლის ადგილობრივ ბაზარზე შეტანის შეზღუდვა) და საფინანსო სტიმულების მეშვეობით. ამის შედეგია კონკურენტული სახელმწიფო სისტემა, სადაც თითოეული სახელმწიფო ცდილობს თავისი ეკონომიკა დაიცვას მსოფლიო ბაზრის უარყოფითი გავლენისაგან და ამავდროულად თავის სასარგებლოდ გამოიყენოს იგი.
კონკურენტული უპირატესობის მისაღებად ყოველთვის არ არის აუცილებელი პროტექციონისტური ზომების გატარება, როგორიცაა ტარიფის დაწესება

კონკურენტ პროდუქტზე. მრავალი ისტორიული მაგალითი ამტკიცებს სახელმწიფოს ან სხვა ინსტიტუციების საშუამავლო როლის მნიშვნელობას, მაგალითად: აშშ-ის ეკონომიკური განვითარების სტიმულირება მე-19 საუკუნის დასაწყისში არხის მშენებლობით; იაპონიის მიერ 1945 წლიდან მრეწველობის მრავალი დარგობრივი ბაზრის წრაფი დაპყრობა; ტაივანის წარმატებული შესვლა გლობალურ მიკროელექტრონულ ინდუსტრიაში 1980-იან წლებში. ზოგ შემთხვევებში, მაგალითად საფრანგეთში, კავშირი სახელმწიფო პოლიტიკასა და ეკონომიკურ განვითარებას შორის იყო განსაკუთრებით მჭიდრო. სახელმწიფო ინვესტიციები განსაკუთრებით სოციალურ ინფრასტრუქტურაში, როგორიცაა გზები, რკინიგზა, სკოლები, სამკურნალო დაწესებულებები, იყო წინაპირობა ყველაზე წარმატებული ცდებისა მსოფლიო ბაზარზე საფრანგეთის არახელსაყრელი პოზიციების გასაუმჯობესებლად. ეროვნული რესურსების მობილიზება ხშირად საბაზრო ძალების თავისუფალი თამაშიდან კი არ წარმოიქმნება, არამედ მთავრობების მიერ მიცემული მიმართულებებიდან და სტიმულებიდან.

3. სამი გეოგრაფიული საფეხური

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკაში ჩამოყალიბდა სამ საფეხურიანი გეოგრაფია (სურ. 2.1). ადრეული მსოფლიო ეკონომიკა შედგებოდა ევროპისაგან და ესპანეთისა და პორტუგალიის მიერ კონტროლირებად სამხრეთ და ცენტრალური ამერიკისგან. დედამიწის დანარჩენი ნაწილი მსოფლიო ეკონომიკის გარეთ იყო მოქცეული. მოგვიანებით მსოფლიოს დანარჩენი ნაწილიც ინკორპორირებულ იქნა ვაჭრობის, კოლონიზაციისა და იმპერიალიზმის მეშვეობით. ამგვარად, მსოფლიო ეკონომიკა დაიყო ცენტრად (თავდაპირველად დასავლეთ ევროპა, რომელსაც მოგვიანებით აშშ და იაპონია დაემატა) და პერიფერიად. **ცენტრი** დიდწილად აკონტროლებს მსოფლიო ეკონომიკას და ხასიათდება მოწინავე ტექნოლოგიებით, დივერსიფიცირებული წარმოებით და მაღალი საშუალო შემოსავლებით. **პერიფერიას** ახასიათებს დამოკიდებულების მაღალი ხარისხი, პრიმიტიული ტექნოლოგიები, ნაკლებად დივერსიფიცირებული წარმოება და შედარებით დაბალი საშუალო შემოსავლები. არათანაბარი განვითარება გლობალური მასშტაბით არ არის ახალი ფენომენი და არც მსოფლიო ეკონომიკის სუბპროდუქტი, ის არის მსოფლიო ეკონომიკის ძირითადი მახასიათებელი.

მიუხედავად გაფართოებისა და მსოფლიოს სულ უფრო დიდი ნაწილის ინკორპორირებისა, მსოფლიო ეკონომიკა უცვლელი არ იყო. ხდებოდა გადაადგილებები ცენტრსა და პერიფერიას შორის. ამის დასტურია აშშ-ისა და იაპონიის აღმასვლა და ესპანეთისა და პორტუგალიის დაცემა. მესამე გეოგრაფიული საფეხური, **ნახევრად-პერიფერია** მოიცავს პროცესებს, რომლებიც მიმდინარეობს მსოფლიოს გარკვეულ ნაწილებში, რათა შესაძლებელი გახდეს გადასვლა პერიფერიიდან ცენტრში და პირიქით. ეს არის ზონა სადაც ცენტრისა და პერიფერიის შერეული პროცესები მიმდინარეობს.

4. დროებითი მოდელები და ჰეგემონია

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკას ახასიათებს ზრდისა და სტაგნაციის ციკლური მოდელები. სახელმწიფოებს შეუძლიათ სარგებლის მიღება ან ზარალის ნახვა ციკლურობის ეფექტებისგან, მათი წარმოების ეფექტიანობის, კომერციული უპირატესობის, მეტოქეთა კონკურენტუნარიანობის შეზღუდვის და კრიზისებზე რეაგირების ქმედითი საშუალებების ხარისხის შესაბამისად. ბრიტანეთი დომინირებდა მსოფლიო ეკონომიკაში კონდრატიევის ორი ციკლის განმავლობაში ფორმალური და არაფორმალური იმპერიალისტური (იმპერიის მშენებლობა და იმპერიის ფარგლებს გარეთ ფართომასშტაბიანი ინვესტიციების განხორციელება) სტრატეგიის მეშვეობით. აშშ დომინირებდა შემდეგი ორი ციკლის განმავლობაში, რიგი საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების დასპონსორებით (როგორიცაა საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF), მსოფლიო ბანკი, გენერალური შეთანხმება ტარიფებსა და ვაჭრობაზე (GATT,) და მისი მემკვიდრე მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია (WTO), საერთაშორისო და რეგიონული უსაფრთხოების ორგანიზაციები: გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (გაერო, UN) და ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია (NATO) მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მსოფლიოში კაპიტალიზმის გავრცელების ხელშეწყობის მიზნით. ტერმინი ჰეგემონია, ხშირად გამოიყენება ბრიტანეთისა და აშშ-ის დომინირების დასახასიათებლად. ეს არის რთული და წინააღმდეგობრივი კონცეფცია მაგრამ განმარტების უმეტესობისთვის მისაღებ კრიტერიუმს წარმოადგენს, ის რომ მოწინავე სახელმწიფოს არა მხოლოდ უძლიერესი სამხედრო ძალები უნდა გააჩნდეს, არამედ საკმარისი ეკონომიკური და კულტურული ძალაუფლება იმისათვის, რომ დაამყაროს სასურველი საერთაშორისო ქცევის ნორმები. ამერიკულმა ჰეგემონიამ არა მხოლოდ შეცვალა ჰეგემონიური ძალაუფლების განმარტება, არამედ მოახდინა ახალი ინსტიტუტებისა და პრაქტიკების, დანერგვა. მათში შედიან: მასობრივი წარმოება/მოხმარება (ფორდიზმი), შეზღუდული სახელმწიფო კეთილდღეობის პოლიტიკა, წარმომადგენლობითი დემოკრატია დაფუძნებული სუსტ მასობრივ პოლიტიკურ პარტიებზე და სახელმწიფოს ეკონომიკურ პოლიტიკაზე, რომელიც მიმართულია კერძო ეკონომიკური საქმიანობის სტიმულირებისკენ.

ჩანართი: ტალღოვანი ეკონომიკური რხევები (fluctuation) და სივრცობრივი ცვლილება

კაპიტალისტურ წარმოებაში შეინიშნებოდა რამდენიმე სახის სხვადასხვა ამპლიტუდის ციკლური რხევა, რომლებმაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს ეკონომიკურ გეოგრაფიაზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია ორი მათგანი – კონდრატიევის ციკლი და კუზნეცის/კუზნეცოვის ციკლი.

ციკლური მოძრაობების სერიები ფასების ცვლილების საერთო დონეში, ცნობილია როგორც კონდრატიევის ციკლი, რუსი ეკონომისტის მიხედვით, რომელმაც პირველად აღმოაჩინა იგი. ფასების და წარმოების მონაცემებზე დაყრდნობით ცნობილია, რომ მე-18 საუკუნის ბოლოდან მსოფლიო ეკონომიკამ გაიარა კონდრატიევის ოთხი (A) ზრდისა და (B) სტაგნაციის ციკლი, ჩვენ ამჟამად მეხუთეში ვიმყოფებით. თითოეულ მათგანს ახასიათებდა ფასის ზრდის პროგრესული აჩქარება 20 წლის მანძილზე, სწრაფ ინფლაციურ სპირალთან ერთად. პიკის შემდეგ ხდებოდა ფასების კოლაფსი, რომელიც აღწევდა ფსკერს

ციკლის დასაწყისიდან 50-55 წლის შემდეგ (სურათი 1.2). აღნიშნული ოთხი ციკლი წარმოდგენილია მიახლოებით რიცხვებში:

I

I	(A) ზრდა	1780-1815	(B) სტაგნაცია	1815-1848
II	(A) ზრდა	1848-1873	(B) სტაგნაცია	1873-1895
III	(A) ზრდა	1895-1918	(B) სტაგნაცია	1918-1940
IV	(A) ზრდა	1941-1973	(B) სტაგნაცია	1973-1992
V	(A) ზრდა	1992-		

კონდრატიევის ციკლების გარდა არსებობენ სხვადასხვა ბიზნესის ციკლები. ისინი გამოხატავენ კაპიტალისტური ბაზრის ფუნდამენტურ დინამიკას, სადაც ექსპანსიას/აღმავლობას (წარმოებისა და მიწოდების გაზრდა მომხმარებლის გაზრდილი მოთხოვნების საპასუხოდ) აუცილებლად მოყვება გადაჭარბებული წარმოება (როდესაც ზედმეტად ოპტიმისტი მწარმოებლები და მიმწოდებლები გადაჭარბებულად აფასებენ მოწოდების ზრდის დონეს) და შემდეგ კოლაფსი (ჭარბი წარმოება იწვევს ფასები დაცემას, აქტივების ღირებულების შემცირებას, პესიმიზმს და ინვესტიციების შემცირებას). ამ ციკლთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია კუზნეცის ციკლი, რომელიც წარმოადგენს ეკონომიკური ზრდის ტემპებში რეგულარული ცვლილებების ციკლს. იგი ფასდება ისეთი კრიტერიუმით როგორიცაა მეპ ერთ სულ მოსახლეზე. როგორც მოცემულია 1.2 სურათზე, ექსპანსიის 11-15 წლიან ფაზას მოყვება იმავე ხანგრძლივობის კოლაფსის ფაზა, ისინი ქმნიან მსგავს ექსპანსია/რეცესიის ბიზნესის ციკლებს, რომლებიც იწვევენ სერიოზულ საზოგადოებრივ დებატებს. ისინი ზემოქმედებენ ეკონომიკური განვითარების ბევრ ასპექტზე, მათ შორის ინვესტიციების მოცულობაზე სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაში, ქალაქის მშენებლობაში და მიგრაციაში.

ინსტიტუციური თვალსაზრისით კაპიტალიზმის ორგანიზაციული ევოლუციის ძირითადი მახასიათებლები ურთიერთდამოკიდებულებაში არიან ტალღოვან ციკლებთან. კონკურენტულ კაპიტალიზმს გაბატონებული მდგომარეობა ეკავა მე-18 საუკუნის ბოლოს და მე-19 საუკუნეში. მცირე ინდუსტრიულმა ფირმებმა, რომლებიც კონკურენტულ ეროვნულ ბაზრებზე საქმიანობდნენ, ხოლო საგარეო ვაჭრობა სახელმწიფოს მკაცრ კონტროლს ექვემდებარებოდა, ჩაანაცვლა სავაჭრო კაპიტალიზმი (**merchant capitalism)**. ორგანიზებული კაპიტალიზმი განვითარდა შემდგომ ორ ციკლში. ამ პერიოდში ფირმების საშუალო ზომა მნიშვნელოვნად გაიზარდა, ახალი ფირმების საქმიანობამ გლობალური მასშტაბები შეიძინა, ამასთანავე მათ შეინარჩუნეს ძლიერი რეგიონული ბაზა მშობლიურ ქვეყნებში. შემცირებული მოგება ძლიერი სტიმული გახდა გლობალური ოპერაციებისთვის, განსაკუთრებით შრომითი ბაზრის ზემოქმედებისგან თავისუფალი საწარმოების დაარსებისა და გარემოსდაცვითი რეგულაციების გამკაცრებისთვის აშშ-სა და ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში. 1970-იანი წლებიდან განვითარდა დეზორგანიზებული კაპიტალიზმი, როდესაც ეროვნული ბაზრები ნაკლებად რეგულირდება ადგილობრივი ფირმების მიერ და ეროვნული ეკონომიკის სახელმწიფო კონტროლი ნაკლებია. საწარმოთა საშუალო ზომა შემცირდა, წარმოება გლობალურად გავრცელდა და მომსახურების ინდუსტრია უფრო სწრაფად გაიზარდა ვიდრე წარმოების.

5. ინკორპორაცია, სუბორდინაცია და წინააღმდეგობა

საფრთხე მსოფლიო ეკონომიკის კონცეფციაზე ფოკუსირებისა მდგომარეობს იმაში, რომ ლოკალური ისტორიები დაკარგავენ თავიანთ უნიკალურობასა და სპეციფიურობას. როგორც წესი მსოფლიოს მოსახლეობა ეწინააღმდეგება მსოფლიო ეკონომიკაში ინკორპორირებას, ან ადაპტირებას ახდენს მასთან, ნაცვლად მთლიანად დამორჩილებისა. მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში განსხვავებულად რეაგირებენ მსოფლიო ეკონომიკის ექსპანსიაზე. ჰოლმა (Holl, 1986) შეადგინა მსოფლიო ეკონომიკის გავლენის ტიპოლოგია. ინკორპორაციის მოდელებიდან იგი გამოარჩევს მსოფლიო ეკონომიკის გარეთ მდებარე სუსტ პოლუსს (გარე სივრცე) და დამოკიდებული პერიფერიების ძლიერ პოლუსს. შუაში მდებარეობს სივრცე სადაც არის სუსტი კონტაქტი (contact periferies) და გარდამავალი კატეგორია – მარგინალური პერიფერიები (ცხრილი 3.1). პროცესები, რომლებიც განაპირობებენ ქვეყნების გადასვლას გარე სივრციდან დამოკიდებულ პერიფერიებში ასევე მოცემულია ამ ცხრილში. ბაზრის არტიკულაცია (market articulation) ეხება კაპიტალისა და პროდუქციის ნაკადების მოძრაობის ხასიათს მზარდი მსოფლიო ეკონომიკიდან იმ რეგიონებისკენ, რომელთა ათვისებაც მიმდინარეობს. კონტინუუმის სუსტ პოლუსზე არიან მსოფლიო ეკონომიკასთან სუსტად დაკავშირებული ტერიტორიები, ხოლო გავლენის ძირითადი ნაკადები ვრცელდება ცენტრიდან პერიფერიებისკენ. კონტინუუმის ძლიერ პოლუსზე გაცვლა მნიშვნელოვანია ცენტრის განვითარებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ გავლენა ორივე მიმართულებით ვრცელდება, სუფთა კაპიტალისა და პროდუქციის ნაკადი ძირითადად ცენტრისკენ იყრის თავს.

Table 3.1 Continuum of geographical incorporation into the world economy

	Continuum of incorporation			
	None	Weak	Moderate	Strong
Type of periphery	External arena	Contact periphery	Marginal periphery	Dependent periphery
Market articulation	None	Weak	Moderate	Strong
Impact of core on periphery	None	Strong	Stronger	Strongest
Impact of periphery on core	None	Low	Moderate	Significant

Source: Hall (1986: 392, Diagram 1)

ცხრილი 3.1 მსოფლიო ეკონომიკის გეოგრაფიული ინკორპორაციის კონტინუუმი

კონტინუუმში მოძრაობა უფრო შემთხვევითია ვიდრე გარდაუვალი, ტემპისა და საბოლოო დამოკიდებულების დონის თვალსაზრისით. ძლიერ ინკორპორაციულ დამოკიდებულებაზე გადასვლის ტემპები დამოკიდებულია იმ სახელმწიფოს სიძლიერეზე, რომელიც ჩართულია ექსპანსიაში და მსოფლიო ეკონომიკის

ხასიათზე მოცემულ დროში. მაგალითად მე-16 საუკუნეში ესპანეთის ექსპანსიის დროს ინკორპორაციის დონე ნაკლები იყო ვიდრე მე-19 საუკუნეში ბრიტანეთის ექსპანსიის შემთხვევაში. ძარცვა და რელიგიური ფანატიზმი უფრო მნიშვნელოვანი იყო ესპანეთისთვის ვიდრე ბაზრის განვითარება. მე-19 საუკუნეში მოხდა ბაზრის ინტერნაციონალიზაცია ბრიტანეთის ჰეგემონიის ქვეშ, როცა ბაზრისთვის წარმოებამ ჩაანაცვლა საქონლის უბრალო გაცვლა (ცხრილი 3.2). ბრიტანეთის ეკონომიკა გახდა მსოფლიო ეკონომიკის ლოკომოტივი. რაც უფრო კონკურენტული ხდებოდა ევროპის ბაზარი, ქვეყნები სულ უფრო მეტად ესწრაფვოდნენ ბაზრის გაფართოებას მსოფლიოს სხვა კუთხეებში. ბრიტანეთის იმპერია ამ ექსპანსიის მნიშვნელოვანი ნაწილი იყო. მე-19 საუკუნეში ბრიტანეთის ეკონომიკის ინტერნაციონალიზაციამ გადამწყვეტი როლი ითამაშა მსოფლიოს ინკორპორაციის ტემპების ზრდაში.

6. ალტერნატიული ადაპტაციები

საბოლოო ჯამში, მსოფლიოს თითოეულ ნაწილს აქვს განსაკუთრებული დამოკიდებულება მსოფლიო ეკონომიკის ევოლუციის მიმართ. მაგალითად აშშ-ში დიდი ხნის მანძილზე არსებობდა სოციოეკონომიკური ორგანიზაციის ორი განსხვავებული და შეუთავსებელი მოდელი – პლანტაციური სოფლის მეურნეობა დაფუძნებული მონურ შრომაზე სამხრეთში და კლასიკური კაპიტალისტური ეკონომიკა ჩრდილოეთში – რაც მხოლოდ ამ ქვეყნისთვის იყო დამახასიათებელი. ამ სისტემის მემკვიდრეობას წარმოადგენს სამხრეთის შედარებითი ეკონომიკური ჩამორჩენილობა და რასობრივი პოლარიზაცია. ასევე აპარტეიდული სისტემა და რასობრივი დისკრიმინაცია სამხრეთ აფრიკაში წარმოადგენდა ამ ქვეყნის თავისებურებას და იყო შედეგი ევროპელთა დასახლებისა და ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკური ექსპლუატაციისა. სახელმწიფოსა და ეკონომიკის დამოკიდებულების ხასიათი მნიშვნელოვნად განსხვავდება ისეთ კაპიტალისტურ ქვეყნებს შორისაც, როგორებიც არიან ბრიტანეთი, იტალია, საფრანგეთი და გერმანია. ეს არის მსოფლიო ეკონომიკასთან კავშირების ისტორიული განვითარებისა და საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებისადმი განსხვავებული მიდგომების შედეგი. განვითარების პროცესი მუდმივად კონტროლდება სახელმწიფო რეგულაციების მეშვეობით. ამის საუკეთესო მაგალითია იაპონია და ჩინეთი. მსოფლიო ეკონომიკის ფუნდამენტური პრინციპებიდან გადახვევის ყველაზე მნიშვნელოვანი ექსპერიმენტი იყო ეკონომიკური განვითარების მოდელი, რომელიც შეიქმნა საბჭოთა კავშირში 1917 წლის რუსეთის რევოლუციის შემდეგ.

ცხრილი 3.2 მსოფლიო ეკონომიკის გეოგრაფიული განვითარება XIX საუკუნეში

Table 3.2 Geographical development of the world economy in the nineteenth century

Stage:	Developed	Developing		Underdeveloped	
Factor intensity:	Capital	Labour	Land	Land	Labour
1800	Britain	Europe		USA	India
1840	Britain	Europe	USA	Latin America Australia Canada	India China
1870	Britain Europe		USA	Australia Latin America Canada Africa	China
1900	Britain Europe USA		Australia Canada Argentina Mexico South Africa	Latin America Africa	India China

Source: Hansson (1952: 49–82)

3.2 სახელმწიფოები და მსოფლიო ეკონომიკა

მსოფლიო ეკონომიკის განვითარება ევროპაში დაემთხვა ამ რეგიონის სახელმწიფოთა ტერიტორიულ კონსოლიდაციას და ვესტფალიური სისტემის წარმოქმნას. ვესტფალიის ზავით (1648) დასრულდა ოცდაათწლიანი ომი ევროპაში და ჩამოყალიბდა რამდენიმე ძირითადი პრინციპი, რომლებიც დღესაც დიდწილად განსაზღვრავენ საერთაშორისო ურთიერთობების სისტემის ფუნქციონირებას: 1) სახელმწიფოთა სუვერენიტეტის პრინციპი და პოლიტიკური თვითგამორკვევის ფუნდამენტური უფლება. 2) სახელმწიფოთა თანასწრობის პრინციპი. 3) სხვა სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპი. 500 პოლიტიკური ერთეული იყო ევროპაში 1500 წელს, ხოლო 1900 წელს სულ 25 სახელმწიფო. თანამედროვე სახელმწიფოები შეადგენენ თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის პოლიტიკურ სტრუქტურას. ამიტომ მსოფლიო ეკონომიკის ექსპანსიის პარალელურად ხდებოდა სახელმწიფოთაშორისო **(interstate)** სისტემის, როგორც პოლიტიკური, სამხედრო და ადმინისტრაციული ორგანიზაციის ექსპანსია. როდესაც კოლონიებმა მიაღწიეს დამოუკიდებლობა ევროპული სახელმწიფოებისგან, მათ გააფართოვეს სახელმწიფოების სია მსოფლიოში.

მაგრამ სახელმწიფო არ არის სტანდარტიზებული ერთობა ყველა ქვეყნისათვის. მასში შედის საკმაოდ განსხვავებული ინსტიტუტები (წარმომადგენლობითი ორგანოები, ბიუროკრატია, პოლიცია, არმია და ა.შ.), თითოეული მათგანი არის ქვეყნის ისტორიული განვითარების პროდუქტი. სახელმწიფოთა შედარებითი ძლიერება შეიძლება განისაზღვროს სამ განზომილებაში: 1) ერთმანეთთან შედარებით (სახელმწიფოთა იერარქია), 2) საკუთარ მოსახლეობასთან

მიმართებაში და 3) გლობალურ მსოფლიო ეკონომიკასთან მიმართებაში. (Harris, 1986:145-69). პირველმა - სახელმწიფოთა იერარქიამ დროთა განმავლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა, მაგალითად: ბრიტანეთის აღზევება და შემდგომი დასუსტება, ასევე აშშ-ის, იაპონიისა და ახალი ინდუსტრიული ქვეყნების აღმავლობა. მეორე – სახელმწიფოთა ძალაუფლება საკუთარ მოსახლეობასთან მიმართებაში – უწყვეტად იზრდება განსაკუთრებით განვითარებულ ქვეყნებში რეგულაციების, გადასახადებისა და ზედამხედველობის კუთხით. მესამე - სახელმწიფოთა ძალაუფლება მსოფლიო ეკონომიკის სხვა აქტორებთან მიმართებაში – მცირდება, რაც უფრო ვითარდება ქვეყანა ეკონომიკურად. ჩვენ ჯერ მესამე განზომილებას განვიხილავთ.

სახელმწიფოები და მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაცია

მსოფლიო ეკონომიკის ევოლუციის ბოლო ფაზაში, რომელსაც ეწოდა „გლობალიზებული კაპიტალიზმი“, ეროვნული ეკონომიკები ნაკლებად წარმოადგენენ მსოფლიო ეკონომიკის მთავარ „სამშენებლო ბლოკებს“. მოხდა ტრანსნაციონალური ელემენტების აღმავლობა გლობალური ბაზრის ზრდის სახით. ეს ბაზარი მარაგდება ფირმების მიერ, რომელთა საქმიანობა ნაკლებადაა დამოკიდებული ეროვნულ საზღვრებზე. წარმოებაში ამ გლობალურმა ცვლილებამ გამოიწვია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელოვანი ზრდა და უდიდეს ფირმებს შორის ვაჭრობის, როგორც მსოფლიო ვაჭრობის ყველაზე სწრაფად მზარდი კომპონენტის განვითარება. მაგალითად, აშშ-ის იმპორტის 30-40% შედგება ამერიკული ფირმების უცხოური შვილობილი კომპანიების მიერ წარმოებული საქონლისგან. ამრიგად, ტრანსნაციონალური კორპორაციები არიან მსოფლიო ვაჭრობის ზრდის მთავარი მამოძრავებელი ძალები. მიუხედავად სახელმწიფო საზღვრების მნიშვნელობის შემცირებისა მსოფლიო ეკონომიკაში, წარმოების გლობალიზაცია მოხდა დიდწილად ამ საზღვრების გამო. ტრანსნაციონალური კორპორაციებიის სივრცობრივი სტრატეგია მდგომარეობს იმ განსხვავებების ექსპლუატირებაში, რომლებიც არსებობენ ქვეყნებს შორის სამუშაო ძალის, საბაზრო პირობების, რეგულაციური გარემოს და მაკროეკონომიკური (ფისკალური და მონეტარული) პირობების მხრივ. ამ განსხვავებების გარეშე ფირმების სურვილი საგარეო ინვესტიციების განხორციელებისა მნიშვნელოვნად შემცირდებოდა.
თუმცა, გლობალური კომპანიების უმეტესობა მაინც ძლიერადაა მიჯაჭვული მშობლიურ სახელმწიფოებზე. მაგალითად, ტრანსნაციონალური კორპორაციების მმართველობაში უცხოელთა რაოდენობა დაბალი რჩება. ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის კომპანიები გლობალური მმართველობის მიმართულებით მიდიან. იაპონურ კომპანიებში კი, „უცხოელი დირექტორები ისეთივე იშვიათობაა, როგორც ბრიტანელი სუმოისტები“ (Economist, 1993a: 69). როდესაც საერთო გაყიდვების რაოდენობა მცირდება, ხდება ქვეყნების ბაზრები დაცვა უცხოურ ბაზართა ხარჯზე. როდესაც ფირმა ფართოვდება უცხოეთში, იგი ძლიერად დამოკიდებული რჩება მშობლიური ქვეყნიდან მომარაგებაზე. ანტიტრასტული კანონები და ნაციონალიზმი ჯერაც რთულს ხდის უცხოური კომპანიების გაფართოებას „შტანთქმის“ (**takeover)** მეშვეობით. სირთულეები, რომლებსაც წააწყდნენ „British Airways“ და სხვა ევროპული ავიაკომპანიები აშშ-

ის სხვადასხვა ავიაკომპანიებთან შეერთების მცდელობისას, წარმოადგენს ამის თვალნათელ მაგალითს.
წარმოების გლობალიზაცია ასევე ასოცირებულია მრავალი სახელმწიფოსა და სავაჭრო ბლოკების (მაგალითად ევროკავშირი) მიერ ისეთი ინდუსტრიული და სავაჭრო პოლიტიკის შემუშავებასთან, რომლებიც იცავენ ეროვნულ ეკონომიკებს შიდა ინვესტიციების წახალისების და უცხოური ინვესტიციების შეზღუდვის გზით. ამის მაგალითია „Airbus industrie“, რომელიც წარმოადგენს ევროპის სხვადასხვა ქვეყნის საავიაციო კომპანიების კონსორციუმს და მიზნად ისახავს კონკურენცია გაუწიოს დიდ ამერიკულ კომპანიებს, როგორიცაა „ბოინგი“. აშშ და ბრიტანეთი ეკონომიკური ექსპანსიის უნიკალურ მაგალითს წარმოადგენენ. ორივე ქვეყანა ატარებდა პროტექციონისტურ პოლიტიკას საკუთარი ეკონომიკის დასაცავად, ახორციელებდა სახელმწიფო ინვესტიციებს ინფრასტრუქტურაში (გზები, რკინიგზა, სკოლები, საავადმყოფოები და ა.შ.) და კვლევასა და განვითარებაში (სახელმწიფოს მიერ უნივერსიტეტების ფინანსური მხარდაჭერა). ორივე მათგანი დგას დეინდუსტრიალიზაციის საფრთხის წინაშე, რომელიც უფრო სერიოზულია ვიდრე ბევრ სხვა ქვეყანაში. ნაწილობრივ ამის მიზეზია სახელმწიფოს მოქმედებებსა და ეკონომიკურ ზრდას შორის კავშირის უგულებელყოფა.

საერთაშორისო საფინანსო სისტემა

უფრო დიდი მნიშვნელობა მსოფლიო ეკონომიკაში სახელმწიფოთა გავლენის შემცირებაში ენიჭება საერთაშორისო საფინანსო სისტემას, რომელიც განსაზღვრავს ვაჭრობის სტრუქტურას და საინვესტიციო გადაწყვეტილებებს, ეს სისტემა 21-ე საუკუნეში გაცილებით უფრო ინტეგრირებულია, ვიდრე რამდენიმე ათწლეულის წინ. კაპიტალის ყველა ფორმა უფრო მობილური გახდა დროსა და სივრცეში. კორპორატიული და საფინანსო ბაზრის გადაწყვეტილებები მიიღება გაცილებით ნაკლებ დროში ვიდრე ეს ცოტა ხნის წინ იყო. სავალუტო კურსი ახლა შეიძლება დღეში რამდენჯერმე შეიცვალოს, განსხვავებით 1970-იან წლებამდე პერიოდისგან, როდესაც ეს საშუალოდ წელიწადში ერთხელ ხდებოდა. დასაქმების შესახებ გადაწყვეტილებები მიიღება ყოველკვირეულად, ან ყოველთვიურად, ხოლო 1970 წლამდე მიიღებოდა ყოველკვარტლურად (ცხრილი 3.2). საბანკო საქმე გახდა გლობალური ინდუსტრია ოპერაციებზე და კაპიტალის მოძრაობაზე ლოკალური ბარიერების შემცირების გამო.
მსოფლიო ეკონომიკის მამოძრავებელი ძალა ამჟამად არის კაპიტალის ნაკადები და არა ვაჭრობა. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების უმთავრესი მიმღებნი არიან განვითარებადი ქვეყნები, რომლებიც იღებდენ ამ ინვესტიციათა საერთო რაოდენობის 70% (2005 წელი). პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისთვის უმთავრესი სექტორი არის მომსახურება – 60%, ათეული წლის წინ ეს მაჩვენებელი 50%-ს შეადგენდა. წარმოების წილი პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში დაეცა 40%-დან 1990 წელს – 35%-მდე დღეს, პირველადი საქონლის წილი შემცირდა 10%-დან 6%-მდე (UNCDAT, 2004).
სახელმწიფოთა პოლიტიკა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიმართ უფრო ლიბერალური გახდა სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების გამო, ასევე ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციების ზეწოლის გამო, როგორებიც არიან

საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი, რომლებიც მოითხოვენ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიმართ გახსნილობას, ხელსაყრელი სასესხო პირობების სანაცვლოდ. ზოგიერთი ყველაზე ნაკლებად განვითარებული ქვეყნისთვის საერთაშორისო სავალუტო ფონდმა და მსოფლიო ბანკმა შეიმუშავეს „სტრუქტურული გარდაქმნის“ (**structural adjustment)** პროგრამები. ტერმინი „**structural adjustment“** გამოიყენება პოლიტიკის იმ ცვლილებების დასახასიათებლად, რომლებსაც ახორციელებს საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი განვითარებად ქვეყნებში. პოლიტიკის აღნიშნული ცვლილებები წარმოადგენენ პირობას ამ საერთაშორისო ორგანიზაციებისგან ახალი სესხების მიღებისა და მიმდინარე სესხებზე საპროცენტო განაკვეთის შემცირებისა. ეს პირობები არსებობს იმისათვის, რომ სესხი დაიხარჯოს მიზნობრივად. „**structural adjustment“** პროგრამები უმთავრესად შემუშავებულ იქნა სესხის ამღები ქვეყნების მაკროეკონომიკური დისბალანსის შესამცირებლად. ზოგადად, საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის სესხები განკუთვნილია ეკონომიკური ზრდის წასახალისებლად და მსესხებელი ქეყნების მიერ დაგროვებული ვალების გასასტუმრებლად. „**structural adjustment“** პროგრამები ეფუძნება ფისკალურ და მონეტარულ შეზღუდვებს, ეროვნული ბაზრების დერეგულაციასთან და ლიბერალიზაციასთან ერთად.

ეკონომიკურად ყველაზე ძლიერი ქვეყნებიც კი ნაკლებად დაცულები არიან ეკონომიკური აქტივების უცხოელთა ხელში ჩაგდებისაგან და მსოფლიო საფინანსო ბაზრის არამდგრადობისგან. ერთმა მკვლევარმა თავისი წიგნის ქვესათაურში ისიც კი აღნიშნა, რომ გლობალური ფინანსური ინტეგრაცია მოასწავებს გეოგრაფიის დასასრულს (ობრაენი, 1992). იგი გულისხმობს, რომ სახელმწიფოთა უნარი მოახდინინ საკუთარი ქვეყნის ფინანსური სექტორის რეგულირება თანდათანობით შემცირდა. თუმცა, ჯერაც არსებობს მნიშვნელოვანი ინსტიტუციური და კულტურული ბარიერები კაპიტალის თავისუფალი მოძრაობისთვის.

აშკარაა, რომ საფინანსო ბაზრები უფრო გახსნილია ვიდრე 30 წლის წინ. ეს პროცესი დაიწყო „ბრეტონ-ვუდსის“ სისტემის (ფიქსირებული გაცვლითი კურსები, რომლებიც 1945-1971 წლებში ფუნქციონირებდა) რღვევის შედეგად. ამ სისტემაში თავისუფალი ვაჭრობა შეუთავსებელი იყო რეგულირებად ფინანსებთან. როდესაც გაიზარდა თავისუფალი ბაზრის მნიშვნელობა, აღნიშნული სისტემის არსებობა აღარ იყო მიზანშეწონილი. რწმენა სახელმწიფოს უნარში ფიქსირებული გაცვლითი კურსის შენარჩუნებისა (მაგ.: 1967 წელს ბრიტანეთში) თანდათანობით კლებულობდა, რადგან კაპიტალის კონტროლს არ შეეძლო საერთაშორისო კაპიტალის მოძრაობის ნეიტრალიზება. ახალი, მოქნილი გაცვლითი კურსები უფრო ხელსაყრელი იყო დიდი, შედარებით ჩაკეტილი ეკონომიკებისთვის, მაგალითად, აშშ-ისა და იაპონიისთვის. ზოგიერთი ეკონომისტის აზრით, მერყევი ვალუტის ღირებულება გაიზარდა პატარა, ღია ეკონომიკებისთვის. ამ მოსაზრების მიხედვით ძლიერ ცვალებადი გაცვლითი კურსები ხელს უშლიან ადგილობრივი პოლიტიკის დაგეგმვას და ამცირებენ ფირმების შესაძლებლობებს გამოიანგარიშონ გრძელვადიანი საინვესტიციო მოგება. პერსპექტივაში ამან შეიძლება გამოიწვიოს მონეტარული ბლოკების განვითარება მსოფლიოს სამი ძირითადი ვალუტის ირგვლივ: აშშ დოლარი, ევრო და იაპონური იენი.



Fig 3.2: Increasing pace of the world economy

Source: Adapted from Economist (1983: 11, Figure 2)

სურათი 3.2 მსოფლიო ეკონომიკის ტემპის ზრდა

თანამშრომლობა და დამოუკიდებლობა

გაზრდილი საფინანსო ინტეგრაციის მიუხედავად, ცალკეული სახელმწიფოები, ან მათი დაწესებულებები (მაგალითად, ეროვნული ბანკი) ჯერაც გავლენას ახდენენ საერთაშორისო საფინანსო ბაზრებზე თავიანთი ინდუსტრიული პოლიტიკით, საბიუჯეტო დეფიციტებით და საპროცენტო განაკვეთებთან დაკავშირებული მანიპულაციებით. მაგრამ ერთ ცალკეულ სახელმწიფოს აღარ შეუძლია სრულად აკონტროლოს მთელი სისტემა, ან თუნდაც საკუთარი ეკონომიკა. სამთავრობათაშორისო თანამშრომლობასაც, როგორიცაა „G-8“, ანუ უმთავრესი ინდუსტრიული ქვეყნების (კანადა, საფრანგეთი, გერმანია, იტალია, იაპონია, რუსეთი, დიდი ბრიტანეთი და აშშ) ლიდერების შეხვედრებს, ყოველთვის არ შეუძლია სასურველი გავლენის მოხდენა ვალუტებზე, ინვესტიციებსა და ვაჭრობაზე. მიუხედავად ამისა, ფორმალური და არაფორმალური თანამშრომლობა, ძირითადად აშშ-ის დაფინანსებით მსოფლიო ეკონომიკის მნიშვნელოვანი თვისებაა. ძლიერი ეკონომიკის მქონე ქვეყნები (იაპონია და გერმანია) თანახმანი არიან ამერიკის ლიდერობაზე, რადგან საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაცია ხელს უწყობს ყველა ქვეყნის სტაბილურობას. გლობალურ ეკონომიკურ სისტემაში საქმიანობა ბიზნესის კეთების მნიშვნელოვანი ნაწილია.

მენეჯმენტი და მედიაცია

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკაში სირთულეს წარმოადგენს ეროვნული და გლობალური სტრუქტურების თანაარსებობა და სახელმწიფოთა მცდელობები დაძლიონ ამ სტრუქტურებს შორის დაძაბულობა. სავაჭრო და სატარიფო პოლიტიკას ჯერაც დიდი მნიშვნელობა აქვს ვაჭრობისა და ინვესტიციების რეგულირებაში. მაგალითად, "გატ"-ისა და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მიერ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში გამართული მოლაპარაკებების შედეგად ინდუსტრიულ ქვეყნებში ტარიფის განაკვეთების თანდათანობით შემცირების მიუხედავად, არასატარიფო ბარიერები (ქვოტები, ნებაყოფლობითი სავაჭრო შეზღუდვები და ა.შ.) ხშირად იზრდებოდა, როგორც წესი ადგილობრივი პოლიტიკური კოალიციების საკუთარ მთავრობაზე ზეწოლის გამო. ზოგიერთ ქვეყანაში, განსაკუთრებით აშშ-ში ხშირი დავაა გახსნილი და შედარებით უფრო რეგულირებადი სავაჭრო სისტემების მომხრე ეკონომისტებსა და პოლიტიკოსებს შორის. ჩინეთი და იაპონია არ ვაჭრობენ სამართლიანად, ისინი ბევრ შეზღუდვებს აწესებენ იმპორტზე, მაშინ, როცა სარგებლობენ სხვა ქვეყნების ბაზრების გახსნილობით, მათი ექსპორტის მიმართ.

საფინანსო სისტემები მნიშვნელოვანია მსოფლიო ეკონომიკის გეოგრაფიისთვის, რადგან ისინი შუამავლობენ პოლიტიკურ სისტემებსა და წარმოების გლობალურ სისტემებს შორის. ეროვნული მარეგულირებელი პოლიტიკის შედეგად, ეროვნული საფინანსო სისტემები განსხვავდებიან ადგილობრივ ინდუსტრიასთან მათი დამოკიდებულებისა და უცხოური ინვესტიციების მიმართ გახსნილობის მიხედვით. მაგალითად, გერმანიის და იაპონიის საფინანსო სისტემები მჭიდროდ დაკავშირებულნი არიან მშობლიურ სამრეწველო კომპანიებთან, მაშინ როცა აშშ-ისა და ბრიტანეთის სისტემები არა მხოლოდ დამოუკიდებელნი არიან, არამედ წინააღმდეგობაშიც მოდიან ადგილობრივი სამრეწველო ინდუსტრიის ინტერესებთან. ამ განსხვავებებს მნიშვნელოვანი შედეგები მოჰყვება, განსაკუთრებით ინვესტიციების გეოგრაფიის კუთხით. გერმანიასა და იაპონიაში ფინანსები და მრეწველობა მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული. ბრიტანეთში მრეწველობის გარდა არსებობს საბანკო ინვესტიციების განხორციელების მრავალი სხვა საშუალება, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. ამავდროულად, ბრიტანეთის საფინანსო ბაზრები უცხოური ინვესტიციებისთვის უფრო ხელმისაწვდომია, რამაც ლონდონი აქცია გლობალურ საფინანსო ცენტრად.

ეროვნული საფინანსო სისტემები სამი განზომილებად იყოფა (ზისმანი, 1983: 69). პირველი არის პროცესი, სადაც დანაზოგები გარდაიქმნება (მაგ.: ბანკების მიერ) ინვესტიციებად და მას ეწოდება ინტერმედიაცია; მეორე განზომილება გულისხმობს საფინანსო ბაზრებზე ფასების დადგენის ხასიხს დომინანტი საფინანსო ინსტიტუტებისა და მთავრობების მიერ და ესაა მარკეტიზაცია, ანუ ფასების კონტროლი; მესამე წარმოადგენს სახელმწიფოს ჩარევის ხარისხს საფინანსო სისტემაში, ანუ რეგულაცია. ამ სამი განზომილების კომბინაცია მნიშვნელოვნად განსხვავდება ქვეყნებს შორის. აშშ-ისა და ბრიტანეთის ფინანსურ სისტემებში ფინანსური ინსტიტუტების ინტერმედიაცია შედარებით სუსტია და ფასები დგინდება ბაზრის მიერ, ხოლო სახელმწიფოს ჩარევა საფინანსო ბაზრებზე შეზღუდულია. გერმანია არის მაგალითი საფინანსო ინსტიტუტების გავლენის ქვეშ მყოფი კრედიტზე დაფუძნებული (**credit based)**

საფინანსო სისტემის მეორე მოდელისა, სადაც დომინირებს საბანკო ინტერმედიაცია, ფასებს განსაზღვრავს ბაზარი, მაგრამ სახელმწიფო და საფინანსო ინსტიტუტები მჭიდრო კავშირში იმყოფებიან ერთმანეთთან. დიდი ბანკები არიან ადგილობრივი სამრეწველო ფირმების ძირითადი კრედიტორები და ხშირად ამ ფირმების მმართველობაშიც მონაწილეობენ. და ბოლოს, არსებობს სახელმწიფო დომინაციის ქვეშ მყოფი "**credit based"** საფინანსო სისტემა, რომლის მაგალითია საფრანგეთი და იაპონია. ამ შემთხვევაში, სახელმწიფოს მჭიდრო კავშირი მრეწველობასთან (ნაციონალიზებული მრეწველობა საფრანგეთში და კერძო მრეწველობა იაპონიაში) მნიშვნელოვნად ზღუდავს ბაზრებისა და საფინანსო ინსტიტუტების ავტონომიას. განსაკუთრებით იაპონიაში, საფინანსო სისტემა ორგანიზებულია ისე, რომ მოახდინოს გრძელვადიანი ორიენტაცია სამრეწველო განვითარებისკენ. მაგალითად, სახელმწიფოს მიერ მართული იაპონიის საფოსტო დანაზოგების სისტემა ახდენს ადგილობრივი დანაზოგების გადაყვანას სამრეწველო (ინდუსტრიულ) ინვესტიციებში კომერციული ბანკების მეშვეობით.

პოლიტიკურ-ინსტიტუციური მიზნებისათვის, ეროვნული ეკონომიკები არ შეიძლება შემოიფარგლონ მხოლოდ გლობალური ინდუსტრიის ფუნქციონირებისათვის ოპტიმალური პირობების შექმნით, რადგან ქვეყნების სხელმწიფო პოლიტიკა ასახავს ტარიფებთან და ვაჭრობასთან დაკავშირებულ კონფლიქტებს სხვადასხვა ჯგუფებს და რეგიონულ ინტერესებს შორის, ხოლო ეროვნულ ეკონომიკებს აქვთ განსაკუთრებული როლი საფინანსო სისტემების განვითარებაში, რომლებიც წარმოადგენენ ადგილობრივი ფირმების მიერ ინვესტირების შესახებ გადაწყვეტილების მიღების საფუძველს (ცხრილი 3.3). ამავე დროს, გლობალური ეკონომიკა მიმართულია კერძო ბიზნესის წასახალისებლად. ამისათვის, პირველი მექანიზმია ინტეგრირებული მსოფლიო საფინანსო სისტემა, მეორე კი, „გლობალური გადაადგილება (shift)" წარმოებაში. ზოგიერთ ყველაზე ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციები, როგორებიცაა საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი გახდნენ იმდენად გავლენიანნი სესხის გაცემის პირობების დადგენის გამო, რომ ისინი გახდნენ ამ ქვეყნების დე ფაქტო მთავრობები. აფრიკის ბევრ ქვეყანაში „სახელმწიფოს ინტერნაციონალიზაცია" ისე შორს წავიდა, რომ ზოგი ექსპერტი მათ კვაზი-სახელმწიფოებს უწოდებს, რადგან ამ ქვეყნებს არ შეუძლიათ საკუთარი ეკონომიკის მართვა ძლიერი საგარეო დახმარებების გარეშე და ვერ სთავაზობენ ეკონომიკურ სარგებელს საკუთარ მოსახლეობას. ასე რომ, საკითხავია არის, თუ არა სახელმწიფო მნიშვნელოვანი მოთამაშე მზარდი გლობალიზაციის პირობებში.

ცხრილი 3.3 მსოფლიოს კაპიტალისტური სისტემების ინსტიტუციური და იდეოლოგიური ბაზა

მახასიათებლები	ამერიკული კაპიტალიზმი	იაპონური კაპიტალიზმი	ევროპული სოციალური ბაზარი	ბრიტანული კაპიტალიზმი
ძირითადი პრინციპები				
წარმოების	კაპიტალი	შრომა	პარტნიორობა	კაპიტალი

დომინანტი ფაქტორი				
საზოგადოებრივი ტრადიცია	საშუალო	მაღალი	მაღალი	დაბალი
ცენტრალიზაცია	დაბალი	საშუალო	საშუალო	მაღალი
დადგენილი ფასით ბაზარზე დამოკიდებულება	მაღალი	დაბალი	საშუალო	მაღალი
მიწოდებასთან დამოკიდებულება	შორი; ფასზე დამოკიდებული	ახლო; მტკიცე	ბიუროკრატია; გეგმიური	შორი; ფასზე დამოკიდებულ
ინდუსტრიული ჯგუფები	ნაწილობრივი; დაცვა	ძალიან მაღალი	მაღალი	დაბალი
პრივატიზაციის მასშტაბები	მაღალი	მაღალი	საშუალო	მაღალი
საფინანსო სისტემა				
ბაზრის სტრუქტურა	ანონიმური, დაცული	პერსონალური; ერთგული	ბიუროკრატიული; ერთგული	ნეიტრალური; marketized
საბანკო სისტემა	მოწინავე; marketized რეგიონული;	ტრადიციული რეგულირებული კონცენტრირე-ბული	ტრადიციული რეგულირებული რეგიონული	მოწინავე; marketized ცენტრალიზე-ბული
საფონდო ბირჟა	მნიშვნელოვანი	უმნიშვნელო	უმნიშვნელო	მნიშვნელოვანი
შემოსავლების დონე	მაღალი	დაბალი	საშუალო	მაღალი
შრომის ბაზარი				
სამუშაო ადგილის გარანტია	დაბალი	მაღალი	მაღალი	დაბალი
სამუშაო ძალის მობილურობა	მაღალი	დაბალი	საშუალო	საშუალო
სამუშაო ძალა/მენეჯმენტი	დაპირისპირე-ბული	კოოპერატიული	კოოპერატიული	დაპირისპირე-ბული
ხელფასის დიფერენციალი	დიდი	მცირე	საშუალო	დიდი
სამუშაო ძალის დენადობა	მაღალი	დაბალი	საშუალო	საშუალო
კვალიფიკაცია	საშუალო	მაღალი	მაღალი	დაბალი
პროფკავშირების სტრუქტურა	სექტორული	ფირმების მიხედვით	მრეწველობების მიხედვით	პროფესიული
სიძლიერე	დაბალი	დაბალი	მაღალი	დაბალი
ფირმა				
ძირითადი მიზანი	მოგება	ბაზრის წილი; სტაბილური სამუშაო ადგილები	ბაზრის წილი; შესრულება	მოგება

ტოპ მენეჯერის როლი	ავტოკრატული	კონსენსუსი	კონსენსუსი	ავტოკრატული; იერარქია
სოციალური ხარჯები	დაბალი	დაბალი	მაღალი	საშუალო
სოციალური დაცვის სისტემა				
ძირითადი პრინციპი	ლიბერალური	კორპორატი-ული	კორპორატი-ული; სოციალ დემოკრატიული	შერეული
უნივერსალური ტრანსფერები	დაბალი	საშუალო	მაღალი	საშუალო
საარსებო საშუალებების ტესტირება/შემოწმება	მაღალი	საშუალო	დაბალი	საშუალო
განათლების საფეხურები	მაღალი	საშუალო	საშუალო	მაღალი
კერძო კეთილდღეობა (private welfare)	მაღალი	საშუალო	დაბალი	საშუალო
სახელმწიფო პოლიტიკა				
სახელმწიფოს როლი	შეზღუდული; დაპირისპირე-ბული	ექსტენსიური; კოოპერატი-ული	ძლიერი	ძლიერი; დაპირისპირე-ბული
ვაჭრობის ღიაობა	ღია	ნაკლებად ღია	ნაკლებად ღია	ღია
ინდუსტრიული პოლიტიკა	მცირე	მაღალი	მაღალი	არ არსებობს
საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი	დაბალი	დაბალი	მაღალი	საშუალო

სახელმწიფოები და მსოფლიო ეკონომიკის გეოგრაფია

სახელმწიფოების მნიშვნელობა მსოფლიო ეკონომიკაში გამოიხატება რამდენიმე გზით: პირველია - სახელმწიფოთა მაორგანიზებელი და მამობილიზირებელი როლი ახალ ინდუსტრიულ ქვეყნებში; მეორე - უწყვეტი გეოპოლიტიკური მეტოქეობა განვითარებულ, ინდუსტრიულ ქვეყნებს შორის; მესამე - მაკროეკონომიკური პოლიტიკა, რომელსაც წარმართავენ მთავრობები და ცენტრალური ბანკები, მათი ეკონომიკების სტაბილიზებისა და რეორგანიზებისთვის; მეოთხე - მთავრობების მნიშვნელობა მათ ტერიტორიაზე სოციალური და პოლიტიკური წესრიგის დამყარებაში და მეხუთე - დაბალი რგოლის ტერიტორიული ერთეულების მმართველობების სურვილი, რომ ეკონომიკური საქმიანობები მათი იურისდიქციის ფარგლებში შეინარჩუნონ.

1. ახალი ინდუსტრიული ქვეყნები

შედარებით დიდ, ახალ ინდუსტრიულ ქვეყნებში სახელმწიფო მნიშვნელოვან როლს თამაშობს ეკონომიკაში. მაგალითად, სამხრეთ კორეაში მთავრობა სახელმწიფო დანაზოგებს ნაციონალიზებული ბანკების დეპოზიტებში ანთავსებდა, რითაც აკონტროლებდა ქვეყნის საინვესტიციო რესურსების ორ მესამედს მისი ყველაზე სწრაფი ეკონომიკური ზრდის პერიოდში, 1970-იანი წლების ბოლოს. სახელმწიფო აძლევდა ინვესტიციებს სასურველ მიმართულებას დიფერენცირებული საპროცენტო განაკვეთებისა და მარტივი კრედიტების პირობების მეშვეობით. სამხრეთ კორეული ექსპორტის ექსპანსია - ეკონომიკური ზრდის მთავარი ხელშემწყობი ძალა, ეფუძნებოდა იმპორტისგან დაცულ ეკონომიკურ სისტემას.

სამხრეთ კორეის და სხვა ახალი ინდუსტრიული ქვეყნების (მაგ.: ტაივანი) განვითარება მხოლოდ ბაზრის დამსახურება არ არის. მემარჯვენე და მემარცხენე ეკონომისტები ცდებიან, როცა იგნორირებას უკეთებენ სახელმწიფოს როლს ეკონომიკური ზრდისათვის აუცილებელი რესურსების ორგანიზებასა და მობილიზებაში. თუმცა, ყველა ქვეყანას არ აქვს ინსტიტუციური ფუნდამენტი და რესურსები ეკონომიკური ზრდის წასახალისებლად. სამხრეთ კორეისა და ტაივანის გადამწყვეტი უპირატესობა იყო მათი ეთნიკური ერთგვაროვნება, იაპონური კოლონიალიზმისგან დატოვებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, მიწის რეფორმის ისტორია და ცივი ომის დროს აშშ-ის ინვესტიციები, ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის შესაკავებლად. ბევრ სხვა შემთხვევაში ეთნიკური დაპირისპირებებისა და კორუფციის გამო სახელმწიფო ბარიერად იქცა ეკონომიკური განვითარებისთვის. ამის მაგალითებია: ზაირი, ზიმბაბვე, სომალი და აფრიკის ბევრი სხვა ქვეყანა, არგენტინა და ვენესუელა ლათინურ ამერიკაში, შრი ლანკა და ფილიპინები აზიაში.

2. სახელმწიფოები და გეოპოლიტიკური მეტოქეობა

მსოფლიოს განვითარებულ ნაწილში სახელმწიფოები არ ავლენენ გაქრობის ნიშნებს. ეკონომიკური რესტრუქტურიზაციის პირობებში, რამაც გავლენა იქონია ბევრ ინდუსტრიალიზებულ ეკონომიკაზე ბოლო 20 წლის განმავლობაში, შეინიშნება მეტოქეობის გაღრმავება ბევრ ქვეყანას შორის ვაჭრობასთან, მონეტარულ და საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებით. აშშ-ის მთავრობები იყენებენ დოლარის დევალვაციასა და რევალვაციას, რათა დაიცვან აშშ-ის ეკონომიკა საგარეო კონკურენციისა და იმპორტის შეღწევადობის (**import penetration)** უარყოფითი გავლენისგან. ეს ხდება სხვა ვალუტებისა და ქვეყნების ხარჯზე, განსაკუთრებით იაპონიის და დასავლეთ ევროპის.

ეს არის მნიშვნელოვანი მაგალითი იმისა, თუ როგორ იყენებენ უძლიერესი სახელმწიფოები ფისკალურ და მონეტარულ პოლიტიკას სხვა ქვეყნების ეკონომიკის ხარჯზე. საკუთარი საზღვრების შიგნით მათ შეუძლიათ წაახალისონ ან შეანელონ რესტრუქტურიზაციის პროცესები, რომლებიც განპირობებულია მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე ცვლილებებით. აშშ-ში 1950-იან და 1960-იან წლებში თავდაცვის ხარჯებმა და გარეუბნების ზრდის მასტიმულირებელმა ბინათმშენებლობისა და სატრანსპორტო პოლიტიკამ ხელი შეუწყო ეროვნულ ბაზრებზე ორიენტირებული ფორდისტული ფირმების (მაგ.:

საავტომობილო წარმოებაში) განვითარებას. ამავე პერიოდში, იაპონიაში საერთაშორისო ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტრომ გამოიყენა ინდუსტრიული „სასიცოცხლო ციკლის“ მოდელი, რათა ინვესტიციები წარემართა ახალი მრეწველობებისკენ, როდესაც „ძველი“ მრეწველობები მიაღწევდნენ სათანადო განვითარების დონეს. სხვა ქვეყნებს ნაკლებად პირდაპირი სამრეწველო პოლიტიკა ჰქონდათ, ხშირ შემთხვევებში ისინი სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი მრეწველობების (მაგ.: ელექტროენერგეტიკა და ფოლადის წარმოება) მეშვეობით ახალი მრეწველობების სტიმულირებას და წარმოების სტაბილიზებას ახდენდნენ. აშშ-ში, 1980-იან წლებში სახელმწიფო ფოკუსირებას აკეთებდა თავდაცვის ხარჯებსა და ახალ საფინანსო მომსახურებებზე (რომელთა სტიმულირება ხდებოდა ბანკების და სხვა საფინანსო ინსტიტუტების დერეგულაციის გზით). 1980-იანი წლების დასაწყისში ფედერალური ბიუჯეტის დეფიციტმა წაახალისა საფინანსო მომსახურების ინდუსტრია უცხოური ინვესტიციების მოზიდვის საჭიროებით. სამხედრო დანახარჯების ზრდა გამართლებული იყო უსაფრთხოების თვალსაზრისით, რადგან ამერიკისა და მისი მოკავშირეებისთვის არსებობდა საფრთხე განსხვავებული პოლიტიკურ-ეკონომიკური წყობის მქონე საბჭოთა კავშირისგან, რომლის დაშლას მოყვა სამხედრო დანახარჯების შემცირება და ცივი ომის საფრთხეების მოსპობა, რასაც ეფუძნებოდა გერმანიისა და იაპონიის პოლიტიკური კავშირი აშშ-თან. გლობალური ტერორიზმის საფრთხე და ბირთვული იარაღის გავრცელება ისეთ ქვეყნებში, როგორებიც არიან ირანი, პაკისტანი და ჩრდილოეთ კორეა, შეიძლება გახდეს მიზეზი აშშ-ის მიერ სამრეწველო პოლიტიკისადმი ახალი მიდგომების შემუშავებისა და მოკავშირეთა (განსაკუთრებით გერმანია და იაპონია) შენარჩუნების ახალი საშუალების პოვნისა.

3. მაკროეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება

საერთაშორისო ფინანსური ინტეგრაციისა და საფინანსო ბაზრების განვითარებას მოჰყვა ცენტრალური ბანკების პოლიტიკური ძალაუფლების ზრდა (ფედერალური რეზერვი აშშ-ში, ევროპის ცენტრალური ბანკი გერმანიაში, ინგლისის ბანკი, იაპონიის ბანკი). რადგან ცენტრალურმა ბანკებმა დიდ ფინანსურ ბაზრებზე, შეინარჩუნეს ადგილობრივი და გლობალური ბაზრების პირობებზე ზემოქმედების უნარი საპროცენტო განაკვეთებისა და ფულის მიწოდების მანიპულირებით. ცენტრალური ბანკები სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვაგვარად ფუნქციონირებენ და ექვემდებარებიან გარე გავლენებისა და ადგილობრივი ინსტიტუციონალური პოლიტიკური გარემოს ზემოქმედებებს. მაგალითად, სადაც ცენტრალური ბანკი პოლიტიკურად დამოუკიდებელია და კავშირი მრეწველობასა და ფინანსებს შორის სუსტია, როგორც ეს აშშ-ია, ცენტრალური ბანკი რენტიეს (rentier) ფუნქციებს შეასრულებს, შემზღუდავი მონეტარული პოლიტიკით, რომელიც სარგებელს მოუტანს ბანკებსა და სხვა საფინანსო ინტერესებს. სადაც ცენტრალური ბანკი დამოუკიდებელია, მაგრამ კავშირი მრეწველობასა და ფინანსებს შორის ძლიერია, როგორც ეს ევროზონის ბევრ ქვეყანაშია (გერმანია, საფრანგეთი, იტალია და ა.შ.) ცენტრალური ბანკი ცდილობს მთლიანად ბიზნესს მოუტანოს სარგებელი იმგვარი პოლიტიკის

არჩევით, რომელიც დამოკიდებულია სამუშაო ძალის გავლენებზე. ევროს შემოღებამდე და ევროპის ცენტრალური ბანკის დაარსებამდე, გერმანიის ბუნდესბანკმა პრიორიტეტი მიანიჭა ფასების სტაბილურობის შენარჩუნებას ინფლაციასთან ბრძოლის გზით. 1970-იან წლებამდე ამ სტრატეგიამ იმაზე მეტი ეკონომიკური ზრდა გამოიწვია, ვიდრე სხვაგვარი პოლიტიკის არჩევის შემთხვევაში იქნებოდა. მკაცრი მონეტარული პოლიტიკის გატარება დამოკიდებულია ინფლაციის მიმართ საზოგადოების შიშზე (რაც გამომდინარეობს 1920-იანი და 1940-იანი წლების შუა პერიოდის ძლიერ ინფლაციასთან დაკავშირებული კოლექტიური მეხსიერებიდან). დაბოლოს, სადაც ცენტრალური ბანკი მთავრობის ნაწილია და მრეწველობასა და ფინანსებს შორის ძლიერი კავშირია, მაგალითად შვედეთში, ცენტრალური ბანკის პოლიტიკა ექსპანსიონისტურია და ინფლაციური.

4.მთავრობა და ხალხი

კორპორატიული კეთილდღეობის სისტემები, რომლებიც ბევრ სახელმწიფოში, ორგანიზებული კაპიტალიზმის პირობებში განვითარდნენ, ახლა საფრთხის ქვეშ არიან ყველა ამ ქვეყანაში. სახელმწიფო ჯერაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს ინდუსტრიალიზებულ სამყაროში და მის ფარგლებს გარეთ (ჩინეთი და ინდოეთი), მაგრამ რეიგანის ადმინისტრაციამ აშშ-ში და ტეტჩერის მთავრობამ ბრიტანეთში 1980-იან წლებში პოპულარიზება გაუწიეს მოსაზრებას, რომ სოციალურ მომსახურებაზე სახელმწიფო დანახარჯები ტვირთად აწვება ეკონომიკას იმ გადასახადების გამო, რომლებიც აუცილებელია მათ დასაფინანსებლად. საბოლოო ჯამში, მოხდა გადახვევა ეგალიტარული ლიბერალიზმიდან ნეოლიბერალიზმის თავისუფალი ბაზრის დოქტრინისკენ. ნეოლიბერალური პარადიგმა ვრცელდება გლობალურად. განვითარებული ქვეყნები ამჟამად ფისკალურ კრიზისში იმყოფებიან, რაც ჩვეულებრივი მდგომარეობაა დანარჩენ მსოფლიოში, რადგან მოთხოვნები რესურსებზე იზრდება (მოსახლეობის დაბერება, სიღარიბის ზრდა და სხვა) მათი დაკმაყოფილების შესაძლებლობები (მაგ.: მაღალანაზღაურებადი სამუშაო ადგილების და შემოსავლების დაკარგვა ტრადიციულ სამრეწველო სექტორში) მცირდება. თუმცა სახელმწიფოები ინდუსტრილიზებულ სამყაროში მაინც რჩებიან საკუთარ ტერიტორიაზე სოციალური და პოლიტიკური წესრიგის დამცველ ყველაზე მნიშვნელოვან აგენტებად. ისინი განსხვავდებიან მხოლოდ ჩარევის ხარისხით, რაც განისაზღვრება კანონმდებლობით, პროგრამების რაოდენობით, სახელმწიფო დაწესებულებების სიდიდით და დასაქმებულთა რაოდენობითა და აქტიურობით. საერთო ჯამში, სახელმწიფოს ჩარევის ხარისხი მოქალაქეთა ცხოვრებაში არ მცირდება.

ჩანართი: ნეოლიბერალიზმი

კეინსიანიზმის უუნარობა გამკლავებოდა ეკონომიკურ კრიზისს, რომელიც გამოიწვია ოპეკის მიერ ნავთობზე ფასების უეცარმა გაოთხმაგებამ 1973 წელს, ასევე ჭარბდაგროვებით (overaccumulation) კრიზისს და სამრეწველო წარმოების გლობალიზაციას, გზა გაუხსნა რადიკალურად განსხვავებულ პოლიტიკას და დაიწყო ეგალიტარული ლიბერალიზმიდან (რომელიც 1930-იანი წლებიდან

ძირითად სახელმწიფო პოლიტიკად ითვლებოდა განვითარებულ ქვეყნებში, მაგალითად აშშ-სა და ბრიტანეთში) გადახვევის პროცესი. როგორც საბაზრო ჩავარდნის იდეა იქცა ძლიერ არგუმენტად იდეოლოგიური გადახვევისთვის კლასიკური ლიბერალიზმიდან ეგალიტარული ლიბერალიზმისკენ 1930-იან წლებში, ასევე სახელმწიფოს ჩავარდნის იდეამ მისცა ბიძგი ეგალიტარული ლიბერალიზმის პოლიტიკის ავტორიტეტულობის დაცემას 1970-იანი წლების შუა პერიოდიდან. ამ თეორიის მიხედვით, სახელმწიფო არაეფექტურია, გაბერილი ბიუროკრატია და ზედმეტი ეგულაციები აფერხებს ეკონომიკურ განვითარებას, ხოლო სოციალური და გარემოს დაცვითი პოლიტიკა ზღუდავს საერთაშორისო კონკურენტუნარიანობას. შედეგად ეგალიტარული ლიბერალიზმი დაჩრდილა ნეოლობერალიზმმა, რომელიც წარმოადგენს კლასიკური ლიბერალიზმის იდეებთან სელექტიურ დაბრუნებას. გაზრდილმა გადასახადებმა (დეინდუსტრიალიზაციით გამოწვეული დანაკარგების დასაფინანსებლად), უმუშევრობამ და ქალაქის ცენტრალური ნაწილის დეგრადირებამ/inner city decline-მა გამოიწვია იმედგაცრუება ყველაზე მდიდარ გადამხდელებს შორის, რომლებსაც მეტი შემოსავალი უნდოდათ, თავიანთი გაზრდილი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. სახელმწიფო დანახარჯებზე გაზრდილმა წნეხმა გამოიწვია სახელმწიფო მომსახურების, საზოგადოებრივი საქონლის და ინფრასტრუქტურის ხარისხის გაუარესება, რამაც კიდევ გაზარდა ზეწოლა მომხმარებლებზე.

კეინსიანისტური ეკონომიკური პოლიტიკა და გადანაწილების პროგრამები საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის დამაბრკოლებელ ფაქტორად ჩაითვალა. შრომითი ბაზრის მოქნილობა იქცა წამყვან კონცეფციად.

1990-იანი წლების შუა ხანებიდან ნეოლობერალიზმი იქცა წამყვან ეკონომიკურ იდეოლოგიად. ჯემი პეკმა და ადამ ტიკელმა (2002) ეს პროცესი აღწერეს, როგორც „rollback“ ნეოლობერალიზმისა და „rollout“ ნეოლიბერალიზმის კომბინაცია. „rollback“ ნეოლობერალიზმი ნიშნავს ფინანსებისა და მრეწველობის დერეგულაციას; სოციალური საცხოვრებლების პროგრამების გაუქმებას; საზოგადოებრივი საკუთრების პრივატიზაციას; გადამანაწილებელი სოციალური პროგრამების, ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლებების მედიატორული და მარეგულირებელი ფუნქციების, პროფკავშირების გავლენის შეზღუდვას და ინვესტიციების შემცირებას გზების, ხიდებისა და საზოგადოებრივი სარგებლობის ობიექტების ინფრასტრუქტურაში. „rollout“ ნეოლობერალიზმი გულისხმობს შრომის უფლების (right to work) კანონმდებლობის არსებობას, სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის შექმნას, სოციალური უზრუნველყოფის სისტემის (workfare) მოთხოვნების შემუშავებას, კერძო საკუთრების დაცვას, თავისუფალი სავაჭრო ზონების დაარსებას და საზოგადოებრივი სერვისების პრივატიზაციას.

მთავარი მიზანი არის ცენტრალური ხელისუფლების მოცულობის შემცირება და ადგილობრივი ხელისუფლებების გადაქცევა უფრო ბიზნესისკენ ორიენტირებულ ერთეულებად მათი შემოსავლებისა და ხარჯების თვალსაზრისით. ნეოლიბერალიზმის მომხრეები მიიჩნევენ, რომ თავისუფალი ბაზარი იდეალურ პირობებს ქმნის არა მხოლოდ ეკონომიკის განვითარებისთვის, არამედ პოლიტიკური და სოციალური პროცესებისთვის. თუმცა აღსანიშნავია, რომ

თავისუფალმა ბაზრებმა გაზარდეს ეკონომიკური უთანასწორობა როგორც ქვეყნებს შორის, ასევე მათ შიგნით.

5. ადგილობრივი ხელისუფლებები და ეკონომიკური განვითარება

ზოგიერთ ქვეყანაში ადგილობრივ ხელისუფლებებს გააჩნიათ ეკონომიკური საქმიანობის დამოუკიდებლობა, ხოლო ბიზნეს კლიმატი განსხვავებულია რეგიონების მიხედვით. მაგალითად, აშშ-ის ჩრდილოეთის შტატებში (ილინოისიდან ნიუ იორკამდე ტერიტორია, სადაც აშშ-ის წარმოების ძირითადი ნაწილი იყო კონცენტრირებული 1880-დან 1960-იან წლებამდე) დაწესებულია მაღალი საშემოსავლო გადასახადი და საზოგადოებრივი საქონლისა და მომსახურების (სახელმწიფო განათლება, სოციალური სერვისები და სხვა) შედარებით დიდი მოცულობა, სამხრეთისა და დასავლეთის შტატებთან შედარებით. ასეთ პირობებში სხვადასხვა რეგიონში ცალკეული წარმოებებისთვის იქმნება სხვადასხვა ბიზნეს გარემო.
მრავალი შტატი ცდილობს ბიზნესების მოზიდვას საგადასახადო შეღავათებითა და სუბსიდიებით. აშშ-ის ბევრ შტატს აქვს ოფისები ევროპისა და აზიის ქვეყნებში, რათა მოიზიდოს უცხოური ინვსტიციები, აგრეთვე ისინი ცდილობენ სხვა შტატებიდანაც გადმოიბირონ ფირმები და საწარმოები. ამან ხელი შეუწყო ქვეყანაში წარმოების დეცენტრალიზაციას. ეროვნული ეკონომიკის ზრდაში შეტანილი წვლილი ამ შემთხვევაში უმნიშვნელოა. ევროკავშირის კონკურენციის პოლიტიკა მდგომარეობს ამგვარი უსარგებლო (zero-sum) კონკურენციის შეზღუდვაში ისეთი სახელმწიფო შეღავათების შეზღუდვის გზით, როგორებიცაა გრანტები და სუბსიდიები კერძო კომპანიებისთვის. ადგილობრივი სამუშაო ძალის გადამზადება განათლებისა და ტრენინგების საშუალებით და ამით შედარებით შემოსავლიანი მრეწველობების მოზიდვა უფრო მომგებიანია ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებისთვის.

დასკვნა

სახელმწიფოების მხრიდან ეკონომიკის პოლიტიკური რეგულირების ხერხებს ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს ეკონომიკის ევოლუციის გაგებისთვის. გლობალურ ეკონომიკურ სივრცეში სახელმწიფოები არიან შიდა და გარე ტრანსაქციების მაკონტროლებლები და არა მონოპოლისტები საკუთარ ტერიტორიაზე, ეროვნულ ბიზნესებთან კოორდინაციით.
ბევრი სახელმწიფო ძალზედ დიდია იმისათვის, რომ შექმნას სოციალური იდენტობა და რეალური ეროვნული ინტერესები. ეს გამოიხატება ბევრ ქვეყანაში ეროვნულ ინსტიტუტებსა და პოლიტიკის შემუშავებასთან დაკავშირებით ნაციონალური კონსენსუსის მიღწევის სირთულეში. მაგალითად ომისშემდგომი კონსენსუსი სოციალური სახელმწიფოს შესახებ საფრთხის ქვეშ დადგა ევროპასა და აშშ-ში.
მეორეს მხრივ, მრავალი ეკონომიკური მიზნებისთვის, სახელმწიფოები ძალზედ პატარები არიან გეოგრაფიული თვალსაზრისით. ისინი წარმოადგენენ საბაზრო სექტორებს კონკურენტულ, ინტეგრირებულ და ურთიერთდამოკიდებულ მსოფლიო ეკონომიკაში.

ეკონომიკური ძალაუფლება აღარ არის მხოლოდ ცალკეულ სახელმწიფოთა ხელში. მსოფლიო ვაჭრობის ზრდა, ტრანსნაციონალური კორპორაციების საქმიანობა, მსოფლიო საფინანსო სისტემის გლობალიზაცია, გლობალური წარმოება და რეგიონული სავაჭრო ბლოკები: ევროკავშირი და ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება (NAFTA) მიანიშნებს ახალი გლობალური მსოფლიო წესრიგის დადგომისკენ, რომლის მიმართაც სახელმწიფოებმა უნდა მოახდინონ ადაპტირება.
სახელმწიფო უკვე ნაკლებად განსაზღვრავს საზოგადოებისა და ეკონომიკის ხასიათს. ართანაბარმა ეკონომიკურმა განვითარებამ ქვეყნებს შორის და მათ შიგნით, მოახდინა ეკონომიკური ინტერესებისა და პოლიტიკური იდენტობის გადაფასება ეროვნულ და რეგიონულ დონეებზე. ეკონომიკურმა რესტრუქტურიზაციამ და გლობალიზაციამ პირდაპირ დააკავშირა ქვეყნების ცალკეული რეგიონები გლობალურ ბაზართან. მსოფლიოში ამჟამად, დიდი ტერიტორიული ერთეულის ფარგლებში ყოფნის გზით კონკურენციისგან თავის დაცვის ნაკლები შესაძლებლობა არსებობს, ვიდრე ეს აქამდე იყო. როდესაც სახელმწიფოს ფარგლებს შიგნით სხვადასხვა რეგიონს აქვს სხვადასხვა მოხმარების საგნები ვაჭრობაში, სავაჭრო პარტნიორები, მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანობის ხარისხი, სავაჭრო პოლიტიკაზე ეროვნული კონსენსუსის შესაძლებლობა საგრძნობლად მცირდება. სახელმწიფოთაშორისი გაერთიანებების (მაგ.: ევროკავშირის) მნიშვნელობისა და ეროვნულ რეგულაციებზე გლობალური ბაზრების გავლენის ზრდამ განაპირობა ახალი პოლიტიკური იდენტობის ჩამოყალიბება და ძველის გაცოცხლება, განსაკუთრებით ეთნიკურად და კულტურულად დაყოფილ საზოგადოებებში. ამ კონტექსტში, მსოფლიოში ნაციონალისტური და სეპარატისტული მოძრაობების გაძლიერება აღარ არის გასაკვირი. ახალი პოლიტიკური რეგულაციები დაბალ დონეზე უნდა თანაარსებობდეს უფრო ძველ რეგულაციებთან შედარებით მაღალ დონეზე. ორივე ამ დონეზე უნდა მოხდეს ადაპტირება გლობალური ურთიერთდამოკიდებულების გავლენებთან.

3.3 ბაზარზე ხელმისაწვდომობა და ახალი მსოფლიო ეკონომიკის რეგიონული მამოძრავებელი ძალები

იდეა, რომ მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარეობს ფუნდამენტური რეორგანიზაცია, ფართოდაა აღიარებული. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ არსებობს თანხმობა იმის თაობაზე თუ როგორ, ან რატომ ხდება ასე. თანხმობა მიღწეულია მხოლოდ იმ მოსაზრებაში, რომ მსოფლიო ეკონომიკა შედის მოქნილი წარმოების ფაზაში, სადაც ბიზნეს ოპერაციები ხორციელდება ძირითადად ტრანსნაციონალური კორპორაციების მეშვეობით, რომლებიც ფორმალურად თუ არაფორმალურად დაკავშირებულნი არიან სხვა ორგანიზაციების ქსელებთან – ფირმები, მთავრობები, საზოგადოებები. ამ პროცესის პარადოქსი მდგომარეობს იმაში, რომ როდესაც აღნიშნული ქსელი უზრუნველყოფს პოლიტიკური საზღვრების გადალახვას კონცენტრირებული ბიზნეს-ორგანიზაციების მეშვეობით, ის ასევე აძლევს კონკურენტული უპირატესობის მქონე რეგიონებს წარმოების დეცენტრალიზაციის საშუალებას. ამავე დროს ქსელები სხვადასხვა ფორმებს იღებენ სხვადასხვა სექტორსა და

ტერიტორიებზე. ზოგი ქსელი შედგება დიდი ცენტრალური კორპორაციისგან და გეოგრაფიულად დაფანტული სუბკონტრაქტორებისა და მოკავშირე (allied) ფირმებისგან (მაგ.: მრავალი სამშენებლო ფირმა), სხვანი წარმოადგენენ ფირმების კლასტერს (ჯგუფებს) მაღალტექნოლოგიურ რეგიონებში (მაგ.: „სილიკონის ველი“ კალიფორნიაში და „Silicon Fen“ კემბრიჯში) ან სპეციალიზებულ სამრეწველო რეგიონებს, როგორებიცაა ემილია-რომანია და ტოსკანა (ე.წ. „მესამე იტალია“, ცენტრალური და ჩრდილოეთ იტალიის ნაწილი, სადაც ეკონომიკური ზრდა ეფუძნება პატარა ფირმების კლასტერს, რომლებიც სპეციალიზებულნი არიან ერთსა და იმავე მრეწველობის დარგში: ხელსაწყოები, ფეხსაცმლები, ქსოვილები). ეს ტერიტორიები არ არიან გარესამყაროსგან იზოლირებულები. ისინი დაკავშირებულნი არიან სოციალური კავშირებით და იმ სარგებლით, რომელიც მიიღება შრომის ტერიტორიული დანაწილებით (საქმიანობების დანაწილება ტერიტორიების მიხედვით), ან გარე (external) მასშტაბის ეკონომიით (სარგებელი, რომელიც წარმოიშობა მსგავსი ან შემავსებელი საქონლის მწარმოებლის ერთად თავმოყრით). მართალია, მსგავსი მჭიდრო კავშირების უმრავლესობა არსებობს ევროპაში, ჩრდილოეთ ამერიკასა და აღმოსავლეთ აზიაში, მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაცია ჯერაც არ შეხებია მსოფლიოს ყველა ნაწილს.

ერთ-ერთი მიზეზი დიდი, ვერტიკალურად ინტეგრირებული და ეროვნულ ეკონომიკასთან მჭიდროდ დაკავშირებული ფირმებიდან, წარმოებისა და ფინანსების გლობალურ ქსელზე გადასვლისა, იყო უდიდესი კორპორაციების პროდუქტიულობისა და მოგების შემცირება 1965-დან 1980 წლებში. ეს დაღმასვლა უფრო განპირობებული იყო პროდუქტიულობის ვარდნით (აღჭურვილობისა და რესურსების გამოყენების ეფექტურობა) ვიდრე შრომის ღირებულების ზრდით. თუმცა, გარკვეული დროის პერიოდში ზოგიერთ ქვეყანაში (მაგ.: აშშ) ხდებოდა მოგების ზრდა 1980-იანი წლების მეორე ნახევრიდან, რისი ძირითადი მიზეზი იყო ხელფასების და სხვა შრომითი შეღავათების შემცირება და არა ინვესტიციები, ან ახალი ტექნოლოგიების (მაგ.: კომპიუტერების) დანერგვა. ეს ასევე ასახავს 1970-იანი წლებიდან უდიდესი ამერიკული ფირმების გლობალური შემოტრიალების შედეგებს.

მრეწველობამ ყველა ინდუსტრიალიზებულ სახელმწიფოში განიცადა პროდუქტიულობისა და მომგებიანობის კრიზისი 1970-იანი წლების დასაწყისიდან. ამ კრიზისის შედეგად გაჩნდა ოპერაციების რაციონალიზაციის და შემცირებების სურვილი, ასევე რელოკაციისა და დივერსიფიკაციის სტრატეგიების გამოყენებით ინვესტორებისთვის მოგების გაზრდის საჭიროება. ამას შედეგად მოყვა ახალი ტექნოლოგიების სწრაფი გავრცელება. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ახალ სატრანსპორტო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს (კონტეინერიზაცია, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა და სხვა), რომლებმაც შესაძლებელი გახადეს ფიზიკური აქტივების, კომპონენტების, საბოლოო პროდუქტის, მომსახურებისა და საფინანსო კაპიტალის უფრო სწრაფი მოძრაობა.

მსოფლიო ეკონომიკის გახსნილობას ვაჭრობისა და ეკონომიკისთვის საფუძვლად უდევს უძლიერესი ქვეყნების, განსაკუთრებით აშშ-ის ძალისხმევა. ამ პროცესების მიზეზი იყო: ა) ამ ქვეყნების ცალკეული ფირმების ბიზნეს ინტერესები, რომლებიც მდგომარეობდა საკუთარი საქმიანობის გლობალურ

მასშტაბებში გადაყვანის გზით მათი პრობლემების გადაჭრაში; ბ) იდეოლოგია (განსაკუთრებით ძლიერი იყო აშშ-ში), რომლის თანახმად თავისუფალი ეკონომიკის აშენება უნდა გამხდარიყო საბჭოთა კავშირისა და მისი სატელიტების ჩაკეტილი ეკონომიკის ალტერნატივა.
ფორდიზმის „გამოფიტვა“ დაემთხვა მსოფლიო ეკონომიკური პროცესების სხვა ცვლილებებს: „ბრეტონ-ვუდსის სისტემის“ მიერ დაწესებული ფიქსირებული გაცვლითი კურსების კოლაფსი 1971 წელს; ოპეკის მიერ ნავთობზე ფასების მომატება 1973-სა და 1979 წლებში და მსოფლიო სავალო (world debt) კრიზისი, გამოწვეული მევალეთა (ისეთი ნახევრად პერიფერიული ქვეყნები, როგორებიც არიან მექსიკა და ბრაზილია) უუნარობით დაებრუნებინათ ვალები, რომელთა წყარო იყო ნავთობის მწარმოებელთა მიერ მსოფლიო ეკონომიკაში განთავსებული ნავთობდოლარები.
თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკაში სახელმწიფოები ახდენენ ვაჭრობისა და ინვესტიციების რეგულაციების სულ უფრო მეტად სტანდარტიზებას, რათა შრომის საერთაშორისო დანაწილების პროცესში ხელსაყრელი პოზიციები დაიკავონ, ხოლო ფირმები წარმოადგენენ ტერიტორიული ნიშნით გაერთიანებულ საწარმოო სისტემებს, რომლებიც ფირმების, მთავრობებისა და საზოგადოებრივი ქსელებისა და ალიანსების მეშვეობით არიან დაკავშირებულნი ერთმანეთთან.

ბაზარზე ხელმისაწვდომობის რეჟიმი

გლობალიზაციის პირობებში ფირმები ცდილობენ სარგებელი ნახონ შედარებით უპირატესობაში, რომელიც ცალკეულ ქვეყნებს გააჩნიათ მრეწველობის სხვადასხვა დარგში და მიიღონ შეუზღუდავი ხელმისაწვდომობა მათ სამომხმარებლო ბაზარზე. ხოლო სახელმწიფოები ცდილობენ კაპიტალის და მაღალკვალიფიციური კადრების გარედან მოზიდვას, რათა გაზარდონ დასაქმების დონე, შეიძინონ ცოდნა უცხოელი პარტნიორებისგან და ზოგადად, გაზარდონ თავისი ფირმების გლობალური კონკურენტუნარიანობა. ამ ორი ფაქტორის კომბინაციამ წარმოქმნა მსოფლიო ვაჭრობისა და ინვესტიციებისთვის ბაზარზე ხელმისაწვდომობის რეჟიმი. ეს ძირს უთხრის თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმს, რომელიც დომინირებდა მთავარ ინდუსტრიულ კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში. მისი ადგილი დაიკავა რეჟიმმა, სადაც ვაჭრობისა და ინვესტიციების მარეგულირებელი წესები ვაჭრობის შედარებით ვიწრო სფეროებიდან გავრცელდა ფირმების ორგანიზაციისა და საქმიანობის ფართო სპექტრზე.
არსებობს ბაზარზე ხელმისაწვდომობის სისტემის ექვსი სვეტი:

ცხრილი 3.4 მსოფლიო ვაჭრობის ძველი და ახალი სვეტები

თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის ძველი სვეტები	აზრის ხელმისაწვდომობის რეჟიმის ახალი სვეტები
1. სამრეწველო ორგანიზაციის	1. სამრეწველო ორგანიზაციის

ამერიკული მოდელი 2. მმართველობის ცალკეული სისტემები 3. საქონელი და მომსახურება ადგილობრივი მოხმარებისთვის 4. უნივერსალური წესები, როგორც ნორმა 5. საქონლის თავისუფალი მოძრაობა 6. ეროვნული შედარებითი უპირატესობა	ჰიბრიდული მოდელი 2. შიდა პოლიტიკის ინტერნაციონალიზაცია 3. მომსახურების გლობალიზაცია, საქონელსა და მომსახურებას შორის ზღვარის წაშლა 4. სპეციალური კანონების რაოდენობის ზრდა 5. ინვესტიციების ვაჭრობასთან თანასწორობა და ინტეგრირება 6. რეგიონული და გლობალური უპირატესობა

პირველი სვეტი წარმოადგენს გადახვევას, საერთაშორისო მოლაპარაკებებში მრეწველობის ორგანიზაციის ამერიკული მოდელის დომინირებიდან, ჰიბრიდული მოდელისკენ სადაც ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფოსა და მრეწველობის მჭიდრო კავშირს და ფირმებს შორის ურთიერთთანამშრომლობისა და ალიანსების წახალისებას, როგორც ქვეყნებს შორის ისე ქვეყნის შიგნით. ამ ახალ მოდელში უცხოურ ფირმებს აქვთ უფლება განახორციელონ საქმიანობა ეროვნული ბაზრის უმეტეს სეგმენტში, გარდა იმ სექტორებისა, რომლებიც მხოლოდ ადგილობრივი ფირმებისთვისაა გამოყოფილი.

მეორე სვეტი მოიცავს სახელმწიფოთა შორის ურთიერთთანამშრომლობის ხარისხის ზრდასა და გლობალური წესების მიღებას, რომლებიც არეგულირებენ ვაჭრობას, ინვესტიციებსა და ფინანსებს. ასევე მნიშვნელოვანი როლი ენიჭებათ სახელმწიფოთაშორისო და საერთაშორისო ორგანიზაციებს (მაგ.: ევროკავშირის ევროპის კომისია და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია). ეს ორი პროცესი ხელს უწყობს რეგულაციებს შორის ზღვარის წაშლას (**blurring of lines of regulations between issue areas)** (როგორებიცაა ვაჭრობა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები) და გლობალური სამართლებრივი ნორმების შეღწევას ეროვნულ საკანონმდებლო პრაქტიკაში (მაგ.: საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტები (IAS) შემუშავებული საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების საბჭოს მიერ, ან ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მიერ შემუშავებული კორპორატიული მმართველობის პრინციპები).

მესამე სვეტი ეფუძნება მომსახურებით ვაჭრობის ზრდას და მსოფლიო ეკონომიკაში მომსახურების (საბანკო საქმე, დაზღვევა, ტრანსპორტირება, იურიდიული და სარეკლამო მომსახურება) მნიშვნელობის მომატებას. ამის ერთი მიზეზია მაღალტექნოლოგიური პროდუქტების (კომპიუტერები, კომერციული თვითმფრინავები და სხვა) წარმოების ხარჯებში მომსახურების მაღალი წილი. პროგრამული უზრუნველყოფის მომსახურებამ, რომელიც ესაჭიროებათ ამგვარ პროდუქტებს გამოიწვია ბიზნეს-მომსახურებების სწრაფი ზრდა. მეორე მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ მწარმოებლები მოითხოვენ მაღალი ხარისხის მომსახურებას, მისაღებ ფასებში. ისინი მიმართავენ უცხოელ მიმწოდებლებს, თუ ადგილობრივ მიმწოდებლებთან შეთანხმებას ვერ მიაღწიეს. საბანკო საქმემ და

სატელეფონო ინდუსტრიამ განიცადეს ინტერნაციონალიზაციის მკვეთრი ზრდა, როდესაც მწარმოებლებმა მიმართეს არატრადიციულ, ოფშორულ მიმწოდებლებს. მეოთხე სვეტი, საერთაშორისო მოლაპარაკებები ვაჭრობასა და ინვესტიციებზე ახლა უფრო მეტად ორიენტირებულია დარგობრივ და სპეციალიზირებულ მიმართულებაზე. ერთი, საერთო წესი აღარ ერგება ყველა შემთხვევას. ახალი რეგულაციების უმრავლესობა წარმოადგენს მოცემული მომენტის („ad-hoc“) წესებს.

ბოლო ორი სვეტი ეხება ბაზრის ხელმისაწვდომობის რეჟიმის წესებს. მეხუთე, დაკავშირებულია ვაჭრობისა და ინვესტიციების ერთნაირ მნიშვნელობასთან, რისი უმთავრესი მიზეზია ტრანსნაციონალური კორპორაციების საქმიანობა მიმართული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების უპრეცენდენტო ზრდისკენ. ადგილობრივმა წესებმა იმის თაობაზე თუ, რა მოცულობის დასრულებული პროდუქტი უნდა იწარმოებოდეს ქვეყანაში და ფირმების ალიანსებთან დაკავშირებით სამართლიანი კონკურენციის პრობლემებმა გამოიწვია ინდუსტრიული ქვეყნების მთავრობების მიერ უცხოური საინვესტიციო ნაკადების რეგულირების გამკაცრება. „შესაძლებლობების გათანაბრება“ წარმოქმნის ურთიერთზეწოლას სახელმწიფოებს შორის რეგულაციების თუნდაც მიახლოებული ერთგვაროვნების მისაღწევად (მაგ.: მონოპოლიური და ანტიტრასტული დარღვევების შემთხვევაში).

ბოლო, მეექვსე სვეტი გულისხმობს ნაწილი ფირმების მიერ პრიორიტეტების შეცვლას საკუთარ ქვეყანაში კონკურენტული უპირატესობის მოპოვების მიზნიდან გლობალური, მსოფლიო-რეგიონალური კონკურენტული უპირატესობის მიღწევის სურვილისკენ. ეს პროცესი ასახავს მრავალი კომპანიის მიდრეკილებას მულტინაციონალურობისკენ, რომელიც განიხილება, როგორც საშუალება აქტივების დივერსიფიკაციისა, ბაზარზე ხელმისაწვდომობის გაზრდისა და მასშტაბის ეკონომიის მიღწევისა.

წარმოების საშუალებების სხვადასხვა ქვეყანაში განთავსება შეიძლება ხელსაყრელი აღმოჩნდეს. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები სამი ფაქტორის შედეგს წარმოადგენენ: 1) უპირატესობები, რომლებიც აქვთ უცხოურ ფირმებს მათი ტექნოლოგიებისა და საბაზრო ძალაუფლების გამო (საკუთრების უპირატესობები). 2) კვლევისა და განვითარებიდან, ასევე სხვა ინვესტიციებიდან მოგების მიღების საჭიროება, წარმოებისა და მარკეტინგის კონტროლზე უფრო მეტი აქცენტის გაკეთებით, ვიდრე უცხოური ფირმების ლიცენზირებაზე (ბაზრის ინტერნალიზაცია). 3) კონკრეტულ უცხოურ ქვეყანაში ხელსაყრელი პირობები ბაზრის სიდიდის და მოთხოვნების, წარმოების დანახარჯების მოცულობის, სავაჭრო ბარიერების მხრივ (ადგილმდებარეობითი/ტერიტორიული უპირატესობები).

ბიზნეს ეკონომისტები ხაზს უსვამენ პირველ ორს, ხოლო ეკონომიკური გეოგრაფები მესამე ფაქტორს ანიჭებენ უპირატესობას. გეოგრაფები იყენებენ პროდუქციის „სასიცოცხლო ციკლის“ მოდელს ცალკეული საწარმოო პროცესების უცხოეთში გადატანის ტენდენციის ასახსნელად. თავის საწყის ფორმაში ამ იდეას არ ჰქონდა ტერიტორიული დატვირთვა. იგი ეხებოდა იმ ეტაპებს, რომელსაც კონკრეტული პროდუქტი გადის: თავდაპირველად ის არის სიახლე, შემდეგ ეტაპზე ხდება მისი მასობრივი წარმოება და ბოლოს იგი ხმარებიდან გამოდის. ვერნონმა (1966) პროდუქტის სასიცოცხლო ციკლს

დაუმატა ტერიტორიული კომპონენტი. მისი აზრით, როგორც იცვლება მოთხოვნა პროდუქტზე მის „დაბერებასთან“ ერთად, ასევე იცვლება ტერიტორიული მოთხოვნები. მასობრივ წარმოებაში შრომის ინტენსიურობა გაცილებით მაღალია ვიდრე წარმოების ადრეულ ეტაპებზე. ამიტომ, როცა პროდუქტი შედის სასიცოცხლო ციკლის აღნიშნულ ფაზაში, მომგებიანობის თვალსაზრისით მიზანშეწონილია წარმოების გადატანა იმ ადგილას, სადაც უფრო იაფი მუშახელია. იმპორტისა და ექსპორტის მოდელებიც ასევე ფუნქციონირებენ.

სურ. 3.3 პროდუქციის „სასიციცხლო ციკლის“ მოდელი და მისი გავლენა აშშ-ს წარმოებასა და ვაჭრობაზე



Fig 3.3: Product life-cycle model and possible effects on US production and trade (after Vernon, 1966)

Source: Adapted from Wells (1972: 15, Figure 1)

ეს მოდელი კრიტიკის საგანი ხდება, როდესაც გამოიყენება ისე, რომ ყურადღება არ ექცევა სხვადასხვა სექტორის ისეთ სპეციფიურ საწარმოო მოთხოვნებს, როგორებიცაა შრომის ნაყოფიერებაზე, როგორც მასობრივი წარმოების ერთ-ერთ მახასიათებელზე გადაჭარბებული აქცენტირების გაკეთება; მასობრივი წარმოების ავტომატიზაციის მნიშვნელობა; ნაკლები ყურადღება მზა პროდუქციაზე და სხვადასხვა ქვეყნებში მარეგულირებელი ფაქტორის (მაგ.: ტარიფები და იმპორტის სხვა სახის შეზღუდვები) როლის უგულებელყოფა წარმოების საშუალებების მოძრაობის წახალისებაში (ეს ბოლო ფაქტორი არის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი იმისა, თუ რატომ გაიტანეს იაპონურმა საავტომობილო ფირმებმა თავისი წარმოების ნაწილი აშშ-სა და ბრიტანეთში).
გლობალური ეკონომიკის კომპლექსურობის გამო არ არსებობს ფირმების ტერიტორიული ქცევის ერთიანი მოდელი. ტრანსპორტირებისა და კომუნიკაციის ახალმა ტექნოლოგიებმა შექმნეს ხელსაყრელი გარემო, სადაც ფირმებს შეუძლიათ მოახდინონ მრეწველობისა და პირველადი წარმოების დეცენტრალიზაცია და ამავე დროს ცენტრალიზებული კონტროლის შენარჩუნება (მაგ.: კომპიუტერები, ტელეკომუნიკაციები, საჰაერო ტრანსპორტი). ახლა უკვე არსებობს ინტენსიური ურთიერთქმედების შესაძლებლობა გეოგრაფიული მდებარეობის მიუხედავად. ეს მანიშნებელია რეგიონული სპეციალიზაციის დასასრულისა.

ტრანსნაციონალური სტრატეგიების განვითარება არ მოითხოვს ძველი სტრატეგიების გაუქმებას.
ისეთი ამერიკული ფირმები, როგორებიც არიან „კოკა-კოლა“, „მაკდონალდსი“ და „დისნეი“ იყვნენ ლიდერები „საზღვრებს გარეშე მსოფლიოს“ იდეის გავრცელებაში. ფირმები მიხვდნენ, რომ მათ შეუძლიათ გაზარდონ მოგება, თუ გამოიყენებენ ეკონომიკური სისტემის შესაძლებლობებსა (economies of scope) და კოორდინაციას (კომპლექსურობა და მენეჯერული უნარის გამოყენება მრავალფეროვანი პროდუქციის საწარმოებლად) იმისათვის, რომ წარმატებით გაუწიონ კონკურენცია ადგილობრივ მწარმოებლებს, რომლებსაც უპირატესობა აქვთ მასშტაბის ეკონომიაში და ადგილობრივ კავშირებში. მაგრამ ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უცხოური ბაზრები ღია იქნება კონკურენციისთვის.

ჩანართი: ნახევარგამტარების მრეწველობა და ბაზარზე ხელმისაწვდომობის რეჟიმი

ნახევარგამტარები არიან ელექტრონული ტექნოლოგიების მთავარი კომპონენტები. ელექტრონული ტექნოლოგიები იმყოფებიან ცენტრში იმ საინფორმაციო რევოლუციისა, რომელმაც შესაძლებელი გახადა მსოფლიო ეკონომიკის ტრანსფორმაცია და განვითარება 1970-იანი წლებიდან. ნახევარგამტარების ბიზნესმა განახორციელა 250 მილიარდი აშშ დოლარის ღირებულების ტრანსაქციები 2006 წელს. 1980-იანი წლების დასაწყისიდან 1990-იანი წლების ბოლოს მომხდარ კრიზისამდე (რისი მიზეზიც ნაწილობრივ იყო აზიის ფინანსური კრიზისი და იაპონიის გაჭიანურებული რეცესია) მსოფლიო ბაზარი ყოველწლიურად 15%-ით იზრდებოდა. ნახევარგამტარების 30% ექვემდებარება ექსპორტს, ამიტომ მიზანშეწონილია, რომ ამ პროდუქტის მაგალითზე მოხდეს ბაზარზე ხელმისაწვდომობის რეჟიმის ფუნქციონირების ახსნა. 1980-იან წლებში ნახევარგამტარების იაპონიელმა მწარმოებლებმა დაიპყრეს მსოფლიო ბაზარი, რითაც დაასუსტეს ამერიკელი მწარმოებლები და დაემუქრნენ ევროპის ისედაც სუსტ მრეწველობას. 2005 წელს 50 უმდიდრესი ნახევარგამტარების მწარმოებლიდან 23 ამერიკული იყო. http://en.wikipedia.org/wiki/Semiconductor_industry. - რეიტინგი ფირმების.
ნახევარგამტარების წარმოება დაიწყო აშშ-ში, სადაც იგი რჩება მრეწველობის ძირითად დარგად და შეადგენს გლობალური საწარმოო სიმძლავრეთა (manufacturing capacity) 65%-ს. 2006 წლის ბოლოსთვის აშშ-ს ფირმების წილმა მსოფლიო ბაზარზე შეადგინა 46%, აქედან გაყიდვების სამი-მეოთხედი შედგა აშშ-ს ბაზრის გარეთ. აშშ-ის ნახევარგამტარების მრეწველობაში დასაწმებულია 230 000 ადამიანი, კაპიტალის ღირებულება შეადგენს 13 მილიარდ აშშ დოლარს, ხოლო კვლევისა და განვითარების ინვესტიციების ღირებულება – 18 მილიარდ აშშ დოლარს.
იაპონიის საერთაშორისო ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტრომ პრიორიტეტი მიანიჭა ნახევარგამტარებს და მიზნად დაისახა გლობალური ბაზრის მნიშვნელოვანი სეგმენტის მოპოვება. იაპონიის წარმატება იყო დიდი

კომპანიების და მათი შვილობილი ფირმების („კეირეცუს“ სისტემა) ურთიერთქმედება სახელმწიფოს სამრეწველო პოლიტიკასთან. იაპონურ ფირმებს ჰქონდათ კაპიტალთან თავისუფალი ხელმისაწვდომობა. სახელმწიფომ წაახალისა საშინაო კონკურენცია გლობალურ ბაზარზე უკეთესი შედეგის მისაღწევად. აქედან წარმოიშვა ახალი მიდგომა ნახევარგამტარებით მსოფლიო ვაჭრობაში. თავაპირველად, აშშ-სა და იაპონიას შორის დაიდო შეთანხმებები (1986 და 1991 წლებში), რომლებმაც იაპონური ბაზარი გახსნეს აშშ-ის ფირმებისთვის. შემდეგ, იაპონურმა, ევროპულმა და ამერიკულმა ფირმებმა შექმნეს რამდენიმე საერთაშორისო კორპორატიული ალიანსი. ამრიგად, იმისათვის, რომ მოხდეს კვლევისა და განვითარების ღირებულების პროგნოზირება, ფირმები ერთიანდებიან ალიანსებში, რათა შექმნან საერთო, გლობალური ინფრასტრუქტურა ახალი თაობის ტექნოლოგიებისთვის.
აღნიშნული პროცესის საერთო შედეგი, წარმოადგენს ვაჭრობისა და ინვესტიციების ბაზარზე ხელმისაწვდომობის რეჟიმის საუკეთესო მაგალითს. ნახევარგამტარების მრეწველობა არის იაპონური, ევროპული და ამერიკული მოდელების ჰიბრიდი (პირველი სვეტი, 3.4 ცხრილში). საერთაშორისო შეთანხმებები წარმოადგენენ მრეწველობის რეგულირების ძირითად წყაროს (მეორე სვეტი). აპარატურისა (hardware) და პროგრამული უზრუნველყოფის (software) ერთმანეთთან შერევა ართულებს იმის განსაზღვრას, თუ სად მთავრდება პროდუქტი და სად იწყება მომსახურება. თუმცა აშკარაა, რომ ორივე ეს ელემენტი აუცილებელია მსოფლიო ბაზარზე პროდუქტის კონკურენტუნარიანობისთვის (მესამე სვეტი). 1986 წლიდან სპეციალურმა სამრეწველო კანონმდებლობამ თანდათანობით ჩაანაცვლა ზოგადი ნორმები (სვეტი 4). ადრე, ნახევარგამტარების ბაზარზე იყო მცირე რაოდენობის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, ახლა არსებობს ფირმების ალიანსების დიდი საერთაშორისო ქსელები. ნახევარგამტარების მწარმოებელმა ფირმებმა გლობალური მასშტაბი შეიძინეს მათი ორგანიზაციისა და ბაზრების ძიების კუთხით (მეხუთე სვეტი). ფირმები ცდილობენ უპირატესობა მოიპოვონ მსოფლიო ბაზარზე (მეექვსე სვეტი).

საწარმოო ქსელები და რეგიონული მამოძრავებელი ძალები

ბიზნესის თვალსაზრისით, ბაზარზე ხელმისაწვდომობის რეჟიმისგან გამოწვეული კონკურენციის შეზღუდვის საპასუხოდ, აუცილებელია მეტი მოქნილობის მიღწევა ტექნოლოგიური ცვლილებების, შრომითი ურთიერთობების რეორგანიზებისა და სხვა ფირმებთან კავშირების გაბმის გზით. ამ უკანასკნელმა საშუალებამ მეტი მნიშვნელობა შეიძინა, რასაც რამდენიმე მიზეზე აქვს: პირველია, დიდი ფირმების სურვილი შეამცირონ სამუშაო ძალა და სხვა ფირმებს გადაუნაწილონ სხვადასხვა საქმიანობა. ვერტიკალური დეზინტეგრაციის ამ პროცესით შეიძლება ხარჯების დაზოგვა, თუ მოხდება პროფკავშირში გაერთიანებული სამუშაო ძალის ჩანაცვლება გაერთიანების გარეშე მყოფი მუშახელით. მეორე მიზეზი არის უცხოურ ბაზრებზე შეღწევის მცდელობები სხვა ფირმებთან თანამშრომლობის გზით (მაგ.: ერთობლივი საწარმოს შექმნა „ტოიოტასა“ და „ჯენერალ მოტორსის“ მიერ). წარმოების ქსელებზე აქცენტების გაკეთება წარმოაჩენს ინვესტიციებსა და წარმოებაში

გეოგრაფიული გადანაცვლების მნიშვნელობას, როგორც პასუხს იმ კონკურენტული გარემოს მიმართ, რომელიც ჩამოყალიბდა ბაზარზე ხელმისაწვდომობის რეჟიმის შემოღების გამო.

საწარმოო ქსელები

ფირმებს შორის არსებობს ოთხი ტიპის ქსელი. პირველი ტიპის ქსელი იქმნება ხელობაზე დაფუძნებულ წარმოებაში (craft based industries). ეს მრეწველობები ორგანიზებულნი არიან უფრო პროექტების ფარგლებში, ვიდრე ფირმების ირგვლივ. მშენებლობაში, გამომცემლობაში, ხმის ჩამწერ და კინოინდუსტრიაში, არქიტექტურასა და პროგრამულ უზრუნველყოფაში ფირმების მიერ დაქირავებულ მაღალკვალიფიციურ მუშახელს თავისუფლად შეუძლია საკუთარი ცოდნის გაზიარება ფირმის ფარგლებს გარეთაც. შედეგად, აღნიშნული ინდუსტრიები ერთიანდებიან კლასტერებად, რათა სარგებელი მიიღონ გარე ეკონომიკური სისტემებისგან (external economies). external economies შეიცავს ისეთ ფაქტორებს, როგორებიცაა კვალიფიციური სამუშაო ძალა, მიმწოდებელთა ფართო ქსელი, მაღალი დონის განათლებისა და ტრენინგის პროგრამების ორგანიზება და რაც მთავარია საწარმოო კაპიტალზე (venture capital) ხელმისაწვდომობა. ასევე აღსანიშნავია შემდეგი ფაქტორები: ინოვაციებისადმი მენტალური მზადყოფნა, ტოლერანტობა წარუმატებლობის მიმართ, შიდა რეინვესტიციები, ურთიერთთანამშრომლობა, დაწინაურება დამსახურებების მიხედვით და ახალი ბიზნესებისადმი გახსნილობა.

ქსელის მეორე ტიპი მოიცავს სამრეწველო რაიონების პატარა ფირმებს, მაგალითად ე.წ. „მესამე იტალიის“ რაიონები. ისინი წარმოადგენენ მწარმოებელთა შიდა ინტეგრირებულ ქსელებს, სადაც სხვადასხვა ფირმები წარმოების სხვავასხვა პროცესზე არიან სპეციალიზებულნი და კონკურენციას უწევენ ერთმანეთს ახალი პროექტებისთვის. ისინი ეყრდნობიან გარე (external) მასშტაბის ეკონომიკას წარმოებაში (ერთობლივი წარმოება, ადგილობრივი ხელისუფლებიდან დაფინანსება, ხელობის ტრადიციები, კვალიფიციური მუშახელი და სხვა) და არასავაჭრო ურთიერთდამოკიდებულებებს – სოციალურ და ინსტიტუციონალურ თანამშრომლობას და ფირმებს შორის ყოველდღიური ურთიერთობების შესახებ სოციალურ ნორმებს.

მესამე ტიპის ქსელი არის აგლომერირებულ, დიდ ფირმებზე დაფუძნებული საწარმოო სისტემები, როგორიცაა “ტოიოტა” და მიმწოდებელთა რგოლი, შემოკრებილი ქალაქ ტოიოტას ირგვლივ (იაპონია), “ბოინგი” და მისი მიმწოდებლები ქალაქ ტაკომას ირგვლივ (აშშ) და “ფიატი” და მისი მიმწოდებლები ტურინის ირგვლივ (იტალია). ზოგიერთ შემთხვევაში მიმწოდებლები განაპირობებდნენ დიდი ფირმების წარმოქმნას, სხვა შემთხვევებში კი, თავად დიდი ფირმები აფინანსებდნენ მიმწოდებლებს. 1970-იანი წლებიდან მთავარი პროცესი, რომელიც ხელს უწყობდა ამგვარი ქსელების შექმნას, იყო დიდი ფირმების ვერტიკალური დეზინტეგრაცია. ახლა დიდ ფირმებს შეუძლიათ მიაღწიონ მოქნილობის მაღალ დონეს წარმოების ზოგიერთი ასპექტის (რომელსაც ფირმები ადრე თავად ასულებდნენ) ქვეკონტრაქტორებზე გადაცემის გზით. მაღალი ტექნოლოგიების სამრეწველო კომპლექსს - სილიკონის ველს გააჩნია როგორც პირველი, კლასიკური ტიპის სამრეწველო

რეგიონის, ისე მესამე, აგლომერირებულ, დიდ ფირმებზე დაფუძნებული საწარმოო სისტემების თვისებები.
მეოთხე ტიპის ქსელი წარმოადგენს ფირმებს შორის სტრატეგიულ ალიანსებს. ეს გახლავთ ბაზარზე ხელმისაწვდომობის რეჟიმის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ინოვაცია, განსაკუთრებით საერთაშორისო კონკურენტების სტრატეგიულ ალიანსებში გაერთიანების მასშტაბების თვალსაზრისით. ამ შემთხვევაში „თითოეულ პარტნიორს ამ კავშირში შემოაქვს საკუთარი ტექნოლოგიები, ფინანსური შესაძლებლობები, სახელმწიფო მარეგულირებელ ორგანოებთან კავშირები და საკუთარი ჯგუფი პატარა, მიმწოდებელი ფირმებისა“ (ჰარისონი, 1994: 138). ამით თითოეული მათგანი იძენს მეორის ცოდნასა და კავშირებს, მსოფლიო ბაზარზე თავისი პროდუქციის წილის გასაზრდელად. ამ ალიანსების ლოგიკური შედეგი უნდა იყოს შერწყმა, ან შთანთქმა ერთი პერტნიორისა მეორის მიერ, მაგრამ ზოგიერთი ქვეყნის კანონი ზღუდავს ამგვარ ქმედებებს (მაგ.: ამერიკის და იაპონიის კანონები ზღუდავენ უცხოელთა მიერ ადგილობრივი ფირმების შეძენას), ამ შემთხვევაში ყველაზე უკეთ მოქნილობა მიიღწევა ალიანსების შექმნის და არა შერწყმის გზით.

შრომის ახალი საერთაშორისო დანაწილება

ბიზნესის ორგანიზაციის შეცვლილი თვისებებისა და მასთან დაკავშირებულ წარმოების ეკონომიკაში მიმდინარე ცვლილებების ახალი განმარტებები ფოკუსირებას ახდენდნენ შრომის ახალ საერთაშორისო დანაწილებაზე. ამ თვალსაზრისის მიხედვით დიდი ტრანსნაციონალური კორპორაციები ქმნიან ახალ გლობალურ ეკონომიკურ გეოგრაფიას. ამ იდეის ერთ-ერთი ავტორი, სტივენ ჰაიმერი (Stephen Hymer, 1972:114), თვლიდა, რომ ტრანსნაციონალური კორპორაციები „შექმნიან შრომის იერარქიულ დანაწილებას გეოგრაფიულ რეგიონებს შორის, ფირმებს შორის შრომის ვერტიკალური დანაწილების შესაბამისად. ამას მოყვება გადაწყვეტილების მიმღები ორგანოების ცენტრალიზება განვითარებული ქვეყნების რამდენიმე ქალაქში, რომლებიც გარემოცული იქნებიან რეგიონული ქვე-დედაქალაქებით, ხოლო დანარჩენი მსოფლიო დაბალი დონის საქმიანობითა და შემოსავლებით შემოიფარგლება“. ამიტომაც ითვლებოდა, რომ შრომის ახალი საერთაშორისო დანაწილება ასახავდა დიდ ფირმებში შრომის იერარქიულ სოციალურ დანაწილებას. ჰაიმერის აზრით, ვითარდებოდა მჭიდრო ტერიტორიულ/სივრცითი ურთიერთობები (space-process relationships) (ცხრილი 3.5), სადაც კონტროლი და ოპერაციული საქმიანობა ფირმის შიგნით მთლიანად გაიყოფოდა.

ცხრილი: 3.5 “ჰაიმერის სტერეოტიპი”, სადაც ტერიტორიული ურთიერთობები იღებს A -B - C ფორმას.

Table 3.5 'Hymer's stereotype', in which the space–process relationship takes the form A→B→C

Level of corporate hierarchy	Type of area: Major metropolis (e.g., London or New York)	Regional capital (e.g., Brussels or Denver)	Semi-periphery (e.g., Mexico, South Korea or China)
1 Long-term strategic planning	A		
2 Management of divisions	D	B	
3 Production, routine work	F	E	C

Source: Sayer (1985: 13, Table 1)

ლოგიკიდან გამომდინარე, მეტროპოლიას (მსოფლიო ქალაქი) შეუძლია ფუნქციების იერარქიის ყველა დონეზე დომინირება, მაშინაც კი, თუ მას დავუმატებთ საერთაშორისო ოპერაციებს. ქსელების განვითარებამ გარკვეული არეულობა შეიტანა შრომის ახალი საერთაშორისო დანაწილების იდეაში. წარმოების ქსელების მეშვეობით შეიძლებოდა შექმნილიყო იმაზე უფრო რთული წარმოების გეოგრაფია, ვიდრე ამას წინასწარმეტყველებდა ჰაიმერის მარტივი იერარქია. დიდმა ფირმებმა შეცვალეს მათი შიდა სტრუქტურა და საგარეო ურთიერთობები ისე, რომ ამით საკუთარი შიდა იერარქია მოშლის წინაშე დააყენეს. ასე, რომ ანალოგიები შიდა (ორგანიზაციული) და გარე (გეოგრაფიული) იერარქიებს შორის ახლა უადგილოდ ჩანს.
პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მკვეთრმა ზრდამ ბოლო 35 წლის მანძილზე მოიცვა ცენტრალური და არა ცენტრსა და პერიფერია/ნახევრად პერიფერიას შორის ნაკადები. განვითარებული ქვეყნები წარმოადგენენ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ძირითადი დანიშნულების ადგილს (გლობალური ნაკადების სამი-მეოთხედი). კომპანიების საერთაშორისო შთანთქმა და შერწყმა, ისევე როგორც სტრატეგიული ალიანსები წარმოადგენენ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მთავარ მამოძრავებელ ძალას და ეს პროცესებიც განვითარებულ ქვეყნებში ვითარდება. ეს არის იმის მანიშნებელი, თუ რა დიდი მნიშვნელობა შეიძინა ბაზრის ხელმისაწვდომობამ იაფი მუშახელის ძებნასთან შედარებით. მიმწოდებელთა საქმიანობა, ალიანსები და მომსახურების ხარისხი, ისევე როგორც ტარიფების და სხვა სავაჭრო ბარიერების თავიდან აცილება უბიძგებენ ამერიკულ ფირმებს ევროპულ ფირმებთან დაახლოებისკენ და პირიქით. პერიფერიებში წარმოების გადატანა სამუშაო ძალის ღირებულების შესამცირებლად, ნაკლებმნიშვნელოვანია საერთო ინვესტიციების თვალსაზრისით.

წარმოების ქსელების გეოგრაფია

მსოფლიო ეკონომიკის გეოგრაფიის ცენტრში, ბაზარზე ხელმისაწვდომობის რეჟიმის პირობებში არსებობს კომპრომისის (tradeoffs) პრობლემა ფირმების კლასტერების ხარჯებსა და სარგებლიანობას და საერთაშორისო ეკონომიკური ტრანსაქციების განმხორციელებელი ფირმების ხარჯებსა და სარგებლიანობას

შორის. პირველი გულისხმობს ხარჯების დაზოგვას მიმწოდებლებთან, ქვეკონტრაქტორებთან, კონკურენტებთან და სპეციალიზებულ სამუშაო ძალასთან ტერიტორიული სიახლოვით. მეორე გულისხმობს წარმოების დანახარჯებს, რომლებიც წარმოიქმნება საერთაშორისო ეკონომიკური ტრანსაქციების განხორციელებისთვის აუცილებელი მანძილის დაძლევის შედეგად.

ცხრილი 3.6-ში ასახულია ამ კომპრომისების (tradeoffs) შესაძლო სცენარები:

Table 3.6 Spatial transaction costs versus externalities: six scenarios

	Spatial transaction costs		
	Low	Medium	High
Externalities			
Low	(4)	(5)	(1)
High	(3)	(6)	(2)

Source: Based on Scott (1996)

1. პირველ სცენარში ფირმები ცდილობედ იპოვონ ტერიტორიები სადაც წარმოების ხარჯები დაბალია. ამ შემთხვევაში ფირმებს არ აქვთ კლასტერებად გაერთიანების სტიმული. ეს სცენარი უფრო შეეფერება რესურსებზე დაფუძნებულ მრეწველობებს, აგრეთვე რესურსებზე დამოკიდებულ მრეწველობებს, საბითუმო და საცალო ვაჭრობებს (სადაც ტრანსპორტის ხარჯები და მომხმარებლებთან პირდაპირი კავშირი ერთ-ერთი გადამწყვეტია ტერიტორიული გადაწყვეტილებების მისაღებად). ამის შედეგია ტერიტორიული მოდელები, რომლებიც ახლო კავშირში არიან რესურსებისა და მოსახლეობის განაწილებასთან. ამ შემთხვევაში ვითარება, რომელშიც ფირმები იმყოფებიან არ არის ისეთი როგორიც ადრე იყო, რადგან საერთაშორისო ტრანსპორტისა და კომუნიკაციების ღირებულება მნიშვნელოვნად დაეცა მე-20 საუკუნის განმავლობაში. 1930-2000 წლებში ტრანსპორტის რეალური (ინფლაციის გათვალისწინებით) ღირებულება შემცირდა ორი მესამედით (სურათი 3.4).

სურათი: 3.4 ტრანსპორტისა და კომუნიკაციების გაიაფება



Fig 3.4: Cheaper transport and communications costs on the global highway

Source: Adapted from Busse (2002: 13, Figure 2)

გემების ახალმა დიზაინმა, კონტეინერიზაციამ, ლოჯისტიკური მომსახურების გაუმჯობესებამ და ფაქსებისა და ელექტრონული ფოსტის თითქმის უნივერსალურმა გავრცელებამ გამოიწვია მკვეთრი გაუმჯობესება საზღვაო და საჰაერო გადაზიდვების ეფექტიურობაში.

2. მეორე სცენარში, სადაც მნიშვნელოვანია გარე ეკონომიკები (external economies), მაგრამ ტრანსაქციების ღირებულება მაღალია, განხილულია სამრეწველო რაიონებისა და მაღალტექნოლოგიური კომპლექსების (მაგ.: სილიკონის ველი კალიფორნიაში) ვითარება. ისინი დიდწილად ფოკუსირებას ახდენენ external economies –ზე და საჭიროებენ დიდი რაოდენობის გარე რესურსების მოზიდვას და საგარეო სამომხმარებლო ბაზრებზე ორიენტირებას. ფირმებს შორის ინტენსიური ურთიერთობები ხელს უწყობს აგლომერაციას, მაგრამ ეს პროცესი შეიძლება გაგრძელდეს მანამ, სანამ საგარეო ბაზრების მომსახურებასთან და გარე რესურსების შეძენასთან დაკავშირებული ხარჯები ზრდას არ დაიწყებს.

3. ფილიალი ქარხნების ინდუსტრიალიზაციის მესამე სცენარი ეხება ფირმების შესაძლებლობებს მიაღწიონ external economies-ს დიდ მანძილზე, დაბალი ტრანსაქციის ხარჯების გამო. ამ შემთხვევაში მასშტაბის ეკონომია შეიძლება გამოყენებულ იქნეს ფირმის შიგნით, შემდეგ კი, განხორციელდეს ფუნქციების გადანაწილება, იმ ტერიტორიებზე, სადაც შესაძლებელია წარმოების ხარჯების მაქსიმალური დაზოგვა.

4. მეოთხე სცენარში ნებისმიერი რამ შეიძლება განთავსდეს ნებისმიერ ადგილას. ეს არის რამდენიმე სპეციალისტის ფანტაზია, რომლებიც გეოგრაფიის დასასრულს წინასწარმეტყველებენ, რადგან ტელეკომუნიკაციები და წარმოების რადიკალური დეცენტრალიზაცია შეეხება ყველა სექტორს. ეს სცენარი უფრო ფანტაზიის ნაყოფს წარმოადგენს ვიდრე რეალობას.

5. უფრო სავარაუდოა ვითარება, როდესაც external economies-ს შეღწევა შესაძლებელია დიდ მანძილზე/დისტანციაზე, სადაც ტრანსაქციების ხარჯები გადადის ბაზარზე, ან შემოსავლებზე (inputs).
6. მსოფლიო ეკონომიკისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მექვსე სცენარია, სადაც სივრცითი ტრანსაქციების ხარჯები ზომიერია, ხოლო external economies მაღალია. ამიტომ არსებობს კლასტერების შექმნის სერიოზული მოტივაცია. ამგვარი კლასტერები ბოლო დროის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სიახლეა. ისინი წარმოადგენენ ინოვაციურ, ცოდნაზე დაფუძნებულ და მაღალი ღირებულების მრეწველობებს (როგორც წარმოება, ისე მომსახურება), ამიტომ სკოტი (Scott, 1966: 400) მათ უწოდებს მსოფლიო ეკონომიკის მამოძრავებელ ძალებს. ამის მთავარი მიზეზია ის, რომ „ეკონომიკური წარმოებისა და ორგანიზაციის თანამედროვე ფორმებზე მრავალი გარე ეფექტი მოქმედებს, რომელთა საფუძველია თანამედროვე კაპიტალიზმის დამახასიათებელი ნიშნების - მოქნილობის, გაურკვევლობის, წარმოების დეცენტრალიზაციის და კონკურენციის მზარდი დონე“. მაგრამ მიუხედავად ბევრი წამყვანი სექტორისთვის (მაგ.: მაღალი ტექნოლოგიების ინდუსტრია, საფინანსო და ბიზნეს მომსახურებები) დამახასიათებელი მზარდი აგლომერაციისა, ასევე ბევრი ტრანსაქციები მგრძნობიარენი რჩებიან მანძილის მიმართ: „მიუხედავად იმისა, რომ სივრცითი ტრანსაქციების ხარჯები მნიშვნელოვნად დაეცა ბოლო ათწლეულებში, რამაც საშუალება მისცა ფირმებს უფრო ადვილად ჩართულიყვნენ გლობალურ ბაზარზე, ჯერაც რჩებიან მნიშვნელვანი ტრანსაქციები, რომლებიც მგრძნობიარენი არიან მანძილის ფაქტორების მიმართ. external economies კარგად ვითარდებიან იმ ურთიერთქმედების ქსელებში, სადაც ამგვარი ტრანსაქციები გვხვდებიან, რომელთა უსაფრთხო განხორციელების მიზნით მწარმოებლები ერთიანდებიან გეოგრაფიულ სივრცეში“.
მთავარი გეოგრაფიული შედეგი არის ის, რომ მსოფლიო ეკონომიკის ინტეგრაციის კვალდაკვალ, წამყვანი საწარმოო დარგები უფრო მეტად იქნებიან კონცენტრირებულნი მეტროპოლიებსა და მათ ჰინტერლანდში. ამ ტერიტორიებს ძლიერი კონკურენტული უპირატესობები გააჩნიათ და ეს ტენდენცია მომავალშიც გაგრძელდება. გიგანტური მეტროპოლიები: ტოკიო, სან პაულუ, ნიუ იორკი, მეხიკო, შანხაი, ლოს ანჯელესი, მუმბაი და სეული, რომელთა მოსახლეობა 10 მილიონს აჭარბებს (2005 წლის მონაცემებით), ასევე 5 მილიონზე მეტი მოსახლეობის მქონე 40-მდე აგლომერაცია შეადგენს მსოფლიო ეკონომიკის დინამიურ ცენტრს, ხოლო ეროვნული საზღვრები თანდათან კარგავენ გავლენას ეკონომიკური ზრდის პროცესის მართვაზე. ლონდონის გადამზღვევლებს, ჰოლივუდის მსახიობებს, ნიუ იორკის ადვოკატებს და “სილიკონის ველის” პროგრამისტებს შედარებით მაღალი შემოსავლის მიღების შესაძლებლობა გააჩნიათ მათი სამუშაოს ადგილმდებარეობის გამო. მათ აქვთ გლობალური ხელმისაწვდომობა იმ სექტორებში სადაც მაღალი გლობალური მოთხოვნა არსებობს.
მეორე მხარე გლობალური ბაზრების მომსახურებაზე დაფუძნებული ეკონომიკური ზრდის კონცენტრაციისა, არის მსოფლიოს დიდი ნაწილის თანდათანობითი მარგინალიზაცია. დიდი მეტროპოლიებისთვის დამახასიათებელია მდიდართა და ღარიბთა უბნებისა და სულ უფრო მეტად მზარდი შემოსავლების უთანასწორობის არსებობა. ღარიბები ძირითადად

ღებულობენ სამუშაოს, რომელიც გულისხმობს მდიდრებისთვის მომსახურების გაწევას, რაც შიდა ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია. სერვისები შიდა მოხმარებისთვის ეკონომიკური ზრდის ძირითადი წყაროა დიდ ქალაქებში. ეს ზრდა დამოკიდებულია შიდა და მსოფლიო ბაზარზე ორიენტირებული საქონლისა და მომსახურების მწარმოებელი ორგანიზაციების შემოსავლებზე. დიდ ქალაქებთან ახლოს მდებარე შედარებით პატარა ქალაქების ზრდა სულ უფრო მეტადაა დამოკიდებული ქსელური ეკონომიკის ზრდაზე. მაგალითად, ბრიტანეთში დასაქმებისა და შემოსავლების ზრდის დიდი ნაწილი კონცენტრირებული იყო „ზრდის არეალზე“, რომელიც მოიცავდა კემბრიჯიდან ბორნმუთამდე ტერიტორიას. აღნიშნულმა რეგიონმა დიდი სარგებელი ნახა ლონდონში ფინანსური მომსახურების ინდუსტრიის ზრდისგან. ლონდონის ჰინტერლანდში მოხდა კომპიუტერების წარმოებისა და მომსახურებების, აგრეთვე საბუღალტრო საქმისა და სხვა საოფისე სამუშაოების დეცენტრალიზება.

ერთი რამ ნათელია, მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაცია არ იწვევს ეკონომიკური ზრდის სივრცობრივ გავრცელებას, არამედ ხელს უწყობს რეგიონებს შორის სხვაობების გაღრმავებას. ზოგიერთი ე.წ. მსოფლიო ქალაქი: ლონდონი, ტოკიო, ნიუ იორკი, ჰონ კონგი და სინგაპური, გახდა საფინანსო და ბიზნეს მომსახურებების ცენტრი. სხვა რეგიონები, როგორიცაა "მესამე იტალია", ამერიკის შუა დასავლეთი, ტაივანი და შანხაი, ფოკუსირებას მრეწველობაზე ახდენენ. ზოგი რეგიონი უმთავრესად სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას ეწევა, სხვაგან კი, ძირითადად დაბალხელფასიანი, ან ბექ ოფისის ფუნქციების მქონე სამსახურებია.

დასკვნა

ამ თავში ნაჩვენებია თუ, როგორ ვითარდებოდნენ პროცესები, რომლებიც ეკონომიკური გეოგრაფიის კვლევის საგანს წარმოადგენენ, მსოფლიო ეკონომიკის ევოლუციასთან ურთიერთკავშირში. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მსოფლიო ეკონომიკისა და მისი ევოლუციის სპეციფიურ დამახასიათებელ ნიშნებს: 1) ერთიანი მსოფლიო ბაზარი; 2) სახელმწიფო სისტემა; 3) სამი გეოგრაფიული საფეხური (tiers); 4) დროებითი მოდელები და ჰეგემონია; 5) სუბორდინაცია და წინააღმდეგობა; 6) ალტერნატიული ადაპტაციები.

მომდევნო სექცია დაეთმო გლობალიზებული კაპიტალიზმის პირობებში სახელმწიფოსა და თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკას შორის შეცვლილ ურთიერთობებს. ამ კუთხით მთავარი დასკვნებია: 1) ეკონომიკური ძალაუფლება აღარ არის ყველაზე მეტად ასოცირებული სახელმწიფოსთან; 2) სახელმწიფოები და საზოგადოებები/ეროვნული ეკონომიკები აღარ წარმოადგენენ ურთიერთგანმსაზღვრელ ობიექტებს. თუმცა ჩვენ ხაზი გავუსვით სახელმწიფოების მნიშვნელობას ეკონომიკის რეგულირებაში. ისტორიული გამოცდილება გვკარნახობს, რომ მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის ტენდენციამ შეიძლება უკუსვლა განიცადოს თუ გაიზრდება ეკონომიკური ნაციონალიზმი და პროტექციონიზმი და თუ აშშ ან ევროკავშირი დაბრკოლებებს შეუქმნიან არსებულ ღია სავაჭრო სისტემას. მთლიანად

გლობალიზებული მსოფლიო ეკონომიკა პოლიტიკურად და გეოგრაფიულად დაყოფილი იქნება.
ამ თავის მესამე ნაწილში განხილულ იქნა ბაზარზე ხელმისაწვდომობის ეკონომიკის ცნება, რით განსხვავდება იგი მანამდე გაბატონებული თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმისგან და რეგიონული მამოძრავებელი ძალების გადამწყვეტი როლი მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში. აღინიშნა ტრანსნაციონალური კორპორაციებისა და მათი სტრატეგიული ალიანსების მნიშვნელობა შრომის საერთაშორისო დანაწილების მზარდ კომპლექსურობასთან ერთად. ეკონომიკური საქმიანობების ტერიტორიული ადგილმდებარეობა ნაკლებადაა დამოკიდებული წარმოების ფაქტორებზე გაწეულ ხარჯებზე (სივრცითი ტრანსაქციების ხარჯები) ტრანსპორტირების ხარჯების სერიოზული დაცემის გამო და უფრო მეტად ეყრდნობა სავაჭრო და არასავაჭრო ურთიერთდამოკიდებულებებს (external economies), რომელიც ხელს უწყობს სპეციალიზებული საქმიანობების კლასტერიზაციას. ნაცვლად იმისა, რომ ბაზარზე ხელმისაწვდომობის მოდელმა ხელი შეუწყოს წარმოებისა და მომსახურების გავრცელებას მთელს მსოფლიოში, იგი იწვევს ბევრი საქმიანობის რეგიონულ კლასტერიზებას. ამიტომ შედარებითი უპირატესობა უფრო მეტად მიიღწევა კონკრეტული ტერიტორიული ადგილმდებარეობის, ვიდრე ნედლეულის ხელმისაწვდომობის, ან იაფი მუშახელის არსებობის გამო. ზოგიერთი სექტორისთვის ბოლო ორი ფაქტორი ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას, მაგრამ მაღალტექნოლოგიური სექტორები (როგორიცაა ინფორმატიკა და ბიოტექნოლოგიები), აგრეთვე ბევრი სხვა საქმიანობა (ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა, დაზღვევა, ლითონის დამუშავება და სხვა) მჭიდროდაა დაკავშირებული კონკრეტულ ტერიტორიასთან.

ნაწილი 2. ცენტრალური ეკონომიკების აღზევება

შემდგომ სამ თავში ჩვენ განვიხილავთ მსოფლიოს ცენტრალური ეკონომიკების განვითარების ისტორიას, მოვიყვანთ რამდენიმე ისტორიულ მაგალითს, რომლებშიც ასახულია პირველ ნაწილში მოყვანილი ბევრი თეორია და მოდელები. ჩვენ გვსურს წარმოვაჩინოთ ის ფაქტი, რომ მსოფლიო ეკონომიკური ლანდშაფტები, რაოდენ მრავალფეროვანნი და უნიკალურნი არ უნდა იყვნენ, ახლა ყოვლისმომცველი მსოფლიო ეკონომიკის ნაწილს წარმოადგენენ. მეოთხე თავში აღწერილი იქნება, თუ როგორ იქცა ევროპა მსოფლიო ეკონომიკის ცენტრად, როგორ მოხდა ამ რეგიონის კონსოლიდირება სავაჭრო კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად და რა ტიპის საქალაქო და რეგიონულ ცვლილებებში აისახა ეს პროცესი. მეხუთე თავში მოცემულია ის გზები, რითაც მოხდა ევროპის, ჩრდილოეთ ამერიკისა და იაპონიის აღმასვლა და ის სივრცითი ცვლილებები, რომლებიც მოყვა ინდუსტრიული კაპიტალიზმის აღმოცენებას. მეექვსე თავში განხილულია ცენტრალური ეკონომიკების გლობალიზაცია. ჩვენ ასევე განვიხილავთ ადამიანის როლს რეგიონული ლანდშაფტის ფორმირებაში. რა, სად და როგორ კეთდება, ნებისმიერი ეკონომიკური სისტემის ფარგლებში, ასახავს ადამიანთა სხვადასხვა შეხედულებებს იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა იყოს რესურსები გამოყენებული.

თავი 4. პრეინდუსტრიული მსოფლიო

ამ თავში ჩვენ გავეცნობით ჩანასახოვანი მსოფლიო ეკონომიკის ჩამოყალიბებას ცენტრით ევროპაში, ასევე განვიხილავთ თუ როგორ გახდა ევროპა მსოფლიო ეკონომიკისა და საზოგადოებების ლიდერი. თუმცა, უნდა ვაღიაროთ, რომ პრეინდუსტრიული ეკონომიკური განვითარება არ წარმოადგენდა ექსკლუზიურ ევროპულ ფენომენს. მსოფლიოს სხვა ნაწილებში წარმართული პროცესები, ხშირად ახდენდა გავლენას ევროპის განვითარებაზე. ჩვენ მოკლედ განვიხილავთ სოფლის მეურნეობაში მომხდარი პირველი „რევოლუციის“ საფუძვლებს, ძველი იმპერიების აღზევებას, საქალაქო სისტემების ჩამოყალიბებას და ფეოდალიზმის, როგორც წარმოების გაბატონებული მოდელის გავრცელებას.

4.1 სათავეები

ჩვენ დავიწყებთ იმანუელ ვალერშტაინის მსოფლიო სისტემების თეორიის განხილვით. მისი აზრით, ერთ დროს ყველა საზოგადოებები წარმოადგენდნენ მინისისტემებს: „მინისისტემა არის ერთობა, რომელსაც გააჩნია შრომის სრული დანაწილება და ერთიანი კულტურული სტრუქტურა“ (1979a: 17). ამგვარი მინისისტემები მოიცავდნენ მარტივ ნადირობას და შემგროვებლობას, ასევე სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებებს. მაგრამ ისინი ამჟამად არ არსებობენ. მაშინ როცა მინისისტემები დაუკავშირდნენ იმპერიებს, ან მსოფლიო ეკონომიკას ისინი აღარ წარმოადგენდნენ განცალკევებულ ერთეულებს. იმპერიები და მსოფლიო ეკონომიკა ვალერშტაინის აზრით არის მსოფლიო სისტემის მაგალითი შრომის ერთიანი ტერიტორიულ-სივრცითი დანაწილებით, მაგრამ მრავალფეროვანი კულტურული სისტემებით. მსოფლიო იმპერიისთვის დამახასიათებელია ერთიანი პოლიტიკური სისტემა, მსოფლიო ეკონომიკაში კი პოლიტიკური ინტეგრაცია არ არსებობს.

პრიმიტიული მინისისტემებიდან, რომლებიც ეწეოდნენ ნადირობას და შემგროვებლობას, სოფლის მეურნეობაზე დაფუძნებულ მსოფლიო იმპერიებზე გადასვლის ადრეული ეტაპი დაიწყო პროტო-ნეოლითურ პერიოდში (ძვ.წ. 9000-7000 წლები), როდესაც რიგი გამოგონებების (სანადირო იარაღების გაუმჯობესება, სალესი ქვის გამოყენება და სხვა) მეშვეობით შესაძლებელი გახდა სოფლის მეურნეობის განვითარება. ამ წინაპირობების შედეგად ასევე შესაძლებელი გახდა სოფლის მეურნეობის ისეთ (fallow cultivation, or shifting agriculture) მარტივ სისტემაზე გადასვლა, რომელიც გულისხმობს ველური მარცვლეულის დათესვას დამწვარ მიწაზე, გაჩეხვისა და დაწვის სისტემის გამოყენებით (ტყის გაჩეხვა და შემდეგ დაწვა, რათა მიწა უფრო ნოყიერი გახდეს). ამგვარი სისტემისთვის არ არის საჭირო სპეციალური იარაღები, გამარგვლა ან სასუქების გამოყენება. რამდენიმე წლის შემდეგ მოხდება სხვა მიწის ნაკვეთის დამუშავებაზე გადასვლა, ხოლო ძველს კი გარკვეული პერიოდით დაუმუშავებელს დატოვებენ.

ნეოლითურ პერიოდში (ძვ.წ. 7000-5000 წლები) სოფლის მეურნეობამ და მესაქონლეობამ ფართო გავრცელება ჰპოვა. ნადირობის და შემგროვებლობის ჩანაცვლება საკვების წარმოებით ხანგრძლივი პროცესი იყო. მაგალითად, დასავლეთ აზიაში მდებარე ნეოლითურ დასახლებაში წარმოებული

არქეოლოგიური გათხრების შედეგად დადგინდა, რომ ველური პარკოსანი მცენარეების თანდათანობითი ჩანაცვლება ხორბლის კულტურით გრძელდებოდა დაახლოებით 2000 წლის მანძილზე. ესტერ ბოსერუპი (1981) თვლის, რომ საკვების წარმოებაზე გადასვლის ნაკლები მოტივაცია არსებობდა, ვიდრე მოსახლეობის სიმჭიდროვემ ზრდა არ დაიწყო და ველური საკვების რესურსები არ გაღარიბდა, რადგან ნადირობა და შემგროვებლობა საკმარის საარსებო საშუალებებს იძლეოდა შედარებით ნაკლები შრომითი დატვირთვების ხარჯზე. დემოგრაფიული მდგომარეობა, ტექნოლოგიურ ინოვაციებთან ერთად გახდა ეკონომიკური ცვლილებების წინაპირობა.

სოფლის მეურნეობის კერები

საკვების წარმოებისკენ გადასვლა დამოუკიდებლად განხორციელდა სოფლის მეურნეობის სხვადასხვა კერებში: 1) ამის უადრესი კვალი (მაგ.: ცხვრის ძვლები) არსებობს ირანსა და ერაყს შორის მდებარე ზაგროსის მთებში, ასევე პალესტინაში და ანატოლიის პლატოზე თურქეთში. ნაპოვნი არქეოლოგიური მასალა დათარიღებულია ძვ.წ. 8500 წლით. 2) მეორე ნეოლითური კერა იყო სამხრეთ აზიაში: განგის, ბრაჰმაპუტრასა და ირავადის მდინარეების აუზში. 3) ძვ.წ. 5000 წლიდან აღმოცენდა მესამე კერა ხუნანში (ჩინეთი). 4) არსებობდა ოთხი დამოუკიდებელი კერა ორივე ამერიკაში: სამხრეთ ტამაულიპასი და ტეაუკანის ხეობა ცენტრალურ ამერიკაში; პერუს სანაპირო და ჩრდილოეთ ამერიკის ჩრდილო დასავლეთი ნაწილი (ახ. წ. 1000 წელი).

ძვ.წ. 5000 წლისთვის სასოფლო-სამეურნეო რევოლუციამ მიაღწია ხმელთაშუაზღვისპირეთს და დუნაის სანაპიროებს; ძვ.წ. 3000 წლისთვის მოიცვა ინდოეთის უმეტესობა, ბრიტანეთი და სკანდინავია. ევროპაში ძვ.წ. 1500 წლისთვის ნადირობა და შემგროვებლობა შემორჩა მხოლოდ ტუნდრაში.

ქვემოთ მოყვანილია საკვების წარმოებაზე გადასვლის შედეგები:

- მსოფლიო ეკონომიკის გრძელვადიანი ევოლუციისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ის ცვლილებები სოციალურ ორგანიზაციაში, რაც გამოიწვია ბინადარი მოსახლეობის გაჩენამ, რომელიც სოფლის მეურნეობას მისდევდა. მანამდე არსებული თემური წყობილება შეიცვალა გვაროვნული სისტემით, რომელიც გახდა ახალი, იერარქიული სოციალური სტრუქტურის საფუძველი.
- საკვების გაზრდილი მოცულობა იძლეოდა მოსახლეობის სიმჭიდროვის და სასოფლო-სამეურნეო სოფლების რაოდენობის ზრდის საშუალებას. ჭარბი საკვები ასევე განაპირობებდა არასასოფლო-სამეურნეო ხელობების (მეთუნეობა, ქსოვა, ძვირფასეულობის და იარაღის დამზადება) განვითარებას. ამგვარმა სპეციალიზაციამ მოახდინა ბარტერისა და ვაჭრობის განვითარება თემებს შორის, რომლებიც ზოგჯერ დიდი მანძილითაც იყვნენ ერთმანეთისგან დაშორებულნი.

ადრეული ურბანიზაციის სტრუქტურა

სასოფლო-სამეურნეო რევოლუცია გახდა წინაპირობა სხვა რევოლუციური ცვლილებებისა ეკონომიკასა და მსოფლიოს სივრცით ორგანიზაციაში: ქალაქებისა და საქალაქო სისტემების წარმოქმნა. სხვადასხვა არქეოლოგიური

მასალიდან ჩანს, რომ ურბანიზაცია დამოუკიდებლად ვითარდებოდა სხვადასხვა რეგიონში, სოფლის მეურნეობაზე გადასვლის სტადიის დასრულების კვალდაკვალ. პირველი ქალაქები წარმოიშვა დაახლოებით ძვ.წ. 3000 წელს სამხრეთ დასავლეთ აზიაში, ტიგროსისა და ევფრატის აუზში და ნილოსის ნაპირებზე (ერთად ისინი ქმნიან ე.წ. „ნაყოფიერ ნახევარმთვარეს“). ძვ.წ. 2500 წლისთვის ქალაქები გაჩნდა ინდის დაბლობზე, დაახლოებით 7 საუკუნით გვიან კი, ჩრდილოეთ ჩინეთში. საქალაქო ცენტრები ასევე გაჩნდნენ ცენტრალურ ამერიკაში (ახ.წ. 1500 წელი). პირველმა საქალაქო ცენტრებმა გამოიწვიეს მსოფლიო იმპერიების – საბერძნეთის, რომის და ბიზანტიის წარმოშობა.
ქალაქზე დაფუძნებული ეკონომიკის განვითარების რამდენიმე ფაქტორია გამოსარჩევი. ბოსერუპმა (1981) ხაზი გაუსვა მოსახლეობის ადგილობრივი კონცენტრაციის როლს; ჯაკობსმა (1969) ქალაქების წარმოშობის მიზეზად მოიყვანა ვაჭრობის განვითარება; ხოლო კლასიკური არქეოლოგიური თეორია აღნიშნულის მიზეზად მიიჩნევს სოფლის მეურნეობის ჭარბი საქონლის წარმოებას, რომელმაც ხელი შეუწყო სპეციალიზებული, არასასოფლო-სამეურნეო ხელობების წარმოშობას.
სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ხარკის შეგროვება, ძირითადი საშუალებების და სამუშაო ძალის კონტროლი – რელიგიური დარწმუნების, ან დესპოტური იძულების გზით. ახლად შექმნილმა პარაზიტულმა ელიტამ მისცა სტიმული საქალაქო განვითარებას მათი ძალაუფლების დამადასტურებელი შენობა-ნაგებობების აღმართვის გზით, რაც მოითხოვდა სპეციალიზაციის ხარიხის გაზრდას არასასოფლო-სამეურნეო საქმიანობებში (მშენებლობა, ადმინისტრაცია, ქურუმები, არმია და სხვა). მათი ორგანიზება კი, მხოლოდ ქალაქების არსებობის პირობებში იყო შესაძლებელი.
ამგვარი ექსპანსია შესაძლებელი იყო მხოლოდ ყველაზე ნაყოფიერ სასოფლო-სამეურნეო რეგიონებში, სადაც გლეხებს შეეძლოთ მოეყვანათ საკმარისი რაოდენობის პროდუქტი, არა მხოლოდ პარაზიტული ელიტების, არამედ სულ უფრო დიდი რაოდენობის არასასოფლო-სამეურნეო მუშახელის სარჩენად. ამ კონტექსტში, გადამწყვეტი იყო საირიგაციო სისტემის განვითარება, რამაც არა მხოლოდ გაზარდა ნაყოფიერება, არამედ მოითხოვა დიდი მასშტაბის კოოპერირება რომლის ეფექტური ორგანიზებაც შესაძლებელი იყო მხოლოდ იერარქიულ, დესპოტურ საზოგადოებაში. დროთა განმავლობაში პარაზიტული ელიტის მოთხოვნები იზრდებოდა, რაც იწვევდა ადმინისტრაციული აპარატისა და არმიის ზრდას და მოითხოვდა სულ უფრო მეტი ხელოსნის და სხვა არასასოფლო-სამეურნეო მუშახელის არსებობას. ყველაფერი ეს აჩქარებდა ქალაქების ზრდას.
აღნიშნული პროცესების განვითარებას აფერხებს საზოგადოების შეზღუდული რესურსები. ამის პასუხად ხდება სარესურსო ბაზის გაფართოება ტერიტორიული ექსპანსიის გზით, რაც ასევე აჩქარებს ურბანიზაციის პროცესს. სამფლობელოების ზრდასთან ერთად იქმნებოდა ახალი დასახლებები ამ ტერიტორიების სამართავად. ისინი წარმოადგენდნენ საშუამავლო ცენტრებს მმართველი ელიტის მოთხოვნების ადგილობრივ მწარმოებლებამდე მიტანისა და ამ უკანასკნელთა მიერ შესაბამისი პროდუქციის მმართველებისთვის გასაგზავნად. იმპერიების ზრდასთან ერთად იზრდებოდა ქალაქების, როგორც მმართველობის ცენტრების რაოდენობა. ევროპის საქალაქო სისტემას

საფუძველი ჩაეყარა საბერძნეთისა და რომის იმპერიების ექსპანსიის შედეგად (სურათი: 4.1).



სურათი: 4.1 ანტიკური მსოფლიოს ურბანიზაცია

იმპერიების ზრდა და ექსპანსია არ იყო მდგრადი პროცესი. ურბანიზებული საზოგადოებები არამყარ ფენომენს წარმოადგენდნენ და ბევრი მათგანი კვლავ აგრარული ტიპის საზოგადოებებად გარდაიქმნებოდნენ. ხშირ შემთხვევაში ამის მიზეზი იყო ეპიდემიების ან ომების გამო მოსახლეობის შემცირება. შედეგად, აღარ იყო ადამიანური რესურსების საკმარისი რაოდენობა ურბანიზაციისთვის აუცილებელი სოციალური და ეკონომიკური ინფრასტრუქტურის შესანარჩუნებლად. ამის ყველაზე ადრეული მაგალითია ინდის დაბლობში არიელი მესაქონლეების მიერ ადგილობრივი საქალაქო ეკონომიკის შევიწროება ძვ.წ. მეორე ათასწლეულში. აღნიშნული პროცესების კიდევ ერთ მიზეზს წარმოადგენდა ცვლილება მოსახლეობისა და რესურსების თანაფარდობაში. მოსახლეობის მატება იწვევდა პროდუქტებზე მოთხოვნის ზრდას, რისი დაკმაყოფილებაც არსებული რესურსებით სულ უფრო რთული იყო. შედეგად ინვესტიციები აღარ ხორციელდებოდა, არმია მცირდებოდა, რაც თანდათანობით ძირს უთხრიდა იმპერიის ძლიერებას.

სავარაუდოდ მსგავსმა პროცესებმა გამოიწვია მესოპოტამიური იმპერიის დაცემა, და მაიას იმპერიის ქალაქების მიტოვება ამერიკაში ევროპელების გამოჩენამდე 500 წლით ადრე, ასევე რომის იმპერიის დაქვეითება ახ.წ. მეორე საუკუნიდან და საბოლოოდ მისი დაცემა მეხუთე საუკუნეში.

მართალია, ურბანიზაციის წარმოშობამ დიდწილად განაპირობა მომავალი განვითარება, მაგრამ სწორედ სოფლის რეორგანიზაციამ და კონსოლიდაციამ შექმნა სავაჭრო კაპიტალიზმის და ევროპული მსოფლიო ეკონომიკის წარმოშობის საფუძვლები. სასოფლო კონსოლიდაციის ცენტრში მოექცა შუა საუკუნეების ევროპის, ჩინეთის, ინდოეთისა და იაპონიის ფეოდალური სისტემები.

ფეოდალური სისტემა თითქმის მთლიანად აგრარული იყო. სამუშაო ძალის 80-90% ჩართული გახლდათ სოფლის მეურნეობასა და მესაქონლეობაში, დანარჩენები კი ძირითადად ხელოსნები იყვნენ. პროდუქტების უმეტესობა მყისიერ მოთხოვნებს ხმარდებოდა და მხოლოდ მცირე ნაწილი იკვლევდა გზას მსოფლიო ბაზარზე. ფეოდალური სისტემის საფუძველი იყო ფეოდალის მამული, რომელიც საერო ან სასულიერო მემამულეებს ეკუთვნოდათ. ისინი სარგებლობის უფლებით გასცემდნენ მიწის ნაკვეთებს ერთგულებისა და ეკონომიკური ვალდებულებების (ძირითადად ფულადი სახის გადასახადი) შესრულების სანაცვლოდ. მემამულეები თავის მხრივ ემორჩილებოდნენ უფრო მაღალი რანგის ბატონებს, რომლებისგანაც ისინი ერთგულების სანაცვლოდ იღებდნენ მიწებს. ამ მამულებში სამუშაო ძალას წარმოადგენდნენ გლეხები. მათი უმეტესობა იყვნენ ყმები, ან მოიჯარეები, რომელთა გადაადგილების, ქორწინების, ქონების მემკვიდრობის გადაცემის, საქონლის ყიდვა-გაყიდვის უფლება კანონით იზღუდებოდა. გლეხობა წარმოადგენდა ფეოდალური სისტემის საფუძველს. სწორედ ამ ფენის შრომის ექსპლუატაციით ხდებოდა ფეოდალის მიერ ქონების დაგროვება.

ახ.წ. 1000 წლისთვი დასავლეთ ევროპის სოფლების უმეტესობა კონსოლიდირებული იყო ფეოდალურ აგრარულ ქვესისტემებში, რომლებსაც ძლიერი ავტონომია გააჩნდათ. თითოეული მამული იყო თვითუზრუნველყოფილი მარტივი საწარმოო საქონლისთვის აუცილებელი ნედლეულით და შეეძლო სხვადასხვა სპეციალობის ხელოსნის რჩენა. უმეტეს რეგიონებში არსებობდნენ პატარა ქალაქები, რომლებიც წარმოადგენდნენ გამაგრებულ პუნქტებს, საეკლესიო და ადმინისტრაციულ ცენტრებს ფეოდალური იერარქიის მაღალ საფეხურზე მდგომი ელიტისთვის. სწორედ ამ ეკონომიკურმა სისტემამ – მოუქნელმა, ნელმა, ჩაკეტილმა, გამოიწვია ვაჭრობისა და ქალაქების გამოცოცხლება, რაც იქცა დასავლეთ ევროპაში სავაჭრო კაპიტალიზმის განვითარების წინაპირობად.

4.2 ეკონომიკური ორგანიზაციის პრინციპები

ამ ქვეთავში ჩვენ განვიხილავთ იმ ძირითად პრინციპებს, რომლებიც მნიშვნელოვანი იყო წინაინდუსტრიული ეკონომიკური გეოგრაფიის საწყისი ეტაპებისთვის:

- ცენტრალურ რეგიონებში ეკონომიკური მოდელების ცვლილებები იყო თანდათანობითი და პროგრესირებადი
- ამ ცვლილებებს როგორც წესი წინ უსწრებდა ინოვაციები ტექნოლოგიებსა და ეკონომიკურ ორგანიზაციაში

- ამგვარი ინოვაციები იყო აუცილებელი მაგრამ არა საკმარისი რადიკალური ცვლილებების მოსატანად. ასევე მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდნენ ინსტიტუციური და სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებები
- დემოგრაფიული ვითარებაც ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორი იყო. სამუშაო ძალის არასაკმარისი რაოდენობა ზოგჯერ აფერხებდა ეკონომიკურ განვითარებას, ხოლო ცვლილებები მოსახლეობისა და ადგილობრივი რესურსების თანაფარდობას შორის მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა ეკონომიკის პროგრესს, ან რეგრესს
- შემცირებული შემოსავლების კანონმა (The law of diminishing returns) ბიძგი მისცა ტერიტორიულ ექსპანსიას. კოლონიზაციამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა იერარქიული საქალაქო სისტემების განვითარებასა და ტრანსპორტირების გაუმჯობესებაში

4.3 ევროპული მსოფლიო სისტემის ჩამოყალიბება

ეს ქვეთავი ეხება ფეოდალიზმიდან სავაჭრო კაპიტალიზმისკენ გადასვლის საწყის ეტაპს (მე-13 საუკუნე), ევროპული მსოფლიო სისტემის ჩამოყალიბებასა (მე-16, მე-17 საუკუნეები) და მე-18 საუკუნის დასაწყისში მომხდარ პროტო-ინდუსტრიალიზაციას, რამაც საფუძველი დაუდო ინდუსტრიულ რევოლუციას. ჩვენი მიზანია ეკონომიკური ცვლილებების უმთავრესი ასპექტების წარმოშობის, ურთიერთქმედებისა და სივრცითი შედეგების აღწერა.

რატომ ევროპა?

მე-12 საუკუნეში, თითქმის ნახევარი ათასწლეულით ადრე, ვიდრე ევროპა დაადგებოდა კაპიტალიზმის გზას, რამაც განსაზღვრა მსოფლიო ეკონომიკის სახე, არსებობდა რამდენიმე კარგად განვითარებული ეკონომიკური რეგიონი აღმოსავლეთ ნახევარსფეროში. 1) ხმელთაშუაზღვისპირეთი: ბიზანტია, იტალიის ქალაქი-სახელმწიფოები და მუსლიმანური ჩრდილოეთ აფრიკა. 2) ჩინეთის იმპერია. 3) ცენტრალური აზიის ტერიტორია, რომელიც მოიცავდა რუსეთიდან მონღოლეთამდე მდებარე მიწებს. 4) ინდოეთის ოკეანისა და წითელი ზღვის კომპლექსი. 5) ბალტიის ზღვის გარშემო მდებარე ტერიტორია.
რატომ იქცა ევროპა და არა ჩინეთი ინოვატორული ეკონომიკური ცვლილებების ადგილად? ჩინეთში დაახლოებით იმავე რაოდენობის მოსახლეობა ცხოვრობდა, რამდენიც მთელს ევროპაში და დიდი ხნის განმავლობაში (მე-15 საუკუნის ბოლომდე) გააჩნდა სულ ცოტა იმავე დონეზე განვითარებული მეცნიერება და ტექნოლოგიები. ჩინელებმა გამოიგონეს რკინის გუთანი ახ.წ. მე-6 საუკუნეში, კომპასი მე-10, ხოლო წყლის საათი მე-11 საუკუნეში. მათ ევროპელებზე უფრო განვითარებული მედიცინა, ქაღალდის წარმოება, ბეჭდვა და ასაფეთქებლების წარმოება ჰქონდათ. ჩინეთმა შეინარჩუნა იმპერიული სისტემა, რაც იძლეოდა შემდეგ უპირატესობებს: გადაწყვეტილებების მიღების ცენტრალიზება, მსხვილი ბიუროკრატიული აპარატი, მაღალ დონეზე განვითარებული შიდა კომუნიკაციები და ერთიანი საფინანსო სისტემა. ყველაფერი ეს ხელს უწყობდა ეკონომიკურ განვითარებასა და ტერიტორიულ ექსპანსიას.

ჩინეთის ჩამორჩენა შეიძლება აიხსნას საგარეო ეკონომიკური ექსპანსიის სურვილის არარსებობით. ჩინელებმა ევროპელებზე ადრე მოახდინეს ინდოეთის ოკეანეში ექსპედიციების მოწყობა, მაგრამ მოგვიანებით დაკარგეს ინტერესი შემდგომი კვლევების მიმართ. ამის მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ ისინი მხოლოდ საკუთარ ქვეყანას მიიჩნევდნენ მნიშვნელოვნად და დანარჩენი მსოფლიო არ აინტერესებდათ. მეორე მიზეზია ჩრდილოეთიდან მომთაბარე ტომებისგან და იაპონელი მეკობრეებისგან მომდინარე საფრთხეები. მესამე ახსნა მდგომარეობს იმპერიული ჩინეთის ძალაუფლების ცენტრალიზაციაში, როდესაც არ არსებობდნენ საკმარისი რაოდენობის ინტერეს-ჯგუფები, რომელთაც საზღვაო გამოკვლევები დააინტერესებდათ.

ბოლოს მოყვანილი მიზეზი არის ნაწილი ფართო სტრუქტურული შეზღუდვებისა, რომელიც დამახასიათებელია იმპერიული წყობისთვის. დიდი რაოდენობის მოსახლეობის მართვა და დაცვა დიდძალ ენერგიას და რესურსებს მოითხოვს, რომლებიც წინააღმდეგ შემთხვევაში გამოყენებული იქნებოდა კაპიტალის განსავითარებლად. ჩინეთმა ვერ შეძლო იარაღის ტექნოლოგიების განვითარება ევროპელების დარად, რადგან საიმპერატორო კარი ეწინააღმდეგებოდა იარაღის შესახებ ცოდნის გავრცელებას, რათა იგი არ გამოეყენებინათ აჯანყებულებსა და ყაჩაღებს.

კიდევ ერთი განსხვავება ჩინეთსა და ევროპას შორის მდგომარეობდა შემდეგში: ევროპის სოფლის მეურნეობა ეფუძნებოდა ხორბლის მოყვანასა და მსხვილფეხა საქონლის მოშენებას, ხოლო ჩინეთის სოფლის მეურნეობაში წამყვანი ადგილი ეკავა ბრინჯის მოყვანას. ბრინჯი ნაკლები მიწის ფართობს მოითხოვს, ამიტომ ჩინეთში არ იგრძნობოდა ტერიტორიული ექსპანსიის საჭიროება. ევროპაში კი ხორბალმა და მსხვილფეხა საქონლის მოშენებამ განაპირობა ევროპელთა ძლიერი სურვილი ახალი ტერიტორიების ათვისებისა. აღსანიშნავია ისიც, რომ ჩინეთის ქალაქების ავტონომიურობის ხარისხი დაბალი იყო ევროპულ ქალაქებთან შედარებით. ევროპული ქალაქების პოლიტიკური ავტონომია გადამწყვეტი ფაქტორი გახდა სოფლიდან მიგრანტთა მოსაზიდად, რომელთა შრომამ და ინიციატიურობამ დიდწილად განსაზღვრა სავაჭრო კაპიტალიზმის წარმოშობა.

ფეოდალიზმის კრიზისი ევროპაში

ევროპაში ფეოდალიზმიდან სავაჭრო კაპიტალიზმზე გადასვლა რჩება მნიშვნელოვან სადავო საკითხად. პირველ ყოვლისა იმიტომ, რომ ჩვენ არ ვიცით საკმარისი დეტალები იმ სოციალურ და ეკონომიკურ ცვლილებებზე, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ 1300-დან 1450 წლამდე. შედეგად წარმოიშვა უამრავი თეორიული ინტერპრეტაცია, თითორული მათგანი ხაზს უსვამს ამ გადასვლის განსხვავებულ ელემენტებს. საყოველთაოდ მიღებულია, რომ გადასვლის საერთო კონტექსტი იყო ეკონომიკური, დემოგრაფიული და პოლიტიკური კრიზისი, რომელიც წარმოიშვა მოსახლეობის ზრდის, არასაკმარისი ტექნოლოგიური განვითარებისა და ნაყოფიერი მიწების ნაკლებობის გამო.

ტექნოლოგიური წინსვლის შედეგად, ფეოდალურ პერიოდში ხორბლის წარმოებამ მნიშვნელოვნად იმატა, რასაც მოჰყვა მოსახლეობის ზრდა მე-12 მე-13 საუკუნეებში. ამის საპასუხოდ, ფეოდალურმა ეკონომიკამ მოახდინა

დაუმუშავებელი მიწების ათვისება. როდესაც ეს პროცესი გართულდა (დაახლოებით 1250 წლისთვის), პასუხად მოხდა მოსავლის ბრუნვის გაუმჯობესება. ამ პროცესს გარკვეული შეზღუდვები გააჩნდა: პირუტყვის რაოდენობა შეზღუდული იყო კლიმატური პირობებით და შესაბამისად, სახნავი მიწისათვის საჭირო სასუქის რაოდენობით. ტექნოლოგიური წინსვლის არარსებობამ გამოიწვია საკვების ნაკლებობა, რასაც მოჰყვა შავი ჭირის ეპიდემიები 1340-იან, 60-იან და 70-იან წლებში. ამ პრობლემებს დაემატა ძლიერი კლიმატური ფლუქტუაციები: მე-14 საუკუნეში ცივმა ზამთარმა გაამძაფრა საკვების ნაკლებობის პრობლემა, ხოლო განსაკუთრები ცხელმა ზაფხულმა გამოიწვია ვირთხების რაოდენობის მკვეთრი ზრდა, რაც ჭირის გავრცელების ერთ-ერთი მიზეზი იყო.

კიდევ ერთი დამამძიმებელი ფაქტორი გახდა ასწლიანი ომის დაწყება 1335-45 წლებში, რამაც მრავალი ეკონომიკა სამხედრო ყაიდაზე გადაიყვანა. შედეგად, მნიშვნელოვნად გაიზარდა გადასახადები. ამან გამოიწვია ეკონომიკის ვარდნა, დაეცა მოხმარების დონე, შექმნა ლიკვიდურობის პრობლემა თავადაზნაურობის ხაზინებში, რასაც მოჰყვა ფასების ზრდა. ამის შემდეგ, გადასახადები კიდევ უფრო გაიზარდა და გამოიწვია დიდი უკმაყოფილება მოსახლეობაში. ყველაფერ ამას მოყვა ფეოდალიზმისგან თავის დახსნის მსურველი მოსახლეობის მიგრაცია ქალაქებში, სადაც უფრო ხელსაყრელი საგადასახადო სისტემები და მეტი თავისუფლება იყო.

ქალაქების აყვავება დაიწყო ფეოდალიზმის გაფურჩქვნის ხანაში. თავადაზნაურების გაზრდილი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად გადასახადებს უფრო ხშირად ფულადი ფორმით კრეფდნენ. ამიტომ, გლეხები ვალდებულნი გახდნენ ბაზარზე გაეყიდათ მათი პროდუქტების ნაწილი, რათა გადაეხადათ ქირები და გადასახადები. ამან ხელი შეუწყო საქონლით ვაჭრობის განვითარებას და ქალაქების ზრდას. ქალაქებში სულ უფრო მეტი ვაჭარი და ხელოსანი გამოჩნდა გაზრდილი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ქალაქების განვითარებამ გამოიწვია ფეოდალიზმის კრიზისი, გამოააშკარავა ჩაკეტილი ფეოდალური მამულის არაეფექტიანობა.

ვაჭრობის აღმავლობა და ქალაქების ზრდა სავაჭრო კაპიტალიზმის პირობებში

ვაჭრობის აღმავლობა და ქალაქების ზრდა გახდა ახალი ეკონომიკური წესრიგის განმასხვავებელი ნიშანი. ფეოდალური სისტემა ჩაანაცვლა ბაზარზე საქონლის გაცვლამ, როდესაც კონკრეტული საზოგადოება სპეციალიზირებული იყო იმ საქონელზე, რომლის წარმოებაც ყველაზე ეფექტურად შეეძლოთ (სურათი 4.3). მთავარი მოქმედი პირები ამ სისტემაში გახდნენ ვაჭრები, რომლებსაც გააჩნდათ საკმარისი კაპიტალი ვაჭრობის გასავითარებლად, ამიტომაც ამ სისტემას სავაჭრო კაპიტალიზმი დაერქვა.

სურათი: 4.3 სავაჭრო კაპიტალიზმის განვითარება და ეკონომიკის ტერიტორიულ/სივრცითი ცვლილებები



Fig 4.3: Rise of merchant capitalism and the changing space-economy

სავაჭრო კაპიტალიზმის სისტემა, განსხვავებით ფეოდალიზმისგან, მოითხოვდა ვაჭრობის მუდმივ გაფართოებას, რის გარეშეც ვერც ვაჭრები და ვერც მწარმოებლები, მომხმარებლები და ფინანსისტები ვერ შეძლებდნენ საკუთარი პოზიციების შენარჩუნებას: „ვაჭრებისთვის საჭირო იყო რაც შეიძლება იაფად ეყიდათ და ძვირად გაეყიდათ საქონელი, მაქსიმალურად დიდი მოცულობით ... ეს წინააღმდეგობაში მოდიოდა მწარმოებლების ინტერესებთან, რადგან თუ მათ საქონელს დაბალ ფასად იყიდიდნენ, მაშინ მათ არ ექნებოდათ საშუალება სხვა საქონლის შეძენისა და ამით, ზოგადად სავაჭრო ფენის ინტერესების დაკმაყოფილებისა. ეს აიძულებდა მწარმოებლებს გასაყიდი საქონლის მოცულობის გაზრდას (პროდუქტიულობის გაზრდა), ხოლო ვაჭრები ზეწოლას ახდენდნენ მომხმარებლებზე, რომ მათ მეტი საქონელი ეყიდათ, თუნდაც სესხის აღების ხარჯზე. ორივე პროცესი ... ზრდიდა მწარმოებელთა ვალებს, რომლებსაც ისინი იხდიდნენ პროცენტებთან ერთად. ვალების გადასახდელად კი ისინი უფრო მეტ საქონელს აწარმოებდნენ“ (Johnston, 1980: 33-4).

სავაჭრო კაპიტალიზმის განვითარებას მე-12 საუკუნიდან საფუძველი ჩაუყარეს ისეთმა სავაჭრო ქალაქებმა, როგორებიცაა ვენეცია, პიზა, გენუა, ფლორენცია, ბრიუგე, ანტვერპენი და ჰანზის კავშირი (ბრემენი, ჰამბურგი, ლიუბეკი, როსტოკი და დანციგი). მოგვიანებით, სავაჭრო ცენტრები წარმოიქმნენ ჩრდილოეთ საფრანგეთში და მდინარე რეინზე. ახალმა სახმელეთო გზებმა ფლანდრია და გერმანია დააკავშირეს ხმელთაშუაზღვისპირეთთან, ხოლო საზღვაო გზებმა მოახდინეს ბრიტანეთის, სკანდინავიისა და ჰანზის კავშირის ტერიტორიების ინტეგრირება კონტინენტურ ცენტრთან. კომპლექსურმა სავაჭრო სისტემამ ძალზე სწრაფად მოიცვა ევროპა პორტუგალიიდან პოლონეთამდე და შვედეთიდან სიცილიამდე. ეს სავაჭრო სიტემა ემყარებოდა არა ფუფუნების საგნებს, არამედ ძირითად პროდუქტებს: ხორბალს, ღვინოს, მარილს, მატყლს, ტანსაცმელსა და ლითონს.

ვაჭრობის მოცულობის ზრდამ იქონია გავლენა ურბანულ განვითარებაზე, რადგან ვაჭრები სახლდებოდნენ ქალაქებში, რომლებიც უმთავრეს სავაჭრო

გზებზე მდებარეობდნენ. ამის შემდეგ, ქალაქების ზრდის ერთ-ერთი მთავარი სტიმული გახდა იმპორტის ჩანაცვლება (იმპორტირებული საქონლის ჩანაცვლება ადგილობრივი წარმოების პროდუქციით), როდესაც ადილობრივი ეკონომიკა ახდენს შემოსავლის რეინვესტირებას საკუთარ საზღვრებს შიგნით, რაც იწვევს ჩაკეტილობისა და ეკონომიკური ავტარკიის ნაწილობრივ აღდგენას. ზოგიერთი საქონლის იმპორტის ჩანაცვლება რთული იყო განსხვავებული კლიმატის ან რესურსების გამო, მაგრამ ბევრი სახეობის საქონლის კოპირება მაინც მოხდა ადგილობრივი მწარმოებლების მიერ, რამაც მოახდინა დასაქმების შესაძლებლობის ზრდა, ლოკალური რესურსების გამოყენების ინტენსიფიკაცია და ადგილობრივი საინვესტიციო კაპიტალის რაოდენობის ზრდა. ამის შემდეგ ქალაქები ახალი ტიპის საქონელს ყიდულობდნენ სხვა ქალაქებისგან, ხოლო მათი ჩანაცვლების შემდეგ კი, უცხოეთში დამზადებული კიდევ უფრო ინოვაციური პროდუქციის იმპორტს ახდენდნენ.
შედეგად, ვაჭრობისა და ურბანიზაციის მოდელები ძალზე ცვალებადნი გახდნენ. გრძელვადიანი ლოკალური წარმატება, ახალი ეკონომიკური წესრიგის ფარგლებში, დამოკიდებული იყო მუდმივ ინოვაციებზე, იმპორტის პერიოდულ ჩანაცვლებაზე და ახალი რესურსების აღმოჩენასა და კონტროლზე.

განვითარება/კონსოლიდაცია და ექსპანსია

XV-XVI საუკუნეებში, ინოვაციებმა ბიზნესსა და ტექნოლოგიებში, დიდი როლი ითამაშეს სავაჭრო კაპიტალიზმის კონსოლიდაციაში. ამ ინოვაციებიდან გამოსარჩევია ბიზნესისა და ფინანსების ორგანიზაციაში მომხდარი ცვლილებები (საბანკო საქმის განვითარება, კრედიტები, კომპანიებში პარტნიორობა, წილი აქციებში, კომერციული დაზღვევა, კურიერული მომსახურება და სხვა). მათი მნიშვნელობა განსაკუთრებით დიდი იყო დანაზოგების დაგროვების ხელშეწყობაში და მათი ინვესტიციების სახით გამოყენებაში. სამეწარმეო და ფინანსური საქმიანობების კომპლექსურობამ გამოიწვია კერძო საკუთრებასთან დაკავშირებული (მაგ.: პატენტის შესახებ კანონები) სამოქალაქო და სისხლის სამართლებრივი ნორმების კოდიფიკაცია. ამან გაზარდა მეწარმეებში კაპიტალისტური ეკონომიკური საქმიანობის წარმართვის მოტივაცია.
ამასობაში, ახალი ტექნოლოგიები სულ უფრო სწრაფად ვითარდებოდნენ. ზოგიერთი მათგანი წარმოადგენდა წინა აღმოჩენების მოდიფიკაციას, თუმცა სულ უფრო ხშირად ჩნდებოდა ორიგინალური იდეები როგორებიცაა, წარმოების მექანიზაცია, ცეცხლსასროლი იარაღის დამზადება, ლითონის დამუშავებისა და შუშის წარმოების ახალი მეთოდები.
ეს აღმოჩენები მკაცრი დაცვის ქვეშ იმყოფებოდნენ მაშინდელ ინოვაციების ცენტრებში (ჩრდილოეთ იტალია მე-15 საუკუნემდე, ინგლისი და ჰოლანდია მე-16 და მე-17 საუკუნეებში), ხოლო სხვა ქვეყნები ცდილობდნენ ნებისმიერი, კანონიერი, თუ უკანონო გზებით მოეპოვებინათ ეს ტექნოლოგიები, ამისათვის ისინი დიდ ანაზღაურებას სთავაზობდნენ პროფესიონალებს, რომლებიც ფლობდნენ ცოდნას ინოვაციების შესახებ. ახალი ტექნოლოგიების გავრცელებას ყველაზე მეტად შეუწყო ხელი იოჰან გუტენბერგის მერ 1450-იან წლებში საბეჭდი დაზგის გამოგონებამ. მომდევნო 20 წლის განმავლობაში საბეჭდი

სახელოსნოები გავრცელდა მთელს ევროპაში და შექმნეს არნახული შესაძლებლობები ცოდნისა და განათლების მიღებაში.
ევროპის ეკონომიკური განვითარებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი გახლდათ ინოვაციები გემთმშენებლობასა და ნავიგაციაში მე-15 და მე-16 საუკუნეებში, რამაც საშუალება მისცა ევროპელ ვაჭრებს ჩაეყარათ საფუძველი მსოფლიო ეკონომიკისთვის.

მერკანტილიზმი და ტერიტორიული ექსპანსია

ჩვენ უკვე ვნახეთ ჩინეთის მაგალითზე, რომ ეკონომიკური სიძლიერე ყოველთვის არ იწვევს ოკეანის გაღმა ექსპანსიას. მაშინ, რამ განაპირობა ევროპელთა ტექნოლოგიური და ეკონომიკური ძლიერების ექსპანსია მსოფლიოში? სურათში: 4.5 მოყვანილია რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი.



Figure 4.5 Emergence of a European-based world-system

სურათი: 4.5 ევროპული მსოფლიო სისტემის წარმოქმნა

პირველია, დასავლეთ ევროპის მემკვიდრეობის კანონის და ძვირადღირებული ჯვაროსნული ლაშქრობების შედეგად დიდი რაოდენობით გაღარიბებული არისტოკრატების არსებობა, რომლებიც გამდიდრების სურვილით, ან რელიგიური მოტივაციით მიიწევდნენ თავგადასავლებისკენ. ამას მივყავართ კიდევ ორი მნიშვნელოვანი ფაქტორისკენ: რელიგიური ფანატიზმი და მონარქებს შორის პოლიტიკური კონკურენცია.
ევროპული ექსპანსია მნიშვნელოვანწილად გამოწვეული იყო სავაჭრო კაპიტალიზმის ლოგიკითა და შემცირებული შემოსავლების კანონით, როდესაც ეკონომიკური ზრდის შენარჩუნება შესაძლებელია მხოლოდ პროდუქტიულობის სტაბილური ზრდის პირობებში, გარკვეული მომენტიდან კი, ამის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ ახალი ტერიტორიების დაპყრობით მოპოვებული რესურსების ხარჯზე.

აღნიშნული მოტივაციების ერთობლიობამ ასახვა ჰპოვა მერკანტილიზმის დოგმაში. მე-16 საუკუნიდან, ევროპული ქვეყნების უმეტესობა მიჰყვა ამ დოგმას. მერკანტილიზმი გულისხმობდა, რომ ეროვნული სიმდიდრის საზომი უნდა ყოფილიყო ძვირფასი ლითონის რაოდენობა, ხოლო ეკონომიკური ზრდის წყარო – ვაჭრობის დადებითი ბალანსი. ამგვარი ეკონომიკური „ლოგიკა“ ამართლებდა არა მხოლოდ ოკეანის გაღმა კოლონიზაციას, არამედ მონური შრომის გამოყენებას პლანტაციებზე და წარმოების აკრძალვას კოლონიებში. ეს მოითხოვდა ეკონომიკური რეგულაციების გამკაცრებას, სახელმწიფო პროტექციასა და დაფინანსებას.

ევროპელებმა მალევე გაანადგურეს მუსლიმანური ქვეყნების ვაჭრობა ინდოეთის ოკეანეში და ხელთ იგდეს აზიური ვაჭრობის უდიდესი წილი. ევროპელი ვაჭრები დიდ შემოსავალს იღებდნენ იაპონური სპილენძის შეტანით ჩინეთსა და ინდოეთში, ასევე ინდური ბამბის ქსოვილების აზიაში, ხოლო სპარსული ხალიჩების ინდოეთში გაყიდვით და ა.შ.

ევროპის პირველი ეკონომიკური ტრანსფორმაცია მოხდა ამერიკიდან დიდი რაოდენობით ოქროსა და ვერცხლის შემოტანით. დიდძალ ნადავლს მოყვა მოთხოვნის მნიშვნელოვანი ზრდა თითქმის ყველა პროდუქტზე (ქსოვილები, ღვინო, საკვები, იარაღი, გემები და ა.შ.), რამაც ხელი შეუწყო ევროპაში წარმოების ზრდას და ეკონომიკურ განვითარებას მე-16 საუკუნის განმავლობაში. ამავე დროს, კოლონიზაციამ გამოიწვია ევროპელთათვის მანამდე უცნობი და ეგზოტიკური პროდუქტების (კაკაო, სიმინდი, პომიდორი, კარტოფილი, თამბაქო, ვანილი, ჩაი და სხვა) გამოჩენა ბაზარზე, რაც ვაჭრებისთვის მოგების მიღების ახალ შესაძლებლობებს ქმნიდა.

როცა ევროპელმა ვაჭრებმა მოახდინეს აზიის სავაჭრო გზების მონოპოლიზაცია, მათ შეეძლოთ რაიმე ძვირფასი ნაწარმის შემოტანა ევროპაში, სადაც კვალიფიციური მუშახელი მოახდენდა მის იმიტაციას, რის შემდეგაც თავად ევროპელები დაიწყებდნენ ამ ნაწარმის დამზადებას და გაყიდვას დანარჩენ მსოფლიოში. მაგალითად: „ევროპაში დიდი მოთხოვნით სარგებლობდა ჩინური ფაიფური, რომელსაც დიდი ხნის განმავლობაში ყიდულობდნენ ჩინეთში და შემდეგ ყიდდნენ მსოფლიოს მასშტაბით. მოგვიანებით ევროპლებმა თავად დაიწყეს მისი დამზადება და მსოფლიო ბაზარზე ჩაანაცვლეს ჩინური ფაიფური „საკუთარით“. ... ამის მსგავსად, ინგლისელებმა დაიწყეს მაღალი ხარისხის ინდური ბამბის ქსოვილების იმიტირება და მოახდინეს უფრო იაფი, მანქანის მეშვეობით დამზადებული ბამბის ქსოვილების ექსპორტი ინდოეთში, რამაც გაანადგურა ინდური ბამბის ქსოვილების მრეწველობა“ (Reynolds, 1961: 45-6)

ევროპისთვის, მსოფლიო ექსპანსიისგან მიღებული სარგებელი გასცდა ახალი ტერიტორიებისა და რესურსების მოპოვების ფარგლებს. კოლონიზაციამ ასევე დააჩქარა ტექნოლოგიებისა და ბიზნეს-ოპერაციების წარმართვის ხერხების გაუმჯობესება. განვითარდა საზღვაო კარტოგრაფია, საზღვაო არტილერია და გემთმშენებლობა. ყველაზე მნიშვნელოვანი კი, იყო კოლონიებიდან მიღებული შემოსავლების განთავსება ევროპის სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში. ამან ხელი შეუწყო კაპიტალის აკუმულაციას, რომელიც იქცა ინდუსტრიული კაპიტალიზმის განვითარების ერთ-ერთ უმთავრეს წინაპირობად მე-18 საუკუნეში.

ტრანსოკეანური სარტყლის დასახლებები

ევროპის გარეთ, სავაჭრო კაპიტალიზმის გავრცელების პირობებში ეკონომიკური ლანდშაფტის ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელი გახლდათ ღია პორტების დაარსება ამერიკის, აფრიკისა და სამხრეთ აზიის სანაპიროებზე (სურათი: 4.6), რომლებიც სამი სახეობის იყვნენ:

1. *სავაჭრო ნავსადგურები*, მაგალითად, კანტონი (ამჟამად გუანჯოუ, ჩინეთი) და გოა (ინდოეთი), რომლებიც უზრუნველყოფდნენ კავშირს ევროპასა და აღმოსავლეთის ქვეყნების ჩაკეტილ ეკონომიკებს შორის. ამ ქალაქებში ცოტა ევროპელი ცხოვრობდა და მხოლოდ ინდოეთში იყო შესაძლებელი ვრცელი ჰინტერლანდის პოლიტიკური კონტროლი.
2. *ღია პორტები და კოლონიური ცენტრები* ტროპიკული პლანტაციებისთვის, როგორებიც იყვნენ რიო დე ჟანეირო (ბრაზილია), ჯორჯთაუნი (ბრიტანეთის გაიანა), პორტ ოფ სპეინი (ტრინიდადი), პენენგი (მალაიზია), ლაგოსი (ნიგერია), ლორენსო მარკესი (ამჟამად მაპუტუ, მოზამბიკი) და ზანზიბარი (ტანზანია). დიდი რაოდენობით ევროპელი მოსახლეები იყო საჭირო ადმინისტრაციული და სამხედრო მიზნებისთვის. ადგილობრივ მოსახლეობას იყენებდნენ ფიზიკური სამუშაოებისთვის. კოლონიურ პლანტაციურ სისტემას ესაჭიროებოდა დიდი რაოდენობით სამუშაო ძალა და როცა ადგილობრივი რესურსები ამოიწურა, დაიწყო მონების შემოყვანა სხვა რეგიონებიდან.
3. *"ჭიშკარი" (gateway) პორტები* (ჯეიმსთაუნი, ბალტიმორი, ბოსტონი, ნიუპორტი, ნიუ იორკი, ფილადელფია, ჩარლსტონი, სავანა) 13 კოლონიისთვის ამერიკაში. ისინი გაცილებით უფრო მეტად იყვნენ ორიენტირებული მეტროპოლიებზე ვიდრე საკუთარ ჰინტერლანდზე (მოგვიანებით, იმავე ტიპის დასახლებები შეიქმნა სამხრეთ აფრიკაში, ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში).

სურათი: 4.6 ტრანსოკეანური სარტყლის დასახლებები მერკანტილურ ეპოქაში



Fig 4.6: Transoceanic rim settlements of the mercantile era

ეკონომიკური ძალაუფლების ცენტრის გადანაცვლება

XVI-XVII საუკუნეების ევროპის ეკონომიკური გეოგრაფიის მთავარ მახასიათებელს წარმოადგენდა ეკონომიკური საქმიანობის ცენტრის გადანაცვლება ხმელთაშუა ზღვიდან ჩრდილოეთის ზღვისკენ. მე-15 საუკუნის ბოლოს, ხმელთაშუაზღვისპირეთი ყველაზე განვითარებული რეგიონი იყო მსოფლიოში, ცენტრალური და ჩრდილოეთ იტალია კი, მთავარი ეკონომიკური ცენტრი გახლდათ. მე-16 საუკუნეში ხმელთაშუა ზღვის რეგიონი კიდევ უფრო გამდიდრდა, რადგან ესპანეთმა და პორტუგალიამ დიდი სარგებელი ნახეს ამერიკის კონტინენტის ძარცვით მიღებული შემოსავლისგან. მე-17 საუკუნის ბოლოს ხმელთაშუაზღვისპირეთი გადავიდა უკანა პლანზე ნიდერლანდებისა და ინგლისის ეკონომიკური წინსვლის გამო.

ამ ორ უკიდურესობას, სტაგნაციასა და დინამიურ ექსპანსიას, შორის იმყოფებოდა საფრანგეთი, სკანდინავია და გერმანია, სადაც მიმდინარეობდა ეკონომიკური განვითარების პროცესი, ანუ სავაჭრო კაპიტალიზმის კონსოლიდაცია, რამაც ხელი შეუწყო ევროპული ეკონომიკის კოორდინირებულობის შენარჩუნებას სივრცით ორგანიზაციაში მნიშვნელოვანი ცვლილებების პერიოდში. ევროპის ეკონომიკური ცენტრის გადანაცვლების პროცესი შეიძლება განხილულ იქნეს ესპანეთისა და იტალიის დაღმასვლისა და ჰოლანდიისა და ინგლისის აღზევების მაგალითებზე:

ესპანეთი

ესპანეთი წარმოადგენს იმპორტის ჩანაცვლების მნიშვნელობის კარგ მაგალითს. ეს ქვეყანა იმიტომ დასუსტდა, რომ არც იყო საკმარისად განვითარებული, იგი მხოლოდ მდიდარი გახლდათ. მოთხოვნის გაზრდამ, რომელიც გამოიწვია ამერიკიდან წამოსულმა სიმდიდრემ, არ მოახდინა ადგილობრივი წარმოების განვითარება, წარმოების სისტემაში არსებული შეზღუდვების (გილდიების

შემზღუდველი საქმიანობა, კვალიფიციური მუშახელის ნაკლებობა და ესპანური ელიტის თვითკმაყოფილება) გამო.
ამერიკიდან მიღებულმა შემოსავლებმა გაზარდეს ესპანეთის მსყიდველობითი უნარი, მაგრამ საბოლოო ჯამში ხელი შეუწყვეს ინგლისის, საფრანგეთის, ჰოლანდიისა და დანარჩენი ევროპის განვითარებას. ამასობაში, ესპანეთის მოჩვენებითმა კეთილდღეობამ წაახალისა ხელისუფლების მილიტარისტული პოლიტიკა, რაც დიდძალ თანხებს საჭიროებდა და დიდ ტვირთად აწვებოდა ხაზინას. მე-17 საუკუნეში, როდესაც საკუთარი კოლონიებიდან მიღებულმა შემოსავლებმა მნიშვნელოვნად იკლო (ნაწილობრივ, საბადოების გამოფიტვის გამო), ეკონომიკის იმპულსი გაქრა და სუსტად განვითარებული მეწარმეობა აღმოჩნდა გაბერილი ბიუროკრატიისა და დიდძალი ეროვნული ვალის პირისპირ.

იტალია

იტალიის დაღმასვლა უფრო რთული პროცესი იყო და დაიწყო მე-15 საუკუნის ბოლოს, როდესაც 50 წლის მანძილზე ჩრდილოეთ იტალია იქცა საომარ ველად ესპანეთის, საფრანგეთისა და გერმანიის ჯარებისთვის, რამაც გამოიწვია შიმშილი და ეპიდემიები და ძლიერ დააზარალა ვაჭრობა. მე-16 საუკუნის ბოლოს, მოთხოვნის საერთაშორისო ბუმმა გამოიწვია იტალიის ეკონომიკური აღმავლობა, თუმცა ეს წინსვლა ეფუძნებოდა ორგანიზაციის ტრადიციულ მეთოდებს, როდესაც კონკურენცია და ინოვაციები იზღუდებოდა გაძლიერებული ამქრების მიერ. 1610-1630 წლებში რამდენიმე გარე ფაქტორმა გამოიწვია იტალიის მთავარი ბაზრების კოლაფსი, ეს იყო: ესპანეთის ეკონომიკური დაცემა, გერმანულ სახელმწიფოებში მიმდინარე ომები და ოსმალეთის იმპერიის პოლიტიკური დესტაბილიზაცია. იმავე დროს, იტალიის ბევრმა კონკურენტმა შეძლო იტალიური იმპორტის ჩანაცვლება ადგილობრივი პროდუქციით. ამ მომენტიდან, ქვეყანაში სავაჭრო კაპიტალიზმის განვითარება შეჩერდა. იტალიელი მეწარმეები, რომლებსაც არ შეეძლოთ, ან არ სურდათ ინოვაციების დანერგვა და პროდუქტიულობის გაზრდა, აღარ ახორციელებდნენ ინვესტიციებს წარმოებასა და გადაზიდვებში. მე-17 საუკუნის ბოლოს, იტალია ახორციელებდა წარმოებული საქონლის იმპორტს ინგლისიდან, საფრანგეთიდან და ჰოლანდიიდან და სასოფლო-სამეურნეო საქონლის (ზეთი, ხორბალი, ღვინო და მატყლი) ექსპორტს, რომლისთვისაც ვაჭრობის პირობები არახელსაყრელი იყო. ამრიგად, უცხოური ვაჭრობა ქვეყნის განვითარებისთვის ხელის შემშლელ ფაქტორად იქცა.

ნიდერლანდები

მე-17 საუკუნის ნიდერლანდების ეკონომიკური სასწაული ეფუძნებოდა ვაჭრობისა და წარმოების მყარ პლატფორმას. ჰოლანდიის ქალაქები (განსაკუთრებით ამსტერდამი) აწარმოებდნენ რეექსპორტს ჩრდილოეთ ევროპისთვის. სწორედ ჰოლანდიის ქალაქები იქცნენ წარმოების ცენტრებად. შედეგად, ნიდერლანდებს აღმოაჩნდათ საკმარისი რესურსები ესპანეთის იმპერიის წინააღმდეგ წარმატებული აჯანყების მოსაწყობად და პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად 1609 წელს.
რამდენიმე ფაქტორის კომბინაციამ მისცა საშუალება ნი დერლანდებს ყოფილიყო მსოფლიო ეკონომიკის ლიდერი შემდგომი 150 წლის მანძილზე.

პირველი ფაქტორი იყო ჰოლანდიის ინსტიტუტების თანამედროვეობა: შემზღუდველი გილდიების სიმცირე, მიწათმფლბელთა მცირე რაოდენობა და შედარებით სუსტი ეკლესია ესპანელების წასვლის შემდეგ. მეორე ფაქტორი გახლდათ მერკანტილისტური პოლიტიკის აქტიურად გატარება, რაც მდგომარეობდა აგრესიულ კოლონიალიზმში და კონკურენტების მიმართ უკომპრომისობაში. მაგალითად, ჰოლანდიელებმა დაბლოკეს ანტვერპენის ზღვაზე გასასვლელი 1585-1795 წლებში და ხელში ჩაიგდეს მისი ვაჭრობა და ქსოვილების წარმოება. ნიდერლანდებს ჰქონდა მაღალგანვითარებული და ინოვაციური გემთმშენებლობის ინდუსტრია, რომლის წარმოების მოცულობა აღემატებოდა დანარჩენი ევროპისას. და ბოლოს, ჰოლანდიელებმა დიდი სარგებელი ნახეს ესპანეთის ფლანდრიიდან და ვალონიიდან (ბელგია) კვალიფიციური ხელოსნების, ვაჭრების, ფინანსისტებისა და მეზღვაურების მიგრაციისგან, რომლებიც გაურბოდნენ ესპანელების ფანატიზმსა და შეუწყნარებლობას.

ინგლისი

მე-15 საუკუნის ბოლოს, ინგლისი იყო ჩამორჩენილი ქვეყანა შედარებით მცირერიცხოვანი მოსახლეობით (5 მილიონი. შედარებისთვის: საფრანგეთი 15 მლნ., იტალია 11 მლნ., ესპანეთი 7 მლნ.) და სუსტად განვითარებული ეკონომიკით. ერთადერთი კონკურენტული უპირატესობა ინგლისს გააჩნდა მაუდის წარმოებაში. ინგლისის ეკონომიკაში პირველი გარღვევა მოხდა მე-16 საუკუნის პირველ ნახევარში, როდესაც გამუდმებული ომების შედეგად მოხდა იტალიის წარმოებისა და ვაჭრობის კოლაფსი, ხოლო ინგლისმა მნიშვნელოვნად გაზარდა მაუდის ექსპორტი. ეს აღმავლობა დროებით შეჩერდა მე-16 საუკუნის შუაში იტალიური საფეიქრო მრეწველობის აღორძინებით და ნიდერლანდებსა და ესპანეთს შორის ომით, რომელმაც შეაფერხა ინგლისური ექსპორტი.

ამ დროისთვის, ინგლისს უკვე გააჩნდა ძლიერი ეკონომიკური და ექსპანსიონისტური ამბიციები და მერკანტილისტური ფილოსოფია. ჰოლანდიელების მსგავსად, ინგლისელებმაც ისარგებლეს ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობით, ტრანსოკეანური ვაჭრობის კუთხით და რელიგიურ ჩაგვრას გამოქცეული კვალიფიციური მუშახელის მიგრაციით საფრანგეთიდან და სხვა ქვეყნებიდან. მათ ასევე განავითარეს ძლიერი სამხედრო და სავაჭრო ფლოტი კოლონიალური ექსპანსიის განსახორციელებლად. ინოვაციებმა და იმპორტის ჩანაცვლებამ დიდი როლი ითამაშა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში და ნიდერლანდებთან წარმატებულ მეტოქეობაში. 1540-იან წლებში რკინის არტილერიის განვითარებამ საშუალება მისცა ინგლისელებს აღეჭურვათ თავიანთი სავაჭრო და სამხედრო გემები უფრო ეფექტიანად და შედარებით მცირე დანახარჯებით. ქვანახშირის მიერ ხე-ტყის შემცირებული რესურსების ჩანაცვლებამ, არა მხოლოდ აარიდა ინგლისი ენერგეტიკულ კრიზისს, არამედ ხელი შეუწყო გადამუშავების ახალი ხერხების განვითარებას. „რკინასა და ქვანახშირზე კონცენტრაციამ, საშუალება მისცა ინგლისს ინდუსტრიული რევოლუციის გზას დადგომოდა“ (Cipolla, 1981: 290).

დასკვნა

ამ ეტაპზე უმჯობესი იქნება მიმოვიხილოთ ძირითადი ორგანიზაციული პრინციპები, რომლებიც განაპირობებდნენ ეკონომიკის განვითარებას ინდუსტრიულ რევოლუციამდე. აღსანიშნავია ინოვაციების მნიშვნელობა ტექნოლოგიებსა და ბიზნესის ორგანიზაციაში (თუმცა ინოვაციური პროცესი ამ ეტაპზე ნელა მიმდინარეობდა და გაუმჯობესებები თანდათანობით ხდებოდა, განსხვავებით ინდუსტრიული ეპოქისგან, რომელსაც ახასიათებდა ტექნოლოგიური ცვლილებების სწრაფი ტემპი).

ინსტიტუციური და სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების მნიშვნელობა დიდი იყო. მაგალითად, ჩინეთის ცენტრალიზებული იმპერიული სისტემის შეზღუდვები, რომლებმაც ჩინეთის ეკონომიკის განვითარებას შეუშალეს ხელი და მეორეს მხრივ, ევროპული სახელმწიფოების როლი მერკანტილისტური პოლიტიკის გატარებაში. ჩვენ აგრეთვე უნდა აღვნიშნოთ დემოგრაფიული ცვლილებებისა და ეკონომიკურ განვითარების ურთიერთქმედება და მუდმივი სწრაფვა ტერიტორიული ექსპანსიისკენ, გამოწვეული შემცირებული შემოსავლების/ კლებადი უკუგების (Law od diminishing returns) კანონით. ამასთან ერთად, ჩვენ შეგვიძლია გამოვყოთ სივრცითი-ეკონომიკური ორგანიზაციის ახალი განზომილებები:

- ნამდვილი მსოფლიო ეკონომიკის წარმოშობა, გრძელ მანძილზე ურთიერთქმედებითა და შრომის სივრცითი დანაწილების კომპლექსურობით.
- მსოფლიო ეკონომიკის განვითარების უთანასწორობა. ზოგიერთი სექტორი, ქვეყანა, რეგიონი და კომუნიკაციების ქსელი სხვებზე უფრო სწრაფად ვითარდებოდა.
- მსოფლიო ეკონომიკის შიგნით, სპეციალიზაციის მოდელმა და ეკონომიკური ურთიერთქმედების ხასიათმა გამოიწვია ქვეყნების და რეგიონების სამ კატეგორიად დაყოფა: 1) *ცენტრალური რეგიონები*, სადაც განვითარებული იყო სოფლის მეურნეობა და მასობრივი ბაზრის მრეწველობები (მაგ.: გემთმშენებლობა, ქსოვილების წარმოება), ვაჭრობა ადგილობრივი ბურჟუაზიის ხელში იყო. 2) *პერიფერია* – ხასიათდებოდა მონოკულტურის მოყვანით და დიდ პლანტაციებზე იძულებითი შრომით. 3) *ნახევრად-პერიფერია* – გამოირჩეოდა დეინდუსტრიალიზაციის პროცესით, თუმცა ინარჩუნებდა სპეციალიზებული სამრეწველო წარმოების მნიშვნელოვან წილს და ფინანსურ კონტროლს.
- ევროპული ეკონომიკის სივრცითი ორგანიზაცია ემყარებოდა ცენრალური რეგიონების კლასტერებს ჩრდილო-დასავლეთ ევროპაში: სამხრეთ-აღმოსავლეთ ინგლისი, ჰოლანდია, ბალტის ზღვის აუზის ქვეყნები, რაინისა და ელბასპირა მიწები გერმანიაში, ფლანდრია (ბელგია) და ჩრდილოეთ საფრანგეთი. პერიფერიას წარმოადგენდა: ჩრდილოეთ სკანდინავია, შოტლანდია, უელსი, ირლანდია, აღმოსავლეთ ევროპა და ოკეანისგაღმა კოლონიები. ნახევრად-პერიფერია მოიცავდა ხმელთაშუაზღვის ქრისტიანულ მიწებს, რომლებიც სავაჭრო კაპიტალიზმის ეპოქაში ევროპის ცენტრს წარმოადგენდნენ.
- ევროპული ტიპის მსოფლიო ეკონომიკამ შექმნა დასახლებებისა და ურბანიზაციის გამორჩეული მოდელი. სავაჭრო კაპიტალიზმის დროს

გაძლიერდა დასახლებების იერარქიული სისტემა და განვითარდა ცენტრალური ადგილების სისტემა (central place system). ოკეანის გაღმა ტერიტორიულმა ექსპანსიამ, სავაჭრო კაპიტალიზმთან ერთად წარმოშვა საქალაქო ლანდშაფტი. ჯონსტონი (Jonston, 1980: 74) ამას შემდეგნაირად აღგვიწერს: „მერკანტილური კვლევების პირველ ეტაპზე მუდმივი დასახლებები იქმნება საჭირო პროდუქტების (თევზი, ხე-ტყე, ბეწვეული) მოპოვების მიზნით. მოგვიანებით კოლონიაში სახლდებიან მიწათმოქმედები, რომლებსაც მიაქვთ პროდუქცია კოლონიურ პორტში, საიდანაც იგი იგზავნება მშობლიური ქვეყნის პორტში, რომლის სტატუსი და სიმდიდრე მატულობს ქვეყნის შიდა რაიონებთან შედარებით. კოლონიის პორტიც ფართოვდება, რკინიგზა ხდება მთავარი სატრანსპორტო არტერია. მშობლიური ქვეყნის პორტის ირგვლივ მდებარე დასახლებებიც დიდ სარგებელს იღებენ იმპორტის გაზრდით და ახალი გარე პორტი შენდება უფრო დიდი მოცულობის ვაჭრობის მომსახურების მიზნით“.

ევროპული ტიპის მსოფლიო ეკონომიკის პირობებში წარმოიქმნა სივრცითი ცვლილების სამი მნიშვნელოვანი მექანიზმი:

1. ვაჭრების მიერ ინვესტიციების გადატანა იმ რეგიონში, რომელსაც შედარებითი უპირატესობა (ტექნოლოგიური ინოვაციები, ინსტიტუციური ცვლილებები, ვალუტის სიმყარე და სხვა) გააჩნია.
2. იმპორტის ჩანაცვლება. საზოგადოებები, რომლებსაც პერიოდულად შეუძლიათ მიაღწიონ იმპორტის ჩანაცვლებას სარგებლობენ ეკონომიკურ განვითარების შემდეგი ასპექტებით: დიდი ბაზრები, ახალი იმპორტისა და ინოვაციებისთვის; უფრო მრავალფეროვანი და ფართო დასაქმების ბაზა; სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის ზრდა ახალი ტექნოლოგიების გამოყენების შედეგად; ქალაქების კაპიტალის ზრდა.
3. მილიტარიზმი და გეოპოლიტიკური ცვლილებები.

თავი 5. ინდუსტრიული ცენტრალური რეგიონების ევოლუცია

მე-18 საუკუნის მეორე ნახევრიდან დაწყებულმა ინდუსტრიულმა რევოლუციამ განსაზღვრა მსოფლიო ეკონომიკის განვითარების გზები. დღეს, მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე პროცესები წარმოადგენენ ინდუსტრიული ეპოქის პროდუქტს. ამ თავში ჩვენ განვიხილავთ ინდუსტრიული ცენტრალური რეგიონების ეკონომიკური გეოგრაფიის ევოლუციას. გავაანალიზებთ იმ პროცესებს, რომლებიც თან ახლავს ქვეყნებისა და რეგიონების აღმავლობას და დაქვეითებას ინდუსტრიული ცენტრალური რეგიონების შიგნით.

5.1 ინდუსტრიული რევოლუცია და ტერიტორიულ/სივრცითი ცვლილებები

საყოველთაოდ მიღებულია, რომ ინდუსტრიული რევოლუცია (1750-1850 წლები) წარმოადგენდა რევოლუციას წარმოების ორგანიზაციასა და ტექნოლოგიებში და ეფუძნებოდა მთელ რიგ ინოვაციებს წარმოების (მაგ.: კარტრაიტის საქსოვი დაზგა (1787)), ტრანსპორტირებისა და საინჟინრო (განსაკუთრებით არხების სისტემები და სარკინიგზო ქსელები) სფეროებში. მაგრამ, ტექნოლოგიური წინსვლა ნაწილი იყო უფრო ფართო ეკონომიკური, სოციალური და

პოლიტიკური ცვლილებებისა, რომლებიც სათავეს იღებენ რენესანსის და განმანათლებლობის ხანაში.
„1800 წლამდე, ცხოვრების დონე მსოფლიო ეკონომიკაში რჩებოდა უცვლელი დიდი დროის მანძილზე: შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე, შრომის ნაყოფიერება და მოხმარება არ იზრდებოდა. თანამედროვე ინდუსტრიული ეკონომიკები კი უპრეცენდენტო და როგორც ჩანს მუდმივ ზრდას განიცდიან ცხოვრების სტანდარტებში“ (ჰანსენი და პრესკოტი; 2002: 1202).
ტექნოლოგიური წინსვლისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო სავაჭრო კაპიტალიზმის შიგნით მეწარმეების მიერ კაპიტალისტური წესით ორგანიზებული მეწარმეობის განვითარება, სადაც გამოიყენებოდა დაქირავებული შრომა და წარმოებული საქონელი განკუთვნილი იყო რეგიონალურ და ეროვნულ ბაზარზე გასაყიდად. ვაჭრობის გზით დაგროვებული კაპიტალი საშუალებას აძლევდა მეწარმეებს მოეხდინათ ინვესტირება მაღალპროდუქტიულ ტექნოლოგიებში, რომლებმაც განაპირობეს ინდუსტრიული რევოლუცია.
მექანიზირებული წარმოება და ქარხნების ორგანიზაციული მოწყობა გახდა ინდუსტრიალიზაციის მთავარი მახასიათებელი. მათ გამოიწვიეს პროდუქტიულობის მკვეთრი ზრდა, რაც მიღწეულ იქნა სპეციალიზაციისა (შრომის კონვეიერული დანაწილება) და შიდა მასშტაბის ეკონომიის მეშვეობით.
როგორც სავაჭრო კაპიტალიზმი მანამდე, ასევე ინდუსტრიული კაპიტალიზმიც წააწყდა ორმაგ წინაღობას: ბაზრის გაჯერებას პროდუქციით და შემცირებული შემოსავლების კანონს. ამის საპასუხოდ მეწარმეებმა შეიმუშავეს მთელი რიგი სტრატეგიებისა:

- შიდა და გარე მასშტაბის ეკონომიის გამოყენების ახალი გზების ძიება
- უფრო იაფი შრომის, ნედლეულისა და ენერგიის წყაროების გამოყენება
- არსებული პროდუქციისთვის გასაღების ახალ ბაზრებზე შეღწევა
- ახალი პროდუქტების გამოჩენა ახალი გამოგონებების (მაგ.: ვიდეო, კომპიუტერი), ან იმ საქმიანობების კომოდიფიკაციის მეშვეობით, რომლებიც მანამდე როგორც წესი სახლში ხორციელდებოდა (მაგ.: საკვების მომზადება)
- პროფკავშირებსა და მთავრობას შორის ურთიერთობების ფორმალიზება სტაბილური სამუშაო გარემოს (ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური) ჩამოყალიბებისთვის

აღსანიშნავია ის განსხვავებები, რომლებიც წარმოიქმნა ძირითად ინდუსტრიულ რეგიონებს შორის, რომლის მიზეზი იყო განსხვავებები არა მხოლოდ რესურსების სიმდიდრესა და ეკონომიკური განვითარების მოდელებში, არამედ ინდუსტრიული ცვლილებების ქრონოლოგიაშიც.

5.2 მანქანური წარმოება (machinofacture) და ინდუსტრიალიზაციის გავრცელება ევროპაში

ინდუსტრიული რევოლუცია შედგებოდა რამდენიმე ფაზისაგან, რომლებმაც სხვადასხვა ხარისხის ეფექტი მოახდინეს სხვადასხვა რეგიონებსა და ქვეყნებზე.
ამ რეგიონულმა განსხვავებულობამ კაპიტალიზმის ბუნებაზეც მოახდინა გავლენა. ამ ცვლილებების მთავარი ასპექი იყო კაპიტალიზმის პირობებში წარმოქმნილი ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და კულტურული

ურთიერთობები, რომლებთანაც მჭიდრო კავშირშია აკუმულაციის რეჟიმების ცნება, ანუ წარმოების, მოხმარებისა და შემოსავლების განაწილების ურთიერთდაკავშრებული კომპლექსები, რომლებიც ეფუძნება კაპიტალისტური წარმოებისა და ფირმების ორგანიზაციის წესებს. აკუმულაციის რეჟიმები წარმოიქმნა წარმოების, ტრანსპორტირებისა და კომუნიკაციების ახალი ტექნოლოგიების განვითარების საპასუხოდ. თითოეულ აკუმულაციის რეჟიმს გააჩნია სპეციფიური რეგულაციის მოდელი, ანუ ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობებისა და ინსტიტუციების ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს აკუმულაციის რეჟიმებს სათანადო მენეჯმენტითა (მაგ.: მონეტარული და სახელფასო რეგულაციები, სახელმწიფოსა და ბიზნესის ურთიერთობის წესები, სავაჭრო რეგულაციები) და ტექნოლოგიებით. რეგულაციის მოდელებს აქვთ ოთხი ძირითადი ფუნქცია:

1. მონეტარული სისტემებისა და ფინანსური მექანიზმების რეგულირება
2. ხელფასებისა და კოლექტიური გარიგებების რეგულირება
3. კონკურენციისთვის ხელშეწყობა (ან ზოგჯერ მისი შეზღუდვა) და კერძო სექტორსა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობების მოწესრიგება
4. სახელმწიფოს როლის დადგენა სხვადასხვა სივრცობრივ მასშტაბებში

ევროპაში ინდუსტრიალიზაცია სამ ტალღად განხორციელდა, თითოეული მათგანი რამდენიმე ფაზისგან შედგებოდა და ძლიერ ლოკალიზებული იყო გავლენის ხარისხის თვალსაზრისით. პირველი ტალღის დროს შეიქმნა ინდუსტრიული რევოლუციის პირველი ტექნოლოგიური სისტემები, დაფუძნებული რკინის და ბამბის ქსოვილის ტექნოლოგიებზე, წყლის ძალის გამოყენებაზე, მაგისტრალურ არხებსა და გზებზე. პირველი ტალღის გავლენა არაერთგვაროვანი გახლდათ, როგორც პოლარდი აღნიშნავს: „ინდუსტრიული რევოლუცია რეგიონული ფენომენი იყო“ (1981: 14).

ინდუსტრიალიზაციის პირველი ტალღის დაწყებამდე ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ის რეალური ზრდა თითქმის ნულის ტოლი იყო 1000 წლის განმავლობაში. ინგლისში რეალური ხელფასი დაახლოებით ერთ დონეზე იყო 1300-დან 1800 წლამდე. ინდუსტრიალიზაციამდე მოსახლეობის ზრდის დონე სტაბილურად ნული პროცენტის ირგვლივ მერყეობდა, რაც ასახავდა ტექნოლოგიური ცვლილებების დაბალ ტემპებს (სურათი: 5.1).

სურათი: 5.1 პროდუქციის ზრდა დასავლეთ ევროპაში 500-1990წწ



Fig 5.1: Output growth in western Europe, 500–1990

ინდუსტრიალიზაციის პირველი ტალღა: ბრიტანეთი

ინდუსტრიალიზაციის პირველი ტალღა დაიწყო ბრიტანეთში დახლოებით 1760 წლიდან და შედგებოდა „პროტო-ინდუსტრიალიზაციის" რამდენიმე ადგილობრივი რეგიონისგან, სადაც მრეწველობა სახელფასო შრომას ემყარებოდა და არსებობდა ყველაზე მოწინავე ინდუსტრიული პროცესები. აღნიშნულ სამრეწველო საქმიანობას ლოკალიზაციის მაღალი ხარისხი გააჩნდა, რადგან მას სჭირდებოდა მინერალურ რესურსებთან და არხების სისტემასთან ახლოს ყოფნა.

„პროტო-ინდუსტრიალიზაციის" ეს რეგიონები გახდნენ ბრიტანეთის ინდუსტრიული განვითარების პირველი ტალღის პირველი ფაზის საფუძველი (1760-1890 წლები). თითეულ ამ რეგიონს ჰქონდა საკუთარი ბიზნესის ტრანსაქცები და სამრეწველო სტილი, ანუ აკუმულაციის რეჟიმი და რეგულაციის მოდელი. კაპიტალის დიდი ნაწილის მოზიდვა ხორციელდებოდა ადგილობრივ დონეზე, სამუშაო ძალას ქირაობდნენ ჰინტერლანდიდან და მეწარმეები ერთიანდებოდნენ რეგიონულ კარტელებში. მეორე ფაზა მოიცავდა 1790-დან 1820 წლამდე პერიოდს, რომლის დროსაც ქვანახშირის საბადოებით მდიდარმა რეგიონებმა პოზიციები კიდევ უფრო გაიმყარეს, ასევე წარმოიქმნენ ახალი ინდუსტრიული რეგიონები. მესამე ფაზა გრძელდებოდა 1820-დან 1850 წლებამდე და ხასიათდებოდა სარკინიგზო ქსელის სწრაფი განვითარებით. ამან მართალია არ წარმოქმნა ახალი ინდუსტრიული რეგიონები, მაგრამ გამოიწვია უკვე არსებულის გასაღების ბაზრების გაფართოება. ბრიტანეთის სულ უფრო მეტი ტერიტორია მოიცვა ინდუსტრიულმა კაპიტალიზმმა.

ინდუსტრიალიზაციის მეორე ტალღა: ახალი ტექნოლოგიების სისტემა და აკუმულაციის ახალი რეჟიმები

ამ პერიოდიდან ინდუსტრიალიზაციამ დაიწყო გავრცელება კონტინენტურ ევროპაში. წარმოიქმნა მეორე ტექნოლოგიური სისტემა, რომელიც ეფუძნებოდა ქვანახშირს, ლითონს, მძიმე მრეწველობას, ორთქლის ძალას და რკინიგზას. მათი გამოყენება ნიშნავდა: 1) ახალი რესურსების ექსპლუატაციას. 2) შრომის ახალი წესების შემუშავებას (დაქირავებული შრომის ნორმების გავრცელება). 3) ახალი კორპორატიული სტრუქტურების განვითარებას (დიდი, შეზღუდული

პასუხისმგებლობის ფირმები, რომლებსაც არა რეგიონული, არამედ სახელმწიფო მასშტაბები ჰქონდათ). 4) ახალ ურთიერობებს მთავრობასა და ბიზნესებს შორის (მრეწველობის სტრატეგიული დარგების რეგულირებისა და მათში ჩადებული სახელმწიფო ინვესტიციების ზრდა).

კონტინენტურ ევროპაში მომხდარი ინდუსტრიალიზაცია (მსგავსად ბრიტანეთისა) ეფუძნებოდა პროტო-ინდუსტრიულ რეგიონებს. თავდაპირველად, 1850 წლიდან ინდუსტრიალიზაცია შეეხო სამბრე-მეზის რეგიონს (ბელგია) და შელდის დაბლობს (ბელგია, საფრანგეთი). ამის შემდეგ იგი გავრცელდა აახენის მიმდებარე ტერიტორიაზე და რურის ოლქში (გერმანია), ელზასში, ნორმანდიასა და ზემო ლუარის დაბლობში (საფრანგეთი), ბაზელსა და გლარუსს შორის მდებარე ინდუსტრიულ უბანში (შვეიცარია).

ტექნოლოგიებში თავდაპირველი უპირატესობა, რომელიც მიიღო ბრიტანულმა მრეწველობამ თავის კონკურენტებზე კონტინენტურ ევროპაში ნიშნავდა, რომ ბრიტანეთი მსოფლიო ბაზარზე დომინანტი ძალა იქნებოდა. მას ასევე გააჩნდა ბუნებრივი, გეოგრაფიული უპირატესობები: მრავალრიცხოვანი მოსახლეობა, ხელსაყრელი პირობები ინტენსიური სოფლის მეურნეობისთვის, მდიდარი მინერალური რესურსები, მ.შ. ქვანახშირი. კონტინენტური ევროპის ბრიტანეთთან შედარებით არახელსაყრელი მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა რევოლუციებმა, მოგვიანებით კი ნაპოლეონის ომებმა მე-18 საუკუნის ბოლოსა და მე-19-ის დასაწყისში. ამ კონფლიქტებმა შეაფერხა წარმოება და სამრეწველო ექსპანსია.

ამავე დროს, კონტინენტური სახელმწიფოების ინდუსტრიალიზაცია არ ხდებოდა ცდებისა და შეცდომების მეთოდის გზით, რადგან ისინი პირდაპირ იზიარებდნენ ბრიტანელთა გამოცდილებას და ითვისებდნენ მათ ტექნოლოგიებს.

თანდათანობით იზრდებოდა სხვაობა ინდუსტრიალიზებულ რეგიონებსა და იმ ტერიტორიებს შორის, რომლებსაც იგი ჯერ არ შეხებოდა და რომლებიც 1875 წლისთვის ევროპის უდიდეს ნაწილს შეადგენდნენ (სურათი: 5.2), მაგრამ მათი უმეტესობა ინკორპორირებულ იქნა ინდუსტრიალიზაციის მესამე ტალღაში 1870-1914 წლებში.

სურათი: 5.2 ევროპა 1875 წელს



Fig 5.2: Europe in 1875
Source: Adapted from Pollard (1981: xv, Map 2)

ინდუსტრიალიზაციის მესამე ტალღა: „შუა/ცენტრალური (intermediate) ევროპა“

ინდუსტრიალიზაციის მესამე ტალღამ მოიცვა „შუა (**intermediate**) ევროპა“ - ბრიტანეთის, საფრანგეთის, ბელგიისა და გერმანიის ის ნაწილები, რომლებსაც არ განუცდიათ პირველი ორი ტალღის ზემოქმედება, ასევე ჰოლანდია, სამხრეთ სკანდინავია, ჩრდილოეთ იტალია, აღმოსავლეთ ავსტრია და კატალონია ესპანეთში. ამ დროისთვის მთელი ევროპის რეორგანიზება ხდებოდა მესამე ტექნოლოგიური სისტემის კარნახით, რომელიც ეფუძნებოდა ორთქლმავლებს, მსოფლიო გადაზიდვებს, შიდაწვის ძრავას, მძიმე ქიმიკატებსა და მძიმე მრეწველობას.

“შუა/ცენტრალური (**intermediate**) ევროპის” რეგიონებში ინდუსტრიალიზაციის პროცესის განმასხვავებელი ნიშანი იყო კაპიტალის ნაკლებობა, რომელიც უნდა გამხდარიყო საფუძველი ინდუსტრიალიზაციისთვის. ამიტომ საჭირო იყო იმაზე ათჯერ მეტი რაოდენობის კაპიტალის მოზიდვა ვიდრე პირველი ტალღის დროს. ამან და ტექნოლოგიებისა და მასთან დაკავშირებული მომსახურების განვითარებამ ხელი შეუწყო სახელმწიფოს პასუხისმგებლობისა და როლის ზრდას ეკონომიკურ პროცესებში.

პერიფერიული ევროპა

დასავლეთ ევროპის დანარჩენი ტერიტორია – პირენეის ნახევარკუნძულის დიდი ნაწილი, ჩრდილოეთ სკანდინავია, ირლანდია, სამხრეთ იტალია, ბალკანეთი და აღმოსავლეთ ევროპა, რომლებსაც პოლარდმა უწოდა „გარე პერიფერია“ - დარჩა ინდუსტრიული კაპიტალიზმის მიღმა. ინდუსტრიალიზაციამ ამ რეგიონებში შეაღწია შემდეგი 50 წლის განმავლობაში.

ამ რეგიონების პერიფერიულობის ერთ-ერთი მიზეზი გახლდათ ის, რომ მეწარმეები და მთავრობები იღებდნენ იმავე ტექნოლოგიებს, როგორებიც ჰქონდათ თავდაპირველად ინდუსტრიალიზებულ რეგიონებს ძალზედ განსხვავებული ეკონომიკურ-გეოგრაფიული გარემოს მიუხედავად. ამის მაგალითია სარკინიგზო სისტემები, რომლებმაც მოახდინეს ინდუსტრიული განვითარების ინტეგრირება და მაღალი მომგებიანობის მიღწევა მგზავრებისა და დიდი მოცულობის ტვირთების (ქვანახშირი, მადანი, ხორბალი) რეგულარული გადაზიდვების მეშვეობით. რკინიგზის გაყვანა რეგიონებში, სადაც არ იყო არც ინდუსტრიული ბაზა და არც მოსახლეობის მაღალი სიმჭიდროვე (მაგ.: ირლანდია, სამხრეთ იტალია, აღმოსავლეთ ევროპა) დიდ ფინანსურ დანაკარგებს იწვევდა. მთავრობების უმეტესობა მაინც მიდიოდა ამგვარ ხარჯებზე პოლიტიკური მიზანშეწონილობის გამო, თუმცა ამას მოჰყვა არა ინდუსტრიული განვითარების სტიმულირება, არამედ ამ რეგიონების სასოფლო-სამეურნეო სპეციალიზაციის გაზრდა.

მეორე მიზეზი პერიფერიულობისა გახლდათ ქალაქების განვითარების განსხვავებული ხასიათი ინდუსტრიულ ქვეყნებთან შედარებით. ბრიტანეთში, „შიდა(**inner**)“ და „შუა/ ცენტრალურ(**intermediate)”** ევროპაში საქალაქო და ინდუსტრიული განვითარება სიმბიოზურად მიმდინარეობდა, ქალაქი იყო კაპიტალის, სამუშაო ძალის, სატრანსპორტო სისტემებზე ხელმისაწვდომობის წყარო და გასაღების ბაზარი. პერიფერიულ ევროპაში აღნიშნული პროცესების ეფექტი განსხვავებული იყო დიდწილად მათი ელიტების დამოკიდებულების გამო: „რკინიგზები გაჰყავდათ სამეფო სასახლეებთან, წყლისა და გაზის სადენების მეშვეობით კი მარაგდებოდნენ მხოლოდ პრივილეგირებული კლასები ..., ქალაქი გახდა კარიბჭე უცხოეთიდან შემოსული ახალი ტექნოლოგიებისთვის, რომლებიც ვრცელდებოდნენ ნეაპოლიდან, მადრიდიდან, ბუდაპეშტიდან, ან სანკტ პეტერბურგიდან და სპობდნენ ადგილობრივ მრეწველობას, როგორც არამოდურს“ (პოლარდი, 1981: 212). შედეგად ქალაქები არა თუ ხელს უწყობდნენ, არამედ აფერხებდნენ ინდუსტრიულ განვითარებას.

წარმოების გადაადგილება (dislocation) და დეპრესია

მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში ევროპის განვითარება შეფერხდა პირველი და მეორე მსოფლიო ომების შედეგად. პირველმა მსოფლიო ომმა დიდი ნგრევა გამოიწვია, დაიღუპა 50-60 მილიონი ადამიანი, ზოგმა ქვეყანამ დაკარგა 10-15% სამუშაო ძალისა. მატერიალურმა დანაკარგებმა გამოიწვიეს ეკონომიკური ზრდის ძლიერი შეფერხება. ომი რომ არ ყოფილიყო, ევროპაში 1929 წელს წარმოებული საქონლის მოცულობის დონე, მიღწეული იქნებოდა უკვე 1921 წელს.

ეკონომიკური დისლოკაცია ევროპაში უფრო ინტენსიური გახდა ომის რამდენიმე არაპირდაპირი შედეგის გამო, რომლებიდანაც ორი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია:

1. ევროპის წარმოების შედარებითი დაქვეითება დანარჩენ მსოფლიოსთან მიმართებით. 1913 წელს ევროპის წილი მსოფლიო წარმოებაში შეადგენდა 43%-ს, ხოლო მსოფლიო ვაჭრობაში 59%-ს. 1923 წლისთვის ეს მაჩვენებლები დაეცა შესაბამისად 34% და 50%-მდე. ამ პერიოდში განსაკუთრებით განვითარდა აშშ-სა და იაპონიის წარმოება და

ლათინური ამერიკისა და ბრიტანეთის დომინიონების პირველადი სექტორი.

2. ევროპის პოლიტიკური რუკის ცვლილება. შეიქმნა 38 ეკონომიკური ერთეული, ნაცვლად 26-ისა; 27 ვალუტა, ნაცვლად 14-ისა და დამატებით 20 000 კილომეტრი საზღვრებისა. ამ ცვლილებების შედეგად მოხდა ეკონომიკური ცხოვრების დისლოკაცია, განსაკუთრებით აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში: საზღვრებმა დააშორეს მუშები - ქარხნებს, ქარხნები - მათ ბაზრებს, ქალაქები – საკვების მომწოდებლებს. სატრანსპორტო სისტემა რთულად შეეწყო ახალ პოლიტიკურ საზღვრებს.

როდესაც ევროპის ეკონომიკებმა ადაპტირება მოახდინეს ამ გადაადგილებებთან, 1929-35 წლების სტაგფლაციის კრიზისმა, ანუ დიდმა დეპრესიამ გამოიწვია ეკონომიკური ზიანისა და რეორგანიზაციის მომდევნო ფაზა ევროპაში. დიდი დეპრესიის მიერ გამოწვეული ზიანი სხვადასხვაგვარი იყო ეკონომიკის სხვადასხვა სექტორსა და რეგიონებში.

ამასობაში ხდებოდა ევროპის ეკონომიკის დეინტეგრაცია, რადგან ქვეყნები ცდილობდნენ დაეცვათ საკუთარი მრეწველობა იმპორტზე ქვოტების დაწესებით, ვალუტის მანიპულაციებით და ა.შ. ამის შედეგი იყო ვაჭრობის მნიშვნელოვანი შემცირება.

მეორე მსოფლიო ომი და ეკონომიკური აღმასვლა

მეორე მსოფლიო ომმა ასევე გამოიწვია უდიდესი ნგრევა და განადგურება. ევროპაში დაიღუპა 42 მილიონი ადამიანი. ომამდელ მაჩვენებელთან შედარებით საფრანგეთში ცხოვრების დონე დაეცა 50%-ით, ხოლო საწარმოო აქტივები შემცირდა 8%-ით. ბრიტანეთმა დაკარგა საწარმოო აქტივების 18%, საბჭოთა კავშირმა 25%. გერმანიის საწარმოო აქტივები შემცირდა 13%, ხოლო ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალი 25%-ით.

აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპის ომის შემდგომმა პოლიტიკურმა გახლეჩილობამ („რკინის ფარდის“ ჩამოშვებამ საბჭოთა კავშირის გავლენის ქვეშ მყოფ სახელმწიფოებზე) მოახდინა ევროპის ეკონომიკური გაყოფა, თუმცა ამ ფაქტმა ასევე გამოიწვია სწრაფი ეკონომიკური აღმავლობა დასავლეთ ევროპაში: აშშ-ს მიაჩნდა, რომ სიღარიბე და ეკონომიკური ქაოსი კომუნიზმის გავრცელების საშიშროებას ქმნიდა და ამიტომ დაიწყო მძლავრი ეკონომიკური პროგრამის განხორციელება, რომელსაც „მარშალის გეგმა“ ეწოდა. 1950-იანი წლების დასაწყისში ევროპის უმეტეს ნაწილში ცხოვრების დონემ გადააჭარბა ომამდელისას. 1960-იანი წლების დასაწყისში, კი ევროპის ცენტრალურ ბანკებს შეეძლოთ აშშ დოლარის მხარდაჭერა როცა ეს საჭირო გახდებოდა.

ცხრილი 5.1 ეკონომიკის ზრდის ტემპები ევროპაში



Fig 5.3: Core and periphery in Europe

Source: Based on data in Eurostat (2007)

5.3 სურათზე ნაჩვენებია უთანასწორობა ევროპის რეგიონების განვითარების ხარისხში და ნათლადაა ასახული დასავლეთ ევროპის განვითარების მაღალი დონე აღმოსავლეთ ევროპასთან შედარებით. სიმდიდრე გამოისახება ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ის ღირებულებით, მსყიდველობითი უნარის პარიტეტის (მუპ) გათვალისწინებით და შედარებულია ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელთან.

5.3 ფორდიზმი და ჩრდილოეთ ამერიკის ინდუსტრიალიზაცია

ჩრდილოეთ ამერიკის გადაქცევა მსოფლიო ეკონომიკის წამყვან ძალად გამოწვეული იყო შემდეგი მიზეზებით:

- მდიდარი ბუნებრივი რესურსები და მიწის დიდი ფართობი.
- დიდი და მიგრაციის შედეგად სწრაფად მზარდი ბაზარი და სამუშაო ძალა.
- ვრცელი ტერიტორიის გამო ხელსაყრელი პირობების არსებობა გიგანტური კორპორაციების წარმოქმნისთვის, რომლებსაც შეეძლოთ გამოკვლევებისათვის დიდი თანხების გამოყოფა. ეს კი ხელს უწყობდა ინოვაციური პროცესების ინსტიტუციონალიზაციის ევროპისთვის ხელმიუწვდომელი ხარისხის მიღწევას.

ჩრდილოეთ ამერიკაში სივრცითი ორგანიზაციის ახალი მოდელები წარმოიქმნა შემდეგი ფაქტორების ურთიერთქმედების შედეგად: რესურსების გეოგრაფია, ახალი ტექნოლოგიები და მოსახლეობის მოძრაობა.

„ტექნოლოგიურმა განვითარებამ გამოიწვია ცვლილებები ცალკეული რესურსების მნიშვნელობაში, რომლებზეც იყო დამოკიდებული კონკრეტული ქალაქების ზრდის პროცესი. დიდი მიგრაციები მიზნად ისახავდნენ ჯერაც აუთვისებელი რესურსების (წყალი, ქვანახშირი, თუთია და სხვა) ექსპლუატირებას, რაც დიდწილად ტექნოლოგიური ინოვაციების მეშვეობით ხორციელდებოდა“ (Borchert, 1967: 324).

ამერიკის ეკონომიკის განვითარებამ ასახვა ჰპოვა ურბანიზაციის შეცვლილ მოდელში. როდესაც ევროპაში დაიწყო ინდუსტრიალიზაციის პირველი ტალღა, ჩრდილოეთ ამერიკის ეკონომიკა დამოკიდებული იყო ატლანტის ოკეანის პორტებზე. თითოეული პორტი აკონტროლებდა შეზღუდულ ჰინტერლანდს, რომელთა ეკონომიკაში დომინანტი პოზიციები ეკავა ევროპაში ექსპორტისთვის განკუთვნილ სასოფლო სამეურნეო პროდუქციის წარმოებას და ევროპიდან იმპორტირებული საწარმოო საქონლის მოხმარებას. მე-18 საუკუნის ბოლოდან ჩრდილოეთ ამერიკის ეკონომიკამ დაიწყო გამოსვლა ამ დაქვემდებარებული მდგომარეობიდან და 100 წელიწადში გახდა მსოფლიო ეკონომიკის ლიდერი.

ამ მეტამორფოზის მთავარი ფაქტორი გახდა აშშ-ის პოლიტიკური დამოუკიდებლობა, მოპოვებული 1783 წელს, რამაც დააჩქარა ეკონომიკური განვითარება რამდენიმე კუთხით:

1. ბრიტანეთისგან დამოუკიდებლობამ და ფედერალური სისტემის პირობებში პოლიტიკურმა ინტეგრაციამ მოახდინა ძველი კოლონიური სისტემის კომპონენტებს შორის ეკონომიკური კავშირების გაბმის სტიმულირება.
2. დამოუკიდებლობა ნიშნავდა, რომ ინვესტიციების გაცილებით დიდი ნაწილი ფინანსდებოდა ამერიკული კაპიტალის მიერ და შემოსავლის მცირე ნაწილი ბრუნდებოდა უკან, ევროპაში.
3. დამოუკიდებლობის შემდეგ სწრაფად გაიზარდა სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა, რადგან თითოეულმა საგრაფომ და შტატის დედაქალაქმა განავითარა საკუთარი დემოკრატიული ინსტიტუტები.
4. ახალი ქვეყნის ტერიტორიულმა ექსპანსიამ ჩამოაყალიბა მდიდარი რესურსების ბაზა.

ამ პერიოდის საქალაქო და ეკონომიკური განვითარება შეზღუდული იყო პრიმიტიული სატრანსპორტო სისტემით. მხოლოდ 1840-იანი წლებიდან, ინდუსტრიული კაპიტალიზმის მეორე ტექნოლოგიური სისტემის (ქვანახშირი, ფოლადი, ორთქლი, რკინიგზა) გავრცელების შემდეგ დაჩქარდა ამერიკის ინდუსტრიალიზაცია.

ჩანართი: ამერიკის საწარმოო/სამრეწველო სარტყლის განვითარება

აშშ-ის ინდუსტრიალიზაციის დაჩქარება 1840-იან წლებში გამოწვეული იყო ინოვაციური ტექნოლოგიებისა და ევროპიდან შემოსული სამრეწველო და კომერციული ორგანიზაციის ახალი მეთოდების დანერგვით. ამასთან ერთად, მსოფლიოში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე მოთხოვნის ზრდამ დაჩქარა ინდუსტრიული კაპიტალიზმის განვითარება, რადგან ფერმერები პროდუქტიულობას ზრდიდნენ მექანიზაციის საშუალებით. მწარმოებლურობის

ზრდამ უზრუნველყო დიდი რაოდენობის ევროპელი მიგრანტების შენახვა, რომლებიც საქმდებოდნენ მრეწველობის სექტორში ჩრდილოეთ ამერიკის ქალაქებში.

სარკინიგზო სისტემის განვითარებამ შეასრულა მთავარი როლი ახალი ეკონომიკური წესრიგის დამყარებაში. სარკინიგზო ქსელებმა ეკონომიკურ სისტემას კონტინენტური მასშტაბები შესძინეს. 1869 წელს დასრულდა პირველი ტრანსკონტინენტური სარკინიგზო ხაზის მშენებლობა. რკინიგზა გახდა კატალიზატორი რეგიონული ეკონომიკების ერთიან, კონტინენტურ ეკონომიკად გადაქცევაში, რომელიც მსოფლიო ეკონომიკური სისტემის წამყვანი კომპონენტი გახდა.

სატრანსპორტო ქსელის გაუმჯობესებამ ხელი შეუწყო ჩრდილო-დასავლეთში (სადაც ძლიერი კონკურენცია იყო რკინიგზასა და წყლის ტრანსპორტს, ასევე სხვადასხვა ქალაქებს შორის) რეგიონული ვაჭრობის ზრდას, რამაც საფუძველი ჩაუყარა საწარმოო სარტყლის განვითარებას.

საწარმოო სარტყლის გადაქცევა კონტინენტის ეკონომიკურ ცენტრად იყო შედეგი თავდაპირველი უპირატესობისა. მას გააჩნდა დიდი ბაზარი, განვითარებული სატრანსპორტო ქსელი, ქვანახშირის მარაგი. ეს იყო იდეალური ადგილი ინდუსტრიული ტექნოლოგიების მიღწევების ასათვისებლად. ამან გამოიწვია ორგვარი შედეგი:

1. პირველი გახლდათ ცალკეული ქალაქების სპეციალიზაცია, როდესაც მწარმოებლებს შეეძლოთ არა მხოლოდ რეგიონულ, არამედ ეროვნულ ბაზარზე გასვლა: მუსიკალური ინსტრუმენტებისა და ტანსაცმლის წარმოება იყო ბოსტონის სპეციალიზაცია; ავეჯის დამზადება, ბეჭდვა და გამომცემლობა – ჩიკაგოსი; საფეიქრო წარმოება – ფილადელფიის და ა.შ.

საერთო ჯამში საწარმოო სარტყელი სამ სეგმენტად დაიყო: ბალტიმორის, ბოსტონისა და ნიუ იორკის პორტებში დომინირებდა სამომხმარებლო საქონლის წარმოება; ფილადელფიასა და კლივლენდს შორის კი ნახევარფაბრიკატების წარმოება; ხოლო სარტყლის დასავლეთ ნაწილში მდებარეობდნენ ნაკლებად სპეციალიზებული, უმეტესად სამომხმარებლო საქონლის წარმოებაზე ორიენტირებული ქალაქები (სურათი 5.4).

სურათი 5.4 ამერიკის სამრეწველო სარტყელი



Fig 5.4: American manufacturing belt in 1919 (after Conzen, 1981: 340, Figure 9.13)
Source: Based on Knox et al. (1988: 117, Figure 5.1)

2. სპეციალიზაცია გახდა საფუძველი ქალაქებს შორის საქონლის გაცვლისა, რამაც ერთმანეთს შეაკავშირა საწარმოო სარტყელის ეს ქალაქები. ამ კავშირებმა წარმოშვეს დამატებითი (multiplier) ეფექტები საბითუმო ვაჭრობის, ტრანსპორტის, საწყობების, ფინანსების მეშვეობით და ამით წაახალისეს რეგიონის ინდუსტრიული განვითარება და შედარებითი უპირატესობის ზრდა. შედეგად, საწარმოო სარტყელს დიდი შესაძლებლობები გააჩნდა ახალი ინდუსტრიული საქმიანობების მოსაზიდად, რითაც საგრძნობლად ამცირებდა ქვეყნის სხვა რეგიონების შანსებს მიეღწიათ ინდუსტრიული განვითარების მსგავსი დონისთვის.
ეს არ ნიშნავს იმას, რომ სხვა რეგიონებს არ განუცდიათ ინდუსტრიალიზაცია, უბრალოდ მისი მასშტაბები და ინტენსივობა იყო განსხვავებული. რეგიონებს, რომლებიც მოგვიანებით განვითარდნენ ადგილობრივ ბაზარზე ორიენტირებული წარმოებები გააჩნდათ და იშვიათად გადიოდნენ ეროვნულ ბაზარზე.

ფორდიზმი, ტეილორიზმი და რეგიონული ეკონომიკური ცვლილებები
საავტომობილო და საჰაერო ტრანსპორტის განვითარებამ და ელექტრონული კომუნიკაციების გაუმჯობესებამ გამოიწვია ეკონომიკის ეფექტიურობის და ბიზნესებისა და რეგიონების უპრეცენდენტო ინტეგრაცია. 1920-იან წლებში დადგა „ახალი ეკონომიკური ხანა“ და ლიბერალური რეაქციები ინდუსტრიალიზმზე, რითაც ხასიათდებოდა პირველ მსოფლიო ომამდე არსებული „პროგრესული ხანა“, სწრაფად ჩაანაცვლეს კონსუმერიზმმა და ბუსტერიზმმა.

მეტროპოლიებში მდებარე დიდმა კომპანიებმა ყველაზე მეტი სარგებელი ნახეს ეკონომიკის ეფექტურობის ზრდისაგან. მათ დანერგეს ეკონომიკური ორგანიზაციის ახალი პრინციპები, რომლებიც ეფუძნებოდნენ შრომის უფრო მკვეთრ დანაწილებას, კონვეირული ტიპის წარმოებასა და „სამეცნიერო“ მენეჯმენტს, რომელიც ასევე ცნობილია, როგორც „ტეილორიზმი“. ეფექტურობისა და პროდუქტიულობის ზრდა იძლეოდა საქონლის მასობრივი წარმოების საშუალებას დაბალ ფასებში, მასობრივი ბაზრებისთვის. მასობრივი წარმოებისა და მასობრივი მოხმარების კომბინაციას ეწოდა აკუმულაციის ფორდისტული რეჟიმი, ავტომობილების მწარმოებელი ჰენრი ფორდის მიხედვით, რომელმაც დიდი როლი ითამაშა ამ ცვლილებების განხორციელებაში.

აკუმულაციის ეს ახალი რეჟიმი მოითხოვდა კიდევ უფრო დიდი კომპანიების არსებობას. კომპანიების შერწყმის ტალღამ სწრაფად შეცვალა ეკონომიკის სტრუქტურა, რაც გამოიხატა მცირე რაოდენობის საკმაოდ მძლავრი კორპორაციების არსებობაში. 1920 წლისთვის აშშ-ში სამუშაო ადგილების 30% და წარმოების 50% იყო კონცნტრირებული ფირმების მხოლოდ ერთ პროცენტში: „მთელი ქვეყნის მასშტაბით ტერიტორიული ერთეულები კარგავდნენ კონტროლს ადგილობრივ წარმოებაზე. პოლიტიკური ძალაუფლება ტერიტორიული ინტეგრაციის ეროვნულ დონეზე იყო კონცენტრირებული, რომელიც წარმატებულად ზღუდავდა უმეტესი ბიზნესების საქმიანობას“ (Friedman and Weawer, 1979: 22).

„ახალ ეკონომიკურ ხანასთან“ დაკავშირებულმა აკუმულაციის ახალმა რეჟიმმა სერიოზული პრობლემები გამოიწვია. მექანიზებული სოფლის მეურნეობა დიდი რაოდენობით ჭარბ პროდუქტს აწარმოებდა, რამაც გამოიწვია საქონელზე ფასის დაცემა, ხოლო ინდუსტრიული ბაზრები არასტაბილური გახდა მრავალი ჰოლდინგის შექმნის გამო. 1929 წლის ოქტომბერში მოხდა საფონდო ბირჟის კოლაფსი, რამაც გამოიწვია „დიდი დეპრესია“, რომლის შედეგადაც მილიონობით მუშამ დაკარგა სამუშაო. შრომის რეგიონული დანაწილების გამო, რომელიც წარმოიშვა წინა 50 წლის განმავლობაში, ზოგიერთ რეგიონში განსაკუთრებით მკვეთრად იჩინა თავი სოციალურ-ეკონომიკურმა პრობლემებმა. ამის პოლიტიკური პასუხი იყო „ახალი კურსი“, როდესაც სახელმწიფომ გაცილებით უფრო დიდი პასუხისმგებლობა აიღო ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფაში. ამას მოყვა კეინსიანიზმის ეკონომიკური თეორიის ჩამოყალიბება (ბრიტანელი ეკონომისტის, ჯონ მეინარდ კეინსის მიხედვით). აღნიშნულ პროცესებში ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ მნიშვნელოვანი ცვლილებები რეგულაციის მოდელში, რომელიც დაკავშირებულია აკუმულაციის ფორდისტულ რეჟიმთან, ეკონომიკური პოლიტიკის ყურადღებამ მიწოდების მხარის რეგულირებიდან, გადაინაცვლა მოთხოვნის მხარის მენეჯმენტზე.

მაშინ როცა 1939 წელს ევროპაში ომი დაიწყო, ჩრდილოეთ ამერიკის ეკონომიკა დაჩქარებული ზრდის ფაზაში შევიდა. ომის შემდეგ აშშ-სა და კანადას უფრო ძლიერი და ეფექტური ეკონომიკა გააჩნდათ, ისინი აკონტროლებდნენ ახალ საერთაშორისო ბაზრებს. აშშ, როგორც კაპიტალისტური სამყაროს ლიდერი, მსოფლიოს კარნახობდა თამაშის პირობებს „მარშალის გეგმის“, „ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების“ ორგანიზაციის (რომელიც შეიქმნა მარშალის გეგმის ფარგლებში, ევროპის რეკონსტრუქციისთვის საჭირო დახმარებების ადმინისტრირებისთვის) კონტროლის და „ბრეტონ-ვუდსის“

შეთანხმების (რომლითაც დაწესდა საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ახალი მოდელი) მეშვეობით. 1960 წლისთვის მთლიანი ეროვნული პროდუქტი (მეპ) ერთ სულ მოსახლეზე შეადგენდა 2513 აშშ დოლარს ამერიკაში, 1909 – კანადაში, 1678 – შვედეთში, 1259 – ბრიტანეთში, 1200 – გერმანიაში, 1193 – საფრანგეთში და 421 – იაპონიაში.

5.4 იაპონიის ინდუსტრიალიზაცია: ორი ეკონომიკური სასწაული

იაპონიის ეკონომიკური აღმავლობა და ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკასთან ერთად თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის ცენტრის შექმნა უდიდეს მიღწევას წარმოადგენს ამ ქვეყნისთვის და მნიშვნელოვან კითხვებს ბადებს როგორც ეკონომიკური ორგანიზაციის თეორიისა და რეალობის, ასევე სივრცითი ცვლილებების თვალსაზრისით. მთავარი კითხვაა, როგორ შეძლო რესურსებით ღარიბმა ქვეყანამ მოეხდინა წარმატებული ინდუსტრიალიზაცია, რაც ვერ შეძლეს რესურსებით მდიდარმა აზიისა და ლათინური ამერიკის რეგიონებმა.
პასუხი მდგომარეობს შემდეგში, მართალია იაპონიის ეკონომიკა მე-19 საუკუნემდე ფეოდალური წესით იყო ორგანიზებული, იგი მაინც ინარჩუნებდა ავტონომიურობას. მასზე არ მოუხდენია გავლენა ცენტრალური რეგიონების კაპიტალიზმს. ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმისკენ გადასვლა იყო წინასწარგანზრახული მცდელობა პოლიტიკური და ეკონომიკური ავტონომიის შენარჩუნებისა. მართალია იაპონია არ იქცა პოლიტიკურად და ეკონომიკურად დამორჩილებულ ქვეყნად, ინდუსტრიალიზაციისკენ მიმავალ გზაზე მაინც არსებობდა სერიოზული წინაღობა სხვა ცენტრალური რეგიონების მიერ უკვე შეძენილი, ინდუსტრიული განვითარებისთვის აუცილებელი ტექნოლოგიების, ინფრასტრუქტურისა და კაპიტალის სახით. ეს კი ბადებს მეორე შეკითხვას: როგორ იქნა დაძლეული ეს წინაღობა? პასუხი მდგომარეობს პროტო-ინდუსტრიული ბაზის არსებობაში, ასევე სამხედრო აგრესიის, საგარეო ბაზრების იაფი პროდუქციით გავსების და დასავლური ტექნოლოგიების კოპირების სტრატეგიაში, ყველაფერი ეს მიღწეულ იქნა ავტორიტარული მმართველობის, ძლიერი ექსპლუატაციისა და მკვეთრი რეგიონული უთანასწორობების გზით.

პირველი სასწაული: ფეოდალიზმიდან ინდუსტრიული კაპიტალიზმისკენ

იაპონიის გადასვლა ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმისკენ დაიწყო 1868 წელს, როდესაც ტოკუგავას ფეოდალური რეჟიმი დაემხო და აღდგა იმპერიული მმართველობა. 200 წლის მანძილზე, მაშინ როცა ევროპაში ვითარდებოდა ინდუსტრიული სისტემა, ტოკუგავას რეჟიმი ცდილობდა შეენარჩუნებინა იაპონიის ტრადიციული საზოგადოება: არ იღებდნენ მისიონერებს, აიკრძალა ქრისტიანობა, 50 ტონაზე მძიმე გემების მშენებლობა არ იყო ნებადართული, იაპონური პორტები დაკეტილი იყო უცხოური გემებისთვის (ნაგასაკი ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენდა) და კომერციული საქმიანობა იდევნებოდა. ფეოდალური იერარქიის სათავეში იმყოფებოდნენ არისტოკრატია (სიოგუნატი), ბარონები (დაიმიო) და მეომრები (სამურაი). ფერმერები და ხელოსნები წარმოადგენდნენ ექსპლუატირებულ ფენას, ვაჭრები კი, სოციალური საფეხურების მიღმა მყოფებს და მხოლოდ მეძავებზე მაღლა იდგნენ.

სივრცითი ორგანიზაციის მხრივ, ეკონომიკა გამაგრებული ქალაქების, ანუ ადგილობრივ სიოგუნთა ადმინისტრაციული ცენტრების ირგვლივ ვითარდებოდა. ყველაზე დიდი ქალაქები, რომლებიც მომავალი ეკონომიკური ზრდის ფუნდამენტს წარმოადგენდნენ, შეიქმნა სამხრეთ ჰონსიუს ნაყოფიერ სასოფლო-სამეურნეო მიწებზე. ამ ქალაქების იერარქიის სათავეში იყო ედო (რომელსაც ამჟამად ტოკიო ეწოდება), რომელიც ტოკუგავას რეჟიმმა საკუთარ დედაქალაქად აქცია. ტოკიოში დიდი რაოდენობის ჯარისკაცების, ბიუროკრატიისა და არისტოკრატიის არსებობის შედეგად მოსახლეობამ მე-19 საუკუნის დასაწყისში მილიონს გადააჭარბა. შემდეგ მოდიოდა კიოტო და ოსაკა 300 დან 500 ათასამდე მაცხოვრებლით.

ამ ზომის ქალაქებში შეუძლებელი იყო მეწარმეობის ჩახშობა და ტრადიციული პოლიტიკურ-ეკონომიკური სისტემის შენარჩუნება. ისევე, როგორც ფეოდალურ ევროპაში, სულ უფრო დიდი რაოდენობის გლეხობა სახლდებოდა ქალაქებში, სადაც შედარებით მეტი თავისუფლება და კეთილდღეობა იყო. ქალაქები წარმოების მნიშვნელოვან ცენტრებად იქცნენ, რაც გახდა იაპონიის შემდგომი განვითარების საფუძველი. ხანგრძლივი მშვიდობიანობის გამო სამურაების სამხედრო გავლენა შემცირდა, რამაც უბიძგა მათ ჩართულიყვნენ სამეწარმეო საქმიანობაში.

მე-19 საუკუნის დასაწყისში იაპონია კრიზისმა მოიცვა. შიმშილობასა და გლეხთა აჯანყებებს ემატებოდა მმართველთა მხოლოდ საკუთარ თავზე ზრუნვა და დანარჩენი მოსახლეობის საჭიროებების იგნორირება. 1853 წელს აშშ-ის ადმირალი პერი შევიდა ედოს ყურეში, რათა დაერწმუნებინა სიუგუნატი გაეხსნა იაპონიის პორტები ამერიკისა და სხვა ქვეყნებისთვის. ამ ნეოკოლონისტურმა საფრთხემ გაამძაფრა ქვეყანაში ნაციონალიზმი და ქსენოფობია და გამოიწვია სამოქალაქო ომი. შედეგად, 1868 წელს მოხდა მეიძის იმპერიული დინასტიის რესტავრაცია არისტოკრატთა ჯგუფის მიერ, რომლებსაც მიაჩნდათ, რომ იაპონიის ინდუსტრიალიზაცია აუცილებელი იყო ეროვნული დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად.

ახალი სლოგანით, „ეროვნული კეთილდღეობა და სამხედრო სიძლიერე“, ყოფილ მეომართა ახალმა ელიტამ დაიწყო იაპონიის სწრაფი მოდერნიზება. ამ პროცესში სახელმწიფო უდიდეს როლს თამაშობდა. მთავრობა ხელს უწყობდა კაპიტალისტური მონოპოლიების წარმოქმნას. მრეწველობები სახელმწიფო ფონდების დაფინანსებით იქმნებოდა და შემდეგ კერძო საწარმოებზე იყიდებოდა მათ თვითღირებულებაზე იაფად. რადგან ადრეული ინდუსტრიალიზაცია ძლიერ იყო დაკავშირებული ეროვნული უსაფრთხოების საკითხებითან, იაპონიის მოდერნიზაციის საწყისი ფაზა ხასიათდებოდა რკინის, ფოლადის, გემთმშენებლობისა და იარაღების მიმართ განსაკუთრებული აქცენტით. უახლეს ტექნოლოგიებს ყიდულობდნენ საზღვარგარეთიდან, უცხოელ მრჩევლებს (ძირითადად ბრიტანელებს) ქვეყნის განვითარების საწყისი ეტაპის ზედამხედველობას ავალებდნენ. სახელმწიფომ დიდი ხარჯები გასწია გზებისა და პორტების ინფრასტრუქტურის მშენებლობაზე, საბანკო და განათლების სისტემებზე. რკინიგზაც სახელმწიფოს მიერ ფინანსდებოდა, ვიდრე მისი პრივატიზება არ მოხდა.

მოდერნიზაციის დაფინანსება ხდებოდა სოფლის მეურნეობის სექტორზე დაწესებული მაღალი გადასახადებით. ამას მოჰყვა ქალაქისა და სოფლის

ეკონომიკების პოლარიზაცია და გლეხების გაღატაკება. თუმცა აგრარულმა სექტორმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა იაპონიის ეკონომიკის ზრდაში, რადგან გაუმჯობესებული ტექნოლოგიების საშუალებით ხდებოდა ბრინჯის წარმოების ყოველწლიური ზრდა საშუალოდ 2%-ით, მე-19 საუკუნის ბოლო მეოთხედში და მე-20 საუკუნის დასაწყისში, რითაც შესაძლებელი გახდა მზარდი სამრეწველო სექტორის, სამუშაო ძალისა და სამრეწველო საქონლის ბაზრების უწყვეტი მომარაგება.

სხვა ფაქტორებიდან, რომლებმაც გამოიწვიეს იაპონიის ინდუსტრიალიზაცია აღსანიშნავია: 1) კულტურული ტრადიციები, რომლებიც ავალდებულებდნენ მოსახლეობას დამორჩილებოდნენ ხელისუფლების ნებას. 2) წარმატებული განათლების რეფორმა. სასკოლო ასაკის ბავშვების 95% იღებდა ზოგად განათლებას 1905 წლისთვის. 3) იაპონური აბრეშუმის ექსპორტი, რომლისგან მიღებული შემოსავლებით 1870-დან 1930 წლამდე დაფინანსდა მანქანა-დანადგარებისა და ნედლეულის იმპორტის 40%. 4) ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი გახლდათ სამხედრო აგრესია. საზღვაო გამარჯვებებმა ჩინეთსა (1894-95) და რუსეთზე (1904-05), აგრეთვე კორეის ანექსიამ (1910) გამოიწვიეს იაპონური საქონლისთვის გასაღების ბაზრების გაფართოება აზიაში, დიდი კონტრიბუციების დაწესება დამარცხებულებზე (რამაც დაფარა დაპყრობების ხარჯები) და მოახდინეს იარაღის წარმოების, გემთმშენებლობის და ინდუსტრიული განვითარების სტიმულირება.

1900 წლისთვის იაპონიაში უკვე იყო განვითარებული მრეწველობის მრავალი დარგი. ექსპორტის დიდი ნაწილი საფეიქრო მრეწველობაზე მოდიოდა. იაპონიას არ შეეძლო დასავლეთის ქვეყნებთან მეტოქეობა ხარისხიანი საფეიქრო ნაწარმის დამზადებაში, ამიტომ კონცენტრირება მოხდა იაფი საქონლის წარმოებაზე, რომელიც კონკურენციას უწევდა ევროპულ საქონელს აზიაში. ეს წარმატება მიღწეულ იქნა მაღალი პროდუქტიულობითა და დაბალი ხელფასებით, რომლის შენარჩუნება ხდებოდა პირადი მსხვერპლის გაღებით ეროვნული დამოუკიდებლობის მიზნისთვის და ხელისუფლების მიერ მუშათა გამოსვლების ჩახშობით.

იაპონიის წინსვლა

პირველი მსოფლიო ომის პერიოდში იაპონია გახდა საფეიქრო ნაწარმის, იარაღისა და სამრეწველო საქონლის ერთ-ერთი მთავარი მიმწოდებელი მსოფლიო ბაზარზე. ქვეყნის სავაჭრო გემების ტონაჟი გაორმაგდა. 1919-დან 1929 წლამდე ფოლადის წარმოება, სამშენებლო და საფეიქრო საქმე უფრო მეტად განვითარდა და შეიქმნა საჰაერო და საავტომობილო მრეწველობა. იაპონურმა ინოვაციებმა შეამცირეს დასავლურ ტექნოლოგიებზე დამოკიდებულების ხარისხი, რითაც მოიპოვეს მნიშვნელოვანი კონკურენტული უპირატესობა. ქვეყნის პროგრესი შეჩერდა საფონდო ბაზრის კრახით 1929 წელს, თუმცა სახელმწიფოს ჩარევამ კვლავ გამოიწვია ეკონომიკური წინსვლა. 1931 წელს იენის დევალვაციამ საშუალება მისცა იაპონელ მეწარმეებს, რომ გაეყიდათ საქონელი მსოფლიო ბაზარზე არსებულ ფასებზე იაფად. შეიქმნა ინდუსტრიული რაციონალიზაციის ბიურო ეფექტიურობის გასაზრდელად და ნაკლებად მომგებიანი საქმიანობების გასაუქმებლად.

მიუხედავად იმისა, რომ ამგვარმა ჩარევებმა იაპონიის ინდუსტრიალიზაციის პროცესს ხელი შეუწყო, საბოლოო ჯამში მათ ქვეყანა კრიზისამდე მიიყვანეს. დასავლეთის მთავრობებმა (განსაკუთრებით აშშ-მ) დაიწყეს იაპონური საქონლის შესყიდვის შეზღუდვა. იაპონიაში დევალვაციამ და რაციონალიზაციამ გამოიწვია სოციალური და პოლიტიკური არეულობა. ამის საპასუხოდ მთავრობამ გაზარდა სამხედრო ხარჯები და და უფრო აგრესიული საგარეო პოლიტიკის წარმოება დაიწყო. 1931 წელს იაპონურმა არმიამ მოახდინა მანჯურიის ოკუპაცია. 1936 წელს სამხედრო ფრაქციამ მოიპოვა სრული პოლიტიკური ძალაუფლება და დაიწყო ფართომასშტაბიანი ომი ჩინეთის წინააღმდეგ. 1939 წელს იაპონიამ შეუტია ბრიტანეთის კოლონიებს აღმოსავლეთ აზიაში. 1940 წლისთვის „ქვეყანა იქცა ომებზე ორიენტირებულ ინდუსტრიულ იმპერიად, ამ წელს ეროვნული პროდუქციის 17% ხმარდებოდა ომის საჭიროებებს“ (kornhauser, 1989: 119). იაპონიამ ამ დროისთვის მოიპოვა განვითარებული ინდუსტრიული ქვეყნის სტატუსი. 1941 წელს იგი თავს დაესხა აშშ-ს. იაპონიის დამარცხების შედეგად 1945 წელს, ქვეყნის მრეწველობა ნანგრევებად იქცა. 1946 წელს წარმოებული საქონელი შეადგენდა ომამდელის 30%-ს. აშშ-მ დაიწყო კაპიტალისტური მონოპოლიების ძალაუფლების შესუსტება და ფართო სოციალურ-ეკონომიკური რეფორმების შემოღება, ასევე აპირებდა სადამსჯელო რეპარაციების დაწესებას.

მეორე სასწაული: ომისშემდგომი რეკონსტრუქცია და განვითარება

ხუთი წლის განმავლობაში იაპონიის ეკონომიკამ მიაღწია ომამდელი განვითარების დონეს. 1950-60-იან წლებში ყოველწლიური ეკონომიკური ზრდა შეადგენდა საშუალოდ 10%-ს, მაშინ როცა ჩრდილოეთ ამერიკასა და ევროპაში ეს მაჩვენებელი 2% იყო. იაპონია 1980 წლისთვის პერიფერიიდან გამოვიდა და შეუერთდა სხვა განვითარებულ ქვეყნებს (სურათი: 5.5). მაგალითად: 1980 წელს იაპონიამ გადაასწრო ყველა ინდუსტრიულ სახელმწიფოს გემების, ავტომობილებისა და ტელევიზორების წარმოებაში, ხოლო ფოლადის წარმოებით ჩამორჩებოდა მხოლოდ საბჭოთა კავშირს.

ეს ეკონომიკური სასწაული განაპირობა რამდენიმე ფაქტორმა, რომელთაგანაც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო აშშ-ის პოლიტიკის შეცვლა იაპონიის მიმართ. ჩინეთში კომუნისტური რეჟიმის დამყარებამ (1949), ამერიკას უბიძგა შეეცვალა სადამსჯელო პოზიციები მძლავრი ეკონომიკური დახმარებებით, რათა იაპონია გამხდარიყო კომუნიზმის გავრცელების საწინააღმდეგო ბასტიონი აღმოსავლეთ აზიაში. მას ნება დართეს ჩართულიყო მსოფლიო ეკონომიკაში მისთვის სასურველი პირობებით. მაგალითად, აშშ თვალს ხუჭავდა იაპონიაში არსებულ მაღალ ტარიფებზე, მაშინ როცა მხარს უჭერდა მსოფლიო ეკონომიკას დაფუძნებულს ტარიფების შემცირებასა, ან სულაც გაუქმებაზე. კორეის კონფლიქტმა (1950-53) გაამყარა რწმენა ამგვარი პოლიტიკის სისწორეში და მოახდინა იაპონიის ეკონომიკური განვითარების სტიმულირება ამერიკის მიერ ომის წარმოებაზე გაწეული დანახარჯებით. ქვეყნის განვითარებას ასევე ხელი შეუწყო ომამდე შექმნილმა უპირატესობებმა: მაღალი დონის განათლებამ; მოქნილმა, ერთგულმა და შედარებით იაფმა მუშახელმა; დიდმა ეროვნულმა ბაზარმა განვითარებული შიდა კომუნიკაციებით; ასევე კარგმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ აზიაში ვაჭრობისთვის, წარმოებასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთთანამშრომლობის მაღალმა დონემ და ინდუსტრიული ორგანიზაციის

მოდელმა, რომელიც მსხვილი კორპორაციების არსებობას ეფუძნებოდა. ეს კორპორაციები საკმარისად დიდები იყვნენ, რათა კონკურენცია გაეწიათ დასავლეთ ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის ტრანსნაციონალური კორპორაციებისთვის.

რამდენიმე ახალმა ფაქტორმაც დააჩქარა ქვეყნის ეკონომიკური ზრდა. ესენია:

1. კერძო დანაზოგების მაღალი დონე (შემოსავლების 19,5% 1980 წელს, შედარებისთვის - აშშ-ში მხოლოდ 4,7%).
2. ახალი ტექნოლოგიების შეძენა. 1950 წლიდან 1969 წლის ჩათვლით იაპონიამ შეიძინა 1,5 მილიარდი აშშ დოლარის ღირებულების ტექნოლოგიები, რომელთა განვითარებაზე აშშ-ში ხარჯავდნენ 20 მილიარდ დოლარს ყოველწლიურად. მოგვიანებით, იაპონიის ხარჯებმა კვლევასა და განვითარებაში გადააჭარბა დასავლეთ ევროპის და ჩრდილოეთ ამერიკისას, რითაც დიდი უპირატესობა მიიღო წარმოების ტექნოლოგიებში. იაპონიის ინვესტიციებმა ტექნოლოგიებში შეადგინეს სამრეწველო საქონელბრუნვის (**lindustral turnover)** 6%, მაშინ როცა აშშ-ში ეს მაჩვენებელი 1%-ს აღწევდა. 90-იან წლებში ნელი ეკონომიკური ზრდის მიუხედავად იაპონიის ხარჯები კვლევასა და განვითარებაში (მშპ-ის 3,13%) უფრო მაღალი იყო ვიდრე დასავლეთ ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში 2004 წლის მონაცემებით (მაგ.: ბრიტანეთში – 1,88%, გერმანიაში – 2,49%, აშშ-ში – 2,69%, კანადაში – 1,99%) და გაცილებით მაღალი ვიდრე ევროკავშირის (1,81%) და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრი ქვეყნების (2,2%) საშუალო მაჩვენებელი (OECD, 2006).
3. სახელმწიფოს მხარდაჭერის ახალი საშუალებები. ერთის მხრივ მკაცრმა სატარიფო ბარიერებმა დაიცვა ადგილობრივი ბაზარი უცხოური კონკურენციისგან. მეორეს მხრივ, ქვეყნის მრეწველობის ზრდას ხელი შეუწყო საგადასახადო შეღავათებმა და იაპონიის განვითარების ბანკის მიერ განხორციელებულმა ინვესტიციებმა. ყველაზე მნიშვნელოვანი იყო იაპონიის ეკონომიკის სამინისტროს მიერ ქვეყნის ინდუსტრიული ზრდის მართვა. სამინისტრომ ხელი შეუწყო პოტენციურად მომგებიანი სექტორების განვითარებას (ფოლადი, გემთმშენებლობა, ავტომობილები, ელექტრონიკა, კომპიუტერები) ფინანსური მხარდაჭერის, უცხოური კონკურენციისგან დაცვის, ტექნოლოგიური განვითარების სუბსიდირებისა და კორპორატიული შერწყმების წახალისების გზით. სამინისტრომ ასევე მოახდინა იაპონური კორპორაციების ორგანიზება ბიზნეს ქსელებად (კეირეცუ) და შეიმუშავა მსოფლიო ბაზარზე იაპონური საქონლის წარმატებული კონკურენციისთვის ხელსაყრელი სავაჭრო, ტექნოლოგიური და ფისკალური პოლიტიკა.

მეორე ეკონომიკური სასწაული ღირშესანიშნავია არა მხოლოდ ქვეყნის ეკონომიკური წარმატების თვალსაზრისით, არამედ განვითარების იმ უნიკალური გზით, რომლითაც შესაძლებელი გახდა ეკონომიკური ზრდისა და შემოსავლების განაწილების კომბინირება. რეალური ხელფასები (ანუ მათი მსყიდველუნარიანობა) საგრძნობლად გაიზარდა, შემოსავლების უთანასწორობა შემცირდა მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე დაბალ მაჩვენებლამდე. არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო სახელმწიფოსა და ბიზნესს შორის მჭიდრო

ურთიერთდამოკიდებულება, სოციალური სტაბილურობისა და მენეჯმენტსა და მუშებს შორის თანამშრომლობის უმაღლესი ხარისხი, ხალხის მზადყოფნა ემუშავათ ევროპისა და ამერიკის მოსახლეობაზე გაცილებით მეტი. ყველაფერი ეს წარმოადგენდა იაპონური ნაციონალიზმისა და ქვეყნისადმი ერთგულების გამოვლინებას.

ჩანართი: იაპონიის ინდუსტრიალიზაციის რეგიონული მახასიათებლები (dimensions)

ომისშემდგომმა ინდუსტრიალიზაციამ მნიშვნელოვნად შეცვალა ქვეყნის ეკონომიკური გარემო. ამ ცვლილებების ერთ-ერთ მნიშვნელოვან თავისებურებას წარმოადგენდა დიდი კომპანიების ქალაქების წარმოშობა. მსხვილი ფირმები დომინირებდნენ იმ ქალაქებში, სადაც მათი სათაო ოფისი მდებარეობდა (მაგალითად, ქალაქი ჰიტაჩი).

იაპონიის ომისშემდგომი ინდუსტრიალიზაციის მთავარ ცენტრად იქცა ტოკიოსა და კობეს შორის მდებარე წყნაროკეანური დერეფანი რამდენიმე დიდი პორტის, მრავალრიცხოვანი კვალიფიციური მუშახელისა და მიწის შედარებით დიდი ფართობის გამო. ამ რეგიონს, ასევე უწოდებენ ტოკაიდოს მეგაპოლისს, რომლის წილი იაპონიის მშპ-ში შეადგენს 80%-ს, ხოლო მოსახლეობის რაოდენობა აღწევს 50 მილიონს. ეკონომიკური საქმიანობის ამგვარმა კონცენტრაციამ გამოიწვია სხვა რეგიონების ნაკლებად განვითარება. იაპონიას, ისევე, როგორც ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკას ახასიათებს ცენტრსა და პერიფერიება შორის კონტრასტები. იაპონიის პერიფერიაში გაცილებით ნაკლები ინვესტიციები ხორციელდება და სამუშაო ადგილების რაოდენობაც უფრო შეზღუდულია.

წარმოების მაღალმა ხარჯებმა აიძულეს იაპონური კორპორაციები მათი საქმიანობის ნაწილი გადაეტანათ აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის იმ ქვეყნებში, სადაც წარმოების ხარჯები ნაკლებია და არსებობს მზარდი ბაზრები. ეკონომიკის სამინისტრო შეეცადა კაპიტალისა და ტექნოლოგიების გადინების შეჩერებას ტექნოპოლისის პროგრამების მეშვეობით, რომლებიც მიზნად ისახავდნენ იაპონური კაპიტალის მოზიდვას ადგილობრივ მაღალტექნოლოგიურ მრეწველობებში. მაგრამ ეკონომიკის სამინისტროს აღარ აქვს გავლენა იაპონურ კორპორაციებზე. ეს კორპორაციები უკვე აღარ იღებენ გადაწყვეტილებებს უპირველესად იაპონური ეკონომიკის ინტერესებიდან გამომდინარე.

ურთიერთდამოკიდებულების შემცირება სახელმწიფოსა და მრეწველობას შორის, ხელს უწყობს კავშირების ზრდას იაპონიასა და სხვა რეგიონებს შორის. ეს ასევე ნიშნავს, რომ საკმაოდ რთული ხდება ერთ ფირმაში ცხოვრების ბოლომდე მუშაობის სისტემის შენარჩუნება, რაც ათწლეულების მანძილზე ჩვეულებრივი პრაქტიკა იყო ქვეყნის შრომით ბაზარზე. ხალხის სურვილი იმუშაონ დადგენილზე მეტი საათები და შეიზღუდონ მოხმარება იაპონიის ეკონომიკური განვითარების მიზნებისთვის ასევე შემცირდა. ყველაფერი ეს აისახა ცოტა ხნის წინ მომხდარ ეკონომიკურ და პოლიტიკურ კრიზისებში. ქვეყანაში იცვლება ღირებულებები და ცხოვრების სტილი, ტრადიციული პატრიარქალური და ნაციონალისტური ღირებულებები ნაკლებად მნიშვნელოვანია სიმდიდრეში გაზრდილი თაობებისთვის.

5.5 ორგანიზებული კაპიტალიზმის წარმოშობა

ინდუსტრიული ეკონომიკების განვითარებამ ცენტრალურ ქვეყნებში გამოიწვია რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ და პოლიტიკურ ურთიერთობებში (ანუ ტექნოლოგიურ სისტემებში, აკუმულაციის რეჟიმებსა და რეგულაციის მოდელებში), თითოეული მათგანი აისახა ინდუსტრიული ცენტრალური რეგიონების ქალაქებისა და სოფლების გარემოზე. ამ ცვლილებების ერთობლიობას ეწოდება ორგანიზებული კაპიტალიზმი. მისი ძირითადი მახასიათებელია (Lash and Urry, 1987: 3-4):

1. სამრეწველო, საბანკო და კომერციული კაპიტალის კონცენტრაცია და ცენტრალიზაცია; ბაზრების გაზრდილი რეგულირება; ფინანსებისა და მრეწველობის ურთიერთდაკავშირებულობის გაღრმავება; კარტელების სწრაფი ზრდა
2. მრეწველობის გადაქცევა დომინანტ ეკონომიკურ სექტორად
3. ინდუსტრიული კაპიტალისტური ურთიერთობების კონცენტრაცია მცირე რაოდენობის სახელმწიფოებში
4. იმპერიების გაფართოება და ცენტრალური ეკონომიკების მიერ საზღვარგარეთის ბაზების კონტროლი
5. კომპანიების შიგნით კომპლექსური მენეჯერული იერარქიის კონტროლისგან მესაკუთრეთა ჩამოცილება
6. ახალი მენეჯერული, სამეცნიერო და ტექნოლოგიური ინტელიგენციის წარმოშობა ბიუროკრატიაში დასაქმებული საშუალო კლასისგან
7. „მოდერნიზმის“ გავრცელება, რომელიც წარმოადგენს კულტურულ და იდეოლოგიურ კონფიგურაციას, სადაც განადიდებენ მეცნიერებასა და ტექნიკურ რაციონალიზმს
8. შრომის ბაზარზე პროფკავშირების როლის ზრდა
9. რეგიონული ეკონომიკური სპეციალიზაცია
10. დიდი მეტროპოლიების დომინირება ცალკეულ რეგიონებზე
11. სახელმწიფოების მიერ მეტი სოციალური პასუხისმგებლობის აღება

ორგანიზებული კაპიტალიზმი ყველგან ერთნაირად არ ვითარდებოდა. არსებობს სამი ძირითადი ფაქტორი, რომლებმაც განაპირობეს ამ ცვლილებების დრო და თუ რა ფარგლებში შეეხო იგი ცალკეული ქვეყნების ეკონომიკას:

- პირველია, ისტორიული მონაკვეთი, როდესაც ქვეყანაში იწყება ინდუსტრიალიზაცია: რაც უფრო ადრე ხდებოდა ეს, მით უფრო ნაკლებად იყო კაპიტალიზმი ორგანიზებული, რადგან გვიან ინდუსტრიალიზებულ ქვეყნებს სჭირდებოდათ კაპიტალის ცენტრალიზაციის მაღალი დონე, რათა შეძლებოდათ უკვე ინდუსტრიალიზებულ ეკონომიკებთან კონკურირება.
- მეორე ფაქტორია, რამდენად შენარჩუნდნენ პრეინდუსტრიული ინსტიტუტები კაპიტალიზმის პირობებში: ბრიტანეთი და გერმანია უფრო ძლიერად ორგანიზებული კაპიტალისტური საზოგადოებები იყვნენ, ვიდრე საფრანგეთი და აშშ, რადგან პირველ ორს არ განუცდია ბურჟუაზიული რევოლუცია და შედეგად გილდიები, ვაჭრების, არისტოკრატიის,

უნივერსიტეტებისა და ეკლესიის ერთობა შედარებით ხელშეუხებელი დარჩა (Lash and Urry, 1987: 5).

- მესამეა, ქვეყნის სიდიდე: პატარა ქვეყნების მრეწველობის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით რესურსები უნდა მიმართულიყო შედარებით მცირე რაოდენობის სექტორსა და ფირმებში, რაც ხელს უწყობდა სახელმწიფოებსა და მრეწველობას შორის კოორდინაციის ზრდას.

სახელმწიფოს როლის შეცვლა

შემთხვევითი არ არის, რომ კონკურენტული კაპიტალიზმის და ინდუსტრიული ეკონომიკების განვითარება დაემთხვა თანამედროვე ერი-სახელმწიფოების წარმოშობას. ევროპაში ერი-სახელმწიფოების სისტემამ, რომელიც დინასტიური სამეფოებისა და იმპერიების ადგილზე აღმოცენდა ხელი შეუწყო ინდუსტრიული რევოლუციისთვის აუცილებელი ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ურთიერთობების განვითარებას. ერ-სახელმწიფოებს შორის არსებულმა ძლიერმა კონკურენციამ წაახალისა ტექნოლოგიური ინოვაციები. უნდა აღინიშნოს, რომ ერი-სახელმწიფოების მხოლოდ მცირე ნაწილი წარმოადგენდა ერთგვაროვან კულტურულ და ფილოსოფიურ ერთობას, ამიტომ მათი მშენებლობა დაკავშირებული იყო მრავალი კრიზისისა და კონფლიქტის გადაწყვეტისათვის საჭირო გზების ძიებასთან.

კრიზისების ერთი სერია აღმოცენდა სახელმწიფოთა მიერ მოსახლეობაში ერთიანი იდენტობის გრძნობის გაღვივების მცდელობების დროს. სახელმწიფოები ცდილობდნენ განსხვავებული ხალხებისგან ერის შექმნას, ხოლო საერთო იდენტობის მქონე ხალხი ცდილობდა ავტონომიის მოპოვებას. შედეგად ბევრი ერი-სახელმწიფო ხასიათდებოდა ცენტრსა და პერიფერიას შორის მკვეთრი კონტრასტებით, რაც სოციალურ-პოლიტიკური დაძაბულობის საფრთხეს ზრდიდა.

კრიზისების მეორე წყება წარმოიქმნა კაპიტალიზმისთვის აუცილებელი ორგანიზებულობის მაღალი ხარისხიდან. ინდუსტრიული ცენტრალური რეგიონების განვითარებას მოჰყვა სახელმწიფოს ჩარევის ზრდა სხვადასხვა სფეროებში. თავდაპირველი უპირატესობა, რომელიც მიიღეს ბრიტანელმა მეწარმეებმა ინდუსტრიული რევოლუციის შედეგად, დაარწმუნა სხვა ქვეყნების ბიზნესმენები, რომ თავისუფალი ვაჭრობისგან სარგებელს მხოლოდ დომინანტი ეკონომიკა იღებდა. ამიტომ მთავრობებს უკვე უყურებდნენ, როგორც ადგილობრივი წარმოების დამცველებს იაფი ბრიტანული საქონლისგან, ტარიფებისა და ქვოტების მეშვეობით.

რკინიგზის ქსელის განვითარებას მოყვა სახელმწიფოს ჩართვა ინვესტიციებისა და ინფრასტრუქტურის სფეროში, რკინიგზის ეკონომიკური და სტრატეგიული მნიშვნელობის გამო. საზოგადოებრივი ჯანმრთელობის, სამუშაო პირობების, ბინათმშენებლობისა და სამოქალაქო არეულობის პრობლემებმა, ისევე როგორც ფასების სტაბილურობის შენარჩუნების საჭიროებამ კერძო ბიზნესის ეფექტური მუშაობისთვის და სამუშაო ძალისა და მენეჯმენტის კვალიფიკაციის გაუმჯობესების აუცილებლობამ გამოიწვია სახელმწიფოს ჩარევის და ჩართულობის დონის კიდევ უფრო მომატება. სახელმწიფოს უნარი, მოეხდინა ამ

ხარისხით ჩარევა, დამოკიდებული იყო ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონეზე.

სახელმწიფოს ფუნქციების განვითარება კომპლექსურ ხასიათს ატარებს. შესაძლებელია ორი ძირითადი ტენდენციის გამოყოფა მომხდარი ცვლილებების ხასიათში:

1. სახელმწიფოს ფუნქციების ცენტრალიზაცია, რომლის დროსაც ადგილობრივი და რეგიონული საქმიანობების ცენტრალიზება მოხდა სახელმწიფო ბიუროკრატიის ირგვლივ, რადგან ქვეყნების ხელისუფლებები ცდილობდნენ ადაპტირება მოეხდინათ ეკონომიკური ორგანიზაციის მასშტაბების ცვლილებებთან. ცენტრალური ბიუროკრატიების ძალაუფლების მატებასთან ერთად პოლიტიკოსების ძალაუფლება ადგილობრივ და ცენტრალურ დონეზე შეიზღუდა, რამაც პოლიტიკური ინსტიტუტების ლეგიტიმურობის კრიზისი გამოიწვია. ამის საპასუხოდ მოხდა ძალაუფლების რეგიონებზე დელეგირების მოთხოვნების ზრდა.
2. მთავრობების მიერ მეტი ყურადღება სოციალური სახელმწიფოს მშენებლობის მიმართ. ცენტრალური ქვეყნების უმეტესობაში სახელმწიფო ეკონომიკა (**public economy)** მიმართავს დიდძალ რესურსებს თავდაცვის, განათლების, ჯანდაცვის, ინფრასტრუქტურის, სამრეწველო ინვესტიციების სფეროში და დიდწილად განაპირობებს კერძო ეკონომიკის ფუნქციონირებას ფასების გარანტიების, შრომისა და საგადასახადო კანონმდებლობის და იმპორტზე ტარიფების მეშვეობით. 1970-იან წლებში იტალიის, შვედეთისა და ბრიტანეთის მშპ-ის 50%-ზე მეტი მიმართული იყო საზოგადოებრივ ხარჯებზე. ინდუსტრიული ქვეყნების უმეტესობა უახლოვდება ამ მაჩვენებელს. ამ სახელმწიფოებში აღნიშნული დანახარჯები 1950-იანი წლების მაჩვენებელთან შედარებით ორჯერ გაიზარდა. ეს ტენდენცია გრძელდება 1980-იან და 90-იან წლებში მიმდინარე პრივატიზაციის (სახელმწიფო აქტივების გაყიდვა) მიუხედავად, რომელიც ყველაზე აქტიურად წარიმართა ბრიტანეთში, თუმცა ამ ქვეყანაში საზოგადოებრივი ხარჯები მაინც მაღალი რჩება და შეადგენს მშპ-ს 40%-ს. საზოგადოებრივი ხარჯების წილი განსაკუთრებით დიდია სკანდინავიის ქვეყნებში (შვედეთი 55%, დანია 52%).

public economy –მ სახელმწიფო და კერძო სექტორებს შორის ზღვარი ბუნდოვანი გახადა. ბევრი სახელმწიფო იძულებული გახდა გაეტარებინა რიგი ღონისძიებებისა კერძო კორპორაციების კოლაფსის თავიდან ასაცილებლად (მაგ.: აშშ-ის მთავრობის მცდელობა გადაერჩინა „ლოკჰიდი“ და „კრაისლერი“ 1970-იან წლებში და ავიაკომპანიების „bailout“-ი 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული აქტის შემდეგ). აღსანიშნავია ის, რომ მთავრობები გახდნენ ყველაზე დიდი მომხმარებლები კერძო სექტორის ფირმების მიერ წარმოებული პროდუქციისა. **public economy** –ს გავლენა ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებაზე თანდათანობით იზრდება.

სახელმწიფო ეკონომიკის (public economy) გეოგრაფია

სახელმწიფო სექტორის თითქმის ყველა საქმიანობას გააჩნია გეოგრაფიული გამოხატულება. ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია მისი გავლენა რეგიონული პოლიტიკის დაგეგმვასა და გატარებაზე. ამ პარაგრაფში ჩვენ ყურადღებას

გავამახვილებთ იმ სივრცით გავლენაზე, რომელიც გამომდინარეობს **public economy** –ს სხვადასხვა ასპექტებიდან.

სახელმწიფო ფინანსების (public finance) გეოგრაფია კომპლექსური საგანია და რთულია ამ მხრივ ქვეყნებს შორის შედარებების გაკეთება. თუმცა, შესაძლებელია საქმიანობების ძირითადი კატეგორიების გამოყოფა და მათგან გამოწვეული სივრცითი შედეგების იდენტიფიცირება. ამ კონტექსტში შესაძლებელია სახელმყიფო ხარჯების ოთხი ძირითადი კატეგორიის გამოყოფა:

1. *სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში მომუშავეთა, ჯარისკაცთა, პოლიციელთა, განათლებისა და ჯანდაცვის სფეროს თანამშრომელთა და სახელმწიფო საწარმოში მომუშავეთა ხელფასები.* აღნიშნული ხარჯები კონცენტრირებულია დედაქალაქებში. მაგალითად, ვაშინგტონის ოლქის მოსახლეობის შემოსავლების მესამედი ფედერალური დასაქმებიდან მოდის. საჯარო სექტორში სახელფასო დანახარჯებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინონ საშუალო და პატარა ზომის ქალაქების განვითარებაზე იმ შემთხვევაში თუ იქ ბიუროკრატიული აპარატის ნაწილი განთავსდება (მაგ.: ბრიტანეთის მთავრობის მიერ სოციალური დაცვის სამსახურების ლონდონიდან ნიუკასლში გადატანა).
2. *მოსახლეობის ცალკეულ ჯგუფებზე (მოხუცები, უმუშევრები და სხვა) და მრეწველობის დარგებზე (მაგ.: სოფლის მეურნეობის სუბსიდირება) ტრანსფერების განხორციელება.* ამ ხარჯების გეოგრაფიული ლოკალიზების ხარისხი დამოკიდებულია მოსახლეობისა და მრეწველობის ლოკალიზების დონეზე.
3. *კერძო ფირმებისგან შესყიდვები და ქვეკონტრაქტირება,* რომელიც მოიცავს ობიექტების ფართო სპექტრს: შენობები, გზები, დამბები, სამხედრო აღჭურვილობა, საოფისე მოწყობილობები და სხვა. მათი გავლენა შეიძლება ძლიერ ლოკალიზებული იყოს. თავდაცვის ხარჯები დეტალურად იქნა გამოკვლეული და წარმოადგენს კარგ მაგალითს, იმის გასაგებად, თუ რა ხარისხის გავლენის მოხდენა შეუძლია სახელმწიფო შესყიდვებს. თავდაცვის ხარჯებისგან შექმნილი სამუშაო ადგილები როგორც წესი ძლიერ ლოკალიზებულია (რადგან მხოლოდ მცირე რაოდენობის მსხვილი კორპორაციების ხელშია კონცენტრირებული. მაგ.: „General Dynamics“, „Mcdonnell-Douglas“, „United Technologies“, „Boeing“, „General Electric“, „Lockheed“, „Hughes aircraft“ – აშშ-ში). მისგან გამოწვეულ სივრცით გავლენას არ ახასიათებს მუდმივი ურთიერთქმედება ცენტრი-პერიფერიის მოდელთან და ეკონომიკური გეოგრაფიის მახასიათებლებთან. ბრიტანეთში, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, თავდაცვის ხარჯები 1,25 მილიონ სამუშაო ადგილს ქმნიდნენ (ქვეყანაში დასაქმებულთა 5%) და აფინანსებდნენ კვლევისა და განვითარების ფარგლებში გაწეული სამუშაოების 25%-ს. ამან გაამყარა ბრიტანეთის ეკონომიკის ცენტრი-პერიფერიის სტრუქტურა, ზოგმა რეგიონმა მეტად იხეირა სამუშაო ადგილების შექმნით, ზოგმა კი ნაკლებად. აშშ-შიც აღნიშნულმა ხარჯებმა მსგავსი ეფექტი გამოიწვია, ყველაზე მეტი სარგებელი კალიფორნიის შტატმა ნახა.
4. *ადგილობრივი ხელისუფლების ხარჯები.* ბევრ განვითარებულ ქვეყანაში მათი რაოდენობა უახლოვდება ცენტრალური ხელისუფლების ხარჯებს

(თუმცა ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების ხარჯების დიდი ნაწილის წყაროა ცენტრიდან გაგზავნილი გრანტები და ტრანსფერები). ადგილობრივი მთავრობები ძლიერ განსხვავდებიან ერთმანეთისგან ხარჯების გაწევის რაოდენობით და კატეგორიებით. ეს ასახავს რთულ ურთიერთქმედებას ლოკალურ რესურსებს, მოთხოვნებსა და პოლიტიკურ კლიმატს შორის.

ამ ხარჯების გავლენის შესაფასებლად, ჩვენ უნდა შევადაროთ ისინი გადასახადების გეოგრაფიას: აშშ-ის ფედერალური შემოსავლების 40% საშემოსავლო გადასახადებზე მოდის, 25% - საპენსიო ტრასტების (**pension trust)** გადასახადიდან, 15% - კორპორატიული შემოსავლების დაბეგვრიდან. აქედან გამომდინარე ფედერალური შემოსავლების გეოგრაფია ასახავს ეკონომიკური განვითარების გეოგრაფიას.

საგადასახადო სისტემის სტრუქტურას ახასიათებს არაპირდაპირი გეოგრაფიული შედეგები. ფედერალური საგადასახადო შეღავათები მიზნად ისახავენ ინვესტიციების წახალისებას, ახალ აღჭურვილობასა და მანქანა-დანადგარებში მრეწველობის განვითარების მიზნით, თუმცა შტატებს შორის საგადასახადო განსხვავებები არ წარმოადგენს მნიშვნელოვან ფაქტორს ინდუსტრიული გადაადგილებებისთვის.

მართალია, შეუძლებელია საგადასახადო სისტემის აღნიშნული სტრუქტურული მახასიათებლების ლოკალური ეფექტების გამოთვლა, მაგრამ შესაძლებელია ფედერალურ მთავრობასა და შტატებს შორის მოძრავი ფინანსური ნაკადების მოცულობის შეფასება. ამ მხრივ მნიშვნელოვანი განსხვავებებია შტატებს შორის და არახელსაყრელი მდგომარეობაა საწარმოო სარტყელის და ჩრდილო აღმოსავლეთის შტატებში. ბევრს მიაჩნია, რომ ამას აქვს პოლიტიკური მიზეზები: სამხრეთის შტატებში დემოკრატების ტრადიციულმა დომონირებამ გამოიწვია მათი სენატორების გავლენის ზრდა, მათ შორის ფედერალური ფონდების განკარგვის მიზნით შექმნილ კონგრესის კომიტეტებში, სადაც ხშირად გადაწყვეტილებები მიიღება საარჩევნო მიზნების კარნახით. თუმცა პოლიტიკური და საარჩევნო ფაქტორი არ ახდენს ძლიერ გავლენას ფედერალური ხარჯების გეოგრაფიაზე.

ფედერალური ხარჯებისგან ყველაზე დიდი სარგებელი ნახეს სამხრეთისა და დასავლეთის შტატებმა. კომუნიკაციების, ტრანსპორტისა და ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებით, ასევე ინვესტიციებით ელექტრონულ კვლევებში, კომპიუტერებში, ნახევარგამტარებში და საჰაერო ტრანსპორტში ფედერალურმა ხელისუფლებამ ხელი შეუწყო „მზის სარტყელის/sunbelt“ ინდუსტრიულ განვითარებას.

გლობალური ურთიერთდამოკიდებულების ზრდა

უნდა აღინიშნოს, რომ ცენტრალური რეგიონების ინდუსტრიალიზაცია შეუძლებელი იქნებოდა დანარჩენი მსოფლიოს ექსპლუატირების გარეშე. რათა მოეპოვებინათ საჭირო საქონელი და ჰქონოდათ გასაღების ბაზრებზე ხელმისაწვდომობა, ინდუსტრიულმა ქვეყნებმა წამოიწყეს კოლონიალიზმისა და იმპერიალიზმის მეორე ფაზა, რასაც მოჰყვა „სავაჭრო იმპერიების“ შექმნა.

მას შემდეგ რაც მოხდა ინდუსტრიული რევოლუციის ინტენსიფიკაცია, ევროპელებმა დაიწყეს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ველების ვრცელი

ფართობების ათვისება (პრერიები და პამპასები ამერიკაში, ველდტი აფრიკაში, მურეი-დარლინგისა და კენტერბერის ველები ავსტრალიაში). ეს მიგრაციები იქცნენ ცენტრალური სახელმწიფოების ეკონომიკური განვითარების მთავარ ფაქტორად, რადგან მოახდინეს მათი განტვირთვა დემოგრაფიული გადასვლის შედეგად გაზრდილი მოსახლეობისაგან. როდესაც გაიზარდა მოთხოვნა ტროპიკულ პროდუქტებზე, ტროპიკული მიწების უმეტესობაც ინდუსტრიული ქვეყნების კონტროლქვეშ მოექცა.

ექსპანსიონიზმის შედეგად კოლონიებმა მოახდინეს სპეციალიზაცია იმ საქონლის წარმოებაზე, რომელზეც მოთხოვნა იყო ინდუსტრიულ ქვეყნებში. ეს ინტეგრირებული საერთაშორისო სისტემა ძალზედ არათანაბრად იყო დაბალანსებული. ერთის მხრივ ცენტრალური ქვეყნების გავლენამ მათი კოლონიების კულტურულ და ინსტიტუციონალურ მოწყობაზე გამოიწვია მათი ეკონომიკის ორგანიზება ინდუსტრიული სახელმწიფოების მოთხოვნებიდან და განვითარებაზე მათი შეხედულებებიდან გამომდინარე. მეორეს მხრივ მრავალმა ბარიერმა და შეზღუდვებმა შეამცირეს საერთაშორისო ვაჭრობის, როგორც განვითარების მთავარი მასტიმულირებელი ძალის ეფექტურობა. ზოგმა პერიფერიულმა და ნახევრად პერიფერიულმა ქვეყანამ შეძლო ინდუსტრიული განვითარების გზაზე დადგომა, რასაც სტიმული მისცა ცენტრალური სახელმწიფოების სწრაფად მზარდმა მოთხოვნებმა, თუმცა პერიფერიის დიდმა ნაწილმა ეს ვერ შეძლო. მათი განვითარება განისაზღვრებოდა ინდუსტრიული ცენტრებისგან, ანუ ძირითადი ბაზრებისგან მათი დაშორებით, აგრეთვე კლიმატით, ტოპოგრაფიით, სოფლის მეურნეობის სისტემით და მოსახლეობის სიმჭიდროვით.

„ვაჭრობის როლი ეკონომიკურ ზრდაში დიდი იყო ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა არგენტინა, ურუგვაი, სამხრეთ აფრიკა, ზიმბაბვე, ავსტრალია, ახალი ზელანდია და შრი ლანკა. სხვა ქვეყნებში ვაჭრობის გავლენა არასაკმარისი იყო მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად, მაგალითად აფრიკის დასავლეთ სანაპიროზე, ხოლო ინდოეთში, პაკისტანში, ბანგლადეშში, ერაყსა და ირანში საექსპორტო ვაჭრობას პატარა მასშტაბები ჰქონდა ქვეყნის მოსახლეობასთან შედარებით, ამიტომ იგი ვერ გახდა განვითარების სტიმული ...“ (Chisholm 1982: 88)

სპეციალიზაციისგან და საერთაშორისო ვაჭრობისგან მიღებულმა სარგებელმა საშუალება მისცა ზოგიერთ რეგიონს და ქვეყანას ჩართულიყო ინდუსტრიალიზაციის პროცესში, სხვებისთვის კი ეკონომიკური ზრდის სტიმულირების შესაძლებლობა ვაჭრობის მეშვეობით თანდათანობით მცირდებოდა, რადგან უფრო განვითარებულ ქვეყნებს გაცილებით მეტი ხელმისაწვდომობა გააჩნდათ კაპიტალზე და ტექნოლოგიებზე, ამიტომ მოცემული საექსპორტო საქონლის წარმოებისთვის გაცილებით ნაკლები სამუშაო ძალა იყო აუცილებელი ინდუსტრიულ ცენტრში, ვიდრე პერიფერიაში. ამ თვალსაზრისით, საერთაშორისო სავაჭრო სისტემა ხასიათდება არათანაბარი გაცვლით.

ამ უთანასწორობის შემცირების მიზნით, ახალი ტექნოლოგიების შესაძენად სესხის აღებას თითქმის ყოველთვის მოჰყვებოდა ქვეყნის სავალო მახეში (**debt trap)** აღმოჩენა, რადგან ვალის პროცენტის დაფარვის ხარჯები აღემატებოდა პროდუქტიულობის ზრდის ტემპებს.

პერიფერიულმა ქვეყნებმა ასევე იზარალეს იმით, რომ მოთხოვნის ელასტიურობა პირველად საქონელზე, რომელიც მათთვის ვაჭრობის მთავარ საგანს წარმოადგენს დაბალია, ამიტომ საგარეო ბაზრებზე ფასების მკეთრი შემცირება, ან მსყიდველუნარიანობის მომატება გამოიწვევს მოთხოვნის მხოლოდ უმნიშვნელო ზრდას. ამის საპირისპიროდ, საწარმოო საქონელზე მოთხოვნის ელასტიურობა ძალზედ მაღალია. ვაჭრობის ამგვარი პირობები ინდუსტრიულ ქვეყნებს აძლევს უპირატესობას.

5.6 ეკონომიკური გეოგრაფიის პრინციპები: ინდუსტრიული პერიოდის გაკვეთილები

ამ ქვეთავში ჩვენ გვსურს ხაზი გავუსვათ კონკრეტული ელემენტების მნიშვნელობის ზრდას, ან ახლის წარმოშობას იმისათვის, რომ განვიხილოთ ინდუსტრიული რევოლუციის დროს არსებული ცენტრალური ქვეყნების ეკონომიკური გარემო. ქვემოთ ჩამოთვლილია წინა პერიოდებშიც არსებული და ინდუსტრიულ ხანაშიც მნიშვნელოვანი ელემენტები:

- ბუნებრივი რესურსების განაწილება – რკინის მადანი და ქვანახშირი ასრულებდნენ ცენტრალურ როლს ინდუსტრიალიზაციაში
- დემოგრაფიული ცვლილებები – 1) მათი მიმდინარეობის დრო ინდუსტრიალიზაციასთან მიმართებით 2) დიდი მასშტაბის მიგრაციების როლი შრომის ბაზრის ცვლილებებთან მიმართებით
- ტექნოლოგიური წინსვლა, მ.შ. ტრანსპორტსა და კომუნიკაციებში
- კოლონიალიზმი და ტერიტორიული ექსპანსია, როგორც პასუხი შემცირებული შემოსავლების/კლებადი უკუგების (Law of diminishing returns) კანონზე
- ინსტიტუციური და სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებები
- ინვესტიციების სივრცითი განაწილება, სხვადასხვა რეგიონში შედარებითი უპირატესობის ცვლილებების საპასუხოდ
- იმპორტის ჩანაცვლება, აგრეთვე მილიტარიზმი და გეოპოლიტიკური ცვლილებები, როგორც მსოფლიო ეკონომიკაში დამკვიდრების საშუალება

ინდუსტრიულ ხანაში წარმოიშვნენ ტერიტორიულ-ეკონომიკური ორგანიზაციის ახალი მახასიათებლები და გაიზარდა გარკვეული ელემენტების მნიშვნელობა:

- მსოფლიო ეკონომიკის გაფართოება გლობალურ მასშტაბებამდე და ამის შედეგად შრომის სივრცითი/ტერიტორიული დანაწილების გაფართოება და ურთიერთდამოკიდებულების ინტენსიფიკაცია ცენტრსა და პერიფერიას შორის
- „ლიბერალური“ სავაჭრო კაპიტალიზმის ჩანაცვლება კონკურენტული და ორგანიზებული ინდუსტრიული კაპიტალიზმის მიერ, რომელიც ხასიათდება სპეციალიზებული რეგიონული ეკონომიკების არსებობით დიდი საქალაქო ცენტრების ირგვლივ
- მსოფლიო ეკონომიკაზე ევროპის გავლენის შემცირება აშშ-ისა და იაპონიის აღმასვლის გამო
- ცენტრსა და პერიფერიას შორის კონტრასტების ზრდა ინდუსტრიული ცენტრალური რეგიონების შიგნით

- სამრეწველო საქმიანობების აგლომერაცია დამატებითი (multiplier) ეფექტებისა და მასშტაბის ეკონომიის ლოგიკიდან გამომდინარე
- საქალაქო სისტემების მოდიფიკაცია ახალი ტიპის ქალაქების წარმოქმნისა (მძიმე მრეწველობის ცენტრები, სატრანსპორტო კვანძები და სხვა) და დიდი პრეინდუსტრიული ქალაქების სწრაფი ზრდის (უკვე არსებული ბაზრების, მეწარმეობის, სავაჭრო კავშირებისა და კომერციული ინფრასტრუქტურის გამო) გზით.
- ეკონომიკური საქმიანობის ტემპებისა და ხასიათის ციკლური ფლუქტუაციები.
- კერძო ფირმების ადაპტაცია ახალ ტექნოლოგიურ სისტემებთან, რომლის შედეგად წარმოიქმნა აკუმულაციის რეჟიმები და მოხდა მარტივი წარმოებიდან, მანქანურ წარმოებაზე (**machinofacture)** და შემდგომ ფორდიზმზე გადასვლა.
- ფართო საზოგადოების ადაპტირება ცვალებადი აკუმულაციის რეჟიმებთან, რასაც შედეგად მოჰყვა რეგულაციის ცვალებადი მოდელების წარმოშობა, რომლის დროსაც მთავრობის როლი ეკონომიკის განვითარებაში მნიშვნელოვნადაა გაზრდილი.
- ორგანიზებული კაპიტალიზმის განვითარება, დაფუძნებული დამოუკიდებელი ქვეყნების ძალაუფლებაზე. მას ახასიათებს მრეწველობების, ფირმების, რეგიონებისა და მთავრობების ძლიერი ურთიერთდამოკიდებულება, რაც ქმნის საფუძველს ცენტრისა და პერიფერიის ურთიერთობისთვის.

თავი 6. წარმოების სისტემის გლობალიზაცია

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ინდუსტრიული ცენტრალური რეგიონების ეკონომიკა ახალ ფაზაში შევიდა, რომელსაც განვითარებული (**advanced)**, ან არაორგანიზებული კაპიტალიზმი ეწოდება და შედგება რამდენიმე ელემენტისგან: „ეკონომიკური პროცესების დაჩქარებული ინტერნაციონალიზაცია; აქტიური საერთაშორისო საფინანსო სისტემა; ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება; წარმოების ახალი წესები; სახელმწიფოს ჩარევის ახალი მოდელები; კულტურის როლის, როგორც წარმოების ფაქტორის ზრდა“ Thrift (2002: 19).

იგი წარმოიქმნა ფორდისტული ინდუსტრიული კაპიტალიზმის მოუქნელობის ზრდის პასუხად. სამომხმარებლო ბაზრების გაჯერების, გაზრდილი საერთაშორისო კონკურენციის, სამუშაო ძალის დანახარჯების (**labor costs)** და სახელმწიფოს მიერ სოციალურ პროგრამებზე გაწეული ხარჯების ზრდის გამო, ცენტრალური ქვეყნების კორპორაციებმა შეიმუშავეს ახალი და უფრო მოქნილი სტრატეგიები. მათ განიცადეს რეორგანიზება და შეცვალეს ურთიერთობის წესები პროფკავშირებთან და სახელმწიფოსთან. ამის შედეგად მოხდა ცენტრალური ქვეყნების დეინდუსტრიალიზაცია, ნახევრად-პერიფრიების ინდუსტრიალიზაცია და ფინანსური და ბიზნეს მომსახურებების გლობალური მასშტაბით გავრცელება.

6.1 განვითარებული (advanced) კაპიტალიზმის ტრანზიცია

კაპიტალიზმის უმაღლესი **(advanced)** სტადია, წარმოადგენდა რამდენიმე პროცესის ურთიერთქმედების შედეგს, რომელთა მნიშვნელობა გამოაშკარავდა ძველი წესრიგის კრიზისის დროს. ეს კრიზისი გამძაფრდა სტაგფლაციისა და ნავთობზე ფასების მოულოდნელი ზრდის გამო.

ფორდიზმის კრიზისი

ინდუსტრიული კაპიტალიზმის ფორდისტული რეჟიმის კრიზისი მოულოდნელად დაიწყო 1970-იანი წლების დასაწყისში და გამოიწვია ომისშემდგომი ინდუსტრიული ბუმის შეჩერება, რაც ნათლად აისახა ამერიკის ეკონომიკაზე. 1940-იანი წლებიდან 1970-იანების დასაწყისამდე აშშ-ის ეკონომიკა სწრაფად ვითარდებოდა: ერთ სულ მოსახლეზე რეალური შემოსავალი (1972 წლის დოლარებში) გაიზარდა 2200-დან 1947 წელს, 3800 აშშ დოლარამდე 1972 წელს. განსაკუთრებით მაღალი ზრდის ტემპები იყო 60-იან წლებში (საშუალოდ 4% ყოველწლიურად), როდესაც მთლიანი ეროვნული პროდუქტის ღირებულება გაიზარდა 50%-ით, ხოლო ოჯახის საშუალო რეალური შემოსავალი 30%-ით.

1970-წლებში კი, აშშ-ის ეკონომიკის ყოველწლიური ზრდა დაეცა 2.2%-მდე. პროდუქტიულობა კერძო საქტორში, რომელიც შეადგენდა ყოველწლიურად საშუალო 3,3% 1960-წლებში, შემცირდა 1,3%-მდე 1970-იან წლებში. უმუშევრობის დონე სტაბილურად 4,5%-ის ფარგლებში რჩებოდა 1970-იან წლებში, ხოლო 1980-იანი წლების შუაში 10%-ს მიაღწია. ინფლაციის დონე გაორმაგდა წელიწადში 2,5%-დან (1960-იანი წლები), 5%-მდე 1970-იანების შუაში. 1971 წელს აშშ-ში პირველად მეოცე საუკუნის განმავლობაში დაფიქსირდა უარყოფითი სავაჭრო ბალანსი, რომელიც შემდგომი 21 წლის განმავლობაში 19-ჯერ განმეორდა.

ფართოდაა გავრცელებული აზრი, რომ „სისტემური შოკი“, რომელიც გაამწვავა 1973-74 წელს ოპეკის მიერ ნავთობზე ფასების გაოთხმაგებამ, გახდა ვარდნის მიზეზი. თუმცა ეს საკამათო საკითხია. სინამდვილეში 1970-იანი წლების კრიზისი წარმოადგენს რამდენიმე ფაქტორის ურთიერთქმედებას, რომლებიც სათავეს იღებენ 1960-იან წლებში, ან მანამდეც. ჰამილტონმა (1984) რამდენიმე ასეთი ფაქტორი გამოყო:

1. ეკონომიკური გრძელი ტალღების სტაგფლაციური ფაზა - კუზნეცის ციკლში დაღმასვლის ეტაპზე მოხდა ეკონომიკური ზრდის შეჩერება, განსაკუთრებით ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ქვეყნებში. ეს დაკავშირებული იყო კაპიტალზე, განსაკუთებით ტრანსპორტზე, შენობებზე, გემებზე, ავტომობილებზე, მანქანა-დანადგარებსა და ფოლადზე მოთხოვნის დაცემასთან. OECD-ის ქვეყნებში ზრდის ტემპები შემცირდა წელიწადში 5-6%-დან 1963-73 წლებში, 2,5%-მდე 1973-78 წლებში, და 1%-მდე 1979-82 წლებში.

   იმავე დროს ინფლაციის ზრდამ, რომელიც დაკავშირებულია კუზნეცის ციკლში აღმასვლის პერიოდთან განაპირობა შემოსავლების შემცირება და ხელი შეუშალა კაპიტალის აკუმულირებას. ამან გამოიწვია საბანკო სექტორიდან წამოსულ ფინანსურ ინვესტიციებზე დამოკიდებულების ზრდა, რასაც მოყვა მაღალი საპროცენტო განაკვეთები, რამაც შეაფერხა კონკურენცია და ტექნოლოგიური ინვესტიციების განხორციელება. ინფლაციამ გაზარდა სამუშაო ძალის დანახარჯები (**labor costs)**, რის გამოც მოიმატა ტექნოლოგიური ინვესტიციების საჭიროებამ კაპიტალის

სიძვირის პირობებში. ყველაფერ ამას შედეგად მოჰყვა კაპიტალის მაღალი ინტენსიურობით გამორჩეული მრეწველობებისა (ფოლადი, გემთმშენებლობა, მანქანათმშენებლობა და ა.შ.) და შრომის მაღალი ინტენსიურობის მქონე ინდუსტრიების დეპრესია.

2. საერთაშორისო მონეტარული არასტაბილურობის ზრდა, რამაც ორგვარი ფორმა მიიღო:

   პირველია, გაცვლითი კურსების გადაფასება (**overvaluation)**, რომელიც მოჰყვა ფიქსირებული გაცვლითი კურსის ჩანაცვლებას ცვალებადი გაცვლითი კურსით (1970-იანი წლების დასაწყისი). იქ სადაც ვალუტის ფასი იყო ძალიან მაღალი (**overvalued)** (ნავთობისა და გაზის მწარმოებლების: ნიდერლანდების, ნორვეგიისა და ბრიტანეთის, ხოლო მოგვიანებით აშშ-ის ვალუტები) საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის დაკარგვამ გამოიწვია იმპორტის შეღწევა და საწარმოო სიმძლავრეების შემცირება (სურათი 6.1). აშშ-ში იმპორტის შეღწევის მაჩვენებელი ტანსაცმლის წარმოებაში გაიზარდა 34%-დან 1980 წელს, 55%-მდე 1986 წელს; ფეხსაცმლების წარმოებაში – 50%-დან 81%-მდე; კომპიუტერებში 7%-დან 25%-მდე, ხოლო ავტომობილებში – 35%-დან 40%-მდე.

   სურათი: 6.1 ბრიტანეთის დეინდუსტრიალიზაციის პროცესი: კონკურენტუნარიანობის მკვეთრი შემცირება (1978-83 წლებში) და სუფთა ექსპორტიორიდან სუფთა იმპორტიორ ქვეყნად გადაქცევა



მეორეა, ახალი ინდუსტრიული ქვეყნებისა და ნაკლებად განვითარებული ქვეყნების (LDC) ვალების პრობლემა, რომლებიც მათ ისესხეს ოპეკის სახელმწიფოებისგან. ამან აიძულა დავალიანების მქონე სახელმწიფოები გაეზარდათ იაფი საწარმოო საქონლის ექსპორტი ცენტრალურ რეგიონებში, რათა შეესყიდათ სასურველი უცხოური ვალუტა (foreign exchange), რამაც გაზარდა ზეწოლა ცენტრალური ქვეყნების შრომის მაღალი ინტენსიურობის მქონე მრეწველობებზე.

3. 1960-იანი წლების მანძილზე სოციალური (ჯანდაცვა, პენსია, სიღარიბის პროგრამები და სხვა) და გარემოს დაცვის ხარჯების ზრდა – მართალია ამან გამოიწვია ახალი ბაზრების შექმნა ზოგიერთი საქონლისა და მომსახურებისთვის, მაგრამ გაზარდა წარმოების ხარჯები და საგადასახადო წნეხი, როგორც მომხმარებლებზე ასევე მწარმოებლებზე.
4. ტექნოლოგიური ინოვაციების დანერგვამ საწარმოო და სამუშაო ძალის დანახარჯების **(labor costs)** ზრდის საპასუხოდ, გამოიწვია უკუეფექტი, რამაც შეამცირა ტრადიციულ სამრეწველო საქმიანობებზე მოთხოვნა. მაგალითად, ენერგიის დამზოგავმა ტრანსპორტმა და გათბობამ შეამცირა ფოლადზე მოთხოვნა.

5. პოლიტიკური მერყეობის გაძლიერება, რამაც შეაფერხა მსოფლიო ვაჭრობა რამდენიმე მიმართულებით. მაგალითად აღმოსავლეთ-დასავლეთის ვაჭრობა (კომუნიზმის დაცემამდე).

მოქნილობის წინაპირობები

ისევე, როგორც წინა ეკონომიკური ტრანსფორმაციების შემთხვევაში, პროცესები, რომლებმაც გამოიწვიეს განვითარებულ (**advanced)** კაპიტალიზმზე გადასვლა, გამომდინარეობდნენ მანამდე (ორგანიზებული, ფორდისტული კაპიტალიზმის პერიოდში) არსებული წინაპირობებიდან. ამ მხრივ გამოსაყოფია სამი ფაქტორი:

1. ახალი ტექნოლოგიები ტრნსპორტსა და ტელეკომუნიკაციებში
2. მოთხოვნისა და მოხმარების მოდელების ცვლილება
3. კორპორატიული რესტრუქტურიზაცია

1. ახალი ტექნოლოგიები და economies of scope

ფორდიზმის კრიზისის დაძლევა და განვითარებული (**advanced)** კაპიტალიზმის დამკვიდრება ნაწილობრივ შესაძლებელი გახდა ორი ტიპის ახალი ტექნოლოგიების განვითარების შედეგად:

- *მიმოქცევა/ცირკულაცია*: ტრანსპორტისა და კომუნიკაციების ტექნოლოგიების გაუმჯობესებამ შეამცირა მიმოქცევის დრო და ხარჯები და გააფართოვა სხვადასხვა ეკონომიკური საქმიანობების გეოგრაფიული ჩარჩოები.
- *წარმოება*: წარმოების ტექნოლოგიების განვითარებამ (კონვეიერების ელექტრონული კონტროლი, ავტომატური დანადგარები, რობოტოტექნიკა და სხვა) მოახდინა სპეციალიზაციის ხარისხის გაუმჯობესება და მრავალი ოპერაციის რუტინიზაცია. რამაც თავის მხრივ გამოიწვია წარმოების ბევრი სახეობის დეკვალიფიკაცია (**deskilling)** და გააადვილა იაფი და ნაკლებად კვალიფიციური სამუშაო ძალის დაქირავების შესაძლებლობა. ასევე აღსანიშნავია, რომ სინთეტიკური მასალების გამოყენებამ გააფართოვა მრეწველობის ბევრი დარგის ტერიტორიული შესაძლებლობები (**locational capabilities)**, რადგან ნედლეული ტრადიციულად ყველაზე შემზღუდველი წარმოების ფაქტორი იყო.

ამ ტექნოლოგიების გავლენა უდიდესია. ბოლო სამი ათწლეულის მანძილზე კომპიუტერების, ტელეფონებისა და ტელევიზიების გლობალური ქსელების ინფორმაციის გამტარუნარიანობა მილიონჯერ გაიზარდა. ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობა გაიზარდა 4,4 მილიონიდან 1991 წელს, 1 მილიარდამდე 2005 წელს. საჰაერო ტვირთის მოცულობა 1976-2007 წლებში გაიზარდა 9 მილიონი ტონიდან 22 მილიონ ტონამდე, ხოლო კილომეტრები 22-დან, 100 მილიარდამდე.

1970-იან წლებში მოხდა მნიშვნელოვანი ტექნოლოგიური გარღვევა: ელექტრონიკაში გიგანტური ნახტომი განხორციელდა 1971 წელს "ინტელის" ინჟინერის ტედ ჰოფის მიერ მიკროპროცესორის გამოგონებით. მიკროკომპიუტერი გამოგონილ იქნა 1975 წელს, 70-იანი წლების მეორე ნახევრიდან "მაიკროსოფტმა" დაიწყო ოპერაციული სისტემების დამზადება მიკროკომპიუტერებისთვის. მოდემი გამოიგონეს 1978 წელს. 1969 წელს აშშ-ის

თავდაცვის დეპარტამენტის მოწინავე კვლევების პროექტების სააგენტომ (ARPA) შექმნა ახალი, რევოლუციური, ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელი (ინტერნეტი), რომელიც განვითარდა 70-იან წლებში, 90-იანი წლებიდან კი ფართო გავრცელება ჰპოვა მსოფლიოში.
თანამედროვე ტექნოლოგიებს ახასიათებთ მოქნილობის მაღალი ხარისხი მძაფრი კონკურენციის, ან ბაზარზე არსებული პირობების შეცვლის დროს. ამის ერთ-ერთი მაგალითია აშშ-ის დაზღვევის სფერო: როდესაც 1970-იან წლებში ძლიერ მერყევმა საპროცენტო განაკვეთებმა სერიოზული დარტყმა მიაყენა ამ სექტორს. საჭირო გახდა პროდუქტის შეცვლა ახალ გარემოებებთან ადაპტირებისთვის. მხოლოდ მოწინავე კომპიუტერული სისტემების მქონე ფირმებმა შეძლეს საკუთარი პროდუქტის ყველაზე სწრაფად მომზადება და წარდგენა, ხოლო პატარა ფირმები, რომლებსაც არ ჰქონდათ საკმარისი სახსრები საჭირო ტექნოლოგიების შესაძენად ან გაკოტრდნენ, ან შეერწყნენ უფრო დიდ კომპანიებს.
უნდა აღინიშნოს თანამედროვე ტექნოლოგიების არათანაბარი სივრცობრივი ეფექტი, ანუ სხვადასხვა ხარისხის გავლენა მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონზე (Sachar and Oberg 1990):

- ცენტრალურ ქვეყნებში მოწინავე ტექნოლოგიები ქმნიან ახალ სამუშაო ადგილებს, განსაკუთრებით ფინანსური და ბიზნესის მომსახურების სფეროებში. ასევე ქმნიან ახალ პროდუქტს, წარმოებისა და დისტრიბუციის პროცესებს, კორპორატიული ორგანიზაციის ფორმებს, მაგრამ ამცირებენ წარმოებაში სამუშაო ძალაზე მოთხოვნას.
- ნახევრად-პერიფერიებში, ახალ ტექნოლოგიებს მოაქვთ წარმოებაში დასაქმების, პროდუქტიულობისა და მსოფლიო ბაზარზე ამ ქვეყნების კონკურენტუნარიანობის ზრდა.
- პერიფერიულ ქვეყნებს ხშირ შემთხვევაში არ აქვთ საკმარისი სახსრები მოწინავე ტექნოლოგიების შესაძენად. შედეგად, იკლებს მათი მწარმოებლურობის დონე და საერთაშორისო კონკურენტუნარიანობა.

2. მოთხოვნისა და მოხმარების მოდელების ცვლილებები

მომხმარებელთა მოთხოვნების ცვლილება ასევე მნიშვნელოვანი წინაპირობა გახდა განვითარებული (**advanced)** კაპიტალიზმის დამკვიდრებისა. ინდუსტრიული კაპიტალიზმის ფორდისტული მოდელი ეფუძნებოდა მასობრივ წარმოებასა და მოხმარებას. თანდათანობით მასობრივი ბაზრები გახდა გაჯერებული ძირითადი პროდუქტებით (მაგ.: ავტომობილები, მაცივრები). ამის თავიდან ასაცილებლად აუცილებელი იყო ეფექტური მარკეტინგი და პროდუქტის მუდმივი მოდიფიკაციები. ამის მიუხედავად, მასობრივად წარმოებული საქონელი ვეღარ აკმაყოფილებდა "პოზიციური საქონლისათვის" (posicional goods) (საგნები, რომლებითაც შეიძლება სოციალური სტატუსის განსაზღვრა) წაყენებულ მოთხოვნებს. როდესაც სულ უფრო მეტ ადამიანს შეეძლო მასობრივად წარმოებული პოზიციური საქონლის (კარგი სახლი, ახალი მანქანა, ტელევიზორი და სხვა) შეძენა, იზრდებოდა მომხმარებელთა სურვილი რაიმე განსაკუთრებული, ელეგანტური და მოდური პროდუქტის შეძენისა. ფორდისტული აკუმულაციის მოდელის მიმდევარი მწარმოებლების პრობლემა გახლდათ, არა მხოლოდ მასობრივი საქონლის პოპულარობის დაკარგვა მდიდარ

მოსახლეობაში, არამედ წარმოების სტრატეგიებისა და პროცესების მოუქნელობა პოზიციური საქონლის ბაზარზე ახალი ნიშების დასაკავებლად. შედეგად ბევრმა ფირმამ აითვისა წარმოების უფრო მოქნილი მეთოდები და ახალი პროდუქციისა და ცირკულაციის ტექნოლოგიები. ამ მხრივ ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია "ბენეტონის" კომპანია, რომელმაც 1965 წელს ერთი ქარხნით დაიწყო საქმიანობა ვენეციის მახლობლად და ბოლოს გლობალურ ორგანიზაციად იქცა, სადაც დასაქმებულია 8000-მდე ადამიანი მსოფლიოს მასშტაბით.
ამავე პერიოდში მოხდა ცენტრალური ქვეყნების ბაზრების გაერთგვაროვნება. ერთი და იგივე ტენდენციები შემოსავლის განაწილებასა და მომხმარებლის გემოვნებაში გაძლიერდა ტელევიზიებისა და საერთაშორისო მოგზაურობების მიერ (ტრანსპორტისა და კომუნიკაციების გაიაფების გამო). მსგავსი პროცესი გავრცელდა ნახევრად-პერიფერიისა და პერიფერიის შეძლებულ მომხმარებლებზე, რამაც შესაძლებელი გახადა, რომ მომხდარიყო სხვადასხვა მოდური საქონლის (მაგ.: გერმანული ძვირფასი ავტომობილები, იტალიური ფეხსაცმლები, შვეიცარიული საათები, ფრანგული ღვინო, იაპონური ელექტრონიკა) გლობალურ მარკეტინგი, მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხეში.

3. კორპორატიული რესტრუქტურიზაციის ლოგიკა

advanced კაპიტალიზმის განვითარებისა და ბიზნესის გლობალიზაციის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წინაპირობა გახლდათ კორპორაციების რესტრუქტურიზაცია. შეცვლილი გარემოებებისადმი ადაპტირებისათვის კერძო ბიზნესები იძულებულნი გახდნენ შეემუშავებინათ ახალი სტრატეგიები, რამაც მნიშვნელოვნად შეცვალა ცალკეული ქალაქების, რეგიონებისა და ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობა.
ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგი იყო კორპორატიული კონცენტრაცია და ცენტრალიზაცია. კონცენტრაცია გულისხმობს ეკონომიკის ცალკეულ სფეროებში პატარა, სუსტი ფირმების „გაუქმებას" ნაწილობრივ კონკურენციის და ნაწილობრივ შერწყმის, ან შთანთქმის შედეგად. ცენტრალიზაცია ნიშნავს ეკონომიკის სხვადასხვა სფეროებში მომუშავე დიდი საწარმოების შერწყმას გიგანტური კონგლომერატების შესაქმნელად. ამგვარი კორპორაციები ხშირად ტრანსნაციონალურ ხასიათს ატარებენ.
როდესაც კონკურენცია მატულობს, ზოგი ფირმა იძულებული ხდება ბიზნესიდან გამოვიდეს, ზოგს კი უფრო ძლიერი კონკურენტი შთანთქავს. ამ პროცესს ჰორიზონტალური ინტეგრაცია ეწოდება.
ახალი ფირმების მიერ წარმატების მიღწევის შანსი კლებულობს, რადგან დიდი კორპორაციები მასშტაბის ეკონომიაზე დაყრდნობით ცდილობენ ჩამოიცილონ შედარებით პატარა ფირმები ფასების შემცირების გზით. გიგანტურ კორპორაციებსაც კი არ შეუძლიათ ბაზრის გაჯერების მუდმივად შეჩერება და ყოველთვის არსებობს მოთხოვნის გაუთვალისწინებელი შეცვლის საფრთხე. ამიტომ ფირმები ხშირად მიმართავენ ვერტიკალური ინტეგრაციის (იმ ფირმების მიერთება, რომლებიც ამზადებენ მათი წარმოების ფაქტორებს, ან ყიდულობენ მათ პროდუქციას) სტრატეგიას რაც შეიძლება მეტი ფასის განმსაზღვრელი ფაქტორის შესასყიდად. მაგალითად, ავტომობილების მწარმოებლებს შეუძლიათ შეიერთონ კომპანიები, რომლებიც სპეციალიზირებულ კომპონენტებს (მაგ.:

ძრავები, სანავიგაციო სისტემები) აწარმოებენ, ან ყიდიან მანქანებს. ამის შედეგია წარმოების კონცენტრაცია მცირე რაოდენობის დიდი ფირმების ხელში. დიაგონალური ინტეგრაცია (კომპანიების მიერ იმ ფირმების მიერთება, რომელთა საქმიანობის სფერო მათ სრულიად არ უკავშირდება) იძლევა უფრო მომგებიან ბაზრებსა და იაფი წარმოების ფაქტორებზე ხელმისაწვდომობის მოპოვების საშუალებას. ყველაფერ ამას მოჰყვება აქტივების, სამუშაო ადგილების, ეკონომიკური გადაწყვეტილებების ცენტრალიზაცია სულ უფრო მცირე რაოდენობის მსხვილი კომპანიების ირგვლივ.

აღნიშნული ტენდენციები შეგვიძლია განვიხილოთ ომისშემდგომი აშშ-ის ეკონომიკასთან მიმართებაში. 1900-იანი წლების ჰორიზონტალური ინტეგრაციების ადრეული ტალღის შედეგად შექმნილი დიდი კორპორაციების (მაგ.: “US Steel”, “American Tobacco”, “General Electric”) და 1920-იანი წლების ვერტიკალური ინტეგრაციების (მაგ.: “General Foods” და უდიდესი ნავთობ კომპანიები) მეთაურობით, დიდმა ბიზნესებმა ძლიერ გაზარდეს თავიანთი გავლენა ეკონომიკაზე. თუმცა, ჰორიზონტალური შერწყმების რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა ანტიმონოპოლიური კანონების (მაგ.: 1950 წლის “სელერ კეფოვერის” აქტი) მიღების შედეგად, ვერტიკალური და დიაგონალური ინტეგრაციის პროცესი გაგრძელდა უპრეცედენტო მასშტაბებით (3000-მდე შერწყმა წელიწადში 1960-იან წლებში). 1970-იანი წლების დასაწყისიდან მრეწველობის მრავალ დარგში კონცენტრაციის ხარისხი საგრძნობლად გაიზარდა. მაგალითად: ავტომობილების, ტელეფონების, ტურბინებისა და მაცივრების წარმოებაში თითქმის მთლიანად დომინირებდა ოთხი ან ნაკლები ფირმა.

ცხრილი: 6.1 ოთხი უდიდესი კომპანიის საქონლის ღირებულება მრეწველობის ცალკეულ დარგებში 1992-2002წწ.

Table 8.1 Percentage of value of shipments accounted for by the four largest companies in selected manufacturing industries in the USA, 1992–2002

Industry	Percentage of value of shipments 1992	1997	2002
Cigarettes	93	99	95
Cookies and crackers	56	60	67
Guided missiles and space vehicles	71	89	96
Household laundry equipment	84	90	93
Household refrigerators and freezers	82	82	85
Household vacuum cleaners	59	69	78
Motor vehicles	84	82	81
Petrochemicals	–	60	85
Semiconductor machinery	41	44	60
Telephone apparatus	51	54	56
Turbine and turbine generator set units	79	78	88

Source: US Census Bureau, *Economic Census* (five-yearly; various years)

ამასობაში გიგანტური კომპანიების დიაგონალური ინტეგრაციების რაოდენობა გაიზარდა. ამის პირველი მაგალითი იყო "Textron Incorporated", რომელიც დაარსდა 1943 წელს და თავიდან საბნებს და სხვა ტექსტილურ ნაწარმს ყიდდა ამერიკის არმიაზე. 1980 წლისთვის კი, მან შეძლო ასზე მეტი კომპანიის ყიდვა-გაყიდვა მრეწველობის სხვადასხვა დარგში (ქსოვილები, დანადგარები, კალმები და სხვა). 1955 წლისთვის შერწყმების უმეტესობა იყო დიაგონალური და კონგლომერატული. 1990-წლისთვის კი კონგლომერატები მონაწილეობდნენ 10-დან 9 შერწყმაში.

ამ შერწყმების შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა მსხვილი კონგლომერატების გავლენა ცენტრალურ ეკონომიკებზე. 1950-დან 1980 წლამდე აშშ-ის 50 უდიდესი კომპანიის წილი მრეწველობაში გაიზარდა 20%-დან 30%მდე. ხოლო უდიდესი 200 კომპანიის წილი 30%-დან 50%-მდე. მსგავსი ტენდენციები იყო მომსახურების (სადაც მაღაზიების, ავტომობილების გაქირავების, ფილმების დისტრიბუციისა და მონაცემების დამუშავების ბიზნესი განსაკუთრებულად ცენტრალიზებული გახდა) და სოფლის მეურნეობის სექტორში (სადაც ფერმების 10%-ის წილმა სოფლის მეურნეობის პროდუქტების გაყიდვებში შეადგინა 75%). სამი გიგანტური კონგლომერატი – "AT&T" (38%), "MCI" (19,8%) და "Sprint" (10.1%) – აკონტროლებდა სატელეფონო ბაზრის 70%-ს 2004 წელს. ხუთი კომპანია დომინირებდა (50% წილი) პერსონალური კომპიუტერების ბაზარზე 2006 წელს: "Dell" (17,7%), "Hewlett-Packard" (14,8%), "Lenovo" (7,3%), "Acer" (5,2%) და "Toshiba" (3,5%).

დიდი მოცულობების გამო, აშშ-ის კონგლომერატების გავლენა მსოფლიო ეკონომიკაზე თანდათანობით იზრდება. ამერიკის უდიდესი კომპანიების (“ჯენერალ მოტორსი”) ყოველწლიური გაყიდვების მოცულობა აღემატება ისეთი ქვეყნების მშპ-ს, როგორებიც არიან ნორვეგია და პორტუგალია. აღსანიშნავია, რომ აშშ-ის ტრანსნაციონალური კორპორაციების მიერ საზღვარგარეთ წარმოებული პროდუქციის საერთო მოცულობა აღემატება ნებისმიერი ქვეყნის მშპ-ს, გარდა აშშ-ისა.

ხაზი უნდა გავუსვათ იმ ფაქტს, რომ ამერიკა არ არის ერთადერთი ქვეყანა, სადაც გიგანტური კონგლომერატები შეიქმნა. ტრანსნაციონალური კორპორაციები დაარსდა ასევე ევროპაში, იაპონიაში, კანადაში, ავსტრალაზიასა და ზოგიერთ ახალ ინდუსტრიულ ქვეყანაშიც. ეს კომპანიები ზრდიან მსოფლიო ბაზარზე თავიანთ წილს აშშ-ის კომპანიების ხარჯზე. ზოგიერთი მათგანი თავის ბიზნეს-ოპერაციებს თავად აშშ-შიც ახორციელებს. ელექტრონიკის სამხრეთ კორეული გიგანტი, “სამსუნგი” მრავალ ფილიალსა და შვილობილ კომპანიას ფლობს, რომლებიც აწარმოებენ და ყიდიან ელექტრონული მოწყობილობების ფართო სპექტრს. კომპანიის 600 დიზაინერი მუშაობს სეულის, ლონდონის, მილანის, ლოს ანჯელესის, სან ფრანსისკოს, ტოკიოსა და შანხაის დიზაინის ცენტრებში. საერთო ჯამში ტრანსნაციონალური კორპორაციების რაოდენობა გაიზარდა 7000-დან 1970 წელს, 77 000-მდე 2005 წელს. ეს კორპორაციები ფლობენ 770 000 უცხოურ ფილიალს, ხოლო გაყიდვების ღირებულება შეადგენს 19 ტრილიონ აშშ დოლარს.

ტრანსნაციონალური კორპორაციების ევოლუცია

მსოფლიო ეკონომიკაში ტრანსნაციონალური კორპორაციების დღევანდელი მნიშვნელობა არის ევოლუციური პროცესის შედეგი, რომელიც სამი ფაზისგან შედგება. ამ ფაზებს ჩვენ განვიხილავთ ამერიკული ტრანსნაციონალური კორპორაციების მაგალითზე:

- პირველ ფაზა: დაიწყო მე-19 საუკუნეში და გაგრძელდა 1940 წლამდე. დომინირებდა ადგილობრივი საწარმოო ოპერაციებისთვის საჭირო ნედლეულის (ძირითადად ნავთობი და მინერალები) შესაძენად განხორციელებული ინვესტიციები.
- მეორე ფაზა: მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ზოგიერთმა წამყვანმა კორპორაციამ დაიწყო საგარეო საწარმოო ოპერაციებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გამოყენება უცხოურ სამომხმარებლო ბაზრებზე შეღწევის მიზნით. თავდაპირველად ინვესტიციების დანიშნულების ადგილი იყო დასავლეთ ევროპა, სადაც “მარშალის გეგმა”, “ნატოს” შეიარაღება და აშშ-ის სამხედრო ბაზების განლაგება დასავლეთ გერმანიაში, წარმოადგენდა სასარგებლო ინფორმაციულ საპასუხო რეაქციას და იქაური სამომხმარებლო ბაზრების ათვისების საწყის წერტილს. აშშ დოლარის მსოფლიოს ძირითად სარეზერვო ვალუტად გადაქცევამ 1944 წლის “ბრეტონ-ვუდსის” კონფერენციაზე, გაუადვილა ამერიკულ კომპანიებს უცხოური მრეწველობების შესყიდვა. ამავე პერიოდში აშშ-ის ბევრმა ფირმამ შეაღწია მსოფლიოს დიდი ნაწილის (განსაკუთრებით ლათინური ამერიკის) მზარდ ბაზრებზე. ამის შედეგად

მომხდარ ფირმების შერწყმას და შთანთქმას, ხშირად მოჰყვებოდა კორპორატიული საწარმოო პროცესების რესტრუქტურიზაცია.
1957-67 წლებში აშშ-ის ახალი მანქანათმშენებლობის ქარხნების 20%, ქიმიური ფაბრიკების 25% და სატრანსპორტო მოწყობილობების ქარხნების 30% საზღვარგარეთ იყო განლაგებული. 1970 წლისთვის აშშ-ის იმპორტის 75% შედგებოდა ტრანსნაციონალური კორპორაციების ადგილობრივ და უცხოურ ფილიალებს შორის ტრანსაქციებისგან. 1970 წლის ბოლოს, 100 უმსხვილესი ტრანსნაციონალური კორპორაციის საზღვარგარეთიდან მიღებული მოგებები შეადგენდა საერთო მოგების მესამედს.

- მესამე ფაზა: 1970-იანი წლების კრიზისმა, დესტაბილიზაციამ და სტაგფლაციის პროცესებმა გაზარდეს ახალ ინდუსტრიულ ქვეყნებში წარმოებული იაფი პროდუქციის კონკურენტუნარიანობა. აგრეთვე, "ბრეტონ-ვუდსის" შეთანხმების კოლაფსმა 1971 წელს გაზარდა აშშ დოლარის ღირებულება, რამაც გააიაფა იმპორტული საქონელი და გაუადვილა ევროპულ და იაპონურ ტრანსნაციონალური კორპორაციებს აშშ-ის ბაზარზე შეღწევა. ამის საპასუხოდ ამერიკულმა ტრანსნაციონალურმა კორპორაციებმა კვლავ მოახდინეს საწარმოო პროცესების რესტრუქტურიზაცია, რითაც თავიდან იქნა აცილებული ერთი კომპანიის ადგილობრივი და უცხოური ქვედანაყოფების საქმიანობების დუბლირება და მოხდა მათ შორის ფუნქციების გამიჯვნა.

მესამე ფაზას მოყვა რამდენიმე შედეგი:

1. არსებული ნაგებობების შენარჩუნება, რომლებიც მოითხოვენ დიდ ხარჯებს ტექნოლოგიებსა და სამუშაო ძალაში (მაგ.: სათაო ოფისები ჩრდილოეთ ამერიკასა და დასავლეთ ევროპაში).
2. აშშ-ის კომპანიების მიერ კაპიტალის უცხოეთში გატანა სამუშაო ძალის დაბალი დანახარჯების გამო (2005 წელს ჰონ კონგის, სინგაპურის, ტაივანისა და სამხრეთ კორეის მრეწველობაში დასაქმებული მუშების საათობრივი ანაზღაურება შეადგენდა აშშ მუშების საათობრივი ანაზღაურების 24-57%-ს, მექსიკასა და ბრაზილიაში – 10-17%, ჩინეთში - 3%).
3. იმ ქვეყნებიდან წასვლა, სადაც შრომის ღირებულება ძვირია (მაგ.: გერმანიის, შვეიცარიის და სკანდინავიის ქვეყნების მრეწველობაში დასაქმებული მუშების ხელფასი შეადგენდა აშშ-ის მუშების ხელფასის 121-166%), უცხოეთში ქარხნების გახსნით, ან უცხოელი ქვეკონტრაქტორების გამოყენების გზით.

მაგალითად, 1970-იან წლებში "ჯენერალ ელექტრიკმა" შექმნა 30 000 სამუშაო ადგილი საზღვარგარეთ და 25 000-ით შეამცირა აშშ-ში დასაქმებულთა რაოდენობა. "ნაიკმა" გაყიდა საკუთარი ფაბრიკები აშშ-სა და ბრიტანეთში და ახლა მთლიანად ახდენს წარმოების ქვეკონტრაქტირებას. "ნაიკის" საწარმოო ქსელის გეოგრაფია ხშირად იცვლებოდა და ასახავდა განვითარებად ქვეყნებში სამუშაო ძალის დანახარჯების (**labor costs)** ცვლილებებს. "ნაიკის" ფეხსაცმლების წარმოება თავდაპირველად იაპონიაში განხორციელდა, ხოლო შემდეგ მოხდა მისი გადატანა ტაივანსა და სამხრეთ კორეაში. დღეს "ნაიკის" პროდუქცია იწარმოება 700-ზე მეტ ფაბრიკაში, სადაც დასაქმებულია 500 000-ზე

მეტი მუშა, დაბალი სამუშაო ძალის დანახარჯების **(labor costs)** მქონე 50 ქვეყანაში, რომელთა შორისაა: ალბანეთი, არგენტინა, ბანგლადეში, ბელარუსი, ბრაზილია, ბულგარეთი, ჩილე, ჩინეთი და სამხრეთ აფრიკა.

6.2 გლობალიზაციის მოდელები და პროცესები

დღეს, მსოფლიოს ქვეყნების უმეტესობა ან ინტეგრირებულია საქონლისა და ფინანსების მსოფლიო ბაზარზე, ან სწრაფი ტემპებით მიიწევს მისკენ. 1970-იან წლებში პერიფერიული ქვეყნების მხოლოდ მცირე ნაწილმა გახსნა საზღვრები საერთაშორისო ვაჭრობისა და საინვესტიციო კაპიტალისთვის. მსოფლიოს სამუშაო ძალის მესამედი ცხოვრობდა ცენტრალიზებული, გეგმიური ეკონომიკის მქონე სახელმწიოებში, როგორებიც იყვნენ საბჭოთა კავშირი და ჩინეთი, ხოლო კიდევ ერთი მესამედი ცხოვრობდა ქვეყნებში, რომლებმაც მოახდინეს იზოლირება საერთაშორისო ბაზრებისგან სავაჭრო ბარიერებითა და ვალუტის კონტროლით. ამჟამად მსოფლიოს მოსახლეობის თითქმის ნახევრის, უმთავრესად ჩინეთის, ინდოეთისა და რუსეთის მოსახლეობის სწრაფი ინტეგრირება მოხდა მსოფლიო ბაზარზე.

გლობალიზაციამ მოახდინა მსოფლიოს დიდი ნაწილის ჩართვა კაპიტალისტურ სისტემაში, თუმცა გაზარდა ცენტრსა და პერიფერიას შორის სხვაობა. 1960-დან 2006 წლამდე 20 უმდიდრესი ქვეყნის ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალი გაიზარდა 18-36 ჯერ უფრო სწრაფად, ვიდრე 20 უღარიბესი ქვეყნის. 1980-იან წლებში სუბ-საჰარის აფრიკის ეკონომიკა შემცირდა მესამედით, ხოლო 1990-იან წლებში მისი ეკონომიკის ზრდის ტემპი ჩამოუვარდებოდა მოსახლეობის ზრდის ტემპებს. მართალია 2005 წლისთვის სუბ-საჰარის აფრიკის მშპ-ის ზრდის მაჩვენებელმა 5%-ს მიაღწია, მოსახლეობის საშუალო შემოსავლები ჩამოუვარდება 1960-იანი წლების მაჩვენებლებს. სუბ-საჰარის აფრიკის პერიფერიულობა გააღრმავა შიდსის ეპიდემიამ, რაც გაცილებით უფრო სახიფათოა, ვიდრე კოლონიური პერიოდის დამოკიდებულება.

ამასობაში გლობალიზაციამ მოახდინა მსოფლიო სისტემის ცენტრის კონსოლიდაცია. ცენტრში ახლა გაერთიანებულნი არიან აშშ, ევროკავშირი და იაპონია. საქონლის, კაპიტალისა და ინფორმაციის მსოფლიო ნაკადების უმეტესობა ხორციელდება მათ შორის. 2003-05 წლებში აშშ-მ, ევროკავშირმა და იაპონიამ განახორციელეს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 75%, ხოლო ამ ქვეყნებში განხორციელდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 54%. აშშ, ევროკავშირი და იაპონია აგრძელებს პერიფერიაზე დომინირებას. თითოეულ მათგანს განსაკუთრებული გავლენა აქვს მათთან ახლოს მდებარე პერიფერიულ რეგიონებზე.

ალენ სკოტმა (1966) მოახდინა ამ ვითარების კონცეფტუალიზაცია და დაახასიათა რეგიონული ეკონომიკური ცენტრები, ანუ გლობალური მეტროპოლიური რეგიონები: თითოეულ მათგანს გააჩნია ეკონომიკური საქმიანობის სპეციალიზებული ფორმა, შრომის დიდი ბაზარი და განვითარებული ინფრასტრუქტურა. თითოეულ ამ რეგიონში მეტროპოლია გარშემორტყმულია ჰინტერლანდით, სადაც არის განვითარებული სასოფლო-სამეურნეო ზონა, ადგილობრივი მომსახურების ცენტრები და სხვა. ზოგიერთი ამგვარი რეგიონის ჰინტერლანდები შეიძლება შეუერთდეს ერთმანეთს (მაგ.:

ბოსტონი/ნიუ იორკი/ფილადელფია, ლოს ანჯელესი/სან დიეგო/ტიხუანა, მილანი/ტურინი/გენუა და ტოკიო/ნაგოია/ოსაკა).
ეს რეგიონული ეკონომიკური ცენტრები ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან კაპიტალის, ინფორმაციის, საქონლისა და ადამიანების ინტენსიური ნაკადებით. მათ მიღმა არსებობენ ნაკლებად განვითარებული რეგიონები (ყოფილი კოლონიები, ფიზიკურად იზოლირებული ტერიტორიები და სხვა), რომლებმაც ვერ შეძლეს მდგრადი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა. მაგრამ პერიოდულად მაინც ჩნდებიან შედარებითი ეკონომიკური კეთილდღეობის „კუნძულები" მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. 1960-1970-იან წლებში ამის მაგალითი გახდა ჰონ-კონგი, სინგაპური, ტაივანი და სეული. მოგვიანებით გამოჩნდნენ სხვა მეტროპოლიებიც: ბანგკოკი, კუალა ლუმპური, სან პაულუ, რიო დე ჟანეირო და სულ ახლახანს ჩინეთისა და ინდოეთის მზარდი რაოდენობის გლობალური მეტროპოლიური რეგიონები.

საერთაშორისო ტერიტორიული ცვლილებები (redeployment) და იერარქიები
ეკონომიკის გლობალიზაციის ერთ-ერთი შედეგი გახლავთ საქმიანობების ტერიტორიული იერარქიების შექმნა. ამის შედეგი გახდა:

1. მსოფლიო ქალაქებში მაღალი რანგის მენეჯმენტის ლოკალური კონცენტრაცია.
2. საშუალო რგოლის მენეჯმენტის სუსტი კონცენტრაცია ცენტრალურ სახელმწიფოებში დიდ მეტროპოლიებში, ახალი ინდუსტრიული ქვეყნების დედაქალაქებში და ზოგიერთ პერიფერიულ ქვეყანაში.
3. კვლევისა და განვითარების საქმიანობების კლასტერები ცენტრალურ სახელმწიფოებში არსებულ ტექნოპოლისებში.
4. ცენტრალურ ქვეყნებში მაღალტექნოლოგიური მრეწველობის სპეციალიზებული რეგიონების წარმოშობა.
5. რუტინიზებული მრეწველობის, ანუ ფილიალი საწარმოების შექმნა ცენტრალური ქვეყნების პერიფერიულ რეგიონებში, ახალი ინდუსტრიული ქვეყნებსა და ზოგიერთ პერიფერიებში.

ამ ტენდენციებმა და მათზე ტრანსნაციონალური კორპორაციების ტერიტორიულმა გავლენამ, რომლებიც ცდილობენ შეარჩიონ ისეთი ადგილები, სადაც ყველაზე მომგებიანად წარმართავენ საკუთარ საქმიანობას, ხელი შეუწყვეს შრომის ახალი საერთაშორისო დანაწილების იდეის წარმოშობას.
უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ფირმას, ან მრეწველობას არ აქვს ერთნაირი საჭიროება, ან შესაძლებლობა ჩაერთოს ამგვარ საერთაშორისო ტერიტორიულ ცვლილებებში (**redeployment**). ყველაზე უკეთესი პოზიცია ცირკულაციისა და წარმოების ტექნოლოგიების უპირატესობების გამოყენების მხრივ უკავიათ ტრანსნაციონალურ კორპორაციებს. ამის საუკეთესო მაგალითია საავტომობილო ინდუსტრია, სადაც ომისშემდგომი ადრეული პერიოდის ეროვნული ბაზრები თითქმის მთლიანად ჩაანაცვლა გლობალურმა წარმოებამ და მარკეტინგმა. 1976 წელს "ფორდმა" გამოუშვა "ფიესტა", რომელიც განკუთვნილი იყო ევროპის, ორივე ამერიკისა და აზიის ბაზრებისთვის. "ფიესტა" აწყობილ იქნა სხვადასხვა ადგილას, კიდევ უფრო მეტ ადგილას დამზადებული კომპონენტებისგან. "ფორდის" საზღვარგარეთის ფილიალები, რომლებიც სათაო ოფისისგან

დამოუკიდებლად მოქმედებდნენ, ახლა ინტეგრირებულნი არიან კომპიუტერებისა და ვიდეო ტელეკონფერენციების მეშვეობით.

მოქნილი საწარმოო სისტემები

ფირმების კონკრენტული სტრატეგიის ცვლილებასთან ერთად მოხდა მნიშვნელოვანი ცვლილებები წარმოების სისტემების ორგანიზაციის კუთხით მრეწველობის ბევრ დარგში. ეს გამოიხატა ფორდიზმიდან, მოქნილი წარმოების სისტემებზე, ანუ ნეო-ფორდიზმზე გადასვლაში. ნეო-ფორდიზმში მასობრივი წარმოებისა და მოხმარების ლოგიკა მოდიფიცირებულ იქნა წარმოების, დისტრიბუციისა და მარკეტინგის უფრო მოქნილი სისტემების დამატებით.

ეს მოქნილობა გამოიხატება წარმოების ფორმებში, რომელთა მეშვეობითაც ხდება სწრაფი და ეფექტური გადასვლა წარმოების (**output)** ერთი დონიდან მეორეზე და რაც მთავარია, ერთი პროცესიდან, ან პროდუქტის კონფიგურაციიდან მეორეზე. ეს ცვლილებები გულისხმობენ მოქნილობის ზრდას, როგორც ფირმის შიგნით, ასევე ფირმებს შორის. ფირმის შიგნით ნეო-ფორდიზმის მოქნილობა მიღწეულ იქნა ახალი ტექნოლოგიების (მაგ.: კომპიუტერიზებული დანადგარები და საინფორმაციო სისტემები) დანერგვით. ამგვარი მოქნილობის ხარისხი აგრეთვე დამოკიდებულია შრომის ახალ წესებზე. ამ მხრივ გამოსარჩევია ორი ასპექტი. პირველია, ფირმის შიგნით შრომის მოქნილად გამოყენება, რაც მუშისგან მოითხოვს ფუნქციების დიდი სპექტრის შესრულებას. მეორეა, სამუშაო ძალის რაოდენობისა და ხარისხის მოქნილობა. ამ ტენდენციამ ჩაანაცვლა დამატებითი საათების, ნახევარი განაკვეთის, ან დროებითი დასაქმება, მუდმივი, სრული განაკვეთის სამუშაო ადგილებით.

ფირმებს შორის ნეო-ფორდიზმისთვის დამახასიათებელი მოქნილობა მიღწეულ იქნა ცალკეული ფუნქციების ექსტერნალიზაციით. ეს მოხდა მსხვილი კორპორაციების მუდმივი და იერარქიულად სტრუქტურირებული ადმინისტრაციული, მენეჯერული და ტექნიკური ერთეულების გარდაქმნით ორგანიზაციის უფრო მოქნილ ფორმებად, რომლებიც უფრო ეფექტურად იყენებენ კონსულტანტებს, სპეციალისტებსა და ქვეკონტრაქტორებს. ამას მოჰყვა ფირმების შიგნით ვერტიკალური დეზინტეგრაცია. ექსტერნალიზაციის მეორე გზა არის ერთობლივი საწარმოების შექმნა, მონაწილეობის მიღება ტექნოლოგიების ლიცენზირებაში და ერთობლივი კვლევისა და განვითარების პროექტების განმახორციელებელ სტრატეგიულ ალიანსებში. სტრატეგიული ალიანსები დიდ როლს თამაშობენ ეკონომიკური გლობალიზაციის ინტენსიფიკაციაში. მათი რაოდენობა გაიზარდა წელიწადში 20 000-მდე 2004 წელს, 5200-დან 1996 წელს. ამჟამად სტრატეგიული ალიანსების რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატება უფრო ტრადიციული და უფრო ძვირი შერწყმებისა და შთანთქმების რაოდენობას.

მსოფლიოს უდიდესი საავტომობილო კომპანიების ხშირი სტრატეგიული ალიანსები მოიცავს ავტონაწილების გაზიარების შეთანხმებებს და ერთობლივი საწარმოების შექმნას კვლევებსა და მრეწველობაში. მაგალითად "ტოიოტას" დადებული აქვს ათეულობით შეთანხმება საავტომობილო და სხვა კომპანიებთან, მ.შ. "ნისანთან" ჰიბრიდული საავტომობილო ტექნოლოგიების განვითარების მიზნით თანამშრომლობის კუთხით.

ამგვარი ალიანსები გლობალური ეკონომიკური გეოგრაფიის მნიშვნელოვან ასპექტად იქცა, რომელთა მეშვეობითაც ტრანსნაციონალური კორპორაციები ცდილობენ შეამცირონ ხარჯები და მრავალმილიონიან პროექტებთან დაკავშირებული რისკები. სტრატეგიული ალიანსი რამდენიმე მიზანს ემსახურება:

- ტრანსნაციონალური კორპორაციები უკავშირდებიან სხვადასხვა ქვეყნების ფირმებს ახალი ბაზრების ასათვისებლად
- ტექნოლოგიების შესახებ ინფორმაციის გაცვლის იაფი და სწრაფი გზის პოვნა მათი პროდუქტიულობის გასაზრდელად
- პროდუქტის განვითარების ხარჯების შემცირება
- ბაზრის კვლევის ხარჯების გაშლა (**spread)**

ცხრილი 6.2 ფორდიზმსა და მოქნილ აკუმულაციას (ნეო-ფორდიზმს) შორის კონტრასტები წარმოებისა და შრომის პროცესებში

ფორდიზმი	**მოქნილი აკუმულაცია (ნეო-ფორდიზმი)**
საწარმოო პროცესი	
ერთგვაროვანი პროდუქტების მასობრივი წარმოება	საქონლის მცირე პარტიები
ერთგვაროვნება	პროდუქტის მრავალი სახეობის მოქნილი წარმოება
დიდი სარეზერვო მარაგი და ინვენტარი	სარეზერვო მარაგის არარსებობა (დროებითი (**just-in-time)** ინვენტარი)
ხარისხის ფაქტობრივი (**ex post)** ტესტირება	ხარისხის კონტროლი, როგორც პროცესის ნაწილი (ნაკლის მყისიერი დადგენა)
დეფექტები იმალება სარეზერვო მარაგებში	დეფექტების დაუყოვნებლივი გამოვლენა
წარმოების დროის დაკარგვა **set up-**ისთვის დიდი დროის აუცილებლობის, დეფექტური ნაწილებისა და სხვათა გამო	დაკარგული დროის შემცირება **set up-**ისთვის ნაკლები დროის, დეფექტების შემცირების, just-in-time დროული მიწოდების და სხვათა გამო
წამყვანი ფაქტორია რესურსები	წამყვანი ფაქტორია მოთხოვნა
ვერტიკალური და ზოგჯერ ჰორიზონტალური ინტეგრაცია	ვერტიკალური დეზინტეგრაცია
ხარჯების შემცირება ხელფასის კონტროლით	ხარჯების შემცირება ქვეკონტრაქტირებით
შრომა	
მუშახელის მიერ ერთგვაროვანი ფუნქციის შესრულება	მრავალი ფუნქცია
ხელფასი **per rate** (სამუშაოს გეგმის კრიტერიუმის მიხედვით)	პერსონალური გასამრჯელო (დეტალიზირებული ბონუსების სისტემა)
სამუშაოს სპეციალიზაციის მაღალი	სპეციალიზაციის გაუქმება

ხარისხი	
შრომის ვერტიკალური ორგანიზაცია	შრომის ჰორიზონტალური ორგანიზაცია მნიშვნელოვანი მუშახელისთვის
ადგილზე ტრეინინგების არარსებობა, ან მისი მცირე რაოდენობა	ადგილზე ტრეინინგები
სწავლის გამოცდილების არქონა	სამუშაო პროცესში სწავლა
მუშათა პასუხისმგებლობის შემცირებაზე აქცენტის გაკეთება (სამუშაო ძალის დისციპლინის დანერგვა)	მუშებს შორის ურთიერთპასუხისმგებლობის ზრდა
პროფკავშირებში გაერთიანებული მუშებისთვის სამუშაო ადგილის შენარჩუნების გარანტიის მაღალი ხარისხი	სამუშაო ადგილის შენარჩუნების გარანტიის მაღალი ხარისხი ყველაზე მნიშვნელოვანი მუშახელისთვის და ცუდი შრომის პირობები დროებით დასაქმებულთათვის. სამუშაო ადგილის შენარჩუნების გარანტიის არარსებობა ქვეკონტრაქტორებში

კორპორატიული მოქნილობის ინტერპრეტაციები

ეკონომიკური ორგანიზაციის გაზრდილ მოქნილობას შეიძლება ორგვარი განმარტება მოვუძებნოთ. პირველია, მოქნილი სპეციალიზაცია, რომელიც მოქნილი წარმოების სისტემებს განიხილავს პერმანენტული და პოზიტიური კუთხით. ახალმა ტექნოლოგიებმა გაზარდეს დიდი ფირმების დასუსტებისა და პატარა ფირმების კლასტერების ირგვლივ ორგანიზებული წარმოების სისტემების გაძლიერების შესძლებლობა. ამის მაგალითია „მესამე იტალია“ (ცენტრალური და ჩრდილო-აღმოსავლეთ იტალია), სადაც ამგვარი კლასტერები 30 წლის წინ წარმოიქმნა. “ალფრედ მარშალის” (1920) ინდუსტრიული უბნების მოდელი ხშირად გამოიყენება სპეციალიზებული მრეწველობების კლასტერიზების მხარდამჭერ არგუმენტად. აღნიშნული მოდელი ხაზს უსვამს სპეციალიზებული სამუშაო ძალის, ერთსა და იმავე მრეწველობის დარგში მომუშავე ფირმების ტერიტორიული სიახლოვისა და სპეციალიზებული წარმოების ფაქტორებისა და სერვისების ხელმისაწვდომობის მნიშვნელობას. უფრო რადიკალური შეხედულების მიხედვით, ფირმებს შორის ნდობა და პარტნიორობა გადამწყვეტია ახალი სამრეწველო უბნების შექმნისათვის. ამრიგად, მცირე მასშტაბების წარმოებისათვის აუცილებელი სოციალური პირობები, ხელოსნობის განვითარების ისტორია, ინოვაციის ახლომდებარე ცენტრები, ადგილობრივი ხელისუფლებების მხარდაჭერა და მუშებსა და მენეჯმენტს შორის კონსენსუსი წარმოადგენს ძირითად მოთხოვნებს მოქნილ წარმოებაში ჩართული სამრეწველო უბნების ფუნქციონირებისათვის. ამ თვალსაზრისის მიხედვით, სამრეწველო უბნების სოციოლოგია ზღუდავს მათ გავრცელებას.

რამდენიმე შემთხვევაზე (**case study)** (სილიკონის ველი აშშ-ში, ილ დე ფრანსის ტექნოპოლისი საფრანგეთში და მესამე იტალია) დაყრდნობით, სკოტმა

(1988b: 106) გამოიყენა ფრაზა „მოქნილი აკუმულაციის რაჟიმი“, რათა აღეწერა ეკონომიკურ-გეოგრაფიული ორგანიზაციის ეს ახალი ტალღა. მთავარი არსი მდგომარეობს იმაში, რომ მიუხედავად მრეწველობის დარგისა (ფეხსაცმლების, ტანსაცმლების, ან კომპიუტერის წარმოება), არსებობს მრეწველობების კონცენტრაციის ძლიერი ტენდენცია ე.წ. „მომწიფებული **(mature)** პროდუქტების“ (სასიცოცხლო ციკლის ბოლო ფაზაში მყოფი საქონელი) წარმოებაშიც კი. რეგიონული მასშტაბის აგლომერაციებში სპეციალიზაციის მაგივრად, ახლა გავრცელებულია სპეციალიზაციის უფრო ლოკალიზებული მოდელი. რადგან ამ პროცესში პატარა ფირმები არიან ჩართულნი, ისინი ღებულობენ ყველაზე დიდ სარგებელს, როგორც საქონლის მიმწოდებლები სწრაფად ცვალებად ბაზრებზე, რადგან მათ შეუძლიათ ერთმანეთს გაუზიარონ ინფორმაცია, შრომის ტრადიციები და შიდა-სამრეწველო კავშირები.

სამრეწველო უბნების მოდელის კრიტიკის (მაგ.; დიდი ფირმების მნიშვნელობის იგნორირება და ენდოგენური (ლოკალური) გარემოებების მნიშვნელობის გაზვიადება მსოფლიო ბაზართან და შრომის საერთაშორისო დანაწილებასთან მიმართებაში) საპასუხოდ ზოგმა ავტორმა უფრო სინთეზური ანგარიში წარმოადგინა. მაგალითად, სკოტი (1992) ახლა ამტკიცებს, რომ მსხვილ მწარმოებლებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლი ითამაშონ სამრეწველო უბნების განვითარებაში. მისი აზრით წარმოების ერთეულების განაწილება მოქნილ და მასობრივ მწარმოებელს შორის არაეფექტურია. იგი გამოყოფს მესამე ტიპს – **systems house**, ანუ მოქნილ მწარმოებლებს, რომლებსაც ახასიათებთ შრომის სპეციალიზაცია და საქონლის ფართო სპექტრის მცირე პარტიების წარმოება (მასობრივი წარმოების საპირისპიროდ). **systems house** არ არის ცალკე მდგარი, ან ფილიალების მქონე ორგანიზაცია. იგი როგორც წესი, დაკავშირებულია ახლომდებარე მოქნილ მწარმოებლებთან. **systems house** წარმოადგენენ სამრეწველო უბნების (მაგ.: სამხრეთ კალიფორნია, ტოკიო, კიოტო) ცენტრებს.

სკოტი არ თვლის, რომ სამრეწველო უბნების ეს მოდელი შეუსაბამოა გლობალიზებულ მსოფლიო ეკონომიკასთან. მისთვის ეს ფენომენი არის: „ინდუსტრიული უბნების ურთიერთკავშირი მსოფლიოს მასშტაბით ... როგორც რეგიონთა მოზაიკა, რომელიც შედგება ტრანსაქციების გლობალურ ქსელში ჩართული ადგილობრივი ტრანსაქციების (ანუ სამრეწველო უბნების) ქსელებისგან“ (სკოტი, 1992: 274). ერთ-ერთ კვლევაში (ჰენდერსონი, 1989) იყო მცდელობა ნახევარგამტარების (კომპიუტერული ჩიპი) წარმოების მაგალითზე ეჩვენებინათ, თუ როგორ წარმოშვა სპეციფიური წარმოების ტერიტორიული მოდელები მისმა შრომის ტექნიკურმა და სოციალურმა დანაწილებამ და დაცულ ბაზრებზე (ევროპა) შეღწევის საჭიროებამ. ამჟამად ამერიკის ნახევარგამტარების ინდუსტრია აკავშირებს აშშ-ის სამრეწველო უბნებს, საზღვარგარეთის (შოტლანდია, ჰონ კონგი და ა.შ.) სამრეწველო უბნებთან. მათი მიმზიდველობა მხოლოდ იაფი მუშახელით არ განისაზღვრება. მაგალითად, აღმოსავლეთ აზიის ზოგიერთ ქვეყანაში არსებობს ადგილობრივი ელექტრონული მრეწველობა, რომელიც ძირითადად ორიენტირებულია ადგილობრივ და არა ამერიკის, ევროპის ან საზღვარგარეთის სხვა ბაზრებზე.

ეკონომიკური ორგანიზაციის გაზრდილი მოქნილობის მეორე ინტერპრეტაციის მიხედვით, მოქნილი წარმოების მეთოდები განიხილება, როგორც ინდუსტრიული

წარმოების ზოგიერთ სექტორში კრიზისის პასუხი და არა წარმოების ახალი ჩამოყალიბებული მოდელი. ამ თვალსაზრისის მიხედვით, 1980-იანი წლების ფინანსური ბაზრის ზრდა და ტრანსფორმაცია და მოქნილი წარმოების შემოღება იქცა სამუშაო ძალის დისციპლინირების საშუალებად. პირველ შემთხვევაში, „ახალი ფინანსური ინსტრუმენტებისა და ბაზრების აფეთქებისა და გლობალური ფინანსური კოორდინაციის რთული სისტემების განვითარების“ მეშვეობით საფინანსო სისტემამ გაზარდა „კაპიტალის აკუმულაციის მოქნილობა“ (harvey, 1990: 194). მეორე შემთხვევაში, შემცირებულმა მოგებებმა 1970-იან წლებში აიძულა ფირმები მოეხდინათ წარმოების დეცენტრალიზაცია ფორდიზმის დროს გაძლიერებული სამუშაო ძალის დასუსტების მიზნით ისე, რომ შეენარჩუნებინათ ცენტრალიზებული კონტროლი. “მესამე იტალიის” პატარა ფირმების დიდი ნაწილი არის ქვეკონტრაქტორი მსხვილი ფირმებისა, რომლებიც ეძებენ მათი მრავალრიცხოვანი, პროფკავშირებში გაერთიანებული სამუშაო ძალის ალტერნატივებს.

ზემოთ მოყვანილმა ორმა ინტერპრეტაციამ გამოიწვია გარკვეული კრიტიკა, განსაკუთრებით იგი ეხება პირველ განმარტებას, ანუ მოქნილ სპეციალიზაციას. კრიტიკული შენიშვნებიდან გამოვარჩევთ რამდენიმეს:

- ამჟამად, მსხვილი კომპანიები ითვისებენ ზოგიერთ მეთოდებს, რომლებიც ადრე სამრეწველო უბანში კონცენტრირებული პატარა ფირმების ექსკლუზიურ სფეროდ მიიჩნეოდა. ზოგი კი, კონკრეტული პროდუქტის წარმოების მიზნით, სტრატეგიულ ალიანსებში შედის მის პირდაპირ კონკურენტებთან (მაგ.: “ტოიოტა” “ჯენერალ მოტორსთან”). ისინი ამას ახორციელებენ წარმოების საშუალებების გაფანტულობის მიუხედავად.
- ცოტა რამაა ცნობილი იმის შესახებ, თუ როგორ ურთიერქმედებენ ლოკალური გარემოებები გლობალური კონკურენციის პირობებთან და რა გავლენას ახდენს ეს ურთიერქმედება სამრეწველო უბნების სიმდიდრეზე. ჩვენ რაც ვიცით გვიჩვენებს, რომ სამრეწველო უბნებს არა აქვთ იმუნიტეტი შიდა კონკურენციის პრობლემების მიმართ, რომლებსაც ზარალი მოაქვთ ფორდისტული ფირმებისთვის. მაგალითად, ცივი ომის დასრულების შემდეგ, აშშ-ის მიერ თავდაცვის ხარჯების შემცირებამ სერიოზული ზიანი მიაყენა ზოგიერთ სამრეწველო უბანს (“სილიკონის ველი” კალიფორნიაში).
- მოქნილი წარმოების პრინციპების დამკვიდრება არ ატარებს საყოველთაო ხასიათს. აშშ-ის ჩრდილო-აღმოსავლეთში მდებარე დიდი ფირმები აგრძელებენ წარმოების საზღვარგარეთ გატანას, ან ავტომატიზაციაში ინვესტირებას. მრეწველობის ბევრ დარგში ჯერაც პრევალირებენ ფორდისტული წარმოების პრინციპები (მოქნილი წარმოების მოდელების პრობლემების მიმოხილვა იხილეთ - Gertler, 1992)

გლობალური ოფისი და ინფორმაციული ეკონომიკა

წარმოების სისტემების გლობალიზაციამ და ტრანსნაციონალური კორპორაციების ზრდამ მნიშვნელოვანი ცვლილება შეიტანა ლოკალური ეკონომიკური განვითარების მოდელში: მწარმოებლის მომსახურებები (საფინანსო და ბიზნეს მომსახურება) აღარ წარმოადგენენ დამხმარე საქმიანობებს, ისინი ამჟამად გლობალურ ინდუსტრიად იქცნენ. საფინანსო და

ბიზნეს მომსახურების მნიშვნელობის ზრდა განპირობებულია წარმოების გლობალიზაციით, ვაჭრობის მოცულობის ზრდითა და ტრანსნაციონალური კორპორაციების წარმოშობით. ამას ემატება ტელეკომუნიკაციებისა და მონაცემთა დამუშავების გაუმჯობესება. სატელიტურმა საკომინიკაციო სისტემებმა და ოპტიკურ-ბოჭკოვანმა ქსელმა საშუალება მისცა ფირმებს განეხორციელებინათ დიდი რაოდენობის ტრანსაქციები და 24 საათიანი ფინანსური და ბიზნეს მომსახურება მსოფლიო მასშტაბით. კომპიუტერები, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ამ საკომუნიკაციო სისტემებთან უზრუნველყოფენ მონაცემების დამახსოვრებას და კოორდინირებას.
საბანკო, საფინანსო და ბიზნეს მომსახურების მნიშვნელობა საგრძნობლად გაიზარდა. გლობალური საბანკო და საფინანსო ქსელის ყოველდღიური ბრუნვა შეადგენს ტრილიონობით დოლარს (3 ტრილიონი აშშ დოლარი – სავალუტო ტრანსაქციები, ათობით მილიარდი დოლარი – ობლიგაციების ტრანსაქციები), აქედან მხოლოდ 10% არის დაკავშირებული ტრადიციულ, საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობასთან. ფულის, ობლიგაციებისა და სხვა ფინანსური ინსტრუმენტების საერთაშორისო მიმოქცევა დიდი შემოსავლების წყაროდ იქცა, რასაც შემდეგმა გარემოებებმა შეუწყვეს ხელი:

- დანაზოგების ინსტიტუციონალიზაციამ (მაგ.: საპენსიო ფონდების სახით) გამოიწვია დიდი რაოდენობის კაპიტალის დაგროვება პროფესიონალი ინვესტორების ხელში
- სახელმწიფოების მიერ საბანკო და საფინანსო მომსახურების დერეგულაცია მათი ზრდის წახალისების მიზნით
- 1973 წელს ნავთობის ფასის გაოთხმაგებამ, ნავთობით მდიდარ ქვეყნებს საშუალება მისცა გაეხსნათ საზღვარგარეთის საბანკო ფილიალები საკმარისი რაოდენობის მსესხებლის პოვნის მიზნით. ხშირ შემთხვევებში, მსესხებლები იყვნენ პერიფერიული ქვეყნების კომპანიები და მთავრობები. საფინანსო მომსახურების ინტერნაციონალიზაციამ სერიოზული მოგება მოუტანა დიდ ბანკებს. 1970-იანი წლების შუაში, „სიტიბანკის“ წლიური შემოსავლების 70% მოდიოდა საერთაშორისო ოპერაციებზე
- აშშ-ის მუდმივი სავაჭრო დეფიციტის გამო (ევროპისა და იაპონიის ომისშემდგომი განახლების შედეგი), მის საზღვრებს გარეთ დაგროვდა დიდი რაოდენობით დოლარები (ევროდოლარები), რამაც თავის მხრივ შექმნა კაპიტალი, რომელიც აშშ-ის პირდაპირი კონტროლის ქვეშ არ იმყოფებოდა
- „ბინძური“ ფულის (არადეკლარირებული სამეწარმეო შემოსავალი, ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული თაღლითობა, ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობა და ა.შ.) გათეთრების სიმარტივე საერთაშორისო ელექტრონული ტრანსაქციების გზით. ერთიდან სამ ტრილიონამდე აშშ დოლარის გათეთრება ხდება ყოველწლიურად გლობალურ საფინანსო სისტემებში, რაც ძალზედ დიდი მაჩვენებელია
- საგადახადო ბალანსის კრიზისზე ზოგიერთი სახელმწიფოს (აშშ მთავრობის) პასუხი იყო, უფრო მეტი ფულის ემისია. პრობლემის მოკლევადიანი გადაწყვეტის ამ გზამ, ინფლაციის მნიშვნელოვანი ზრდა გამოიწვია მსოფლიო ეკონომიკაში, რასაც შედეგად მოჰყვა

სპეკულაციური საერთაშორისო საფინანსო ტრანსაქციების რაოდენობის მომატება

აღნიშნული ფაქტორების ერთობლიობამ გამოიწვია მსოფლიო ეკონომიკის რესტრუქტურიზაცია. დიდ ბანკებსა და ფინანსურ კორპორაციებს („სიტიგრუპი“, „დოიჩე ბანკი“) შეუძლიათ გავლენა იქონიონ ეკონომიკური განვითარების ლოკალურ პროცესებზე მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში. გარდა ამისა, მწარმოებლის მომსახურებების (ბაზრის კვლევა, ანგარიშგება, რეკლამა, საბანკო საქმე, კორპორატიული დაზღვევა და კორპორატიული იურიდიული მომსახურება) მოცულობა საგრძნობლად გაიზარდა, რამაც ახალი განზომილება შესძინა მსოფლიოს ეკონომიკურ გარემოს. აშშ-სა და ბრიტანეთში არსებული 5 სამუშაო ადგილიდან 4 განთავსებულია მომსახურების სექტორში. 2000 წლისთვის ბრიტანეთში წარმოებაში დასაქმებული იყო 4 მილიონი ადამიანი, რაც ქვეყანაში სრული განაკვეთით მომუშავეთა 15%-ს შეადგენდა. 2006 წლისთვის მათი რაოდენობა შემცირდა 3 მილიონამდე, ხოლო სრული განაკვეთით მომუშავეთა 11%-მდე.

ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგი, რაც ამ პროცესებმა გამოიწვიეს, არის ინფორმაციული ეკონომიკის წარმოშობა. ინფორმაციული ეკონომიკა წარმოადგენს ეკონომიკური წარმოებისა და მენეჯმენტის ახალ მოდელს, სადაც მწარმოებლურობა და კონკურენტუნარიანობა დიდწილად დამოკიდებულია ახალი ცოდნის შეძენაზე და შესაბამისი ინფორმაციის მიღებასა და დამუშავებაზე. ინფორმაციულ ეკონომიკაში ყველაზე მნიშვნელოვანი სექტორებია: მაღალი ტექნოლოგიების წარმოება, დიზაინის მაღალი ინტენსივობის სამომხმარებლო საქონელი და საფინანსო და ბიზნეს მომსახურება. განვითარების ინდუსტრიულ მოდელში, პროდუქტიულობის მთავარი ფაქტორია: ენერგიის ახალი წყაროების პოვნა და ენერგიის გამოყენების დეცენტრალიზაცია წარმოებისა და ცირკულაციის პროცესში. „განვითარების ახალ, ინფორმაციულ მოდელში, პროდუქტიულობის ფაქტორიებია მოწინავე ტექნოლოგიები, ინფორმაციის დამუშავება ...“ და სხვა (Castells, 2000: 17). ცენტრალური ქვეყნების უმეტესობაში მთლიანი დამატებიტი ღირებულების/**gross value added**-ის 30%- 50% არის ცოდნაზე დაფუძნებული (კომპიუტერები, პროგრამული უზრუნველყოფა, განათლება და ტელევიზია). ბოლო რამდენიმე ათწლეულის მანძილზე მაღალი ტექნოლოგიების წარმოება მსოფლიო ვაჭრობის ყველაზე სწრაფად მზარდი სექტორია. მაღალი ტექნოლოგიების წარმოების წილი მთლიან წარმოებულ საქონელში გაორმაგდა და შეადგინა 25%. ცოდნაზე დაფუძნებული მომსახურება კიდევ უფრო სწრაფი ტემპებით იზრდება და ქმნის 10-დან 8 ახალ სამუშაოს ცენტრალურ ეკონომიკებში.

ბიზნეს მომსახურება და მეტროპოლიების ზრდა

ევროპაში, ჩრდილოეთ ამერიკაში, იაპონიაში და აღმოსავლეთ აზიის ზოგიერთ სხვა ქვეყანაში (ჰონ კონგი, სინგაპური) ყველაზე სწრაფად მზარდი მომსახურების სექტორია ბიზნეს მომსახურება. ამ სფეროში დასაქმებული პერსონალი ძირითადად დაკავებულია მენეჯერული საქმიანობით, ან ინფორმაციის დამუშავებით. ამ სერვისების მთავარი დამკვეთები არიან ფირმები, ამიტომ ამ ტიპის მომსახურება მის კლიენტებთან ახლოსაა კონცენტრირებული,

ძირითადად დიდ ქალაქებში. ამ ტენდენციას ხელს უწყობს რამდენიმე ფაქტორი: პირველი ფაქტორია ინტერნაციონალიზაცია. აგლომერაციების ეკონომიკები (კლიენტებთან, კონკურენტებთან და კვალიფიციურ პერსონალთან ხელმისაწვდომობის მაღალი ხარისხი, ტექნიკურ სერვისებთან სიახლოვე) იმდენად ძლიერია ბიზნეს მომსახურებებთან მიმართებაში, რომ ეს უკანასკნელნი არაპროპორციულად არიან განლაგებულნი მსხვილი ქალაქების ფარგლებში. კომუნიკაციების გამარტივებამ საშუალება მისცა ფირმებს სხვადასხვა ქალაქებში წარმართონ საქმიანობა და ერთ ქალაქზე არ იყვნენ მიჯაჭვულნი. წარმოებისა და ტრანსნაციონალური კორპორაციების გავრცელებამ წაახალისა წარმატებული ბიზნეს მომსახურების ფირმები დაეარსებინათ ოფისები მრავალ ქალაქში მათი ტრანსნაციონალური კლიენტებისათვის მომსახურებების გასაწევად. მეორე ფაქტორია ეროვნული ბაზრების (განსაკუთრებით საბანკო და საფინანსო) დერეგულაცია, რომელმაც ასევე გააძლიერა ურთიერთდამოკიდებულება კარგად განვითარებული სავალუტო და სასაქონლო ბაზრების მქონე დიდ ქალაქებსა და ბიზნეს მომსახურებებს შორის. მხოლოდ მცირე რაოდენობის ცენტრებმა (ლონდონი, ტოკიო, ჩიკაგო, ნიუ იორკი) ნახეს არაპროპორციული სარგებელი ამ ტენდენციისგან.

ბიზნეს მომსახურება და მოქნილი ეკონომიკა

ქვეკონტრაქტირების პროცესი, პატარა ფირმების ზრდა და მოქნილი წარმოება ავითარებს ახალი სახის მომსახურებებს და ზრდის მწარმოებელთა დამოკიდებულების ხარისხს, სხვადასხვა ფირმებისგან მომსახურების შესყიდვაზე. აღსანიშნავია, რომ საბითუმო ვაჭრობა ითვლება დიდი, ვერტიკალურად ინტეგრირებული ფირმების შიდა ფუნქციად, ანდა საერთოდ იგნორირებულია იმ ვარაუდით, რომ მეწარმეები პირდაპირ უნდა ვაჭრობდნენ ერთმანეთთან. თუმცა, საბითუმო ვაჭრობა ბოლო პერიოდში თანდათანობით მაინც ფართოვდება. ამის დასტურად, გლასმეიერს (1990) მოჰყავს მაღალტექნოლოგიური სამრეწველო უბნების („სილიკონის ველი“ აშშ-ში და „ბადენ-ვიურტენბერგი“ გერმანიაში) მაგალითი, რომლებიც მათი არსებობის დასაწყისიდანვე დამოკიდებულნი იყვნენ ბითუმად მოვაჭრეებზე. გლასმეიერის კვლევის მიხედვით, ოსტინში (ტეხასი) ბითუმად მოვაჭრეები წარმოადგენენ აგენტებს რეგიონთაშორისო ვაჭრობაში, შემოაქვთ რა სხვადასხვა პროდუქტი ლოკალურ ეკონომიკაში. დროთა განმავლობაში, ეროვნულმა და რეგიონულმა ბითუმად მოვაჭრეებმა, ადგილობრივებზე უფრო დიდი მნიშვნელობა შეიძინეს ლოკალური მეწარმეებისთვის. ეს მაგალითები ადასტურებენ ბითუმად ვაჭრობის მნიშვნელობას სამრეწველო უბნების განვითარებაში და გარე აგენტების დიდ როლს ლოკალურ განვითარებაში. სამრეწველო უბნების ზრდა არ შეიძლება აიხსნას მხოლოდ ადგილობრივი სოციალური პირობებით, ან საწარმოო პროცესის ხასიათით.

კრისტოფერსონი (1989) თვლის, რომ მოქნილი წარმოების მიმართ დიდმა ყურადღებამ დაჩრდილა მომსახურების სექტორში შრომის ბაზრის მოქნილობის მნიშვნელობა. მისი თქმით, 1980-იან წლებში, აშშ-ში ახალი სამუშაო ადგილების 80% იქმნებოდა საცალო ვაჭრობაში, ჯანდაცვისა და ბიზნეს მომსახურებაში და სამუშაო ადგილების 25% წარმოადგენდა „მოქნილ“, ანუ არასრული განაკვეთის სამუშაოს, ან დამოუკიდებელ ქვეკონტრაქტირებას. მომსახურების სფეროში

მსხვილი ფირმების დომინირების ხარისხი თანდათან მატულობს. ხარჯების შესამცირებლად ისინი ფართოდ იყენებენ ქვეკონტრაქტირებასა და არასრულ განაკვეთზე მომუშავეებს (ძირითადად ქალები და ეთნიკური უმცირესობები). მართლაც, 1970 წლიდან აშშ-სა და ბრიტანეთის შრომის ბაზრების რესტრუქტურიზაციის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი გახლდათ მომსახურების სექტორის სამუშაო ადგილების „ფემინიზაცია“, იმავე დროს უქმდებოდა საწარმოო სექტორის მაღალანაზღაურებადი პოზიციები, რომლებსაც ძირითადად მამაკაცები იკავებდნენ. საცალო ვაჭრობასა და ჯანდაცვის სფეროებში საქმიანობა არის დეცენტრალიზებული და ადმინისტრაციული ფუნქციები სივრცობრივად განცალკევებულია მომსახურების გაწევასთან. თანდათანობით, მომსახურება სტანდარტიზებული ხდება ყველგან, მსგავსად სავაჭრო ცენტრებისა სადაც ისინი მდებარეობენ.

მომსახურების სივრცით მოდელს და „მოქნილ“ დასაქმებას, რომელსაც ეს მოდელი ეყრდნობა, ახასიათებთ „სივრცითი ჰომოგენურობა“. ეს „მოქნილობა“ გამოირჩევა ნაკლები ანაზღაურებით ფორდისტულ მრეწველობებში არსებულ ხელფასებთან შედარებით, აგრეთვე სამუშაო ძალის „ძალაუფლების“ დასუსტებით გენდერული და ეთნიკური განსხვავებების გამოყენებით (მაგ.: ქალებს ნაკლებ ხელფასს უხდიან) და სამუშაო ადგილების სივრცითი განცალკევებით, სამუშაო ძალის ორგანიზებულობის შესუსტების მიზნით.

დასკვნა

ამ თავში ჩვენ ვნახეთ ფორდიზმის კრიზისმა, კორპორატიულმა რესტრუქტურიზაციამ, ტექნოლოგიურმა წინსვლამ და მომხმარებელთა მოთხოვნების ცვლილებამ, როგორ გამოიწვიეს ეკონომიკის გლობალიზაცია, რომელიც მანამდე ლოკალიზებული იყო ცენტრალურ ქვეყნებში. ამ პროცესებს მოჰყვა შემდეგი სახის ცვლილებები:

- წარმოების იერარქიების ჩამოყალიბება დიდი კომპანიების შიგნით, რომლებიც დომინირებენ მრეწველობის თითქმის ყველა დარგში. ამ იერარქიებმა ასახვა ჰპოვეს: 1) მაღალი რგოლის მენეჯმენტის, 2) წარმოების, რომელიც მოითხოვს მაღალკვალიფიციურ მუშახელსა და ახალ ტექნოლოგიებს; შუალედური ადმინისტრაციის; კვლევისა და განვითარების, 3) რუტინული წარმოების განცალკევებულ სივრცით ორგანიზაციაში.
- მსოფლიო ეკონომიკის სამ რეგიონად დაყოფა: 1) ჩრდილოეთ ამერიკის, ევროპის, იაპონიისა და ავსტრალაზიის ძლიერ ინტეგრირებული და დივერსიფიცირებული სამრეწველო ცენტრები. 2) რესურსების ექსპორტიორი ნახევრად-პერიფერიული და ახალი ინდუსტრიული ქვეყნები, როგორებიც არიან, მექსიკა, ჩინეთი, რუსეთი, ინდოეთი, ბრაზილია და სხვა. 3) სუსტად ინდუსტრიალიზებული პერიფერიები (მაგ.: სუბ-საჰარის აფრიკა), რომლებიც მნიშვნელოვნად არიან დამოკიდებულნი ცენტრალურ სახელმწიფოებზე.
- ზემოთ ჩამოთვლილი რეგიონების შიგნით განვითარების სხვადასხვა დონეზე მყოფი ქვეყნებისა და რეგიონების არსებობა. მსოფლიო პერიფერიაში (3) შედიან ცენტრალური და ნახევრად-პერიფერიული ტერიტორიები (დასავლეთ აფრიკაში ლაგოს-იბადანის რეგიონი, აბიჯანი

და ა.შ.), მსოფლიო ნახევრად-პერიფერია (2) შეიცავს ცენტრალურ და პერიფერიულ რეგიონებს (მაგ.: კალკუტა და უტარ პრადეში ინდოეთში), მსოფლიო ცენტრში (1) იმყოფებიან შედარებით პერიფერიული და ნახევრად-პერიფერიული ქვეყნები (პორტუგალია, საბერძნეთი, აღმოსავლეთ ევროპა).

ზოგადი დასკვნა

ეკონომიკური გეოგრაფიის მიზანია მსოფლიო ეკონომიკის გეოგრაფიული მოდელის განხილვა. ამ მიზნის მისაღწევად გამოვიყენეთ ცენტრისა და პერიფერიის გეოგრაფიული ცნებები, რომელთა ფონზეც ერთმანეთს შევადარეთ ეკონომიკის სხვადასხვა მოდელები. მნიშვნელოვანია იმის დადგენა, თუ როგორ იკვეთებიან ცენტრი და პერიფერია ცალკეული რეგიონების ფარგლებს შიგნით. მაგალითად, ლოს ანჯელესის მიგრანტი მუშების სოციალური, ეკონომიკური და ტერიტორიული პოლარიზაცია ადასტურებს პერიფერიის არსებობას ცენტრალური რეგიონების ფარგლებში. სიმდიდრის მნიშვნელოვანი კერები ახალ ინდუსტრიულ და ნავთობით მდიდარ ნახევრად-პერიფერიულ ქვეყნებში წარმოადგენენ ცენტრებს ნახევრად-პერიფერიის შიგნით.

ამასთან დაკავშირებით, გეოგრაფებმა, სტივენ გრემმა და საიმონ მარვინმა აღმოაჩინეს მნიშვნელოვანი ტენდენცია ქალაქების განვითარებაში – **დანაწევრებული/ფრაგმენტირებული (splintering) ურბანიზმი**. **splintering** ურბანიზმს ახასიათებს ინტენსიური გეოგრაფიული დიფერენციაცია, როდესაც ქალაქები და მათი ცალკეული ნაწილები ჩართულნი არიან დინამიურ ეკონომიკურ და ტექნოლოგიურ გაცვლაში. თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ქსელების არათანაბარი ევოლუცია ქმნის ინოვაციების, ეკონომიკური და კულტურული განვითარების ახალ ლანდშაფტს და ამავე დროს ამძაფრებს სოციალურ და ეკონომიკურ უთანასწორობას ქალაქებს შორის და მათ შიგნით.

ამ წიგნში განხილულია ეკონომიკური ლანდშაფტის შექმნისა და ცვლილებების პროცესი ისტორიულ-გეოგრაფიულ კონტექსტში, ასევე ეკონომიკურ გეოგრაფიაში არსებული რამდენიმე საკამათო საკითხი.

1. თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკა წარმოადგენს ცვალებად, ღია სისტემას, რომელსაც ახასიათებს ტერიტორიული ცვლილებები და გადაადგილებები სხვადასხვა ორგანიზაციულ-პოლიტიკურ და ტექნოლოგიურ პირობებში. მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველად მსოფლიო ეკონომიკის ცენტრმა განიცადა მასშტაბური ინდუსტრიალიზაცია და ამიტომ ჰქონდა საწყისი უპირატესობა სხვა რეგიონებთან შედარებით, მსოფლიოს სხვა ნაწილებშიც მოხდა დიდი აღმავლობა მრეწველობაში და მოგვიანებით მომსახურების სფეროში. ეს ასახავს მსოფლიო ეკონომიკაში მომხდარ ცვლილებებს, განსაკუთრებით ფორდისტული კაპიტალიზმის, რომელიც თითქმის მთელი მე-20 საუკუნის განმავლობაში წარმოადგენდა ეკონომიკური ორგანიზაციის მთავარ ფორმას ცენტრალურ ქვეყნებში, ნელ დეზინტეგრაციას. მსოფლიო ეკონომიკის ევოლუცია არ წარმოადგენს ერთი და იგივე ციკლების გამეორებას, რომლებშიც მხოლოდ ტექნოლოგიები და ქვეყნები იცვლებიან, გრძელი ტალღის ციკლების მთავარი წარმმართველი ძალა კვლავაც კაპიტალის აკუმულაციის პროცესი და ტერიტორიული იმპერიალიზმი რჩება. ასევე შეიცვალა მსოფლიო ეკონომიკის

მამოძრავებელი მექანიზმები. მაგალითად, მცდარი აზრია, რომ წარმოებისა და ფინანსების გლობალიზაცია განუყოფელია იმპერიების შიგნით წარმოებისა და ვაჭრობის ტერიტორიალიზაციისგან, რაც ახასიათებდა მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისის მსოფლიო ეკონომიკას. ეს ორი პროცესი სრულიად განსხვავებულია (ნახეთ, Agnew and Grant, 1997).

2. მსოფლიო ეკონომიკის დინამიური გაგება საშუალებას გვაძლევს გავამახვილოთ ყურადღება, როგორც ზოგად ეკონომიკურ ძალებზე, ასევე ლოკალურ ცვალებადობაზე, რომლებიც წარმოადგენენ ეკონომიკური გეოგრაფიის მახასიათებლებს. მსოფლიო ეკონომიკის ექსპანსიამ შემოიერთა სხვადასხვა ეკონომიკური ისტორიის მქონე ქვეყნები, რომლებიც განიცდიან ცვლილებებს უფრო დიდი გეოგრაფიული მასშტაბების მქონე ორგანიზაციების ინტერესებთან და გავლენებთან ურთიერთქმედების შედეგად. მსოფლიო ეკონომიკის გავრცელებამ წაახალისა არა ჰომოგენურობა, არამედ განსხვავებულობები. უახლესი ტენდენციები მიანიშნებენ ქვეყნებს შორის და მათ შიგნით უთანასწორობების გაღრმავებაზე. ამის მიზეზია არა მარტო ტრანსნაციონალური კორპორაციების გავლენა და ქვეყნებს შორის მაკროეკონომიკური განსხვავებები, არამედ ცალკეული რეგიონების შედარებითი წარმატება გლობალურ კაპიტალიზმში ჩართვასა და მისი უარყოფითი გავლენებისგან თავის დაცვაში.

3. მსოფლიო ეკონომიკის ევოლუცია განპირობებული იყო ციკლური რხევებით (ფლუქტუაციები), რომლებიც მჭიდროდ ურთიერთქმედებენ განსხვავებულ ტექნოლოგიურ სისტემებთან. განსაკუთრებით აღსანიშნავია კონდრატიევის ციკლი, რომელიც მოიცავს ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების სხვადასხვა ეპოქას მე-18 საუკუნის დასაწყისიდან. ამ ცვლილებების უმნიშვნელოვანეს ასპექტს წარმოადგენდა კაპიტალიზმის, კერძოდ მისი რეგულაციის მოდელების, ტრანსფორმაცია. აქამდე არსებობდა ორი ფაზა, დღეს კი, მსოფლიო ეკონომიკა მესამე ფაზაში შედის. კონკურენტული კაპიტალიზმის პირველი ფაზა გრძელდებოდა მე-18 საუკუნიდან მე-19 საუკუნის ბოლომდე. ორგანიზებული კაპიტალიზმის მეორე ფაზა ეფუძნებოდა ბიზნესის, სახელმწიფოსა და სამუშაო ძალის მჭიდრო კოორდინაციას მე-20 საუკუნის უმეტესი ნაწილის განმავლობაში. ბოლო დროს ხდება პოლიტიკურ-ეკონომიკური ორგანიზაციის ამ მოდელის ჩანაცვლება დეზორგანიზებული **advanced** კაპიტალიზმით. ეს გადასვლა ხდება თანდათანობით და არა ერთბაშად.

ციკლებზე ყურადღების გამახვილებამ შეიძლება გამოიწვიოს რადიკალური გარღვევების, ან უეცარი ცვლილებების მნიშვნელობის გაზვიადება (ნახეთ, Sayer and Walker, 1992). ტოტალური ცვლილებების იდეის სისწორე გარკვეულ კამათს იწვევს, წიგნის მესამე თავში მსოფლიო ეკონომიკის ახალი რეგიონული მამოძრავებელი ძალები განიხილება ტერიტორიული შედეგების outcomes კონტექსტში, რომლებიც დამოკიდებულნი არიან სხვადასხვა ეკონომიკურ სექტორებთან ასოცირებულ გარე ფაქტორებზე და სივრცითი ტრანსაქციების ხარჯებზე. მასობრივ წარმოებას ჯერაც დიდი მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით თავისუფალ ეკონომიკურ ზონებში განთავსებული ფილიალი ქარხნების ინდუსტრიალიზაციასთან მიმართებაში. მაგრამ, შეცდომა იქნება მასობრივი წარმოების იდენტიფიცირება მხოლოდ ფორდიზმთან და ორგანიზებულ კაპიტალიზმთან (მასობრივი წარმოებისა და მასობრივი

მოხმარების კომბინაცია). აშკარაა, რომ ტრანსნაციონალურ კორპორაციებში გავრცელებული აკუმულაციის მოქნილი მოდელის განვითარება არ ნიშნავს, რომ ეს მოდელი აუცილებლად იქნება სტაბილური და შეუქცევადი და განუსაზღვრელი დროის მანძილზე იარსებებს.

4. მსოფლიო ეკონომიკის წარმოშობასთან ერთად, ასევე წარმოიშვა ის ეკონომიკური და ტერიტორიული პრინციპები, რომელთა მეშვეობითაც მსოფლიო ეკონომიკა ფუნქციონირებს. სრულყოფილი კონკურენციის, ტრანსპორტირების ხარჯების და შედარებითი უპირატესობის მნიშვნელობა, რომელიც დიდი იყო კონკურენტული კაპიტალიზმის ფაზაში და შედარებით ნაკლები, ორგანიზებულ კაპიტალიზმში, ახლა საგრძნობლად შემცირდა. ამჟამად უფრო მნიშვნელოვანია მონოპოლიური კონკურენცია, მაკროეკონომიკური რეგულაცია, საერთაშორისო ურთიერთობებში ბაზარზე ხელმისაწვდომობის რეჟიმი, პოზიცია გლობალურ ურბანულ იერარქიაში, გლობალური ფინანსური ქსელები, რეგიონული მამოძრავებელი ძალები, სამრეწველო უბნები და **economies of scope**. ეს ნიშნავს იმას, რომ ეკონომიკური საქმიანობების მოდელები, რომლებიც განიხილავენ ტრანსპორტის ხარჯებს, როგორც ძირითად ფაქტორს ადგილმდებარეობის განსაზღვრისთვის, თანამედროვე ვითარებაში უსარგებლოა. ამგვარი სტატიკური მოდელები, რომლებიც ეფუძნებიან რომელიმე ფაქტორის მნიშვნელობის მუდმივობას, იგნორირებას უკეთებენ ისტორიასა და გეოგრაფიას და უნდა ჩანაცვლდნენ ეკონომიკური ცვლილებების უფრო დინამიური კონცეფციებით (ნახეთ, რონ მარტინი (1999), და ეკონომისტების – პოლ კრუგმანისა და მაიკლ პორტერის ნაშრომები).

5. ეკონომგეოგრაფების მიერ წარსულში იგნორირებული გარემოს დაცვის პრობლემები, როგორებიცაა ტროპიკული ტყეების განადგურება, გლობალური დათბობა, ჰაერის, ნიადაგისა და წყლის დაბინძურება ძალზედ მნიშვნელოვანია მსოფლიო ეკონომიკური გეოგრაფიის გაგებისთვის. ცენტრალური ქვეყნების მიერ არაგანახლებადი რესურსების არაპროპორციული გამოყენების მიუხედავად, ამ მხრივ გაცილებით დიდი საფრთხე მომდინარეობს პერიფერიისგან, რაც კიდევ უფრო გაზრდის სხვაობას მდიდარ და ღარიბ რეგიონებს შორის. გარემოს დაცვის პრობლემები განუყოფელია ეკონომიკური განვითარებისა და კაცობრიობის კეთილდღეობისგან. ეს ვითარება საგანგაშოა არა მხოლოდ დაზიანებული რეგიონებისთვის, არამედ განვითარებული ქვეყნებისთვისაც. აშკარაა, რომ გარემოს დაცვის პრობლემები სულ უფრო მჭიდროდ იქნება დაკავშირებული ეროვნული უსაფრთხოების საკითხებთან და რეგიონულ კონფლიქტებთან. მთავარ საზრუნავს წარმოადგენს ის, რომ მსოფლიოს მომავალი კეთილდღეობა დამოკიდებული იქნება გლობალიზაციის პროცესთან, რომელიც შეიძლება შეფერხდეს მსხვილმასშტაბიანი ეკოლოგიური კატასტროფების, უმართავი მასობრივი მიგრაციების, ან მსოფლიო სისტემის დესტაბილიზაციის შედეგად.

6. ეკონომიკის სახელმწიფო რეგულაციას (რომელიც როგორც წესი იგნორირებულია ეკონომიკურ გეოგრაფიაში), ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს მსოფლიო ეკონომიკის გეოგრაფიისთვის. კომპანიების მიერ შედარებითი და კონკურენტული უპირატესობების მიღწევა დიდწილად ეფუძნება პოლიტიკურ ორგანიზაციასა და კოორდინაციას. მაკროეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც არეგულირებს სოფლის მეურნეობას, მრეწველობასა და მომსახურებას

მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ეკონომიკურ გარემოზე. ისტორიის მანძილზე სხვადასხვა ეროვნული ეკონომიკების (ამჟამად ახალი ინდუსტრიულ სახელმწიფოების) აღმავლობა უმთავრესად განისაზღვრებოდა ხელისუფლების ორგანიზაციული და მობილიზაციური შესაძლებლობებით.
მსოფლიო ეკონომიკა წარმოადგენს ინსტიტუტებისა და ბაზრების კომპლექსურ და ცვალებად ერთობლიობას, რომელიც სხვადასხვა ხასიათის გავლენას ახდენს სხვადასხვა რეგიონზე და არა ჩაკეტილ და ერთგვაროვან სისტემას, რომელიც ფუნქციონირებს ერთი და იგივე ფაქტორების (დეტერმინანტები) გავლენით ყველგან და ყოველთვის. ეს არის ამ წიგნის ძირითადი გზავნილი.

გლოსარიუმი:

ახალი კურსი – აშშ-ის პრეზიდენტის, ფრანკლინ რუზველტის მიერ, დიდი დეპრესიის საპასუხოდ, 1930-იან წლებში წარმოდგენილი პოლიტიკური პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავდა ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანას.
ბიზნეს მომსახურება – რეკლამა, მარკეტინგი, საზოგადოებასთან ურთიერთობა, ანგარიშგება, იურიდიული მომსახურება, კვლევა და განვითარება, ტრეინინგი, არქიტექტურა, ინჟინერია და კონსულტირება.
ფორდიზმი – აკუმულაციის რეჟიმი, რომელიც ემყარება მასობრივ წარმოებასა და მასობრივ მოხმარებას. ეს სახელი ეწოდა ავტომობილების მწარმოებლის, ჰენრი ფორდის საპატივსაცემოდ, წარმოების პროცესისადმი მისი ინოვაციური მიდგომების გამო. ფორდიზმი გულისხმობს შრომის სპეციალიზებულ და დიფერენცირებულ დანაწილებას, კონვეიერულ წარმოებას, მაღალ ხელფასებს - რათა მუშებს შეძლებოდათ მათ მიერ გამოშვებული პროდუქციის შეძენა.
ნეო-ფორდიზმი - აკუმულაციის რეჟიმი, რომელმაც ჩაანაცვლა ფორდიზმი ცალკეულ ქვეყნებში. იგი ემყარება **მოქნილ საწარმოო სისტემებს**, რათა აითვისოს სპეციალიზებული ბაზრის სეგმენტები/ნიშები.
კეინსიანიზმი – ბრიტანელ ეკონომისტის, ჯონ მეინარდ კეინსის მაკროეკონომიკური მენეჯმენტის დოქტრინა, რომლის მიხედვით, სახელმწიფოს აქტიური ჩარევა აუცილებელია ეკონომიკური ზრდისა და სტაბილურობის უზრუნველსაყოფად. ასევე საჭიროა იმგვარი ფისკალური პილიტიკის (მაგ.: საბიუჯეტო დეფიციტი) გატარება და დამატებითი (multiplier) ეფექტის გამოყენება, რომ მიღწეულ იქნეს სრული დასაქმება.
ტრანსნაციონალური კორპორაციები – კომპანიები, რომლებიც რამდენიმე ქვეყანაში ახორციელებენ წარმოებას და მომსახურებას. უმეტეს შემთხვევაში, მათი სათაო ოფისები მდებარეობს განვითარებული ქვეყნების მეტროპოლიებში, ხოლო წარმოება სხვადასხვა ქვეყანაში იმგვარადაა ორგანიზებული, რომ მიღწეულ იქნეს მოგების მაქსიმიზაცია (მაგ.: წარმოების განლაგება იმ ქვეყნებში, სადაც იაფი მუშახელია).

დამატებითი (multiplier) ეფექტი – რაიმე ახალი საქმიანობის შედეგად, დამატებით ახალი ინდუსტრიების, ფირმების, შემოსავლებისა და დასაქმების წარმოშობა, რომლებიც წარმოადგენენ ამ ახალი საქმიანობის დამატებითი ეფექტის შედეგს.

თავდაპირველი უპირატესობა – უპირატესობა, რომელიც მიიღება ეკონომიკურ კონკურენციაში იმ ტერიტორიების/ბიზნესების მიერ, სადაც ყველაზე ადრე მოხდა კონკრეტული პროდუქტის წარმოება.

კონკურენტული უპირატესობა - უპირატესობა, რომელიც მიიღება ეკონომიკურ კონკურენციაში იმ ტერიტორიების/ბიზნესების მიერ, სადაც ყველაზე ადრე მოხდა კონკრეტული პროდუქტის წარმოება და სადაც არსებობს ორგანიზაციისა და ადაპტაციის უკეთესი ხარისხი.

შედარებითი უპირატესობა – ეკონომიკური თეორია, რომლის მიხედვით, ქვეყნებმა უნდა მოახდინონ სპეციალიზაცია იმ საქონელზე, რომლის წარმოების ხარჯები ყველაზე დაბალია მოცემულ ქვეყანაში და მოახდინონ იმ პროდუქტის იმპორტი, რომლის წარმოების ხარჯები მაღალია.

მანქანური წარმოება (machinofacture) – კაპიტალის ინტენსივობით გამორჩეული მრეწველობის ორგანიზაციის ფორმა, როდესაც წარმოება ძირითადად ემყარება მანქანა-დანადგარებს, და ნაკლებად მუშის ფიზიკურ ძალას.

მასშტაბის (scope) ეკონომია – წარმოების ხარჯების შემცირება და შესაბამისად, პროდუქციის ერთეულის ფასის შემცირება წარმოების მოცულობის ზრდის შედეგად, იგივე საწარმოო ქსელის მოქნილი გამოყენებით.

მასშტაბის ეფექტის ზრდა – წარმოების საშუალებების მოცულობის ზრდის (ნედლეული, სამუშაო ძალა და ა.შ.) მიმართება წარმოებული საქონლის რაოდენობასთან. მასშტაბის ეფექტის ზრდას ადგილი აქვს, თუ წარმოების საშუალებების მოცულობა გაიზარდა X პროცენტით, ხოლო წარმოებული საქონლის რაოდენობა X-ზე მეტი პროცენტით.

გარე (external) მასშტაბის ეკონომია – სარგებელი, რომელსაც ღებულობს მწარმოებელი იმავე პროდუქტის სხვა მწარმოებელთან თანამშრომლობით, იმ ტერიტორიაზე, რომელიც სასურველ მომსახურებებს სთავაზობს მათ.

მოქნილი საწარმოო სისტემა – მოიცავს შემდეგ ელემენტებს: თანამედროვე ტექნოლოგიების, ხშირი ქვეკონტრაქტირების, შრომის სხვადასხვა ბაზრების, საქონლისთვის სხვადასხვა საბაზრო ნიშების გამოყენება, აგრეთვე ახალი შრომის პროცესების დანერგვა მოქნილი სამუშაო საათებით, ნახევარ განაკვეთზე მუშობით და ა.შ.

შრომის ახალი საერთაშორისო დანაწილება - შრომის ტერიტორიულ/სივრცითი დანაწილების მანამდე არსებული ეროვნული მასშტაბებიდან გლობალურ მასშტაბებამდე რეორგანიზაცია. იგი ეფუძნება საერთაშორისო წარმოებისა და მარკეტინგის სისტემებს.

სასაქონლო ჯაჭვი – შრომისა და საწარმოო პროცესების სისტემა, რომელიც იწყება ნედლეულის მოპოვებით და მთავრდება საბოლოო საქონლის დისტრიბუციით.

ოფშორული ფინანსური ცენტრი – უმეტესად კუნძულები, ან ჯუჯა სახელმწიფოები, სადაც ხელსაყრელი საგადასახადო გარემოა უცხოური კაპიტალისთვის და ნაკლებად რეგულირებულია სხვა ფინანსურ ცენტრებთან შედარებით.

პროდუქტის სასიცოცხლო ციკლი – პერიოდი, რომლის განმავლობაშიც პროდუქტი ჯერ სიახლეს წარმოადგენს და ძვირია, ხოლო შემდეგ ხდება მისი სტანდარტიზება და გაიაფება

სტაგფლაცია – ვითარება, როდესაც ინფლაციისა და უმუშევრობის დონე მაღალია, ხოლო ეკონომიკური ზრდის ტემპი დაბალი

შემცირებული შემოსავლების კანონი – ტენდენცია, რომლის დროსაც ხდება პროდუქტიულობის შემცირება წარმოების ერთი რომელიმე ფაქტორის (კაპიტალი, შრომა, ან მიწა) ზრდის დროს, დანარჩენი ფაქტორების უცვლელობის პირობებში. მაგალითად, ფერმის პროდუქტიულობა გაიზრდება სამუშაო ძალისა და ტრაქტორების დამატებით, მაგრამ დადგება მომენტი, როდესაც კიდევ უფრო მეტი სამუშაო ძალისა და ტრაქტორების დამატება წარმოების სხვა ფაქტორის (მიწის ფართობი) ზრდის გარეშე შეამცირებს პროდუქტიულობას, რადგან სამუშაო ძალისა და ტრაქტორების ნაწილი გამოუყენებელი დარჩება და წარმოების ხარჯებიც გაიზრდება

ტექნოლოგიური სისტემები – ტექნოლოგიების, ენერგეტიკული რესურსებისა და პოლიტიკურ-ეკონომიკური სტრუქტურების ერთობლიობა, რომლებიც წარმოადგენდნენ წარმოების ორგანიზაციის ყველაზე ეფექტურ საშუალებებს ეკონომიკური განვითარების ნებისმიერ მოცემულ ეტაპზე.

ცენტრალური ადგილების სისტემა – ცენტრალური ადგილები არიან ქალაქები, რომლებიც საკუთარ ჰინტერლანდს უზრუნველყოფენ საქონლითა და მომსახურებით. ცენტრალური ადგილების სისტემა შედგება ცენტრალური ადგილების იერარქიისგან. მის სათავეში დგანან დიდი ქალაქები, რომლებიც ახორციელებენ ძვირადღირებული საქონლის მიწოდებას (მაგ.: ავეჯი, ძვირფასეულობა), ხოლო ბოლოში, დიდი რაოდენობის მცირე ქალაქები, რომლებიც ახორციელებენ იაფი საქონლის მიწოდებას

კონსუმერიზმი – მომხმარებელთა უფლებების დაცვა

მარჟა – სხვაობა საქონლის ფასებს, ფასიან ქაღალდებსა და სხვა ეკონომიკურ მაჩვენებლებს შორის

წარმოების ფაქტორები – მიწა, შრომა, კაპიტალი, მეწარმეობა

Trade off – არჩევანის პრობლემა, ერთ საგანზე უარის თქმა, მეორის მისაღებად

Externalities – ეკონომიკური საქმიანობის თანამდევი ეფექტები

კლებადი უკუგების კანონი – Law of diminishing returns – თუკი წარმოების ფაქტორების რაოდენობრივი მოცულობა ფიქსირებულია, ნებისმიერი ცვლადი ფაქტორის(სრომა) გამოყენების მასშტაბის ზრდას ჯერ მოჰყვება სემოსავლიანობის ოპტიმალური დონე, ხოლო მის კიდევ უფრო ზრდას მოჰყვება პროდუქციის კლება

ექსპანსია, ანუ აღმავლობა – საქმიანი აქტივობის ციკლის ფაზა, როცა ეკონომიკა იწყებს ზრდას, სხვა ფაზებია: ბუმი, რეცესია და ფსკერი

ბრეტონ-ვუდსის შეთანხმება – ფულადი ურთიერთობებისა და სავაჭრო ანგარიშგებების საერთაშორისო სისტემა, რომელიც მიიღეს ბრეტონ-ვუდსის კონფერენციაზე 1944 წელს. სისტემის იდეოლოგი იყო ჯონ მეინარდ კეინსი. ამ სისტემის შედეგად დოლარი გახდა ფულის საერთაშორისო ერთეული, შეიქმნა საერთაშორისო სავალუტო ფონდი და სხვ.

Economies of scale – წარმოების მასშტაბების ზევით გამოწვეული ინფლაცია, პროდუქციის, ან მომსახურების ერთეულის ღირებულების შემცირება, წარმოების მასშტაბის გაფართოების შედეგად

დომინაცია – უპირატესი მდგომარეობა სხვა სუბიექტებისა და საგნების მიმართ

წარმოების დამატებითი ღირებულება/manufacturing value added – წარმოების მოცულობის მაჩვენებელი

ფორვარდული კონტრაქტი – მომავალში შესასრულებლად სავალდებულო კონტრაქტი, რომლის დროსაც მყიდველი და გამყიდველი თანხმდებიან მომავალში მიწოდება-გაყიდვაზე, წინასწარ შეთანხმებულ ფასად

დამატებითი ღირებულების გადასახადი/value-added tux VAT – გადასახადი, რომლითაც იბეგრება საქონლის წარმოების ყოველ ეტაპზე დმატებული ღირებულება

აბსოლუტური უპირატესობა/absolute advantage – ვითარება, როცა რაიმე პროდუქტის წარმოება ერთ ქვეყანას უფრო ეფექტიანად შეუძლია, ვიდრე სხვას